



**RIGHTS
GEORGIA**

უფლებები საქართველო

დამოუჩიდაბალი ინსვაქტორისა და
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის
მონიტორინგი დისციპლინური
სამართალდარმოების პროცესში

ანგარიში
და რეკომენდაციები

2021

დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში

©2021, უფლებები საქართველო, ყველა უფლება დაცულია

ანგარიში მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ მიერ პროექტის “დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში”. პროექტის მხარდამჭერია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG) პროგრამა, რომელიც ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ. პროექტი ითვალისწინებს დისციპლინური კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვას, საერთაშორისო სტანდარტებთან მათი შესაბამისობის ანალიზს, არსებული ხარვეზების გამოვლენას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას, ასევე სტრატეგიულ სამართალწარმოებას დისციპლინურ პროცესში.

ანგარიშზე მუშაობდნენ: ნანა გვადლია
ელენე სიჭინავა
ანხა წიქარიშვილი

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „უფლებები საქართველო“. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.



სარჩევი:

1.პროექტის მეთოდოლოგია.....	5
2.დისციპლინური სისტემის ხარვეზები და რეკომენდაციები	7
3. 2012 წლიდან დღემდე დისციპლინურ კანონმდებლობაში გატარებული ცვლილებების მოკლე მიმოხილვა	15
4.მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებში ქართული კანონმდებლობის შესაბამისობა სარეკომენდაციო ხასიათის საერთაშორისო დოკუმენტებთან (რეკომენდაციები, დასკვნები, გაიდლაინები).....	17
5. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა 2012 წლიდან დღემდე საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებთან.....	45
6. საქართველოს დისციპლინური კანონმდებლობის შედარება საზღვარგარეთის ქვეყნების დისციპლინურ სისტემებთან.....	48
7. სადისციპლინო ორგანოების (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის და უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის) გადაწყვეტილებების მიმოხილვა	51
8.ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოება.....	86
9. დისციპლინური სტატისტიკის ანალიზი	112
10.დანართები.....	123

დამოუკიდებელი და ძლიერი სასამართლო ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა. დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოს დამოუკიდებლობა მისი ანგარიშვალდებულებით უნდა იქნეს დაბალანსებული. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა სასამართლოს ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ცნობილია, რომ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს:¹

- » წინასწარ უნდა ადგენდეს, მოსამართლის მიუღებელ და დისციპლინური წესით დასჯად ქმედებას; აღნიშნული ქმედება უნდა იყოს გამჭვრეტადი, როგორც მოსამართლისათვის, ასევე საზოგადოებისათვის.
- » ახდენდეს ეფექტიან რეაგირებას საზოგადოების მხრიდან მოსამართლისადმი გამოთქმულ პრეტენზიებზე და დასაბუთებულ პასუხს უბრუნებდეს საზოგადოებას;
- » იცავდეს მოსამართლის უფლებებს;
- » იყოს გამჭვირვალე და საჯარო იმ ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს დისციპლინური სამართალწარმოების, მოსამართლის უფლებების დაცვის და საზოგადოების ინტერესები;
- » ადგენდეს სამართლიან ბალანსს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის.

2012 წლამდე საერთო სასამართლოების დისციპლინური სისტემა იყო სრულად დახურული. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები არ ქვეყნდებოდა, რის გამოც მოსამართლეებს და საზოგადოებას არ ჰქონდათ ინფორმაცია თუ რა გადაცდომები იგულისხმებოდა საკანონმდებლო ნორმების ქვეშ (მაგალითად, როგორცაა მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება). დისციპლინური დევნის ორგანო - იუსტიციის უმაღლესი საბჭო აკომპლექტებდა დისციპლინურ საქმეთა არსებით განმხილველ ორგანოს - სადისციპლინო კოლეგიას, რის გამოც ფორმალურადაც კი არ არსებობდა დისციპლინურ საქმეთა დამოუკიდებელი განხილვის მექანიზმი, არ არსებობდა დისციპლინურ საქმეთა გამოძიების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო, რომელსაც ექნებოდა დამოუკიდებლობის თუნდაც ფორმალური გარანტიები.

2012 წლამდე დისციპლინური სისტემა (ისევე როგორც სხვა ადმინისტრაციული ბერკეტები) ხშირად გამოიყენებოდა პოლიტიკურად ურჩი მოსამართლეების დამინების და დამორჩილების მიზნით.² იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული მოხსენებითი ბარათის ინსტიტუტი გამოიყენებოდა არასასურველი მოსამართლეების შერჩევის, მათი დარღვევების გამოვლენის და მათი დასჯის მიზნით.³

1 იხ. დამოუკიდებელი ინსპექტორის შემოღები საჭიროება საერთო სასამართლოების სისტემაში, შემოთავაზებული ცვლილებების არსი და დასაბუთება, 2015 <https://bit.ly/3oiLrqR>

2 იხ. მაგ. კონსტიტუციის 42-ე მუხლი, 2006-2016 წლებში მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელშემშლელი ფაქტორების თაობაზე პრაქტიკოსი იურისტების აზრის კვლევა.

3 იხ. დამოუკიდებელი ინსპექტორის შემოღების საჭიროება საერთო სასამართლოების სისტემაში, შემოთავაზებული ცვლილებების არსი და დასაბუთება, 2015 <https://bit.ly/3oiLrqR>

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ვენეციის კომისიამ 2007 წლის 19 მარტს რეკომენდაცია გაუწია დისციპლინური გადაცდომების საფუძვლებიდან კანონის უხეში დარღვევის ამოღებას, ეს საკანონმდებლო ნოვაცია განხორციელდა მხოლოდ 2012 წლის 27 მარტის ცვლილებებით. ანუ კანონმდებელს 5 წელი დასჭირდა იმისათვის, რომ კანონიდან ამოეღო ბუნდოვანი და ფართო გამოყენების ნორმა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობას.

2005-2012 წლებში სადისციპლინო კოლეგიამ 300-ზე მეტი დისციპლინური საქმე განიხილა. 206 მოსამართლე იქნა დასჯილი დისციპლინური წესით. აქედან თანამდებობიდან გათავისუფლდა 37-ი მოსამართლე, მკაცრი საყვედური გამოეცხადა 29-ს, ხოლო საყვედური გამოეცხადა 59 მოსამართლეს; შენიშვნა გამოეცხადა 58 მოსამართლეს, კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიემართა 33 მოსამართლეს. ხშირ შემთხვევაში, დისციპლინური სანქციის დაკისრება ხდებოდა ფორმალური დარღვევების საფუძველზე, რომლებიც ჩვეულებრივ გამოსწორებადი იყო სააპელაციო და საკასაციო წესით, ან რომელსაც რაიმე საზიანო შედეგი არ მოჰყოლია არც მხარეებისთვის და არც სასამართლოს ავტორიტეტისთვის. დისციპლინური დევნის მუქარა ზოგჯერ გამოიყენებოდა მოსამართლის იძულებისთვის, რომ ის „ნებაყოფლობით“ გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან. ამ გზით, გასულ წლებში თანამდებობიდან გათავისუფლდა 14 მოსამართლე.⁴

2012 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ახლამ პოლიტიკურმა ძალამ „ქართულმა ოცნებამ“ ფართომასშტაბიანი სასამართლო რეფორმა დაანონსა. სასამართლოს რეფორმასთან დაკავშირებული ცვლილებები ე.წ. მართლმსაჯულების რეფორმის ტალღების სახით განხორციელდა და შეეხო სასამართლო ადმინისტრირების მრავალ სფეროს - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირებას, მოსამართლეთა კონფერენციის საქმიანობის წესს, მოსამართლეთა დანიშვნის, დანიშნულების დისციპლინური პასუხისმგებლობის და გადაყვანის წესებს.

გატარებულ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს:

- » დისციპლინურ საქმეთა განმხილველი დამოუკიდებელი ორგანოს - სადისციპლინო კოლეგიის შექმნა;
- » დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის შემოღება;
- » მტკიცების ტვირთისა და მტკიცების სტანდარტის დაზუსტება;
- » დისციპლინურ პროცესში მოსამართლის უფლებების გაზრდა;
- » დისციპლინური გადაცდომების დეტალური ჩამონათვალის დამტკიცება;
- » სადისციპლინო კოლეგიის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადანყვეტილებების პუბლიკაცია;
- » მოსამართლის მოთხოვნის შემთხვევაში, დისციპლინური სხდომების გასაჯაროება.

4 იხ. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის პრაქტიკა და სტატისტიკა, dcj.court.ge.

აღნიშნული ცვლილებების მიუხედავად, დისციპლინურმა სისტემამ საზოგადოებრივი ნდობა მაინც ვერ მოიპოვა. პროექტის მიერ გამოკითხული რესპოდენტები (ადვოკატები) ხშირად მიუთითებენ, რომ მათ არ აქვთ ნდობა დისციპლინური სისტემის მიმართ, რის გამოც ბევრი ადვოკატი თავს იკავებს დისციპლინური საჩივრის წარმოდგენისგან.

მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე ხშირად გავრცელებული ორი საფუძველი, რის გამოც დღემდე მხარეები დამოუკიდებელ ინსპექტორს მიმართავენ, არის მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება და სამართალწარმოების გაჭიანურება. აქედან, პირველი საფუძველი 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებით ამოღებულია დისციპლინური გადაცდომების სიიდან, ხოლო მეორე საფუძველი, პრაქტიკულად აღარ ისტება. სასამართლო გადატვირთულობის ფონზე, საქმის გაჭიანურება, როგორც წესი, საპატიოდ ითვლება და მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომლის მიმართ ამ საფუძველით საჩივარი შემოდის, თავისუფლდება დისციპლინური პასუხისმგებლობისგან.

მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალიდან „მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების“ ამოღება პრაქტიკოს იურისტებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ნაწილი მიიჩნევს, რომ მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებისთვის მოსამართლეთა სრულად გათავისუფლება მიუღებელია და ეს ნორმა მომავალში გარკვეული ფორმით უნდა აღდგეს.

პროექტის მიერ გამოკითხულ რესპოდენტთა ნაწილის აზრით, დისციპლინური სისტემის მიმართ უნდობლობას, ასევე, განაპირობებს სასამართლო სისტემაში არსებული არაფორმალური მმართველობა, რომლის დროსაც სისტემის შიგნით ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას დახურულ კარს მიღმა იღებს პირთა ვიწრო ჯგუფი, ე.წ. კლანი.⁵

სტატისტიკური თვალსაზრისით, არსებობს მკაფიო სხვაობა 2012 წლამდე და 2012 წლის შემდეგ მოქმედ დისციპლინურ სისტემებს შორის. თუ 2004-2012 წლებში 206 მოსამართლე იქნა დასჯილი დისციპლინური წესით, 2013-2020 წლებში მხოლოდ 9 მოსამართლე იქნა დასჯილი დისციპლინური წესით.

2014-15 წლებში საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კოლეგიას არსებითად არ განუხილავს არცერთი საქმე, 2012 წლიდან დღემდე სადისციპლინო კოლეგიამ განიხილა 19 საქმე და აქედან მხოლოდ 9 პირი იქნა ცნობილი ბრალეულად დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში.

2019 წლამდე, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველების თვალსაზრისით, არ მომხდარა რაიმე ისეთი ცვლილება, რაც ახსნის სტატისტიკურ განსხვავებას 2012 წლამდე და 2012 წლის შემდეგ არსებულ პერიოდებს შორის (კანონის უხეში დარღვევა, რომელიც არსებობდა 2012 წლამდე, „მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების“ იდენტურია). ეს განსხვავება მხოლოდ პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილებით შეიძლება აიხსნას: თუ 2012 წლამდე დისციპლინური სისტემა იყო მეტისმეტად მკაცრი და ორიენტირებული იყო მოსამართლეების დასჯისკენ, 2012 წლის შემდეგ სისტემა გახდა მეტისმეტად ლიბერალური, ხოლო, ზოგ შემთხვევაში, აჩენს პროტექციონიზმის ეჭვს.

2013-2019 წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო რეფორმებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დისციპლინური სისტემის საკანონმდებლო ჩარჩო სისტემის განჭვრეტადობის, გამჭვირვალობის, მოსამართლის უფლებების დაცვის მიმართულებით. თუმცა, გამოიკვეთა მთელი რიგი ხარვეზები და დამატებითი საჭიროებები:

⁵პროექტის მიერ ჩატარებული გამოკითხვა იხ. ქვემოთ.

- » კვლავ დასახვეწია დისციპლინური გადაცდომების სისტემა;
- » შესამუშავებელია დისციპლინური გადაცდომების განმარტებები;
- » გასაფართოებელია როგორც მოსამართლის, ასევე მომჩივანის უფლებები;
- » შესამცირებელია დისციპლინური დევნის დაწყებისათვის საჭირო ხმათა რაოდენობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში;
- » დასახვეწია დამოუკიდებელი ინსპექტორის შესარჩევი კონკურსი;
- » მეტი საჯაროობა და გამჭვირვალობა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი შუალედური გადაწყვეტილებების გამოქვეყნებით და დისციპლინური სხდომების გასაჯაროებით;
- » გაუმჯობესებას საჭიროებს დისციპლინურ საკითხებზე როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ასევე სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებების ხარისხი;
- » დასახვეწია პროაქტიულად გამოქვეყნებული დისციპლინური სტატისტიკა;
- » შესაქმნელია მექანიზმები, რითაც დისციპლინური სისტემის ბენეფიციარები თავისუფლად მიიღებენ კონსულტაციას დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე.

1. პროექტის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში მოხდა ეროვნული კანონმდებლობის და პრაქტიკის შესწავლა და მისი შედარება საერთაშორისო სტანდარტებთან/საზღვარგარეთის მონინავე სისტემებთან, ასევე განხორციელდა დისციპლინური სისტემის მომხმარებელთა და დისციპლინური სტატისტიკის კვლევა.

უფრო კონკრეტულად, კვლევა განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

1. 2012 წლის შემდეგ დისციპლინურ სამართალწარმოებაში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვა:

პროექტმა შეისწავლა 2012 წლის შემდეგ დისციპლინურ სამართალწარმოებაში გატარებული ძირითადი ცვლილებები და შეათვასა მათი ზეგავლენა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესზე.

2. ქართული კანონმდებლობის შესაბამისობა 2012 წლიდან დღემდე წარმოდგენილ დასკვნებთან და რეკომენდაციებთან:

პროექტმა შეისწავლა და გაანალიზა 2012 წლის შემდეგ საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და მოხდა მათი შედარება 2012 წლიდან დღემდე განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან.

3. ქართული კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან (სარეკომენდაციო ხასიათის საერთაშორისო დოკუმენტები):

პროექტმა მიმოიხილა ქართული კანონმდებლობის შესაბამისობა სარეკომენდაციო ხასიათის საერთაშორისო დოკუმენტებთან, ასევე მოწინავე ქვეყნების კანონმდებლობასთან.

4. ქართული კანონმდებლობის შედარება საზღვარგარეთის ქვეყნების დისციპლინურ სისტემებთან:

ამ ნაწილში, ქართული კანონმდებლობა განხილული იქნა საზღვარგარეთის ქვეყნების მოწინავე დისციპლინური სისტემების ფონზე.

5. დისციპლინური პრაქტიკის ანალიზი და შედარება:

შესწავლილი იქნა საქართველოს (დამოუკიდებელი ინსპექტორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სადისციპლინო კოლეჯის და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებების სახით) და საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების დისციპლინური პრაქტიკა.

6. დისციპლინური პრაქტიკის შედარება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან:

პროექტმა შეისწავლა დისციპლინური პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების კუთხით.

7. დისციპლინური სამართალწარმოების ხარვეზები - პრაქტიკოს იურისტებთან ჩატარებული გამოკითხვების შედეგები:

განხორციელდა მართლმსაჯულების სისტემის სუბიექტების - პრაქტიკოსი ადვოკატები, მოსამართლეები, პარლამენტის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სახალხო დამცველი, აზრის კვლევა როგორც ფოკუს ჯგუფების, ასევე კითხვარების და ინდივიდუალური ინტერვიუების მეშვეობით.

8. დისციპლინური სტატისტიკა:

შესწავლილი იქნა დისციპლინური სტატისტიკა და შედარებული იქნა მოწინავე ქვეყნების (აშშ, საფრანგეთი, გამოცდილებასთან).

9. დისციპლინური საჩივრები

პროექტის ბენეფიციარებთან კონსულტაციის შედეგად პროექტმა მოამზადა 5 დისციპლინური საჩივარი, რომლებიც წარდგენილი იქნა დამოუკიდებელ ინსპექტორთან.

2. დისციპლინური სისტემის ხარვეზები და რეკომენდაციები

ამ თავში განხილული იქნება პროექტის საკანონმდებლო და პრაქტიკული რეკომენდაციები როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების, ასევე დისციპლინური საქმისწარმოების კუთხით.

წარმოდგენილი ხარვეზები იყოფა რეგულაციური და პრაქტიკული ხასიათის ხარვეზებად.

2.1. რემპულაციური ხარვეზები

2.1.1. დისციპლინური სამართალწარმოებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების მიზნები.

დისციპლინური კანონმდებლობა არ შეიცავს დისციპლინური სამართალწარმოების და დისციპლინური სახდელის დაკისრების მიზნებს. მიზნების ფორმულირებას აქვს არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა. დისციპლინური სამართალწარმოება და დისციპლინური სახდელის დაკისრება ამ მიზნებთან შესაბამისობით უნდა განხორციელდეს.

რეკომენდაცია:

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში უნდა განისაზღვროს დისციპლინური სამართალწარმოების და დისციპლინური სახდელის მიზნები.⁶

2.1.2. განზრახვა-გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო ფორმულირება

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დროს მოსამართლის განზრახვა-გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო ფორმულირება მიბმულია გადაცდომით გამოწვეულ ზიანზე და არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ დისციპლინური გადაცდომების ნაწილი ფორმალურ შემადგენლობებს შეიცავს, შესაბამისად, ზიანის დადგომას არ ითხოვს.

რეკომენდაცია:

განზრახვა-გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო ფორმულირება უნდა შეიცვალოს ისე, რომ ის ასახავდეს როგორც შედეგიან, ასევე შედეგგარეშე (ფორმალურ) დისციპლინურ გადაცდომებს.

2.1.3. დისციპლინური გადაცდომების არასრული ჩამონათვალი

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი ადგენს მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომების ამომწურავ ჩამონათვალს, თუმცა ეს ჩამონათვალი არასრულია და არ ითვალისწინებს ზოგიერთ მნიშვნელოვან გადაცდომას, რომელსაც იცნობენ მსოფლიოს მონიწივე ქვეყნების სამართლებრივი სისტემები.

⁶ დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებად შესაძლოა მითითებული იქნეს: დისციპლინური გადაცდომების გამოვლენა, დროული და სამართლიანი განხილვა, დისციპლინური გადაცდომის სწორი კვალიფიკაცია და ადეკვატური დისციპლინური სასჯელის დაკისრება. დისციპლინური სახდელის მიზნებად შეიძლება მითითებული იქნეს, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზანი არ არის მოსამართლისთვის სამაგიეროს მიზღვა, არამედ სასამართლო სისტემის სანდოობის და შეუვალობის დაცვა, მოსამართლეების მხრიდან მსგავსი გადაცდომების თავიდან აცილება.

რეკომენდაცია

დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს უნდა დაემატოს ახალი გადაცდომები, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო გამოცდილებით, კერძოდ:

- » სამოსამართლო უფლებამოსილების შესრულებისას ჩადენილი ნებისმიერი ქმედება, რომელიც აშკარად ლახავს მოსამართლის მიუკერძოებლობას ან იწვევს ასეთ აღქმას ობიექტური დამკვირვებლის თვალში;
- » მოსამართლის მიერ თანამდებობრივი მდგომარეობის ან თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენება თავისთვის ან სხვისთვის არამართლზომიერი უპირატესობის მოსაპოვებლად;
- » ცრუ ინფორმაციის წარმოდგენა ოფიციალურ დოკუმენტებში და საჯარო განცხადებებში;
- » სამსახურებრივი რესურსების პირადი სარგებლობისთვის გამოყენება, რითაც ზიანი მიაღწა სამსახურებრივ ინტერესებს.

2.1.4. სამართალწარმოების გაჭიანურება და ვადების დარღვევა.

კანონში მოცემული ფორმულირება, რითაც საქმისწარმოების გაჭიანურება მხოლოდ საპროცესო ვადების დარღვევას უკავშირდება არასწორია, ვინაიდან საქმისწარმოების გაჭიანურება შესაძლებელია საქმის განხილვის ვადის დაცვითაც მოხდეს.

რეკომენდაცია:

საქმისწარმოების გაჭიანურების, როგორც გადაცდომის ფორმულირება შეიცვალოს ისე, რომ ის მხოლოდ საპროცესო ვადის დარღვევით არ შემოიფარგლებოდეს.

2.1.5. დისციპლინური გადაცდომების განმარტებების არარსებობა

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა მოიცავს დისციპლინური გადაცდომების დეტალურ ჩამონათვალს, მრავალი ეს გადაცდომა ზოგადი ხასიათისაა და საჭიროებს განმარტებებს. დისციპლინური პრაქტიკა მწირია და მრავალი გადაცდომის განმარტებისთვის რაიმე ოფიციალური წყარო არ არსებობს.

რეკომენდაცია:

უნდა შეიქმნას დისციპლინური გადაცდომების კომენტარები, რომელშიც განიმარტება თითოეული დისციპლინური გადაცდომა და მოყვანილი იქნება მაგალითები.

2.1.6. დისციპლინური საჩივრის ავტორის ინფორმირება საქმის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹² მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი, რიგ შემთხვევებში, იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე, თუმცა საჩივრის ავტორისათვის ამ

გადაწყვეტილების გაგზავნის თაობაზე კანონმდებლობა არათერს ამბობს.

რეკომენდაცია:

საჩივრის ავტორს უნდა სავალდებულო წესით უნდა ეცნობოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე უარის თქმის შესახებ.

2.1.7. მოსამართლის უფლება გამოითხოვოს მტკიცებულება დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმების და მოკვლევის პროცესში

დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და მოკვლევის დროს მოსამართლეს არ აქვს კანონით მკაფიოდ მინიჭებული უფლება დამოუკიდებელ ინსპექტორს მიმართოს შუამდგომლობით შესაბამისი დაწესებულებებიდან დოკუმენტების და სხვა მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე.

რეკომენდაცია:

მოსამართლეს უნდა შეეძლოს შუამდგომლობით მიმართოს დამოუკიდებელ ინსპექტორს მტკიცებულებათა გამოთხოვის მოთხოვნით.

2.1.8. დისციპლინური დევნის დაწყებისთვის საჭირო ხმათა რაოდენობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი ითვალისწინებს მაღალ კვორუმს (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3) მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დასაწყებად. ზოგ შემთხვევაში, როდესაც აშკარაა მოსამართლის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის ნიშნები, შესაძლოა ხელოვნურად ხდებოდეს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობის ჩავარდნა, რა შემთხვევაშიც, იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას აღარ ასაბუთებს.

რეკომენდაცია:

უნდა შეიცვალოს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისათვის საჭირო ხმათა რაოდენობა. დევნის დაწყება უნდა შეიძლებოდეს საბჭოს წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

2.1.9. დისციპლინური სამართალწარმოების ვადები

მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დისციპლინური საქმისწარმოების ვადები განერილია კანონმდებლობით, აღნიშნული ვადები რეგულარულად ირღვევა, რასაც არ ახლავს რაიმე სამართლებრივი შედეგი. აუცილებელია, რომ ამ ვადების დარღვევა სამართლებრივ შედეგს დაუკავშირდეს და ვადის დარღვევის შემთხვევაში, დისციპლინური საქმე შეწყდეს.

რეკომენდაცია:

დისციპლინური საქმის მოკვლევის და წინასწარი შემოწმებისას ვადების დარღვევა შედეგად უნდა იწვევდეს დისციპლინური საქმის შეწყვეტას.

2.1.10. დამოუკიდებელი ინსპექტორის შესარჩევი კონკურსი

დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის კონკურსი დახურულია და საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი მონაწილეთა ვინაობა, რაც ხელს არ უწყობს ინსტიტუტის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბებას.

დღეისათვის დამოუკიდებელ ინსპექტორს ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხმათა უმრავლესობით.

რეკომენდაცია:

დამოუკიდებელი ინსპექტორის შესარჩევი კონკურსი უნდა იყოს ღია. კანდიდატთა ბიოგრაფიები წინასწარ უნდა გასაჯაროვდეს.

მიზანშეწონილია, დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევა შესაძლებელი იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ხმათა 2/3 ით.

2.1.11. დისციპლინურ ორგანოებში საქმეთა განხილვის საჭარობა

დისციპლინური საქმე არსებითად განიხილება დახურულ სხდომაზე, თუმცა მოსამართლეს შეუძლია მოითხოვოს სადისციპლინო კოლეგიის, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების საჯაროობა.

რეკომენდაცია:

დისციპლინური საქმე უნდა იქნეს განხილული ღია სხდომაზე, რომელიც შეიძლება დაიხუროს მოსამართლის მოთხოვნით.

2.1.12. დისციპლინური გადაწყვეტილებების გამოქვეყნება

მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების (მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის თაობაზე) გამოქვეყნებას, რაც აუცილებელია დისციპლინური სისტემის გამჭვირვალობისთვის.

რეკომენდაცია:

კანონმა სავალდებულო უნდა გახადოს დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დასკვნების გამოქვეყნება პერსონალური მონაცემების დამტრიალებით.

2.1.13. საქმისწარმოების გაჭინაურება (საპროცესო ვადების არასაკმატომო მიზნით დარღვევა)

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმეთა განხილვის (1 თვიანი, 2 თვიანი და ზოგჯერ 5 თვიანი) ვადები, ზოგ შემთხვევაში, არარეალისტურია და მათი სრულად დაცვა შეუძლებელია.

რეკომენდაცია:

საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადები უნდა გახდეს რეალისტური.

2.1.14. მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობა

მოსამართლეთა სადისციპლინო 5 წევრიანი კოლეგია უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით, რაც არის პრობლემური, ვინაიდან ნიშნავს, რომ სადისციპლინო კოლეგიას შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს მინიმუმ 2 ხმით.



რეკომენდაცია:

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი უნდა იყოს მინიმუმ სამი ხმით.

2.2 პრაქტიკული ხარვეზები

2.2.1. ვადების ათვლა ერთი მოსამართლიდან მეორეზე საქმის გადაწერის დროს

ერთი მოსამართლიდან მეორე მოსამართლეზე გადაწერის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხელახლა იწყებს საქმის განხილვის საპროცესო ვადის ათვლას, რაც არ არის კანონის სწორი ინტერპრეტაცია. საპროცესო კანონმდებლობაში მოცემული საქმეთა განხილვის ვადები მიბმულია არა მოსამართლეზე, არამედ საქმეზე.



რეკომენდაცია:

ერთი მოსამართლიდან მეორეზე საქმის გადაწერის დროს საპროცესო კანონმდებლით დადგენილი საქმის განხილვის ვადების ათვლა თავიდან არ უნდა დაიწყოს.

2.2.2. საქმისწარმოების ვადების დარღვევა

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა მკაცრად ადგენს დისციპლინურ საქმეთა წინასწარი შემოწმების და მოკვლევის, მოსამართლის მიმართ დისციპლინური ღევნის დაწყების და მოსამართლის პასუხისგებაში მიცემის ვადებს, ეს ვადები ხშირად ირღვევა.



რეკომენდაცია:

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა და იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა დაიკვიროს დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმების, მოკვლევისა და გადაწყვეტილებათა მიღების ვადები, იმ შემთხვევაში თუ ეს ვადები არარეალისტურად მოკლეა, ვადები უნდა გაიზარდოს.

2.2.3. დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო

ორ საქმეზე სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დისციპლინურ პროცესში სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დაადგინა, დისციპლინური წესით სასამართლოდან გათავისუფლებულმა პირებმა მიმართეს სადისციპლინო კოლეგიას და სადისციპლინო პალატას და მოითხოვეს მათი საქმის არსებითად ხელახლა განხილვა, თუმცა სადისციპლინო ორგანოებმა მათი საქმე არსებითად არ განიხილეს, არამედ შეწყვიტეს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. პროექტი მიიჩნევს, რომ დისციპლინური ღევნის

ხანდაზმულობის ვადა არის მოსამართლის დასაცავად შექმნილი გარანტია, რომელიც არ უნდა იქნეს გამოყენებული მოსამართლის სანინააღმდეგოდ. შესაბამისად, დისციპლინური საქმის განმხილველ სასამართლოებს საქმე არსებითად უნდა განეხილათ და მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

რეკომენდაცია:

ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო დისციპლინური საქმე არ უნდა შეწყდეს თუ მოსამართლე ამის წინააღმდეგია.

2.2.4. დისციპლინური საქმეების ნაწილობრივ შეწყვეტის არასწორი პრაქტიკა

იმ შემთხვევაში როდესაც დისციპლინური საჩივარი შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებას და ამავდროულად სხვა დისციპლინურ გადაცდომას, დამოუკიდებელი ინსპექტორი საქმეს წყვეტს გადაწყვეტილების კანონიერების კონტროლის ნაწილში. პროექტი მიიჩნევს, რომ დისციპლინური საქმის ასეთი გაყოფა დაუშვებელია.

რეკომენდაცია:

იმ შემთხვევაში როდესაც დისციპლინური საჩივარი შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებას და ამავდროულად სხვა დისციპლინურ გადაცდომას დამოუკიდებელმა ინსპექტორმა ნაწილობრივ საქმე არ უნდა შეწყვიტოს და საქმეზე დასკვნის მომზადების შემდეგ საქმე გადასცეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

2.2.5. დამოუკიდებელი ინსპექტორის პოზიცია

სშირია შემთხვევები, როცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებში არ არის გამოკვეთილი მოსამართლის, ასევე დამოუკიდებელი ინსპექტორის პოზიცია, შესაბამისად, შეუძლებელია იმის გაგება, იუსტიციის უმაღლესი საბჭო დაეთანხმა თუ არ დაეთანხმა დამოუკიდებელი ინსპექტორის პოზიციას.

რეკომენდაცია:

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებში ყოველთვის გამოკვეთილი უნდა იყოს დამოუკიდებელი ინსპექტორის პოზიცია, ასევე ამ პოზიციის დასაბუთება. იმ შემთხვევაში როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ იზიარებს დამოუკიდებელი ინსპექტორის პოზიციას, საბჭოს ეს გადაწყვეტილება უნდა იქნეს ჯეროვნად დასაბუთებული.

2.2.6. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთება

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების ნაწილი არ არის სათანადოდ დასაბუთებული - არ ჩანს მომჩივანის არგუმენტები ან არ არის პასუხი გაცემული მომჩივანის არგუმენტებზე; საქმეთა ნაწილი შეწყვეტილია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე (კვორუმის არ არსებობის გამო). აშკარაა, რომ ამ შემთხვევებში კვორუმის არარსებობა გამოყენებული არის დასაბუთების გარეშე დისციპლინური საქმის შეწყვეტის მექანიზმად.

რეკომენდაცია:

უნდა გაიზარდოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხი. გამოკვეთილად უნდა ჩანდეს მომჩივანის არგუმენტები და პასუხი გაცეს ამ არგუმენტებს. იმ შემთხვევაში, როდესაც საბჭოს წევრების უმცირესობა მხარს უჭერს საქმის შეწყვეტას და საქმე წყდება, უმცირესობის არგუმენტები წერილობით უნდა გამოქვეყნდეს.

2.2.7. დისციპლინური საქმის შეწყვეტა მნიშვნელოვანი გარემოებების დაუდგენლობისას

რიგ შემთხვევებში, დისციპლინური საქმე შეწყვეტილია საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოების დაუდგენლობის მოტივით, მიუხედავად იმისა, რომ საქმის ჯეროვანი მოკვლევით მათი დადგენა იყო შესაძლებელი.

რეკომენდაცია:

დისციპლინური საქმე არ უნდა შეწყდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების დაუდგენლობის მოტივით იმ შემთხვევაში, როდესაც მოკვლევით ასეთი გარემოების დადგენა შესაძლებელია.

2.2.8. დისციპლინური სანქციის დასაბუთება

სადისციპლინო კოლეგიის მიერ გამოყენებული სანქციის დასაბუთება, ხშირ შემთხვევაში, შაბლონურია და გამოყენებული კრიტერიუმები დეტალურად არ არის განხილული.

რეკომენდაცია:

დისციპლინური სანქციები უნდა იყოს ჯეროვნად დასაბუთებული.

2.2.9. დისციპლინური სტატიისტიკა

საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი ორგანოების (დამოუკიდებელი ინსპექტორი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სადისციპლინო კოლეგია, სადისციპლინო პალატა) მიერ გამოქვეყნებული დისციპლინური ინფორმაცია არასრულია.

რეკომენდაცია:

მნიშვნელოვანია, ყველა იმ აუცილებელი მონაცემის შეგროვება და გამოქვეყნება, რომელიც იძლევა სურათს დისციპლინური სისტემის მუშაობაზე, მის ეფექტიანობასა და დროულობაზე.

2.2.10. ახალი დისციპლინური გადაცდომების ცნობადობა

გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ადვოკატებს შორის ახალი გადაცდომების ცნობადობა დაბალია.

რეკომენდაცია:

ჩატარდეს ტრენინგები ადვოკატებისთვის მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის ახალ საფუძვლებსა და დისციპლინურ პროცესში.

დამატებითი რეკომენდაციები:

დისციპლინური სანქციების ჩამონათვალს უნდა დაემატოს მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერება დისციპლინური სახდელის სახით.

სახდელის დანიშვნის დროს მხედველობაში მისაღები გარემოებების კანონით დადგენილ ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს გადაცდომის ხანგრძლიობა, მოსამართლის წარსული საქმიანობა, მოსამართლის მიერ გადაცდომის აღიარება და პასუხისმგებლობის განცდა და დისციპლინურ ორგანოებთან თანამშრომლობა.

აუცილებელია განისაზღვროს, რომ დისციპლინურ პროცესში მტკიცების ტვირთი ეკისრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

უნდა შეიქმნას საკონსულტაციო ორგანო, რომელთანაც მოსამართლეები შეძლებენ თავისუფალი და მათ შორის ანონიმური კონსულტაციის მიღებას კონკრეტული ქმედება წარმოადგენს თუ არა დისციპლინურ გადაცდომას.

დამოუკიდებელი ინსპექტორის აპარატში უნდა შეიქმნას ონლაინ ცხელი ხაზი, სადაც მოქალაქეებს შეეძლება მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე კონსულტაციის მიღება ანონიმურად, ან ანონიმურობის გარეშე. უნდა გამოქვეყნდეს ცხელი ხაზით კონსულტაციის მიღების პირობები და წესები.

უნდა შეიქმნას სახელმძღვანელო დოკუმენტი, სადაც გაიწერება სხვადასხვა კატეგორიის დისციპლინური საქმეების წინასწარი შემოწმებისა და მოკვლევის პრაქტიკული გაიდლაინები.

უნდა შეიქმნას დისციპლინური საქმისწარმოების პროგრამა, რომელსაც ექნება მასალების ელქტრონულად ატვირთვის, საქმის მოძრაობის აღრიცხვის, მოძიების და სტატიისტიკის წარმოების ფუნქციები. ამ პროგრამაში უნდა იქნეს შეყვანილი დისციპლინურ საქმეებზე განხორციელებული მოქმედებები დისციპლინური საჩივრის შეტანიდან უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში საქმის განხილვის დასრულებამდე.

3. 2012 წლიდან დღემდე დისციპლინურ კანონმდებლობაში გატარებული ცვლილებების მოკლე მიმოხილვა

2013-2019 წლებში მართლმსაჯულების კუთხით რამდენიმე ეტაპიანი საკანონმდებლო რეფორმა განხორციელდა, რომლებსაც სხვაგვარად მართლმსაჯულების რეფორმის ტალღებსაც უწოდებენ. ცვლილებები შეეხო ასევე დისციპლინური სამართალწარმოების სფეროს. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარდა 2013 წლის პირველი მაისს, 2017 წლის 8 თებერვალს და 2019 წლის 13 დეკემბერს (სასამართლო რეფორმის პირველი, მესამე და მეოთხე ტალღები). საყურადღებოა ის გარემოება, რომ 2018 წლის 20 აპრილის ცვლილებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, აღსრულებასთან დაკავშირებით „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონი გაუქმდა და მისი ნორმები დაემატა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონს.

2013-2019 წლებში დისციპლინურ კანონმდებლობაში გატარებული ცვლილებებით (დეტალურ მიმოხილვას იხილავთ დანართის სახით) განხორციელდა მრავალი მნიშვნელოვანი ნოვაცია დისციპლინურ კანონმდებლობაში, კერძოდ:

- » შეიცვალა სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტების წესი და სადისციპლინო კოლეგია გახდა ფორმალურად დამოუკიდებელი იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან
- » მოსამართლეს მიეცა დისციპლინური ორგანოების სხდომების გასაჯაროების უფლება
- » სასამართლოს თავმჯდომარეებს ჩამოერთვათ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება
- » გაიზარდა და დაკონკრეტდა დისციპლინურ საქმისწარმოებაში მონაწილე მოსამართლის უფლებები
- » დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის უფლებამოსილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნიდან გადაეცა დამოუკიდებელ ინსპექტორს
- » იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ჩამოერთვა მოსამართლის მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათის პირდაპირ გამოყენების უფლებამოსილება
- » გაიზარდა დისციპლინური საჩივრის ავტორის ინფორმირებულობის სტანდარტი
- » დადგინდა მოსამართლის მიმართ დევნის დაწყების, პასუხისგებაში მიცემისა და გადაწყვეტილებისთვის გამოტანისათვის საჭირო მტკიცების სტანდარტები
- » დადგინდა მოსამართლის მიმართ დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილებათა საჯაროობა
- » დადგინდა დისციპლინური გადაცდომების ახალი ჩამონათვალი (დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებიდან ამოღებული იქნა მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება)
- » დისციპლინური გადაცდომის ხანდაზმულობის ვადა შემცირდა ხუთი წლიდან 3 წლამდე
- » შემოღებული იქნა ახალი დისციპლინური სახდელი - მოსამართლის ხელფასის დაქვითვა.

მთლიანობაში, განხორციელებული ცვლილებები დადებითად უნდა შეფასდეს რამდენიმე დათქმის გათვალისწინებით:

ა. არ იქნა გათვალისწინებული დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის სხდომების საჯაროობა, კონკურსში მონაწილეთა მონაცემების საჯარო ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, დღეისათვის დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევა წარიმართება დახურულ სხდომაზე, კანდიდატების ვინაობა და ბიოგრაფიები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

ბ. მოსამართლისთვის ბრალის წარდგენისთვის დადგინდა მაღალი კვორუმი (ხმების 2/3), რაც საფრთხეს უქმნის სამართალწარმოების ეფექტიანობას.⁷

გ. დამოუკიდებელი ინსპექტორი თანამდებობაზე ინიშნება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

დ. დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალიდან ამოღებული იქნა მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება (ნაცვლად იმისა, რომ მომხდარიყო ამ გადაცდომის დაზუსტება). ეს აჩენს გარკვეულ ვაკუუმს მოსამართლეთა გადაცდომების ფართო სპექტრის დაუსჯელობის თვალსაზრისით (ე.წ. legal error plus). თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო სისტემას დღეს მართავს მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფი, რომლის ხელშიც თავმოყრილია ყველა ადმინისტრაციული ბერკეტი და არსებობს მათი არაჯეროვანი გამოყენების საფრთხე, აღნიშნული მექანიზმის აღდგენა ჯერჯერობით არ არის მიზანშეწონილი.

ე. დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი არ არის ბოლომდე სრულყოფილი და შესაძლოა, ამ ჩამონათვალს დაემატოს რამდენიმე დისციპლინური გადაცდომა (იხ. ქვემოთ რეკომენდაციები).

ვ. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს წევრის გათავისუფლება მხოლოდ იმპიჩმენტით არის შესაძლებელი, შესაბამისად თანამდებობიდან გათავისუფლება, როგორც დისციპლინური სანქცია არ გამოიყენება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მიმართ, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის XIII¹ თავში (მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება) ჩარჩენილია მუხლი, რომელიც ითვალისწინებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის გათავისუფლების მოთხოვნით საქართველოს პარლამენტისთვის მიმართვას. (მუხ. 75⁷²) შესაბამისად, აღნიშნული ნორმა უნდა იქნეს ამოღებული.

ზ. დისციპლინური კანონმდებლობა არ შეიცავს დისციპლინური სამართალწარმოების და დისციპლინური სახდელების დაკისრების მიზნებს. მიზნების ფორმულირებას აქვს არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა. დისციპლინური სამართალწარმოება და დისციპლინური სახდელის დაკისრება ამ მიზნებთან შესაბამისობით უნდა განხორციელდეს.

თ. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში 2019 წლის 13 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებით განიმარტა განზრახვა და გაუფრთხილებლობა დისციპლინური გადაცდომისჩადენისას,⁸ თუმცა, აღსანიშნავია ის, რომ დისციპლინური გადაცდომების

7 აღნიშნული გამოვლინდა კიდევ პრაქტიკაში, როდესაც კვორუმის არ არსებობის გამო დისციპლინური საქმეები შეწყდა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

8 კერძოდ, კანონის 75¹ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტში მიეთითა, რომ

4. განზრახ დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომლის ჩადენისას მოსამართლე აცნობიერებდა მისი ქმედებით ზიანის დადგომის შესაძლებლობას

5. გაუფრთხილებლობით დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომლის ჩადენისას მოსამართლე არ ითვალისწინებდა მისი ქმედებით ზიანის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ის.

მნიშვნელოვანი ნაწილი ე.წ. ფორმალური შემადგენლობებია და ზიანის დადგომას საერთოდ არ ითხოვს.⁹ შესაბამისად, მნიშვნელოვანია კანონის ფორმულირება შეიცვალოს ისე, რომ ის ფორმალურ გადაცდომებსაც ითვალისწინებდეს.¹⁰

ი. მიუხედავად იმისა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადები 5 წლიდან 3 წლამდე შემცირდა, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75³⁵ მუხლში ჩარჩენილია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების 5 წლიანი ვადა, რაც უნდა შესწორდეს.

4. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებში ქართული კანონმდებლობის შესაბამისობა სარეკომენდაციო ხასიათის სამართაშორისო დოკუმენტებთან (რეკომენდაციები, დასკვნები, გაიდლაინები)

ანგარიშის ამ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობას სარეკომენდაციო ხასიათის უნივერსალურ და რეგიონულ საერთაშორისო აქტებთან (რეკომენდაციები, დასკვნები, გაიდლაინები).

ბოლო 30-40 წლის მანძილზე სასამართლოს დამოუკიდებლობას მრავალი საერთაშორისო დოკუმენტი მიეძღვნა, რომელიც მიღებული იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ევროსაბჭო, ეუთო, სხვ) ან მოსამართლეთა საერთაშორისო გაერთიანებების (მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაცია, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო) მიერ. ამ დოკუმენტების უმრავლესობა ასევე ეხება დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დისციპლინურ სანქციებს და მათი გამოყენების პრინციპებს. ასევე, დისციპლინური პროცესის ძირითად ასპექტებს. მართალია, ეს დოკუმენტები სარეკომენდაციო ხასიათს ატარებენ, მათში მოცემული დებულებები პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომდინარეობენ სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან, რომელიც აღიარებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე ადამიანის უფლებათა საყოველთაო სამართლით.

სასამართლოს დამოუკიდებლობის და სამოსამართლო დისციპლინის საკითხებზე სასაერთაშორისო ხასიათის დოკუმენტები შეიძლება დავეყოს ორ ჯგუფად: უნივერსალურ და რეგიონულ აქტებად.

9 მაგალითად, ასეთებია: მოსამართლის მიერ კანონით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით დარღვევა, მოსამართლის მიერ საქმის თვითაცილებზე უარის თქმა, მოსამართლის პოლიტიკურ გაერთიანებაში გაწევრიანება და სხვ.

10 განზრახ დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომლის ჩადენისას მოსამართლე აცნობიერებდა მისი ქმედების მართლწინააღმდეგობას, ან/და ზიანის დადგომის შესაძლებლობას.

5. გაუფრთხილებლობით დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომლის ჩადენისას მოსამართლე არ ითვალისწინებდა მისი ქმედების მართლწინააღმდეგობას ან/და მისი ქმედებით ზიანის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ის

უნივერსალური აქტები:

» მოსამართლეთა უნივერსალური ქარტია, მიღებული იქნა მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ, 1999 წელს. (განახლება განიცადა 2017 წელს).¹¹

» სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები მიღებული გაეროს დანაშაულის პრევენციის და დამნაშავეებთან მოპყრობის მე-7 კონგრესის მიერ, 1985 წელს.¹²

» სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპების პროექტი, 1981 (სირაკუზას პრინციპები).¹³

» ბანგალორის სამოსამართლო ქცევის პრინციპების ეფექტიანი იმპლემენტაციის ღონისძიებები, შემუშავებული მოსამართლეთა შეუვალობის ჯგუფის მიერ, 2010.¹⁴

რეგიონული აქტები:

» ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 6. 3 მოსაზრება მოსამართლეთა პროფესიული ქცევის, განსაკუთრებით ეთიკის, შეუსაბამო ქცევისა და მიუკერძოებლობის მარეგულირებელი წესების და პრინციპების თაობაზე, 2002.¹⁵

» ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს # 10 მოსაზრება „იუსტიციის უმაღლესი საბჭოები საზოგადოების სამსახურში“. 16

» მოსამართლეთა მაგნა კარტა (ფუნდამენტური პრინციპები) მიღებული ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიერ 2010 წელს.¹⁷

» იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური საქმისწარმოების მინიმალური სტანდარტები, 2015.¹⁸

» ევროსაბჭოს რეკომენდაცია CM/REC 2010-12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობის და პასუხისმგებლობების თაობაზე.¹⁹

» OSCE ODIHR, სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე, 2018.²⁰

» OSCE ODIHR-ის და მაქს პლანკის კვლევითი ჯგუფის სასამართლო დამოუკიდებლობის კიევის რეკომენდაციები, 2010.²¹

» სტამბულის დეკლარაცია სამოსამართლო პროცესის გამჭვირვალობის და განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე, 2018 (მიღებული აზიის რეგიონის უზენაეს სასამართლოების თავმჯდომარეთა მიერ).²²

11 https://www.unodc.org/res/ji/import/international_standards/the_universal_charter_of_the_judge/universal_charter_2017_english.pdf

12 <https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/IndependenceJudiciary.aspx>

13 <https://www.icj.org/wp-content/uploads/2013/10/CIJL-Bulletin-2526-1990-eng.pdf>

14 https://www.unodc.org/res/ji/import/international_standards/measures_implementation.pdf

15 <https://www.coe.int/en/web/ccje/opinion-n-3-on-ethics-and-reponsability-of-judges>

16 <https://www.coe.int/en/web/ccje/opinion-n-10-on-council-for-the-judiciary-in-the-service-of-society>

17 <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168063e431>

18 https://www.encj.eu/images/stories/pdf/GA/Hague/encj_report_minimum_standards_v_adopted_ga_june_2015.pdf

19 <https://rm.coe.int/cmrec-2010-12-on-independence-efficiency-responsibilites-of-judges/16809f007d>

20 https://www.osce.org/files/341_JUD_KAZ_27Dec2018_en.pdf

21 <https://www.osce.org/files/f/documents/a/3/73487.pdf>

22 <https://www.yargitay.gov.tr/documents/ek1-1528371633.pdf>

» ვენეციის კომისიის და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატის დასკვნა მოლდოვეთის მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონზე (2014).²³

» ვენეციის კომისიის დასკვნა ბულგარეთის კანონზე სასამართლო სისტემის შესახებ, 2017.²⁴

» ვენეციის კომისიისა და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატის ერთობლივი დასკვნა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის პროექტთან დაკავშირებით (2014) [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2014\)032-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2014)032-e)

» ვენეციის კომისიის დასკვნა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონთან დაკავშირებით (2007) [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2007\)009-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2007)009-e)

დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საერთაშორისო სტანდარტების და საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი განხორციელდება შემდეგი თემატური თანმიმდევრობით:

- » დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები
- » მოსამართლის ბრალეულობის შეფასება
- » საკონსულტაციო ორგანოს არსებობის საჭიროება
- » დისციპლინური სამართალწარმოების ვადები
- » დისციპლინური საჩივრის შეტანის უფლება
- » მომჩივანის უფლება ინფორმაციაზე
- » დისციპლინური პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა
- » დისციპლინური წარმოების დაწყებაზე უფლებამოსილი ორგანო
- » აშკარა დაუსაბუთებელი საჩივრების განხილვა
- » დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება
- » მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერება
- » მოსამართლის დანიშნულების შეზღუდვა
- » დისციპლინური წარმოების კონფიდენციალური ხასიათი
- » დისციპლინური საქმის გამოძიება;
- » მოსამართლის უფლებები დისციპლინური წარმოების პროცესში
- » იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა
- » დისციპლინური საქმის განხილვა, საქმის არსებითად განხილველი ორგანო
- » დისციპლინური სხდომების საჯაროობა
- » სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების დასაბუთებულობა
- » გასაჩივრება
- » დისციპლინური სანქციები
- » დისციპლინური სამართალწარმოების ხარჯების ანაზღაურება

23 [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2019\)020-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2019)020-e)
24 [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2017\)018-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2017)018-e)

თითოეულ თემასთან მიმართებით განხილული იქნება საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც მოცემულია ზემოთ აღნიშნული აქტებით და შემდეგ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა აღნიშნულ სტანდარტთან.

4.1. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები;

4.1.1. დისციპლინური გადაცდომების სამართლებრივი დეფინიცია

4.1.2. საერთაშორისო სტანდარტი

სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების თანახმად, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა სამოსამართლო ქცევის წინასწარ დადგენილ სტანდარტს უნდა დაეფუძნოს.²⁵

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მაგნა ქარტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი უნდა განისაზღვროს კანონით ან მოსამართლეთა მიერ მიღებული ფუნდამენტური ქარტით.²⁶

4.1.3. ქართული კანონმდებლობა

დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს ითვალისწინებს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹ მუხლი. აღნიშნულ მუხლში მოცემულია 29 სხვადასხვა გადაცდომა. მათგან 10 გადაცდომა აღწერილია ბლანკეტურად, ანუ მითითებულია საჯარო სამსახურში ინტერესთა კორუფციისა და შეუთავსებლობის შესახებ საქართველოს კანონის 10 სხვადასხვა მუხლზე.

4.1.4. დასკვნა: ამ ნაწილში საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ზემოთაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტს

4.2. დისციპლინური გადაცდომების დეტალიზებული და მკაფიო ჩამონათვალის საჭიროება

4.2.1. საერთაშორისო სტანდარტი

ვენეციის კომისიის და ადამიანის უფლებათა დირექტორატის ერთობლივი დასკვნის თანახმად (2014), დისციპლინური გადაცდომები უნდა იქნეს ფორმულირებული საკმარისი სიზუსტით ისე, რომ შესაბამის სუბიექტებს შეეძლოთ თავიანთი ქმედებების შედეგების წინასწარი გათვლა და შესაბამისად, საკუთარი ქცევის რეგულირება. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების დეტალური და კონკრეტული

25 გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის თაობაზე: პარ. 19 Disciplinary action should be determined under established standards of judicial conduct,

26 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მაგნა ქარტა, პარ. 19.

რეულირება შეამცირებს დისკრეციას და სუბიექტივიზმს.²⁷

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო არ თვლის საჭიროდ და არც შესაძლებლად, რომ საერთო ევროპულ დონეზე შეიქმნას მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი. ასეთი ჩამონათვალის გაკეთება ინდივიდუალური სახელმწიფოების დისკრეციაა.²⁸

ერთ-ერთ თავის რეკომენდაციაში, ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ დისციპლინური გადაცდომის ფორმულირებისას კანონის მიერ გამოყენებული ტერმინი “ქმედება, რომელიც ძირს უთხრის სასამართლოს ავტორიტეტს” შეიძლება იყოს მეტისმეტად ბუნდოვანი. შესაბამისად, კანონმა შეიძლება ჩამოთვალოს სანიმუშო მაგალითები, როგორცაა საზოგადოებრივად გილებში გადამეტებული სიმთვრალე, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, სამოქალაქო ვალდებულებების შეუსრულებლობა, აზარტული თამაშებზე დამოკიდებულება, დანაშაულებრივ სამყაროსთან ურთიერთობა და სხვ. ეს მაგალითები მოიცავენ არაეთიკური ქცევის უმრავლეს მაგალითებს და ამავდროულად იქნებიან საორიენტაციო იმ შემთხვევისათვის, როცა ზოგადი ფორმულების მისადაგება არის გარდაუვალი.²⁹

ეთოს მიერ შემუშავებული გაიდლაინები, რომლებიც მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების საუკეთესო პრაქტიკას ეხება, მიიჩნევენ, რომ დისციპლინური გადაცდომების ფორმულირებისას ვერ ავცდებით ფართო გამოყენების ტერმინებს, როგორცაა მაგ.: „მოსამართლისთვის შეუფერებელი ქცევა“, „პოლიტიკური აქტივობა“ და სხვ. ასეთი ფართო ტერმინების ბოროტად გამოყენების რისკი უნდა შემცირდეს სახელმძღვანელო განმარტებების შემუშავებით და გამოქვეყნებით და მოსამართლეთათვის საკონსულტაციო ორგანოს შექმნით, რომელთან მიმართვის შემთხვევაში, სათანადო განმარტებების მიღება იქნება შესაძლებელი.³⁰

4.2.2. საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში მოცემული 75¹ მუხლი შეიცავს დისციპლინური გადაცდომების საკმაოდ დეტალიზებულ ჩამონათვალს, რომელთა უმრავლესობა საკმარისი სიზუსტით არის ფორმულირებული და იძლევა დასჯადი ქმედებების წინასწარ განჭვრეტის საშუალებას. თუმცა, აღნიშნულ ჩამონათვალში გვხვდება რამდენიმე ნორმა, რომელიც დაკონკრეტებას საჭიროებს, კერძოდ.

75¹ მუხლის გ.ბ. პუნქტით დასჯადია: მოსამართლის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისთვის ხელის შეშლა. აღნიშნული ნორმა თავისი ფორმულირებით

27 ვენეციის კომისიის და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატის ერთობლივი დასკვნა მოლდოვეთის მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონზე (2014) პარ. 16 ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ახდენს დისციპლინური გადაცდომების გრადაციას სიმძიმის მიხედვით, რასაც სპეციფიკური ტიპის სანქციებს უკავშირებს. აღნიშნულს ითვალისწინებდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური სამართალწარმოების თაობაზე საქართველოს კანონის 541-ე მუხლი, თუმცა რაიმე საერთაშორისო სტანდარტი ასეთი გრადაციის საჭიროებასთან დაკავშირებით არ არსებობს. (იხ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო დასკვნა. N. 3, პარ. 63).

28 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს # 3 მოსაზრება მოსამართლეთა პროფესიული ქცევის, განსაკუთრებით ეთიკის, შეუსაბამო ქცევისა და მიუკერძოებლობის მარეგულირებელი წესების და პრინციპების თაობაზე, პარ. 60.

29 ვენეციის კომისიის რეკომენდაცია ბულგარეთის კანონზე სასამართლო სისტემის შესახებ, 2017, პარ. 108

30 OSCE ODIHR, სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე, 2018.

მეტისმეტად ზოგადია. შესაძლოა, კანონმდებელმა წარმოადგინოს სანიმუშო ჩამონათვალი, თუ რა ჩაითვლება სამართალწარმოების განხორციელებისთვის ხელის შეშლად. მაგალითისთვის, ეს შეიძლება იყოს:

- » დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოსათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება;
- » დისციპლინურ საქმეში მონაწილე პირთა მიმართ მუქარა ან სხვაგვარი ზეწოლა;
- » დისციპლინური ორგანოს მიერ მოთხოვნილი ოფიციალური დოკუმენტების მიუწოდებლობა;
- » დისციპლინურ საქმეზე მტკიცებულებათა განადგურება ან ფალსიფიკაცია (თუ სახეზე არ არის დანაშაულის ნიშნები).³¹

მოსამართლის მიერ ახსნა-განმარტების მიცემაზე უარი (აღრეული დისციპლინური პრაქტიკისგან განსხვავებით³²) არ ჩაითვლება დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისთვის ხელისშეშლად, ვინაიდან საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75³ მუხლის თანახმად, ახსნა-განმარტების მიცემა მოსამართლის უფლებაა.

საქართველოში არ არსებობს დისციპლინური გადაცდომების კომენტარი, რომელშიც განმარტებული იქნება დისციპლინური გადაცდომები და მოყვანილი იქნება სპეციფიური მაგალითები.

4.2.3. დასკვნა

აღნიშნულ საკითხში, საქართველოს კანონმდებლობა ნაწილობრივ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს.

4.3. სასამართლო გადაწყვეტილება როგორც დისციპლინური დევნის საბანი

4.3.1. საერთაშორისო სტანდარტები

სასამართლოს მიერ კანონის განმარტება, ფაქტების ან მტკიცებულების შეფასება არ შეიძლება გახდეს მოსამართლის სამოქალაქო ან დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი გარდა ბოროტი განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისა.³³

31 იხ. საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიის არამოსამართლე წევრების მიერ მომზადებული კანონპროექტი (დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი) და მათი განმარტებები, 2015 <http://dcj.court.ge/uploads/mnishvnelovaniproeqtebi/gadacdomebischamonatvalidaganmartebebi1.pdf>

32 <http://dcj.court.ge/uploads/Practice/Practice2004-2013Criminal.pdf> სისხლის სამართლის კოდექსის 369 მუხლით ისჯება სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმის მონაწილის ან მისი წარმომადგენლის მიერ მტკიცებულების ფალსიფიკაცია. დისციპლინური საქმე არ არის სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმე ეროვნული კანონმდებლობით.

33 ევროსაბჭოს რეკომენდაცია CM/REC 2010-12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობის და პასუხისმგებლობების თაობაზე, პარ. 66. მსგავსი მიდგომა გვხვდება OSCE ODIHR ის სტანდარტებში: „მოსამართლის ქმედება მხოლოდ მაშინ უნდა ჩაითვალოს გადაცდომად თუ ჩადენილია ბოროტი განზრახვით ან გაუფრთხილებლობით. გამიზვნასთან ერთად ტერმინი ბოროტი განზრახვა გულისხმობს ზიანის განზრახვას“ იხ. OSCE ODIHR, სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე, პარ. 36

მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომების გასწორება სააპელაციო პროცედურებით უნდა იყოს შესაძლებელი.³⁴

მოსამართლემ არ უნდა აგოს პასუხი პერსონალურად, როცა მისი გადაწყვეტილებების გაუქმება ან შეცვლა ხდება სააპელაციო წესით.³⁵

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 6. 10 მოსაზრებით (პარ. 62) «თუ მოსამართლეს დაეკისრება დისციპლინური ან სხვა სახის სამართლებრივი სანქციები მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების გამო, ვერ იქნება დაცული ვერც სასამართლოს დამოუკიდებლობა ვერც ხელისუფლების შტოებს შორის არსებული ბალანსი».

სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ კიევის რეკომენდაციების თანახმად: მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა არ უნდა ვრცელდებოდეს მოსამართლეთა გადაწყვეტილებების შინაარსზე ან სამოსამართლო შეცდომებზე, ან სასამართლოს კრიტიკაზე.³⁶

სასამართლო შეცდომა შეიძლება გახდეს დისციპლინური დევნის საგანი მხოლოდ მაშინ თუ ჩადენილია არაკეთილსინდისიერად, მხარის სასარგებლოდ ან საზიანოდ ან უხეში გაუფრთხილებლობით.³⁷

4.3.2. საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობა 2012 წლის წლის 27 მარტამდე შეიცავდა კანონის უხეშ დარღვევას.³⁸ ხოლო 2019 წლის 13 დეკემბრამდე მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებას როგორც დისციპლინურ გადაცდომას.³⁹ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შემოსული დისციპლინური საჩივრების დიდი ნაწილი სწორედ მოსამართლის გადაწყვეტილების უკანონობის წინააღმდეგ იყო მიმართული. 2013 წლის შემდგომ, სადისციპლინო ორგანოების განმარტება ძირითადად დაეფუძნა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებას, რომელშიც აღინიშნა, რომ დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის ზღვარის გავლენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, მისი ხარისხი, განმეორებითი და არაერთგზისი ხასიათი, მოსამართლის კეთილსინდისიერება, მისი მოტივი. აღნიშნული მიდგომა ემყარება ე.წ. ამერიკული Legal Error Plus-ის დოქტრინას. შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება გამხდარიყო დისციპლინური დევნის საფუძველი. 2019 წლის დეკემბერში საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შესული ცვლილებით მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება ამოღებულია დისციპლინური გადაცდომებიდან.⁴⁰

34 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მავნა ქარტა, პარ. 21.

35 ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია 2010 (12), პარ. 70, იგივეს მიუთითებს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა 6. 10

36 სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ კიევის რეკომენდაციები, 2010, პარ. 25.

37 The Venice Commission and the Council of Europe Directorate of Human Rights on the Law on Disciplinary Liability of Judges in Moldova (2014)

38 საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-2 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი,

39 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹ მუხლის მეორე პუნქტის „2“ ქვეპუნქტი.

40 იხ. განსხვავება მოსამართლის სამართლებრივ შეცდომასა და დისციპლინურ გადაცდომას შორის, ამერიკული გამოცდილება <http://dcj.court.ge/uploads/Articles/differencebetweenlegaleerrorandjudicialmisconduct.pdf>

შესაბამისად, 2019 წელს გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სამომოსამართლო შეცდომა სრულად იქნა ამოღებული დისციპლინური გადაცდომის საფუძვლებიდან. მოსამართლის მიერ კანონის შეგნებულად დარღვევა შეიძლება მხოლოდ მაშინ გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი, თუ ამავდროულად, წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ სხვა გადაცდომას (მაგალითად მხარის მიზანმიმართული დისკრიმინაცია ან უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, სოციალური ან პოლიტიკური ზეგავლენით)

4.3.3. დასკვნა

აღნიშნულ ნაწილში საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ზემოთმოყვანილ საერთაშორისო სტანდარტებს.

4.4. სამოსამართლო ქმედის წესების (ეთიკის კოდექსის) დარღვევა, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი

4.4.1. სამართაშორისო სტანდარტი

არ არის რეკომენდებული დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი იყოს მოსამართლეთა ქცევის წესების დარღვევა, ვინაიდან ეს საფუძველი არის მეტისმეტად ზოგადი და ბუნდოვანი.⁴¹

ევროსაბჭოს რეკომენდაცია CM/REC 2010-12 72-ე პუნქტში მიუთითებს, რომ პროფესიული ეთიკის წესების დარღვევა შეიძლება დისციპლინური წესითაც ისჯებოდეს, თუმცა ეს წესები არა მხოლოდ დასჯად ქმედებებს უნდა შეიცავდეს, არამედ მოსამართლეებისთვის უნდა იყოს საორიენტაციო ხასიათის.⁴²

განსხვავებულ სტანდარტს ანვითარებს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს # 3 მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ დისციპლინური გადაცდომები პროფესიული ქცევის სტანდარტებისგან უნდა განსხვავდებოდეს. ერთმანეთთან მათი გაიგივება ხელს შეუშლის პროფესიული ქცევის სტანდარტების განვითარებას და შექმნის პროფესიული ქცევის სტანდარტების და დისციპლინის მიზნების აღრევის საფრთხეს. პროფესიული ქცევის სტანდარტები წარმოადგენენ მოსამართლის ქცევის საუკეთესო პრაქტიკას, რომლისკენაც მოსამართლეები უნდა მიისწრაფვოდნენ. თუმცა, საკონსულტაციო საბჭოს ეს მოსაზრება ამავდროულად აღიარებს, რომ პროფესიული ქცევის სტანდარტის დარღვევა შეიძლება გახდეს პასუხისმგებლობის საფუძველი. ამისათვის აუცილებელია, რომ მოსამართლის ქცევა იყოს მძიმე და აშკარად თვალშისაცემი⁴³. მსგავს მითითებას აკეთებს ბანგალორის პრინციპების იმპლემენტაციის სახელმძღვანელო, რომელიც ადგენს, რომ მოსამართლის მიერ პროფესიული ქცევის მოთხოვნის დარღვევა შეიძლება მაშინ გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი, როცა ის იმდენად მძიმეა, რომ ამართლებს დისციპლინური სანქციის დაკისრებას.⁴⁴

41 იხ. მაგ ვენეციის კომისიის დასკვნა საქართველოს დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონზე, 2007.

42 Judges should be guided in their activities by ethical principles of professional conduct. These principles not only include duties that may be sanctioned by disciplinary measures, but offer guidance to judges on how to conduct themselves

43 იხ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს ნ. 3 მოსაზრება მოსამართლეთა პროფესიული ქცევის, განსაკუთრებით ეთიკის, შეუსაბამო ქცევისა და მიუკერძოებლობის მარეგულირებელი წესების და პრინციპების თაობაზე, პარ. 60

44 ბანგალორის სამოსამართლო ქცევის პრინციპების ეფექტური იმპლემენტაციის ღონისძიებები, მუხ. 15

4.4.2.საქართველოს კანონმდებლობა

2019 წლის 13 დეკემბრამდე საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი (75¹ მუხლის მეორე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი) შეიცავდა დისციპლინურ გადაცდომას - „სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა“. ევროსაბჭოს ვენეციის კომისიამ საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებით შედგენილ დასკვნებში ორჯერ აღნიშნა, რომ აღნიშნული ნორმა იყო ბუნდოვანი და საჭიროებდა დეტალიზებას.⁴⁵

2019 წლის დეკემბერში საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შესული ცვლილებებით ამოღებული იქნა ზოგადი მითითება ეთიკის ნორმების თაობაზე და კანონში არსებული გადაცდომების ჩამონათვალს დაემატა მთელი რიგი ქმედებები, რომლებიც გათვალისწინებული იყო სამოსამართლო ქცევის კოდექსით. კერძოდ, ასეთია:

- » მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით;⁴⁶
- » მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეზე აზრის წინასწარ გამოხატვა;⁴⁷
- » აზრის გამოთქმა განხილვის პროცესში მყოფ საქმეზე;⁴⁸
- » პოლიტიკური გაერთიანების წევრობა;⁴⁹
- » პროცესის მონაწილის დისკრიმინაცია;⁵⁰
- » მხარესთან ცალმხრივი კომუნიკაცია;⁵¹
- » საქმის აცილებაზე უარის თქმა, როდესაც სახეზეა აცილების ცალსახასაფუძვლები;⁵²

45 იხ. ვენეციის კომისიის და ადამიანის უფლებათა დირექტორატის ერთობლივი დასკვნა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე, 2014 [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2014\)032-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2014)032-e), პარ. 18; ვენეციის კომისიის დასკვნა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“, პარ. 14, [https://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2007\)009-e](https://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2007)009-e)

46 სამოსამართლო ეთიკის წესების მე-2 მუხლი „მოსამართლე უნდა იყოს კანონისა და მოსამართლის ფიციის ერთგული, მართლმსაჯულების განხორციელებისას - კანონისა და სამართლის უზენაესობის გარანტი. მისი აზრი არ უნდა მერყეობდეს პოლიტიკური, სოციალური, მხარის ინტერესის, საზოგადოებრივი ზემოქმედების ან სხვაგვარი ურთიერთობის ზეგავლენის გამო, ანდა კრიტიკის შიშით“.

47 სამოსამართლო ეთიკის წესების მე-5 მუხლი: სამოსამართლო მოვალეობის შესრულებისას მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარ შექმნილი აზრის ან შეხედულებისაგან. იგი უნდა მოერიდოს ისეთ ქცევას, რომელსაც პროცესის მონაწილენი ან საზოგადოება აღიქვამს წინასწარ შექმნილ მეხედულებად.

48 სამოსამართლო ეთიკის წესების მე-16 მუხლი: მოსამართლე, მასმედიასთან ურთიერთობის დროს, უნდა მოერიდოს საკუთარი აზრის გამოთქმას განსახილველ, განხილვის პროცესში არსებულ ან უკვე განხილული საქმის თაობაზე, თუ ეს არ ეხება საქმის წარმოების ორგანიზაციულ ან ტექნიკურ მხარეს.

49 სამოსამართლო ეთიკის წესების 26-ე მუხლი: მოსამართლე არ უნდა ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას. იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი ან ასრულებდეს პარტიულ დავალებას, ან პოლიტიკური ორგანიზაციის სახელით გამოდიოდეს სიტყვით.

50 სამოსამართლო ეთიკის წესების მე-10 მუხლი: მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობა. დაუშვებელია, რომ პროცესის მონაწილის რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი, წოდებრივი, თანამდებობრივი, ქონებრივი, რელიგიური, სქესობრივი კუთვნილება ან სხვა გარემოება გავლენას ახდენდნენ მოსამართლის გადაწყვეტილების კანონიერებას ან მისი უფლებამოსილებების სათანადოდ განხორციელებაზე.

51 სამოსამართლო ეთიკის წესების მე-7 მუხლი: მოსამართლეს ეკრძალება პროცესის მონაწილეთა ან/და საქმით დაინტერესებული პირის მიღება ან მასთან კომუნიკაცია სასამართლოში ან მის გარეთ საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებაში შესვლამდე. ამასთან, მოსამართლე ვალდებულია პროკურორის, ადვოკატის ან პროცესის სხვა მონაწილის მიერ კანონით აკრძალული ფორმით კომუნიკაციის მცდელობის თაობაზე დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს სასამართლოს თავმჯდომარეს.

52 სამოსამართლო ეთიკის წესების მე-3 მუხლი: მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

» პროცესის მონაწილეების, სასამართლო პერსონალის მიმართ არაკორექტული მიმართვა.⁵³

» სასამართლო მოხელის მხრიდან ეთიკის წესების დარღვევაზე რეაგირება.⁵⁴

4.4.3. დასკვნა

აღნიშნულ ნაწილში საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ზემოთმოყვანილ საერთაშორისო სტანდარტებს.

4.5. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლის ბრალეულობის შეფასების საჭიროება

4.5.1. საერთაშორისო სტანდარტები

ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ ყოველი დისციპლინური გადაცდომის შეფასებისას აუცილებელია შეფასდეს მოსამართლის ბრალეულობის ხარისხი.⁵⁵

4.5.2. საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლობის შესახებ ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ ბრალეული ქმედების ჩადენისთვის, ანუ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ობიექტურად შეეძლო დისციპლინური გადაცდომის თავიდან ასაცილებლად სათანადო ქმედების განხორციელება, მაგრამ არ განუხორციელებია ის.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.

4.5.3. დასკვნა

აღნიშნულ ნაწილში საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ზემოთმოყვანილ საერთაშორისო სტანდარტებს.

4.6. მოსამართლეთა საკონსულტაციო ორგანოს არსებობის საჭიროება

4.6.1. საერთაშორისო სტანდარტი

შესაძლოა არსებობდეს საკონსულტაციო ორგანო, რომლისგან მოსამართლეები წინასწარ მიიღებენ განმარტებას, თუ რამდენად წარმოადგენს ესა თუ ის ქმედება დისციპლინურ გადაცდომას.⁵⁶

53 სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლი: მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას., მე-11 მუხლი: მოსამართლე პატივს უნდა სცემდეს სასამართლოს პერსონალს.

54 სამოსამართლო ეთიკის წესების მე-12 მუხლი: მოსამართლე ვალდებულია სათანადო რეაგირება მოახდინოს სასამართლოს მოხელის, მხარის ან მისი წარმომადგენლის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევაზე.

55 ვენეციის კომისიის დასკვნა მაკედონიის კანონზე მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და მოსამართლეთა შეფასების თაობაზე, 2015, პარ. 18.

56 OSCE ODIHR, სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე, პარ. 36

4.6.2.საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობით დღეისათვის ასეთი ორგანო არ არსებობს.

4.6.3.დასკვნა

რეკომენდებულია ასეთი საკონსულტაციო ორგანო შეიქმნას კანონით.

4.7.სამართალწარმოების ვადები

4.7.1.საერთაშორისო სტანდარტი

მოსამართლის წინააღმდეგ მიმართული საჩივარი სწრაფ ვადებში უნდა იქნეს განხილული.⁵⁷

დისციპლინური საქმის გამოძიების, გადანყვეტილების მიღების და სანქციის დაკისრების ვადები წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული. ეს ვადები შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გაგრძელდეს, როგორცაა გამოძიების სირთულე, მოსამართლის ავადმყოფობა ან სისხლის სამართლებრივი გამოძიება.⁵⁸

4.7.2.საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁷ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: დამოუკიდებელი ინსპექტორი მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, მისი მიღებიდან 2 თვეში, წინასწარ ამონმებს მის საფუძვლიანობას. წინასწარი შემონმების ვადა შეიძლება 2 კვირით გაგრძელდეს ან შეჩერდეს წინასწარი შემონმების შეუძლებლობის შემთხვევაში.

ამავე კანონის 75⁸ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: წინასწარი შემონმების შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აფასებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დანყების საფუძვლიანობას და წინასწარი შემონმებისათვის, ამ კანონის 75⁷ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადანყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დანყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ.

ამავე კანონის 75¹⁰ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: დისციპლინური საქმის გამოკვლევა უნდა დასრულდეს მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადანყვეტილების მიღებიდან 2 თვეში. აუცილებლობის შემთხვევაში, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 კვირით.

მეორეს მხრივ, დისციპლინური საქმის წინასწარი შემონმებისა და გამოკვლევის ვადების დარღვევა არავითარ საპროცესო შედეგს არ უკავშირდება. როგორც დისციპლინური პრაქტიკის შესწავლა ადასტურებს, ეს ვადები ხშირად ირღვევა.

კანონმდებლობით ასევე განერილია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადანყვეტილების

57 გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის თაობაზე. 17, 1985. აგრეთვე მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის უნივერსალური დეკლარაცია, 1989, პარ. 26.

58 იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური საქმისწარმოების მინიმალური სტანდარტები, სტანდარტი 9

მიღებიდან საქმის დისციპლინურ კოლეგიაში გადაგზავნის ვადა.

კერძოდ, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁴ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად:

3. გადაწყვეტილების ასლი მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში, საქმის მასალების ასლებთან ერთად გადაეცემა დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს.

4. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს უფლება აქვს, გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს მისი დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაზე წერილობითი შეპასუხება და სათანადო მტკიცებულებები. მოსამართლის მიერ შეპასუხების წარდგენიდან ან შეპასუხების წარდგენისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 3 დღეში დისციპლინური საქმის მასალები, მოსამართლის მიერ წარდგენილ დოკუმენტებთან ერთად, ეგზავნება საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას.

თუმცა, ამავე კანონის 75² მუხლის თანახმად, მოსამართლეს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გასულია 3 წელი, ხოლო მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი.

ამავე კანონის 75²⁵ მუხლის თანახმად, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია საქმეს განიხილავს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.

4.7.3. დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობით, დისციპლინური სამართალწარმოების ვადები მკაცრად არის რეგულირებული. შესაბამისად, ამ ნაწილში კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს

4.8. დისციპლინური საჩივრის შეტანის უფლება

4.8.1. საერთაშორისო სტანდარტი

ყველას, ვისაც აქვს პრეტენზია, რომ განიცადა ზიანი მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის შედეგად, უნდა ჰქონდეს უფლება სათანადო ორგანოში შეიტანოს საჩივარი მოსამართლის წინააღმდეგ. დისციპლინური საჩივრის ავტორი როგორც წესი უნდა იყოს იდენტიფიცირებადი.⁵⁹

4.8.2. საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75² მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მიზგზი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირის საჩივარი ან განცხადება გარდა ანონიმური განცხადებისა.

59 იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური საქმისწარმოების მინიმალური სტანდარტები, სტანდარტი 5.

4.8.3.დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ზემოთაღნიშნულ სტანდარტს.

4.9. მომჩივანის უფლება ინფორმაციაზე

4.9.1. საერთაშორისო სტანდარტი

მომჩივანს უნდა ეცნობოს მის მიერ შეტანილი დისციპლინური საჩივრის განხილვის შედეგები.⁶⁰

4.9.2. საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹⁵ მუხლის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას სხდომაზე მიიწვიოს საჩივრის/განცხადების ავტორი.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁴, 75⁵², 75⁶⁸, მუხლების თანახმად, სადისციპლინო ორგანოების მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებები დისციპლინური საქმის შეწყვეტის, შეჩერების, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის გადაწყვეტილებების ჩათვლით ეგზავნება საჩივრის (განცხადების) ავტორს, თუ საერთო სასამართლოში აღარ მიმდინარეობს საქმის განხილვა, რომელთან დაკავშირებით მიმდინარეობს დისციპლინური საქმისწარმოება. აქედან გამონაკლისია მხოლოდ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება მოსამართლის გამართლებაზე⁶¹, ასევე სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები,⁶² რომლებიც საჩივრის ავტორს ეგზავნება საერთო სასამართლოში ძირითადი საქმის დასრულებამდეც.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹² მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი, რიგ შემთხვევებში, იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე, თუმცა საჩივრის ავტორისათვის ამ გადაწყვეტილების გაგზავნის თაობაზე კანონმდებლობა არაფერს ამბობს.

4.9.3. დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობა ნაწილობრივ შეესაბამება ზემოთაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტს. იმისათვის რომ გვექონდეს სტანდარტებთან სრული შესაბამისობა, აუცილებელია რომ საჩივრის ავტორს ეცნობოს ყველა შემაჯამებელი გადაწყვეტილება, რომლითაც სრულდება დისციპლინური საქმისწარმოება, მათ შორის, დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე.

4.10. დისციპლინური პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა

4.10.1. საერთაშორისო სტანდარტი

დისციპლინური საჩივრის წარდგენა უნდა შეიძლებოდეს მხოლოდ კონკრეტულ ვადებში, რომელიც შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გაგრძელდეს.⁶³

60 სტამბულის დეკლარაცია სამოსამართლო პროცესის გამჭვირვალობის თაობაზე, 2015, პარ. 15

61 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁴¹ მუხლის „ე“ ქვეპუნქტი

62 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁶⁸ მუხლი.

63 იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური საქმისწარმოების მინიმალური სტანდარტები, სტანდარტი 8.

4.10.2.საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75² მუხლის თანახმად, მოსამართლეს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გასულია 3 წელი, ხოლო მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹¹ მუხლის თანახმად:

1. დისციპლინური საქმის წარმოება შეჩერდება, თუ გამოკვლევის პროცესში წარმოიშვა ისეთი ობიექტური სირთულე ან დაბრკოლება (იმ მოსამართლის ავადმყოფობა, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური დევნა, ან სხვა შემთხვევა), რომელიც დროებით შეუძლებელს ხდის ამ საქმის გამოკვლევას. ამ შემთხვევაში, დამოუკიდებელი ინსპექტორი თავისი გადაწყვეტილებით აჩერებს დისციპლინური საქმის წარმოებას. დისციპლინური საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვალდებულია, განაახლოს ამ საქმის წარმოება.

2. დისციპლინური საქმის წარმოების შეჩერების პერიოდი არ ჩაითვლება ამ კანონით დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის დადგენილ ვადაში, აგრეთვე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის დადგენილ 1-წლიან ვადაში, მაგრამ გათვალისწინებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ამ კანონით დადგენილ 3-წლიან ვადაში.

ამასთან, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში არის შემორჩენილი ხარვეზი, კანონის 75³⁵ მუხლში ჩარჩენილია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების 5 წლიანი ვადა (რომელიც 2018 წლის საკანონმდებლო ცვლილებით შეიცვალა 3 წლიანი ვადით).

მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის ვადა არის მოსამართლის გარანტია, რომ ის ამ ვადის გასვლის შემდეგ დისციპლინურ პასუხისმგებებაში ვერ მიეცემა. სამწუხაროდ, საქმეებზე 29-19 და 21-19 უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ ეს გარანტიები მოსამართლის საწინააღმდეგოდ იქნა გამოყენებული

ამ საქმეებში მონაწილე მოსამართლეები ცნობილი იქნენ ბრალეულად დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის და სახდელის სახით დაეკისრათ თანამდებობიდან გათავისუფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში საქართველოს სახელმწიფომ აღიარა ამ საქმეებში კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა მოსამართლის მიმართ. მოსამართლე, რომელმაც ახლადაღმოჩენილი გარემოების გამო მოითხოვა საქმის წარმოების განახლება სადისციპლინო კოლეგიაში ითხოვდა გამართლებას, ხოლო სადისციპლინო კოლეგიამ საქმე შეწყვიტა ხანდაზმულობის ვადების (5 წლიანი ვადა და 1 წლიანი ვადა) გასვლის გამო, ასევე, იმის გამო, რომ მომჩივანი აღარ არის მოსამართლე. სადისციპლინო პალატამ ძალაში დატოვა ეს გადაწყვეტილება.

4.10.3.დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობა ნაწილობრივ შეესაბამება ზემოთაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტს.

საჭიროა შევიდეს ცვლილება საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში და აღინიშნოს, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტა დაუშვებელია თუ მოსამართლე ამის წინააღმდეგია.

4.11. დისციპლინური წარმოების დაწყებაზე უფლებამოსილი ორგანო; სასამართლოს თავმჯდომარეების გამორიცხვა დისციპლინური წარმოების დაწყებაზე უფლებამოსილი სუბიექტებიდან

4.11.1. საქართველოს სტანდარტი

უნდა არსებობდეს სპეციალური ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელიც იქნება პასუხისმგებელი დისციპლინური საჩივრების მიღებაზე და იმ საკითხის გადაწყვეტაზე უნდა დაინყოს თუ არა მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური წარმოება.⁶⁴

იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს დისციპლინური საჩივრების დამოუკიდებელი და ობიექტური გადახედვა, სასამართლოს თავმჯდომარეებს არ უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე ან დისციპლინური სანქციების შეფარდებაზე⁶⁵, თუმცა მათ უნდა შეეძლოთ დისციპლინური საჩივრების წარმოღვევნა.⁶⁶

დისციპლინური საჩივრების მიღება და დისციპლინური საქმის მოკვლევა უნდა განეკუთვნებოდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცალკე განყოფილებას ან ცალკე ორგანოს კომპეტენციას.⁶⁷

4.11.2. საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁶ მუხლის თანახმად: მოსამართლის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას იწყებს, აგრეთვე დისციპლინური საქმის წინასწარ შემოწმებასა და გამოკვლევას ახორციელებს დამოუკიდებელი ინსპექტორი.

2017 წლამდე მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება ასევე შეეძლოთ უზენაესი სასამართლოს და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებს (იხ. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-7 მუხლი), თუმცა 2017 წლის 8 თებერვლის ცვლილების შესაბამისად სასამართლოს თავმჯდომარეების ეს უფლებამოსილება გაუქმდა.

4.11.3. დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ზემოთაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტს.

4.12. აშკარად დაუსაბუთებელი საჩივრების გაცხრილვა საწყის ეტაპზე

4.12.1. საქართველოს სტანდარტი

ორგანოს რომელიც აწარმოებს დისციპლინური საქმის გამოძიებას უნდა შეეძლოს, რომ აშკარად დაუსაბუთებელი საჩივრები საწყის ეტაპზე გაცხრილოს.⁶⁸

64 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს ნ. 3 მოსაზრება მოსამართლეთა პროფესიული ქცევის, განსაკუთრებით ეთიკის, შეუსაბამო ქცევისა და მიუკერძოებლობის მარეგულირებელი წესების და პრინციპების თაობაზე, პარ. 68.

65 სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ კიევის რეკომენდაციები, 2010, პარ. 14.

66 იქვე

67 გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში მოსამართლეთა და ადვოკატების დამოუკიდებლობის თაობაზე, 2020, პარ. 28 <https://undocs.org/A/75/172>

68 ბანგალორის სამოსამართლო ქცევის პრინციპების ეფექტური იმპლემენტაციის ღონისძიებები, მუხ. 15.3

4.12.2.საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁵ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: თუ დისციპლინურ საჩივარში (განცხადებაში) მითითებული არ არის მოსამართლის ვინაობა, საქმე ან/და დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი, დამოუკიდებელი ინსპექტორი საჩივრის (განცხადების) ავტორს დაუდგენს ხარვეზს და მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს არაუმეტეს 10-დღიან ვადას. ხარვეზის აღნიშნულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საჩივარი (განცხადება) არ განიხილება.

ამავე კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ან მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ:

- ა) მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური სახდელის) დაკისრების ვადა ამოიწურა;
- ბ) არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე ქმედების გამო გამოტანილი გადაწყვეტილება;
- გ) მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება;
- დ) საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას.

ამავე კანონის 75⁸ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: წინასწარი შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აფასებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას და წინასწარი შემოწმებისათვის ამ კანონის 75⁷ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება.

ამასთან, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობის და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე ვენეციის კომისიის 2014 წლის დასკვნის თანახმად 2/3 არის ძალიან მაღალი კვორუმი დისციპლინური სამართალწარმოების საწყის ეტაპზე გადაწყვეტილების მისაღებად. ამან, შესაძლოა, შექმნას რისკი რომ საჩივრების დიდი ნაწილი ვერ გადავა შემდგომ ეტაპზე იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული კორპორატივისტული დამოკიდებულებების გამო.⁶⁹ აღნიშნული დადასტურდა კიდევ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების შესწავლით, სადაც საქმეთა ნაწილი შეწყდა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, 2/3 კვორუმის არ არსებობის გამო. შესაბამისად, მიზანძენილია გათვალისწინებული იქნეს ვენეციის კომისიის ეს რეკომენდაცია და საწყის ეტაპზე გადაწყვეტილების მისაღებად 2/3 ის წესი შეიცვალოს უბრალო უმრავლესობის წესით.

69 იხ. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2014\)032-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)032-e) პარ. 24

4.12.3. დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობა ნაწილობრივ შეესაბამება ზემოთაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტს. რეკომენდებულია დისციპლინური დევნის დასაწყებად იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილების 2/3 ით მიღების წესი შეიცვალოს უბრალო უმრავლესობის წესით.

4.13. მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიმცემი ორგანო

4.13.1. საქართველოს სტანდარტი

ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია მხარს უჭერს იმას, რომ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი მართლმსაჯულების საბჭომ განიხილოს, რომლის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ ასევე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დანიშნული პირები.⁷⁰ ეუთო ODIHR-ის კიევის რეკომენდაციების თანახმად, იმ ორგანოში რომელიც იხილავს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს არ უნდა შედიოდნენ სასამართლოს თავმჯდომარეები.⁷¹

4.13.2. საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის 75¹³ მუხლის თანახმად, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლაში მიცემის საკითხს წყვეტს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში შედიან მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული მოსამართლეები, საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული 5 და საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული 1 წევრი.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არჩეულ წევრთა ნახევარზე მეტი არ შეიძლება იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.

დღევანდელი მდგომარეობით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრებად წარმოდგენილია სამი სასამართლოს თავმჯდომარე - თბილისის საქალაქო სასამართლოს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წევრობა კონსტიტუციითაა განსაზღვრული,⁷² ხოლო სხვა თავმჯდომარეები არჩეული არიან მოსამართლეთა კონფერენციის მიერ.

4.13.3. დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ზემოთხსენებულ საერთაშორისო სტანდარტს. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი არ გამოირიცხავს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სასამართლოს თავმჯდომარეების არჩევას, მხოლოდ 4-მდე ბლუდავს მათ რიცხვს.

70 ვენეციის კომისიის და ევროსაბჭოს აღამიანის უფლებათა დირექტორატის ერთობლივი დასკვნა მოლდოვეთის მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონზე.

71 იხ. სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ კიევის რეკომენდაციები, 2010, პარ. 7

72 საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის მეორე პუნქტი.

4.14. მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერება დისციპლინური საქმის განხილვისას

4.14.1. საქართველოს სტანდარტი

განსაკუთრებით სერიოზულ შემთხვევებში, საგამონაკლისო სახით, მოსამართლეს შეიძლება შეუჩერდეს უფლებამოსილება.⁷³ ასეთ შემთხვევაში, მოსამართლეს უნდა შეუნარჩუნდეს ხელფასი გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის განზრახ აჭიანურებს საქმისწარმოებას ან არ თანამშრომლობს გამოძიებასთან.⁷⁴

4.14.2. საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹⁶ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაუშვებელია საქმის განხილვისა და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან მოსამართლის ჩამოცილება მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების, მისი დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესაბამისად. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი დისციპლინური წარმოების პროცესში მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერებას არ ითვალისწინებს.

4.14.3. დასკვნა

საერთაშორისო სტანდარტი ითვალისწინებს მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერებას დისციპლინური წარმოების დამთავრებამდე განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის სიმძიმის გამო, მოსამართლის საქმიანობა საფრთხეს უქმნის სასამართლოს პრესტიჟს და ავტორიტეტს. თუმცა, მეორეს მხრივ, იმის გამო, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობა მყიფეა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში ისედაც ფართო უფლებებია თავმოყრილი, მოსამართლის საქმიანობაში ჩარევის ამ დამატებითი მექანიზმის შემოღება არ არის რეკომენდებული. ამის ნაცვლად, უფლებამოსილების შეჩერება შეიძლება იქნეს შემოღებული დისციპლინური სანქციის სახით.

4.15. დისციპლინური წარმოების დროს მოსამართლის დანიშნულების შეზღუდვა

4.15.1. საქართველოს სტანდარტი

დისციპლინური წარმოების დროს შესაძლოა შეიზღუდოს მოსამართლის უფლება დაწინაურებაზე.⁷⁵

4.15.2. საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁷⁷ მუხლით:

1. მოსამართლეს, რომელიც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით

⁷³ იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური საქმისწარმოების მინიმალური სტანდარტები, სტანდარტი 10.

⁷⁴ OSCE ODIHR, სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე, პარ. 50.

⁷⁵ OSCE ODIHR, სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე, პარ. 51

მიცემულია დისციპლინურ პასუხისგებაში ან რომლისთვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი გაქარწყლებული არ არის, შესაბამისი ვადით ეზღუდება თანამდებობრივი დანიშნულების უფლება.

2. შესაბამისმა ორგანომ ან თანამდებობის პირმა არ უნდა გაამწესოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლე, თუ იგი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მიცემულია დისციპლინურ პასუხისგებაში, ან თუ მისთვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი გაქარწყლებული არ არის.

4.15.3. დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ზემოთაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტს.

4.16. დისციპლინური წარმოების პირველი ეტაპის კონფიდენციალური ხასიათი

4.16.1. საქართველოს სტანდარტი

საწყის სტადიაზე, მოსამართლის საჩივრის განხილვა შეიძლება იყოს კონფიდენციალური ხასიათის, თუ ბრალდებული მოსამართლე არ მოითხოვს საჯაროობას.⁷⁶

4.16.2. საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁴ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:

დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია. იმ მოსამართლეს, რომლის მიმართაც დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს, უფლება აქვს, მოითხოვოს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიისა და უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის სხდომების გასაჯაროება, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის სხდომის გასაჯაროება (გარდა თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა).

შესაბამისად, კანონის თანახმად, მოსამართლე ვერ მოითხოვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ სხდომის გასაჯაროებას, რომელზეც წყდება მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საკითხი, თუმცა ეს ლოგიკურია, ვინაიდან თავად მოსამართლე არ არის ინფორმირებული ამ სხდომის თაობაზე და ამ სხდომას არ ესწრება.⁷⁷

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75³ მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, თუ მოსამართლემ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გასაჯაროება მოითხოვა, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება ამ მოსამართლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით ქვეყნდება.

4.16.3. დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობა, ამ ნაწილში, შეესაბამება ზემოთაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტს.

⁷⁶ გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის თაობაზე. 17, 1985. აგრეთვე მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის უნივერსალური დეკლარაცია, 1989, პარ. 26.

⁷⁷ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75³ მუხლი.

4.17. დისციპლინური საქმის მოგვლავი ორგანოს საგამომდიბო უფლებამოსილებები

4.17.1. საერთაშორისო სტანდარტი

გამოძიებას უნდა შეეძლოს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი მტკიცებულებების მოპოვება.⁷⁸

4.17.2. საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 75⁷ და 75¹⁰ მუხლების თანახმად, დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და მოკვლევის დროს დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია, გამოიყენოს სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული სხვადასხვა ელექტრონული ბაზა და მოითხოვოს პერსონალური ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ასევე, მოითხოვოს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტი და მასალა, მიიწვიოს სხვა პირი და მოისმინოს მისი ინფორმაცია. დამოუკიდებელი ინსპექტორი ვალდებულია, განიხილოს იმ მოსამართლის შუამდგომლობა, რომლის მიმართაც წარმოებს დისციპლინური დევნა, და მოსამართლეს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, დამატებითი ახსნა-განმარტება ჩამოართვას. ამასთან, 75¹⁰ მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმება და გამოკვლევა ობიექტურად, ყოველმხრივ და მიუკერძოებლად უნდა განხორციელდეს. შესწავლილი უნდა იქნეს მოსამართლის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

4.17.3. დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობა ამ ნაწილში შეესაბამება ზემოთაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტს.

4.18. მოსამართლის უფლება გააკეთოს განმარტება დისციპლინურ საჩივარზე

4.18.1. საერთაშორისო სტანდარტი

მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უფლება, რომ სანყის სტადიაშივე გააკეთოს განმარტება მის წინააღმდეგ წარდგენილ დისციპლინურ საჩივარზე.⁷⁹ ამის მიუხედავად, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ყველა საჩივარი, განსაკუთრებით ის, რომელიც შეიძლება სანყის ეტაპზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.⁸⁰

4.18.2. საქართველოს კანონმდებლობა

დამოუკიდებელი ინსპექტორი მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის მიღების თაობაზე დაუყოვნებლივაცნობებს შესაბამის მოსამართლეს.⁸¹

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁸ მუხლის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ერთდროულად იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე. 75¹⁰ მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვალდებულია, განიხილოს იმ მოსამართლის შუამდგომლობა, რომლის მიმართაც წარმოებს დისციპლინური დევნა, და მოსამართლეს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, დამატებითი ახსნა-განმარტება ჩამოართვას.

4.18.3. დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობა ამ ნაწილში შეესაბამება ზემოთაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტს.

4.19. მართლმსაჯულების საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა

4.19.1. საქართველოს სტანდარტი

დისციპლინურ საკითხებზე მართლმსაჯულების საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.⁸²

4.9.2. საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹² და 75¹³ მუხლების თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები დისციპლინური წარმოების შეწყვეტის ან მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის თაობაზე უნდა იყოს დასაბუთებული. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹⁴ მუხლის თანახმად, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში გადმოცემული უნდა იყოს მოსამართლისათვის წაყენებული დისციპლინური ბრალდების შინაარსი. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტს.

დასაბუთების მოთხოვნა ასევე ვრცელდება დამოუკიდებელ ინსპექტორზეც, კერძოდ, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁶ მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებები უნდა იყოს დასაბუთებული.

4.19.3. დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ზემოთაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტს.

82 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 6. 10 მოსაზრება, მართლმსაჯულების საბჭოები საზოგადოების სამსახურში, პარ. 39

4.20. მოსამართლის უფლებები და სამართლიანი პროცესის გარანტიები

4.20.1. სამართაშორისო სტანდარტი

დისციპლინური პროცესი უნდა წარიმართოს დამოუკიდებელი ორგანოს ან სასამართლოს მიერ სამართლიანი პროცესის ყველა გარანტიით, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს გადანყვეტილების და სანქციის გასაჩივრების უფლება.⁸³

დისციპლინურ პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს საქმის სამართლიანი და სრული განხილვა,⁸⁴ მათ შორის შეჯიბრებითობის და იარაღთა თანასწორობის პრინციპი⁸⁵

დისციპლინური პროცესში მონაწილე მოსამართლეს უნდა ჰქონდეს შემდეგი მინიმალური უფლებები:

მიიღოს სრული ინფორმაცია მის წინააღმდეგ მიმართულ საქმეზე;

იყოლიოს დამცველი; გამართლების შემთხვევაში მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება;

წარმოადგინოს ზეპირი ან წერილობითი მტკიცებულებები; სწრაფად მიიღოს შეტყობინება მის წინააღმდეგ შეტანილ საჩივარზე, რომელზეც ხორციელდება გამოძიება,

ინფორმირებული იყოს გამოძიების და გადანყვეტილების ვადებზე;⁸⁶

მიიღოს ნებისმიერი გადანყვეტილება დასაბუთებული სახით და გაასაჩივროს მის წინააღმდეგ მიმართული გადანყვეტილება.⁸⁷

4.20.2. საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის თანახმად, მოსამართლეს აქვს შემდეგი უფლებები:

» მის წინააღმდეგ მიმართული ბრალდების განხილვაში მონაწილეობის უფლება

იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის მიცემის საკითხის გადანყვეტისას სხდომაზე მიიწვიოს მოსამართლე.⁸⁸ მოსამართლეს

83 ევროსაბჭოს რეკომენდაცია CM/REC 2010-12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობის და პასუხისმგებლობების თაობაზე, პარ. 69.

84 მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის უნივერსალური დეკლარაცია, 1989, პარ. 28

85 OSCE ODIHR, სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე, პარ 41.

86 ევროპის იუსტიციის უმაღლეს საბჭოთა ქსელი არ უნებს რეკომენდაციას მოსამართლეთა დაუყოვნებლივ ინფორმირებას დისციპლინური საჩივრის თაობაზე, რისი მიზებიც არის „დაიცვას მოსამართლე უსარგებლო შეწუხებისგან ან თავიდან აირიდოს მისი მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის ხელყოფა, ან ამ ხელყოფის საჭარო აღქმა“. ENCJ Minimum Judicial Standards, 2014-14, p. 37.

87 იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური საქმისწარმოების მინიმალური სტანდარტები, სტანდარტი 14

88 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 7515 მუხლის მე-4 პუნქტი.

ეცნობება სადისციპლინო კოლეგიაში მისი საქმის განხილვის დრო და ადგილი.⁸⁹

» სადისციპლინო ორგანოების სხდომების გასაჯაროების უფლება

მოსამართლეს უფლება აქვს მოითხოვოს მის საქმეზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის სხდომების გასაჯაროება.⁹⁰

» ერთი და იგივე ბრალდებით ორჯერ დევნისგან დაცულობის უფლება (double jeopardy)

დაუშვებელია ერთი და იმავე მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განმეორებით დაწყება იმავე საფუძვლით, რომლითაც უკვე განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება.⁹¹

» დამცველის ყოლის უფლება

მოსამართლეს უფლება აქვს იყოლიოს დამცველი როგორც დისციპლინური საქმის გამოკვლევისას,⁹² ასევე არსებითი განხილვის ეტაპზე.⁹³

» აცილების უფლება

მოსამართლეს უფლება აქვს განაცხადოს როგორც დამოუკიდებელი ინსპექტორის,⁹⁴ ასევე სადისციპლინო კოლეგიის წევრის,⁹⁵ ასევე სადისციპლინო პალატის წევრის⁹⁶ აცილება.

» უფლება არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ

სასამართლოების შესახებ კანონის 75⁸ მუხლის თანახმად მოსამართლეს არ ევალება ახსნა-განმარტების მიცემა, ეს მისი უფლებაა. მიუხედავად ამისა, მივიჩნევთ, რომ დისციპლინური პროცესში მოსამართლის ახსნა განმარტების წარმოუდგენლობა სერიოზულ დაბრკოლებას შეუქმნის დისციპლინური პროცესის ეფექტურობას. შესაბამისად, აღნიშნული ნორმა უნდა შეიცვალოს და ახსნა განმარტების წარმოდგენა უნდა იყოს მოსამართლის ვალდებულება (იხ. აგრეთვე 7.1.4.).

» ინფორმაციის მიღების და საქმის მასალების გაცნობის უფლება

დამოუკიდებელი ინსპექტორი მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის მიღების თაობაზე დაუყოვნებლივ

89 მუხ. 7532

90 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 754 მუხლის მე-4 პუნქტი.

91 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მუხ. 757

92 მუხ. 7510

93 მუხ. 7533

94 7510 -ე მუხლის მე-4 პუნქტი. ინსპექტორის აცილების შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს განახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ის წევრი, რომელიც წილისყრით შეირჩევა.

95 მუხ. 7529

96 მუხ. 7560

აცნობებს შესაბამის მოსამართლეს.⁹⁷

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემიდან 5 დღის ვადაში მოსამართლეს საქმის მასალების ასლთან ერთად გადაეცემა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების ასლი.⁹⁸

» მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტების/შეპასუხების წარდგენის უფლება

დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს აქვს უფლება, დამოუკიდებელ ინსპექტორს მისცეს ახსნა-განმარტება⁹⁹

ასევე, კანონის 75¹⁴ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს უფლება აქვს, გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარუდგინოს მისი დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაზე წერილობითი შეპასუხება და სათანადო მტკიცებულებები.¹⁰⁰

» საქმის განხილვა შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების საფუძველზე

კანონის 75²⁴ მუხლით, სადისციპლინო კოლეგია დისციპლინურ საქმეს განიხილავს მიუკერძოებლად და ობიექტურად, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე.

ამავე კანონის 75³³ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს აქვს უფლება სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე უპასუხოს წარდგენილ ბრალდებას, დაუსვას შეკითხვები მხარეს, წარმოადგინოს მტკიცებულებები, აღძრას შუამდგომლობები, მოიწვიოს მოწმეები, გამოითხოვოს შესაბამისი სასამართლო საქმის მასალები.

სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება

მოსამართლეს აქვს უფლება გაასაჩივროს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში.¹⁰¹

4.20.3. დასკვნა

აღნიშნულ ნაწილში საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

97 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁵ მუხლის მე-4 პუნქტი.

98 მუხ. 75¹⁴

99 75¹⁰ მუხლის მე-2 ნაწილი.

100 75¹⁰ მუხლის მე-4 პუნქტი.

101 მუხ. 75⁵⁴

4.21. დისციპლინური საქმის არსებითად განმხილველი ორგანო

4.21.1. საერთაშორისო სტანდარტი

„კანონიერი მოსამართლის“ პრინციპი გულისხმობს, რომ სადისციპლინო ორგანო უნდა იქნეს შექმნილი კანონით. ყოველ ჯერზე ადვოკატს დისციპლინური კოლეგიის შექმნასარ შეესაბამება სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის სტანდარტს.¹⁰²

მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა განიხილოს სასამართლომ ან კომისიამ, სადაც უმრავლესობას მოსამართლეები წარმოადგენენ¹⁰³. ამ ორგანოს შემადგენლობა და საქმიანობა კანონით უნდა იყოს დარეგულირებული.¹⁰⁴

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრების თანახმად, მოსამართლის დისციპლინური საქმის განმხილველი ორგანო არ უნდა შედგებოდეს ექსკლუზიურად მხოლოდ მოსამართლეებისგან და მასში უნდა შედიოდნენ არამოსამართლეებიც.¹⁰⁵

ერთი და იგივე ორგანო არ უნდა იძიებდეს დისციპლინურ საქმეს და არ უნდა იხილავდეს მას არსებითად.¹⁰⁶

4.21.2. საქართველოს კანონმდებლობა

სადისციპლინო კოლეგია შედგება 5 წევრისგან, რომელთაგან 3 საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეა, ხოლო 2 არ არის მოსამართლე. სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრებს ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრის კანდიდატურის დასახელება შეუძლია მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. სადისციპლინო კოლეგიის იმ წევრებს, რომლებიც არარაიან მოსამართლეები, ირჩევს საქართველოს პარლამენტი.¹⁰⁷

4.21.3. დასკვნა

აღნიშნულ ნაწილში საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს.

4.22. გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და გამომქვეყნება

4.22.1. საერთაშორისო სტანდარტი

მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა გამოქვეყნდეს.¹⁰⁸

102 გაეროს სპეციალური მომხსენებლის მოხსენება მოსამართლეთა და ადვოკატების დამოუკიდებლობის თაობაზე, 2020, par. 23 <https://undocs.org/A/75/172>

103 გრეთვე მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის უნივერსალური დეკლარაცია, 1989, პარ. 26

104 იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური საქმისწარმოების მინიმალური სტანდარტები, სტანდარტი 7.

105 სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ კიევის რეკომენდაციები, 2010, პარ. 9 აქვე მითითებულია, რომ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის ორგანოს არ უნდა აკონტროლებდეს აღმასრულებელი ხელისუფლება, ან არსებობდეს პოლიტიკური ზეგავლენა მის საქმიანობაზე

106 სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ კიევის რეკომენდაციები, პარ. 5.

107 მუხ. 75¹⁹

108 სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ კიევის რეკომენდაციები, 2010, პარ. 26

4.22.2. აქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹² მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადანყვეტილებები დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე ქვეყნდება პერსონალური მონაცემების გარეშე. თუ მოსამართლემ სხდომის გასაჯაროება მოითხოვა, ამ შემთხვევაში ქვეყნდება სრულად.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁷³ მუხლის თანახმად:

1. სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის გადანყვეტილებები მოსამართლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე, თუ თავად მოსამართლემ არ მოითხოვა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გასაჯაროება, კანონიერ ძალაში შესვლისთანავე ქვეყნდება ოფიციალურ ვებგვერდზე. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადანყვეტილება სრულად ქვეყნდება.
2. სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებების ასლები, მოთხოვნის შემთხვევაში, ნებისმიერ პირს გადაეცემა.

4.22.3. დასკვნა

აღნიშნულ ნაწილში საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს.

4.23. დისციპლინური სხდომების საჯაროობა

4.23.1. საერთაშორისო სტანდარტი

სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ კიევის რეკომენდაციების თანახმად: მოსამართლის წინააღმდეგ მიმართული დისციპლინური საქმის განხილვა უნდა იყოს, როგორც წესი, საჯარო. სხდომა შეიძლება დაიხუროს თავად მოსამართლის მოთხოვნით.¹⁰⁹

4.23.2. საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁴ მუხლით:

დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია. იმ მოსამართლეს, რომლის მიმართაც დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს, უფლება აქვს, მოითხოვოს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიისა და უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის სხდომების გასაჯაროება, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ამ კანონის 75¹³ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადანყვეტილების მისაღებად გამართული სხდომის (გარდა თათბირისა და გადანყვეტილების მიღების პროცედურებისა) გასაჯაროება. შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირები და საჯარო მოსამსახურეები ვალდებული

¹⁰⁹ სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ კიევის რეკომენდაციები, 2010, პარ. 26 განსხვავებულ სტანდარტს ადგენს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესახებ უნივერსალური დეკლარაცია (მონრეალის დეკლარაცია, რომელიც ამბობს რომ სხდომა უნდა იყოს დახურული, თუმცა შეიძლება მოსამართლის მოთხოვნით გახდეს საჯარო, პარ. 2.32.

არიან, დაიცვან ყველა იმ ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მათთვის დისციპლინური სამართალწარმოების დროს გახდა ცნობილი, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.23.3.დასკვნა

აღნიშნულ საკითხში საქართველოს კანონმდებლობა ნაწილობრივ შეესაბამება ზემოთაღნიშნულ სტანდარტს. რეკომენდებულია, დისციპლინური საქმის განხილვა საჯარო იყოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსამართლე ითხოვს დახურვას.

4.24.გასაჩივრება

4.24.1.საერთაშორისო სტანდარტი

მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა საჩივრდებოდეს დამოუკიდებელ ორგანოში.¹¹⁰

4.24.2.საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75³⁴ მუხლით,

1. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გადასინჯვა შეიძლება უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში (შემდგომ – სადისციპლინო პალატა) მისი გასაჩივრებით. გასაჩივრებას ექვემდებარება მხოლოდ ამ კანონის 75⁴¹ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები. გასაჩივრების უფლება აქვთ დისციპლინური საქმის მხარეებს

4.24.3.დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ზემოთაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტს.

4.25.დისციპლინური სანქციები

4.25.1.საერთაშორისო სტანდარტი

დისციპლინური სანქციები განერილი უნდა იყოს კანონით¹¹¹.

რაც შეეხება დისციპლინური სანქციების მრავალფეროვნებას, აღნიშნულ საკითხზე საერთაშორისო სტანდარტი არ არსებობს. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო დასაშვებად მიიჩნევს როგორც ფორმალური სანქციების (გათრახილება, საყვედური), ასევე სანქციების (ჯარიმა) და უკიდურესი ღონისძიების ფორმით თანამდებობიდან გათავისუფლების არსებობას.¹¹²

110 გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის თაობაზე: პარ.20

111 მოსამართლის სტატუსის შესახებ ევროპული ქარტია, პარ. 5.1.

112 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს ნ. 3 მოსაზრება მოსამართლეთა პროფესიული ქცევის, განსაკუთრებით ეთიკის, შეუსაბამო ქცევისა და მიუკერძოებლობის მარეგულირებელი წესების და პრინციპების თაობაზე, პარ. 73

დისციპლინური წესით უვადოდ დანიშნული მოსამართლის გათავისუფლება შესაძლოა მოხდეს მხოლოდ მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში,¹¹³ რომელიც წარმოაჩენს, რომ მოსამართლე აშკარად არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.¹¹⁴

სანქცია უნდა იყოს მოსამართლის მიერ ჩადენილი გადაცდომის პროპორციული.¹¹⁵

4.25.2. საქართველოს კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁵⁰ მუხლის პირველი და მეორე ნაწილი:

1. სადისციპლინო კოლეგია ითვალისწინებს, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება უკიდურესი ღონისძიებაა და ეს ღონისძიება განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიყენება. სადისციპლინო კოლეგია იღებს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას, თუ მას კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სიმძიმის, რაოდენობის, აგრეთვე წარსულში ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გათვალისწინებით მიზანშეუწონლად მიაჩნია ამ მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების გაგრძელება.

2. თუ წარსულში მოსამართლეს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის დაეკისრა დისციპლინური სახდელი – მკაცრი საყვედური – დამოუკიდებლად ან კანონით გათვალისწინებულ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებასთან ერთად და ეს სახდელი გაქარწყლებული არ არის, ახალი დისციპლინური გადაცდომისათვის, დისციპლინური სახდელის შერჩევას, კოლეგია მსჯელობს ამ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხზე.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75³ მუხლის თანახმად: დისციპლინური სახდელებია: ა) შენიშვნა; ბ) საყვედური; გ) მკაცრი საყვედური; დ) ხელფასის 5%-დან 20%-მდე დაქვითვა არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში; ე) სასამართლოს თავმჯდომარის, სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება;

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁴⁷ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: სადისციპლინო კოლეგია მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების შერჩევას ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის შინაარსსა და სიმძიმეს, შედეგებს, რომლებიც მას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ბრალის ხარისხს.

4.25.3. დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ზემოთაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტს.

4.26. ხარჯების ანაზღაურება

4.26.1. საერთაშორისო სტანდარტი

მოსამართლეს, რომელიც გამართლდება დისციპლინური წარმოების შედეგად უნდა შეეძლოს მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც გასწია დისციპლინურ პროცესში მონაწილეობის შედეგად.¹¹⁶

4.26.2. საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობაში მსგავსი ჩანაწერი არ არსებობს

4.26.3. დასკვნა

აღნიშნულ ნაწილში საქართველოს კანონმდებლობა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს.

5. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა 2012 წლიდან დღემდე საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებთან

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში მოსამართლეთა დისციპლინური სისტემის ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, მთელი რიგი რეკომენდაციები შეიმუშავეს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების საზედამხედველო ორგანოებმა, ისე ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. პროექტმა განიხილა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა შემდეგ რეკომენდაციებთან:

» ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება - დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა“, 2019,

» „მოსამართლეების მიერ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების წესებისა და სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სრული ანალიზი,“ ევროპის საბჭო, იანვარი, 2018;

» აშშ-ს საელჩო საქართველოში, „წინადადებები საქართველოს პარლამენტისთვის სასამართლო რეფორმის მე-4 ტალღის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით,“ 2018;

» USAID PRoLOG ის ექსპერტის, ვიქტორია ჰენლის რეკომენდაციები დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალთან დაკავშირებით.

ამ რეკომენდაციების დიდი ნაწილი ეტაპობრივად აისახა საქართველოს კანონმდებლობაში მართლმსაჯულების რეფორმირებისას. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებსაც პროექტი იზიარებს და რომელიც ჯერჯერობით არ არის გათვალისწინებული კანონმდებლის მიერ:

5.1. რეკომენდაცია: „დამოუკიდებელ ინსპექტორის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერების მხრივ, მნიშვნელოვანია, დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევა საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3-ით.“¹¹⁷

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51¹ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „დამოუკიდებელ ინსპექტორს კონკურსის საფუძველზე, 5 წლის ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.“ შესაბამისად, ეს რეკომენდაცია დღეისათვის არ არის შესრულებული.

5.2. რეკომენდაცია: „დამოუკიდებელმა ინსპექტორმა საბჭოს უნდა მიმართოს რეკომენდაციით დისციპლინური დევნის დანყების ან არ დანყების თაობაზე“¹¹⁸

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის ანალიზი ნათლად არ ადგენს დამოუკიდებელი ინსპექტორის შესაძლებლობას, მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დისციპლინური დევნის დანყების ან არ დანყების რეკომენდაციით. აქედან გამომდინარე, ვიზიარებთ აღნიშნულ რეკომენდაციას და მიგვაჩნია, რომ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში უნდა გაჩნდეს ჩანაწერი, სადაც მკაფიოდ აღინიშნება დამოუკიდებელი ინსპექტორის რეკომენდაციის შინაარსი.

5.3. რეკომენდაცია: „დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის მეტი გამჭვირვალობისთვის, მნიშვნელოვანია, კანონპროექტმა გაითვალისწინოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნების, ასევე, დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნება, მხარეთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვით.“¹¹⁹

დღეის მდგომარეობით, აღნიშნული რეკომენდაცია არ არის შესრულებული. მივიჩნევთ, რომ დისციპლინური პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილებები უნდა გამოქვეყნდეს მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე.

5.4. რეკომენდაცია: „ინსპექტორს, მისი აპარატის წევრთა რაოდენობისა და მათი თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის უფლებამოსილება თავად მიენიჭოს.“¹²⁰

117 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება -დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა“, 2019, https://idfi.ge/public/upload/EU/Disciplinary_Liability_of_Judges-GEO-min.pdf

118 კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, კოალიციის საკანონმდებლო წინადადება მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემასთან დაკავშირებით, <https://transparency.ge/ge/post/koaliciis-sakanonmdeblo-cinadadeba-mosamartleta-disciplinuri-pasuxismgeblobis-sistemastan>

119 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება -დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა“, 2019, https://idfi.ge/public/upload/EU/Disciplinary_Liability_of_Judges-GEO-min.pdf ანალოგიური რეკომენდაცია იხ. კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, კოალიციის საკანონმდებლო წინადადება მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემასთან დაკავშირებით, <https://transparency.ge/ge/post/koaliciis-sakanonmdeblo-cinadadeba-mosamartleta-disciplinuri-pasuxismgeblobis-sistemastan>

120 კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, კოალიციის საკანონმდებლო წინადადება მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემასთან დაკავშირებით, <https://transparency.ge/ge/post/koaliciis-sakanonmdeblo-cinadadeba-mosamartleta-disciplinuri-pasuxismgeblobis-sistemastan>

მიგვაჩნია, რომ ამ რეკომენდაციის გათვალისწინება ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი ინსპექტორის მეტ ავტონომიას.

5.5. რეკომენდაცია: ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად, ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ინსპექტორს კანონმდებლობით დაუნესდეს თანამდებობრივი შეზღუდვა. უფლებამოსილების ამონურვის შემდგომ, გარკვეული გონივრული ვადით, ინსპექტორს არ უნდა შეეძლოს სასამართლო სისტემაში მუშაობის დაწყება.¹²¹

მიგვაჩნია, რომ ამ რეკომენდაციის შესრულება ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი ინსპექტორის მეტ დამოუკიდებლობას.

5.6. რეკომენდაცია: „სადისციპლინო კოლეგიის მიერ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად (წევრთა უმრავლესობის აზრის მაქსიმალურად გათვალისწინების შესაძლებლობა), მნიშვნელოვანია, კანონპროექტმა გაითვალისწინოს კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით.“¹²²

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁴⁰ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კოლეგიის დამსწრე წევრთა უმრავლესობა.“ შესაბამისად, დღეისათვის კოლეგიის სახელით გადაწყვეტილების მიღება 2 წევრსაც კი შეუძლია. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება მნიშვნელოვანია იმისთვის, რათა ჯეროვნად იქნეს წარმოდგენილი არამოსამართლე წევრების ხმა სადისციპლინო კოლეგიაში.

თუმცა ამავდროულად კანონში უნდა გაკეთდეს დათქმა, რომ ეს ნორმა არ მოქმედებს იმ შემთხვევაში თუ განხორციელდა სადისციპლინო კოლეგიის ერთი ან მეტი წევრის აცილება ან თვითაცილება. 5.7. რეკომენდაცია¹²³: უნდა გამოიცეს ოფიციალური კომენტარები დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებზე, რომლებიც შემუშავდება უზენაესი სასამართლოს ეგიდით, რადგან სწორედ უზენაესი სასამართლოა მოსამართლეთა სადისციპლინო საქმეების განმხილველი საბოლოო ინსტანცია. ისევე როგორც კალიფორნიაში, კომენტარები შეიძლება შემუშავდეს სასამართლოს სათათბირო კომიტეტის მიერ, რომელშიც შევლენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, დისციპლინური პალატის, მოსამართლეთა კონფერენციის და სხვა დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლები.

მიგვაჩნია რომ აღნიშნული დოკუმენტი შეიძლება დამტკიცდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

121 კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, კოალიციის საკანონმდებლო წინადადება მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემასთან დაკავშირებით, <https://transparency.ge/ge/post/koaliciis-sakanonmdeblo-cinadadeba-mosamartleta-disciplinuri-pasuxismgeblobis-sistemastan>

122 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება -დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა“, 2019, https://idfi.ge/public/upload/EU/Disciplinary_Liability_of_Judges-GEO-min.pdf;

123 USAID PRoLOG ის ექსპერტის, ვიქტორია ჰენლის რეკომენდაციები დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალთან დაკავშირებით. <http://dcj.court.ge/uploads/mnishvnelovaniproeqtebi/VictoriaHenlirekomendaciebiGeo.pdf>

6. საქართველოს დისციპლინური კანონმდებლობის შედარება საზღვარგარეთის ქვეყნების დისციპლინურ სისტემებთან

პროექტის ფარგლებში განხორციელდა დისციპლინური კანონმდებლობის შედარება საზღვარგარეთის მონინავე ქვეყნების (ამერიკულ და ევროპულ) დისციპლინურ სისტემებთან. ამ სისტემების დეტალური ანალიზი მოცემულია დანართის სახით. ამ თავში წარმოვადგენთ მხოლოდ იმ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც, ჩვენი აზრით, რეკომენდებულია ქართულ კანონმდებლობაში.

6.1. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი

მონინავე სამართლებრივ სისტემებში დისციპლინური გადაცდომები კოდიფიცირებულია ამა თუ იმ საკანონმდებლო აქტით. გადაცდომების ჩამონათვალი ზოგან მეტად დეტალიზებულია, ხოლო ზოგან - ნაკლებად (თუმცა შემდგომ სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით არის განმარტებული). ზოგი ქვეყნის კანონმდებლობა დისციპლინურ გადაცდომებს აჯგუფებს სიმძიმის მიხედვით - მძიმე ან ნაკლებად მძიმე გადაცდომებად. ამ დაყოფის მიზანია, რომ გამოყენებული იქნეს სხვადასხვა ტიპის სანქციები და სხვადასხვა ხანდაზმულობის ვადები.

საზღვარგარეთის ქვეყნების დისციპლინური კანონმდებლობის ანალიზით იკვეთება რამდენიმე გადაცდომა, რომელთა გათვალისწინებაც, ჩვენი აზრით, რეკომენდებულია ქართულ საკანონმდებლო სივრცეში.

კერძოდ, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონით დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს ა.ა) მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.¹²⁴

მოსამართლის აშკარა მიკერძოება ობიექტურად დამტკიცებადი ფაქტია, თუმცა მოცემული საკანონმდებლო ფორმულა ასევე ითხოვს მოსამართლის მოტივის დადგენას, რომელიც უნდა იყოს პირადი, პოლიტიკური ან სოციალური. ვფიქრობთ, რომ ეს ფორმულა პრაქტიკულად გამოუყენებადია, ამიტომ აშკარა მიკერძოების არსებობის შემთხვევაში მოსამართლის მოტივის დამტკიცება აღარ უნდა იყოს საჭირო. ვფიქრობთ, მაკედონიისა და კოსოვოს კანონმდებლობის გათვალისწინებით საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში მოცემული ფორმულა უნდა შეიცვალოს შემდეგი ფორმულით „მოსამართლის აშკარა მიკერძოება საქმის განხილვის დროს“.

პრაქტიკაში აშკარა მიკერძოება შეიძლება დადგინდეს შემდეგი ფაქტებით, მაგალითად:

- » მხარის მიმართ აშკარა ფამილარობის, სიმპათიის ან ანტიპათიის გამომჟღავნებით¹²⁵
- » კანონის მოთხოვნის სანინაალმდეგოდ მხარისთვის სიტყვის არ მიცემით
- » მხარის სანდლობის ეჭვქვეშ დაყენებით და სხვ.

124 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 751 მუხლის პირველი პუნქტის ა.ა. პუნქტი.
125 საერთო სასამართლოებში მოქალაქეებთან კომუნიკაციის სტანდარტები, მუხ. 14.7. - მოსამართლემ, როგორც ნეიტრალურმა არბიტრმა, არ უნდა გამოხატოს მისი პიროვნული დამოკიდებულება და ემოციები, არც ვერბალური და არც არავერბალური (მიმიკა, სხეულის მოძრაობა და სხვ.) ფორმით). <http://www.icc.gov.ge/index.php?m=552&newsid=4> აშშ სადისციპლინო პრაქტიკიდან იხ. მაგ. საქმე Antony Edwards, სადაც მოსამართლემ ჩაატარა პირველი წარდგენის სხდომა თავისი შეგობრის სისხლის სამართლის საქმეზე, დაუნიშნა მას სახაზინო დამკველი, ჩანიშნა აღკვეთის ღონისძიების განხილვის სხდომის თარიღი, ჩამოვიდა დარბაზში და გადაეხვია ბრალდებულს. იხ. http://cj.ca.gov/res/docs/public_admon/Edwards_2-7-12.pdf სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარი (პარ. 58) მიუთითებს შემდეგს: „მიკერძოება შეიძლება გამოვლინდეს როგორც ვერბალურად, ისე ფიზიკურად. ეპითეტებით, შეურაცხყოფელი მინიშნებებით, კინობითი შეტყაობებით, ნეგატიური სტერეოტიპებით, კომენტარით სქესზე კულტურაზე ან რასაზე“.

მიკერძოება უნდა გავმიჯნოთ დისკრიმინაციისგან, რომელიც საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით ასევე დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს.¹²⁶

მათ შორის განმასხვავებელი ნიშნები შემდეგია:

- » დისკრიმინაციას ესაჭიროება საფუძველი, ხოლო მიკერძოებას როგორც დისციპლინურ გადაცდომას, საფუძველი არ ესაჭიროება;
- » დისკრიმინაცია შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი პირის, მათ შორის მონმის და პროცესზე დამსწრე პირის მიმართ. მიკერძოება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მხარის მიმართ;
- » დისკრიმინაციას ესაჭიროება კომპარატიული (ანუ მოსამართლის მიერ განსხვავებული შემთხვევების განსხვავებულად მოპყრობის მტკიცებულება) ხოლო მიკერძოებას კომპარატიული არ ესაჭიროება.

აღნიშნულის გარდა, მიგვაჩნია, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომებიდან შესაძლოა სამი გადაცდომა, კერძოდ: ცრუ ინფორმაციის შეტანა ოფიციალურ დოკუმენტებში (ესპანეთი),¹²⁷ თანამდებობის გამოყენება არამართლზომიერი უპირატესობის მოსაპოვებლად (ესპანეთი, მოლდოვა), ასევე სამსახურებრივი რესურსების პირადი სარგებლობისთვის გამოყენება, რითაც ზიანი მიადგა სამსახურებრივ ინტერესებს (სლოვენია, აშშ) გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით.¹²⁸

126 იხ. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 751 მუხლის მე-8 მუხლის ე.ა. ქვეპუნქტი „სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედება ნებისმიერი პირის მიმართ ამა თუ იმ საფუძველით.“

127 პროექტის პარტნიორებთან კონსულტაციის დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული ჩანაწერი შეიცავს საფრთხეს, რომ მოხდება მოსამართლის შეცდომის დასჯა დისციპლინური წესით. ასევე, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში შევსებისას დაშვებული უზუსტობის გამო მოსამართლე დაექვემდებარება როგორც დისციპლინურ, ასევე ადმინისტრაციულ (ფინანსურ) სანქციებს, რაც ეწინააღმდეგება ერთი და იგივე ქმედების ორჯერ დასჯადობის პრინციპს. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ისევე როგორც სხვა გადაცდომების შემთხვევაში დისციპლინურ ორგანოებმა აქაც ერთმანეთისგან უნდა გაარჩიონ განზრახვა და გაუფრთხილებლობა. რაც შეეხება ერთი და იგივე ქმედების ორჯერ დასჯადობის პრინციპს. ეს პრინციპი სხვადასხვა სახის სამართალწარმოებაზე არ ვრცელდება. მაგალითად, მთვრალ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვის ან წვრილმანი ხულიგნობის შემთხვევაში მოსამართლე შეიძლება დაექვემდებაროს როგორც დისციპლინურ ასევე ადმინისტრაციულ სანქციებს.

128 „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 13 2(4) მუხლი ადგენს: „საჯარო მოსამსახურემ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უნდა დაიცვას ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი. საჯარო მოსამსახურემ ბოროტად არ უნდა ისარგებლოს სამსახურებრივი რესურსებით, რათა არ გაიფლანგოს ისინი“.

6.2. დისციპლინური სანქციები

დისციპლინური სანქციები შესაძლოა დაფუძნდეს სამ ჯგუფად, ესენია: ე.წ. მორალური (ანუ ვერბალური), ფინანსური და სასამართლო კარიერასთან დაკავშირებული სანქციები. სანქციების ნაწილში საქართველოს კანონმდებლობა მეტნაკლებად ითვალისწინებს მოწინავე დისციპლინური სისტემების გამოცდილებას. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით გათვალისწინებულია როგორც მორალური, ასევე კარიერული, ასევე ფინანსური სანქციები. თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა (ესპანეთი, ნიდერლანდები) ითვალისწინებს მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერებას დისციპლინური სანქციის სახით.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერებას როგორც დისციპლინურ სანქციას არ ითვალისწინებს. ვფიქრობთ, რომ ასეთი სანქციის გამოყენება შეიძლება ზოგ შემთხვევაში იყოს ეფექტიანი და სამართლიანი. შესაბამისად, მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში და სანქციის სახით გათვალისწინებული იქნას მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერება (სხვა თანმხლები საკანონმდებლო ცვლილებებით) 6 თვიდან 2 წლამდე ვადით.

მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა საგანგებოდ ითვალისწინებს იმ გარემოებების ჩამონათვალს, რომლებიც მხედველობაში მიიღება დისციპლინური სახდელის შერჩევას. ეს სია საკმაოდ ფართოა: დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე, გადაცდომების რაოდენობა (ბოსნია, მაკედონია), ბრალის ფორმა (ბულგარეთი), გადაცდომის შედეგები (ბოსნია, მაკედონია), ზიანი, რომელიც მიაღება სასამართლოს რეპუტაციას (გერმანია), გარემოებები, რომლებშიც ქმედება იქნა ჩადენილი (ბოსნია, ბულგარეთი, მაკედონია, ხორვატია), გადაცდომის ხანგრძლივობა (გერმანია), მოსამართლის პიროვნული მახასიათებლები (გერმანია), მოსამართლის წარსული პრობითი სამსახურებრივი საქმიანობა და მიღწევები (ბოსნია), მოსამართლის მიერ საკუთარი ქმედების შეგნება და პასუხისმგებლობის განცდა (ბოსნია, გერმანია), დისციპლინური საქმის განმხილველ ორგანოებთან თანამშრომლობა (ბოსნია), სხვა გარემოებები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიონ სახდელზე (ბოსნია, ხორვატია).¹²⁹

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁴⁷ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: სადისციპლინო კოლეგია მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების შერჩევას ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის შინაარსსა და სიმძიმეს, შედეგებს, რომლებიც მას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ბრალის ხარისხს.

საზღვარგარეთული გამოცდილების გათვალისწინებით, სახდელის დანიშვნის დროს კანონში მითითებულ ამ გარემოებების ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს გადაცდომის ხანგრძლივობა, მოსამართლის წარსული საქმიანობა, მოსამართლის მიერ გადაცდომის აღიარება და პასუხისმგებლობის განცდა და დისციპლინურ ორგანოებთან თანამშრომლობა.

7. სადისციპლინო ორგანოების (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს¹³⁰, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის და უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის) გადაწყვეტილებების მიმოხილვა

პროექტის მიერ განხორციელდა დისციპლინური ორგანოების (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, დამოუკიდებელი ინსპექტორის, სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის) გადაწყვეტილებების ანალიზი. სულ შესწავლილი იქნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 296, დამოუკიდებელი ინსპექტორის 20, სადისციპლინო კოლეგიის 8 და სადისციპლინო პალატის 14 გადაწყვეტილება.

7.1. პროცესი

7.1.1. სამართალწარმოების დაწყების საბაბი. 0

ყველა განხილულ საქმეზე სამართალწარმოების დაწყების საბაბი არის მოქალაქის განცხადება (საჩივარი). მხოლოდ ორ საქმეზე 86/18-1(11.03.2019) და 86/18-2 (17.12.2018) დაიწყო სამართალწარმოება მედიით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე.

7.1.2. დამოუკიდებელი ინსპექტორის პოზიცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებში

სადისციპლინო ორგანოების გადაწყვეტილებების მნიშვნელოვან ნაწილში (განსაკუთრებით ინსპექტორის ინსტიტუტის შემოღების ადრეულ პერიოდში) არ არის გამოკვეთილი დამოუკიდებელი ინსპექტორის პოზიცია, შესაბამისად, შეუძლებელია გარკვევა, რა ნაწილში გაიზიარა მისი დასკვნები და შეფასებები საბჭომ და რა ნაწილში არის წარმოდგენილი საბჭოს საკუთარი მსჯელობა.

7.1.3. დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმების ვადები

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁷ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინურ საქმეზე წინასწარი შემოწმება უნდა დამთავრდეს 2 თვის ვადაში, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 2 კვირით.

ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასწარი შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აფასებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას და წინასწარი შემოწმებისათვის დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:

¹³⁰ დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

1. დისციპლინური საქმის გამოკვლევა უნდა დასრულდეს მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 თვეში. აუცილებლობის შემთხვევაში, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 კვირით.

სადისციპლინო ორგანოების პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ საქმეების უმრავლესობაში ეს ვადა დარღვეულია, როგორც დამოუკიდებელი ინსპექტორის, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. განსაკუთრებით 2018-2019 წლებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ინსპექტორის დასკვნა შედგენილია საჩივრის შემოტანიდან 5-8 თვის შემდეგ, ხოლო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულია ინსპექტორის დასკვნის შემოტანიდან 1 წლის შემდეგ.

პროექტმა შეისწავლა დისციპლინური საქმეების წარმოების ხანგრძლიობა 200 საქმეზე, რომლებიც განხილული იქნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2017-2019 წლებში. შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნულ 200 საქმეზე დისციპლინური საჩივრის შესვლიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნის შედგენამდე კანონით დასკული 2 თვენახევრიანი ვადა მხოლოდ 16 საქმეზე იქნა დასკული, ხოლო აღნიშნულ პერიოდში დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნის შედგენიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დევნის დაწყების ან დაწყებაზე უარის თქმის გადაწყვეტილებამდე საშუალო ვადა შეადგენს 220 დღეს.

საქმეში სსდ-26-19 (სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება) სადაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დარღვეული იქნა ზემოთმითითებული ვადები. დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემული მოსამართლე ითხოვდა მის მიმართ საქმის შეწყვეტას ასევე კანონის იმ ჩანაწერის მიხედვით, რომლის თანახმად „თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება“. აღნიშნულის მიხედვად, სადისციპლინო კოლეგიამ მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა დააკისრა. სადისციპლინო კოლეგიის აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. სადისციპლინო პალატამ მოსამართლე გაამართლა დისციპლინური გადაცდომის არ არსებობის გამო, თუმცა, სამუხაროდ, კანონის ამ ჩანაწერის განმარტებაზე არ იმსჯელა და აღნიშნულ საკითხს თავი აარიდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, დღეს არსებული პრაქტიკით, წინასწარი შემოწმების ამ ვადების დარღვევა რაიმე სამართლებრივ შედეგს არ იწვევს. ამიტომ აუცილებელია კანონში დაზუსტდეს, რომ თუ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დევნის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს აღნიშნულ ვადაში და თუ საბჭო ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, დისციპლინური დევნა უნდა შეწყდეს.

7.1.4. მოსამართლის ახსნა-განმარტების არარსებობა

2017 წლის 8 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებით ახსნა-განმარტების მიცემა მოსამართლის უფლებაა.¹³¹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, იმის მიუხედავად, რომ მოსამართლე მიცემული იქნა დისციპლინურ პასუხისმგებლობაში და მოეთხოვა ახსნა-განმარტების წარმოდგენა, მოსამართლის მიერ 6 საქმეზე არ იქნა წარმოდგენილი ახსნა-განმარტება. მიგვაჩნია, რომ ეს არის პრობლემა, ვინაიდან მოსამართლის განმარტების გარეშე, შესაძლოა, შეუძლებელიც იყოს დისციპლინურ საქმეზე ფაქტების დადგენა. 2012 წლამდე არსებული პრაქტიკით, დისციპლინური ორგანოს საქმიანობის ხელისშეშლად კვალიფიციირდებოდა მოსამართლის მიერ ახსნა-განმარტების

¹³¹ იხ. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

წარდგენაზე უარი.¹³² ვფიქრობთ, რომ ეს კანონმდებლობა კვლავ უნდა შეიცვალოს და დისციპლინური ბრალდების შემთხვევაში, მოსამართლის მიერ ახსნა-განმარტების წარმოდგენა სავალდებულო უნდა იყოს.

7.1.5. საქმის მასალების პროკურატურისთვის გადაცემა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75⁷ მუხლის თანახმად, თუ დამოუკიდებელი ინსპექტორი დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის განხორციელებისას დარწმუნდება, რომ ამ საქმეში იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, იგი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართავს დასაბუთებული წარდგინებით აღნიშნული საქმის მასალების საქართველოს პროკურატურისათვის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად“.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მონოდედებული ინფორმაციის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის ამოქმედებიდან ღლემა დამოუკიდებელ ინსპექტორს პროკურატურისთვის არ მიუმართავს.

7.1.6. გადაწყვეტილებათა კანონიერების შემოწმებისკენ მიმართული საჩივრების განხილვა

2019 წლის 13 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებით დამოუკიდებელ ინსპექტორს მიენიჭა უფლებამოსილება შეწყვიტოს დისციპლინური საქმე თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის მეორე კვარტლის სტატისტიკურ ანგარიშში განმარტებულია შემდეგი:

იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივარი შეეხება, როგორც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შეწყვეტის საფუძვლებს, ისე დისციპლინურ გადაცდომებს, დისციპლინური გადაცდომის ნაწილში სადისციპლინო სხდომაზე იმსჯელებს და განკარგულებას მიიღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ხოლო დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო საფუძვლების არსებობისას, ნაწილობრივ გადაწყვეტილებას სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ მიიღებს დამოუკიდებელი ინსპექტორი.

აღნიშნული პრაქტიკა არასწორად მიგვაჩნია. დისციპლინური საჩივრის ხელოვნურად გაყოფა და მასზე ცალ-ცალკე რეაგირება არ არის გამართლებული. იმ შემთხვევაში, თუ დისციპლინური საჩივარი ეხება როგორც სამოსამართლო აქტის კანონიერებას, ასევე სხვა საფუძვლებს, აღნიშნული საქმე დამოუკიდებელმა ინსპექტორმა კი არ უნდა შეწყვიტოს, არამედ შესაბამისი დასკვნით გადაუგზავნოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. მიუხედავად ამისა, ვინაიდან კანონი ამ საკითხს მკაფიოდ არ არეგულირებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონში ცვლილების შეტანა და საკითხის მკაფიო დარეგულირება.

7.1.7. საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა

სადისციპლინო ორგანოების გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შეფასებისას მთავარი გამოწვევა არის ის, რომ ობიექტური დამკვირვებლისთვის არ არის ხელმისაწვდომი საჩივრის შინაარსი, წამოყენებული სამართლებრივი არგუმენტები და ფაქტები, ისევე, როგორც თანადართული მტკიცებულებები. შესაბამისად, საჩივრის ავტორის პოზიციის გამორკვევა შესაძლებელია მხოლოდ დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილებიდან,

132 <http://dcj.court.ge/uploads/Practice/Practice2004-2013Criminal.pdf>

სადაც ის, შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს არასრული, მოდიფიცირებული ან/და მხოლოდ რეზიუმირებული სახით. შესაბამისად, ჩვენ შეზღუდული ვართ მხოლოდ ამ ფარგლებით, რომ შევაფასოთ თუ რამდენად უსახეობს საჩივრის ავტორის იმ არგუმენტებს, რომლებზეც დისციპლინური ორგანო თავად მიუთითებს გადაწყვეტილებაში.

ხშირ შემთხვევაში, არ არის მკაფიო, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მსჯელობს ერთ თუ ერთზე მეტ გადაცდომაზე.

უმეტეს შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებში უსახეო გაცემულია მომჩივანის არგუმენტებზე, თუმცა არის გადაწყვეტილებები, სადაც მომჩივანის მიერ მითითებული დარღვევები დატოვებულია უსახეოდ. მაგ. საქმეში 61-1-18 მომჩივანი მიუთითებდა, რომ მოსამართლემ გააყალბა საქმის მასალები და შეცვალა მისი დანიშვნის თარიღი, თუმცა აღნიშნულზე საბჭოს უსახეო არ აქვს გაცემული.

საქმეზე 114-17 გადაწყვეტილებაში არ არის ახსნილი, თუ რატომ არ მიიღო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმის მიუხედავად, რომ გავიდა მოპასუხისთვის შესაგებლის წარდგენის ვადა.

ზოგ შემთხვევაში, მხარის არგუმენტები ნახსენებია ზოგადად, ყოველგვარი კონკრეტულის გარეშე (რაც აუცილებელია გადაწყვეტილების შინაარსის გასაგებად. მაგალითად. საქმეში 94 - 18 მხარის საჩივარი ეხება იმას, რომ მოსამართლემ არ აიცილა საქმე იმის მიუხედავად, რომ სახეზე იყო საქმის აცილების წინაპირობები. საბჭოს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული თუ რა წინაპირობებზე მიუთითებს მხარე და რაზე იმსჯელა საბჭომ მოსამართლის გადაწყვეტილების შეფასებისას.

საქმეში 78-17 მხარე ამტკიცებდა, რომ მოსამართლემ უკანონოდ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა საქმეზე დამატებითი მტკიცებულების დართვის თობაზე. დისციპლინური საქმის შეწყვეტის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილებაში არ ჩანს, რა დამატებითი მტკიცებულების წარდგენას ითხოვდა მხარე და რა საფუძვლით.

საქმეში 150-17, სადაც მხარე ამტკიცებდა, რომ მოსამართლემ მიმანიშნებელი შეკითხვებით გამოხატა მიკერძოება და დაარღვია შეჯიბრებითი პროცესი, არ არის განმარტებული, თუ რა სახის შეკითხვები დასვა მოსამართლემ, რითაც შეუძლებელია მსჯელობა მხარის საჩივრის საფუძვლებზე.

საქმეში 162/18 მხარე ამტკიცებდა, რომ პროცესის განმავლობაში მოსამართლემ მიმართა უხეში შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაში არ არის აღწერილი, თუ რა გამოთქმებზე ამახვილებდა მხარე ყურადღებას. მხოლოდ მითითებულია, რომ სხდომის აუდიო ჩანაწერების მოსმენის შედეგად დადგინდა რომ მოსამართლის მხრიდან არაეთიკური მიმართვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მიგვაჩნია, რომ თუ მხარემ კონკრეტული გამოთქმები საჩივარში არ მიუთითა, აღნიშნულ საქმეზე დამოუკიდებელი ინსპექტორი უნდა დაკავშირებოდა საჩივრის ავტორს და გაერკვია მოსამართლის რომელ გამოთქმებზე ამახვილებდა ყურადღებას. მხარის ეს პრეტენზია დეტალურად უნდა ყოფილიყო განხილული და შეფასებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაში.

საქმეში 101-17 მომჩივანი მიუთითებდა რომ მოსამართლე მასზე ახორციელებდა ზენოლას, ემუქრებოდა მკაცრი სასჯელით თუ არ დაეთანხმებოდა საპროცესო შეთანხმებას. იუსტიციის საბჭო საქმის შეწყვეტისას მიუთითებს, რომ საჩივარში მოყვანილი ფაქტები არ დადასტურდა. არ არის განხილული, თუ რა სახის ფრაზები გამოიყენა მოსამართლემ ბრალდებულის მიმართ.

საქმეში 125-17 მხარე ითხოვდა ნივთმტკიცების აღვილზე დათვალიერებას, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა. იუსტიციის უმაღლესი საბჭო შემოიფარგლა მხოლოდ სათანადო ნორმის ციტირებით და არ იმსჯელა ვეალებოდა თუ არა მოსამართლეს მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება მოცემულ შემთხვევაში. მხოლოდ მიუთითა, რომ აღნიშნული საკითხის გადანყვეტა წარმოადგენდა მოსამართლის დისკრეციის სფეროს.¹³³

ზოგ შემთხვევაში, საბჭოს მსჯელობები და სამართლებრივი განმარტებები არარელევანტურია. მაგალითად: საქმეში 103/17, სადაც საქმე ეხება მხარისთვის დასაბუთებული გადანყვეტილების დაგვიანებით ჩაბარებას, საბჭო ერთ გვერდიან მსჯელობას უთმობს სამოსამართლო შეცდომასა და დისციპლინურ გადაცდომას შორის განსხვავების განმარტებას, რომელიც მოცემულ შემთხვევასთან არ არის შემხებლობაში.¹³⁴

საბჭოს გადანყვეტილების დასაბუთებისას, ხშირად გვხვდება ზოგადი მითითება სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლზე ამ მუხლის ქვეპუნქტის მითითების გარეშე, მაგალითად, საქმეში 85-18 აღნიშნულია, რომ „არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. ეს არასწორია, ვინაიდან საბჭოს გადანყვეტილება კონკრეტულად უნდა მიუთითებდეს რომელი გადაცდომა არ დგინდება საქმის მასალების შესწავლის შედეგად. ცნობილია, რომ თითოეულ დისციპლინურ გადაცდომის სახეს საკუთარი შემადგენლობის ნიშნები გააჩნია (სისხლის სამართლის დანაშაულის მსგავსად). დისციპლინური გადაცდომის ფაქტების დადგენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო უნდა განმარტავდეს, თუ რა ნიშნებს შეიცავს ეს გადაცდომა და მსჯელობდეს კონკრეტული გადაცდომების ნიშნების არსებობა არარსებობის საკითხზე. ასეთი მსჯელობა, ხშირ შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადანყვეტილებებში არ გვხვდება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რამდენიმე გადანყვეტილება დასაბუთებულია მხოლოდ გადანყვეტილების მიღებისთვის საჭირო კვორუმის არარსებობით იმის მიუხედავად, რომ საქმეში შეინიშნება დისციპლინური გადაცდომის ნიშნები, (60-17) (139-17) (207/17-2). იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან ეს შეიძლება იყოს გადანყვეტილების დასაბუთების განთავის არიდების ხერხი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საკანონმდებლო წესით გადანყვეტას საჭიროებს.

7.1.8. მტკიცების ტვირთი, მტკიცების პროცესი და მტკიცებულებათა საკმარისობის საკითხი

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი არ არეგულირებს დისციპლინურ პროცესში მტკიცების ტვირთის საკითხს. ზოგიერთ ქვეყანაში ეს საკითხი ნორმატიულად არის რეგულირებული. მაგალითად. მონტენეგროში მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს.¹³⁵

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში, 2019 წლის 13 დეკემბერს შეტანილი საკანონმდებლო ცვლილებებით დადგინდა მტკიცების სტანდარტები დისციპლინურ პროცესში, კერძოდ, დისციპლინური დევნის დაწყება ხორციელდება დასაბუთებული

¹³³ აღნიშნულ პერიოდში ჯერ კიდევ მოქმედებდა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის ის ვერსია, რომელიც ითვალისწინებდა მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას.

¹³⁴ არაჯეროვანი შესრულება ყოველთვის არ გულისხმობს სამოსამართლო შეცდომის არსებობას, სადისციპლინო ორგანოების პრაქტიკით, დაგვიანებით სასამართლო გადანყვეტილების ჩაბარებაც არაჯეროვან შესრულებად კვალიფიცირდება.

¹³⁵ კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014. -

ვარაუდის სტანდარტით¹³⁶, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემა ხდება ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტით¹³⁷, მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრება ხდება ურთიერთშეთავსებადი და დამაჯერებელი მტკიცებულებების სტანდარტით.¹³⁸

დისციპლინური ორგანოების პრაქტიკის შესწავლა ადასტურებს, რომ დისციპლინური საქმისწარმოების დროს მტკიცების სტანდარტის პრობლემა იშვიათად დგება, ვინაიდან საქმის გარემოებები უტყუარად დგინდება საქმის მასალებით (მათ შორის სხდომის ოქმით).¹³⁹ თუმცა არის შემთხვევები, როდესაც საქმეზე ვიდეო ჩანაწერი დაკარგულია და ამის გამო მოსამართლის გადაცდომა ვერ დგინდება (საქმე 136-17). (საქმე 172-17).¹⁴⁰

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის გარემოება არ დასტურდება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ან სხვაგვარად ხელმისაწვდომი მასალებით, თუმცა საჭიროებს დამატებით მოკვლევას. ვფიქრობთ, რომ ასეთ დროს დისციპლინური საქმე არ უნდა შეწყდეს და დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მოკვლევა უნდა ჩაატაროს. მაგალითად,

საქმეზე 4-18, რომელშიც მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მოსამართლე მოპასუხის მეზობელია, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქმის შეწყვეტის საფუძვლად მიუთითა ის, რომ მოსამართლის მიერ შევსებული დეკლარაციის თანახმად, არ დასტურდება, რომ მოსამართლეს აქვს მინის ნაკვეთი მოპასუხის გვერდით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებული იყო, მიეღო ახსნა-განმარტება მოსამართლისგან, გადაემოწმებინა სადაო მინის ნაკვეთის საკუთრების საკითხი და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ მის მიერ შევსებული დეკლარაციით.

საქმეზე 156/17, სადაც სხდომაზე შესვენებისას, მოსამართლესა და პროკურორს შორის შედგა 19 წამიანი ცალმხრივი კომუნიკაცია სხდომის გარეთ, რაც დადასტურებული იყო მხოლოდ ვიდეო (და არა აუდიო) ჩანაწერით. მიუხედავად ამისა, საბჭომ ჩათვალა, რომ არ დარღვეულა „საერთო სამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის შესახებ კანონი, ვინაიდან დადგენილი არ იყო კომუნიკაციის შინაარსი.¹⁴¹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ამ საქმის შეწყვეტა მიგვაჩნია გაუმართლებლად, ვინაიდან აღნიშნულ საქმეზე იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებული იყო, განეხორციელებინა მოკვლევა და დაედგინა ამ საუბრის შინაარსი, მათ შორის, მოსამართლის ახსნა-განმარტებით და კომუნიკაციაში მონაწილე პროკურორის გამოკითხვით.

136 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁸ მუხლის პირველი პუნქტი,

137 იმავე კანონის 75¹⁴ მუხლის პირველი პუნქტი,

138 იმავე კანონის 75⁴⁶ მუხლი.

139 მაგალითად, საქმეში 112-18 მომჩივანის განცხადებით მოსამართლე დაემუქრა გამამტყუნებელი განაჩენით იმ შემთხვევაში თუ ხელს არ მოაწერდა საპროცესო შეთანხმებას. სხდომის აუდიო ჩანაწერის მოსმენის შედეგად ასეთი მუქარა არ დადასტურდა.

140 ასევე ამ კუთხით, საინტერესოა საქმე 72-18, სადაც მომჩივანის მიერ მითითებულმა საპროცესო შეცდომამ (რომ მოსამართლემ მოპასუხე მხარეს არ გადაუგზავნა სასარჩელო მოთხოვნის გაზრდილი ოდენობა) საგარეოდ გამოიწვია მოპასუხე მხარის უფლების დარღვევა, თუმცა აღნიშნულ საქმეზე გამოუსადეგარი გახდა სხდომის აუდიო ოქმი, ხოლო ვიდეო ჩანაწერი დაიკარგა.

141 მოსამართლემ სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ მასსა და პროკურორს შორის კომუნიკაცია მონშის ადვოკატთან სატელეფონო ზარის განხორციელებაზე შედგა. საბჭომ მიუთითა შემდეგი: არსებული ვერსიის გაზიარების შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ საუბრის თემა შემხებლობაშია განსახილველ საქმესთან, თუმცა ქმედების შედეგობრივად შეფასების დროს, იგი არ პასუხობს „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს. კერძოდ, მონშის ადვოკატთან სატელეფონო ზარის განხორციელების დავალება, ადვოკატის სხდომაზე მონაწილეობის მიზნით, შინაარსობრივად ვერ იქნება აღქმული იმგვარად, რომ მან გამოიწვია სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჭიბველობის პრინციპების დარღვევა.

საქმეში 60-18, ბრალდებულის განცხადებით, მოსამართლე ვალდებული იყო აეცილებინა მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვა, ვინაიდან მოსამართლეს პირადი ინტერესი ჰქონდა მის მეუღლესთან, რის გამოც მოსამართლესა და მას შორის ადრე მოხდა კონფლიქტი. აღნიშნულის დამადასტურებლად ბრალდებულმა წარმოადგინა მასსა და მის ყოფილ მეუღლეს შორის არსებული მიმოწერა. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქმის შეწყვეტისას აღნიშნა, რომ ამ ჩანაწერების ავთენტურობა დადასტურებული არ არის. ჩვენი აზრით, საბჭოს საქმე არ უნდა შეენწყვიტა, უნდა მიეღო ახსნა-განმარტება მოსამართლისგან, ბრალდებულის მეუღლისგან და სხვა სათანადო პირებისგან საჩივარში მოყვანილი ფაქტების დადგენის მიზნით.

საქმეზე - 136/17 მომჩივანი ამტკიცებდა, რომ სხდომაზე გამოცხადდა მოქალაქე, რომელსაც სასამართლოს შემადგენლობა ფეხზე წამოდგომით შეეგება, ის დაესწრო სასამართლოს სხდომას და მისი დასრულებისთანავე მონინაალმდევე მხარესთან ერთად დატოვა დარბაზი კმაყოფილი სახით. აღნიშნული საქმე შეწყდა მტკიცებულების არარსებობის გამო. უცნაურია, ის გარემოება რომ საქმიდან დაიკარგა სხდომის ვიდეოჩანაწერი, ხოლო აუდიო ჩანაწერის მეშვეობით აღნიშნული ფაქტის დადგენა შეუძლებელი იყო. მივიჩნევთ, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აღნიშნული საქმე არ უნდა შეენწყვიტა, არამედ ჩაეტარებინა სრული მოკვლევა საქმის გარემოებების დადგენის მიზნით (მათ შორის სხდომაზე დამსწრე პირთა გამოკითხვით). საზღვარგარეთის ქვეყნების დისციპლინური პრაქტიკით, მოსამართლესა დამხარეს შორის მკაფიო ფამილარობა შეიძლება იყოს დისციპლინური გადაცდომა¹⁴²

საქმეში (128-17) მოსამართლემ ერთ -ერთ სხდომაზე მომჩივანს (ჟურნალისტს) დაუსვა შეკითხვა: თქვენ ვინ ბრძანდებით? მომჩივანმა მიუგო რომ იყო ჟურნალისტი. მოსამართლემ უთხრა: მე მხარის მეუღლე მეგონეთ. მომჩივანის განცხადებით, მოსამართლემ იცოდა მისი ვინაობა. ცხადია, რომ სასამართლო დარბაზში მყოფი პირის მიმართ ასეთი ცინიკური დამოკიდებულება არ არის მოსამართლისთვის შესაფერისი საქციელი, თუმცა გადანწყვეტილებაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლის მხრიდან ეთიკის წესების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. გადანწყვეტილება არ არის სათანადოდ დასაბუთებული და არ ჩანს, იცოდა თუ არა მოსამართლემ მომჩივანის ვინაობა და შესაბამისად, მისი მიმართვა იყო თუ არა ცინიკური. ვფიქრობთ, აქაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებული იყო, განეხორციელებინა საქმის სრულად მოკვლევა და დაედგინა საქმისთვის მნიშვნელოვანი ეს გარემოება.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონში 2017 წლის 8 თებერვალს შესული ცვლილებით დადგინდა დისციპლინურ გადაცდომაში მოსამართლის ბრალეულად ცნობისთვის საჭირო მტკიცების სტანდარტი და მიეთითა შემდეგი:

„სადისციპლინო კოლეგია იღებს დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობისა და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ გადანწყვეტილებას, თუ სადისციპლინო კოლეგიაში დისციპლინური საქმის განხილვის შედეგად ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა აღნიშნული მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ბრალეული ჩადენა¹⁴³:

142 მაგ. კალიფორნიის სამოსამართლო ქვეყის კომისიის პრაქტიკის მიხედვით დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვალა შემთხვევა, როდესაც მოსამართლე პროცესის დასრულების შემდეგ გადაეხვია მხარეს. <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/Researches/california.pdf>

143 აღნიშნული სტანდარტი იგივე ფორმით იქნა გადმოტანილი საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 7546 მუხლში.

2019 წლის 13 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებით დადგინდა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ეტაპზე მტკიცების სტანდარტი და მიეთითა შემდეგი:

„მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ დასაბუთებულ გადანყვეტილებაში გადმოცემული უნდა იყოს მოსამართლისათვის წაყენებული დისციპლინური ბრალდების შინაარსი. ამ გადანყვეტილების მიღებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტს“.

საქმეში 89-18-2 (2020 წლის 9 სექტემბრის გადანყვეტილება), იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, აღნიშნული სტანდარტებისგან განხვავებით, გამოიყენა უტყუარი მტკიცების სტანდარტი, რაც ამ სტანდარტზე უფრო მაღალია. მოცემულ საქმეში, მხარე ამტკიცებდა, რომ მოსამართლემ პროცესის დასრულების შემდეგ მეორე მხარეს დარბაზში დარჩენა სთხოვა და მასთან ცალკე საუბარი წამოიწყო. მეორე მხარის წარმომადგენელმა ეს მტკიცება არ გამოირიცხა და აღნიშნა, რომ აღნიშნულ მოსამართლესთან ბევრი ადმინისტრაციული საქმე ჰქონდა, თუმცა იმ წუთიერად დასრულებულ საქმეზე მოსამართლესთან არ ისაუბრებდა. მოსამართლემ ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. სხდომის ჩანაწერებში კი ასეთი მტკიცებულება არ აღმოჩნდა (რაც ბუნებრივია, ვინაიდან სხდომა დასრულებული იყო).

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქმის შეწყვეტისას აღნიშნა შემდეგი: „გემოაღნიშნულის გათვალისწინებით უტყუარად დადასტურება იმისა, დარჩა თუ არა დარბაზში ან, დარჩენის შემთხვევაში, რა საკითხზე საუბრობდა მოსამართლესთან, შეუძლებელია. აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება მოძიებული ვერ იქნა და არც მხარის მიერ ყოფილა წარმოდგენილი“.

ვფიქრობთ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უტყუარი მტკიცებულების სტანდარტის გამოყენება არასწორია. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობის ეტაპზე უნდა გამოიყენებინა ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი, რომელიც მოცემულია საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹⁴ მუხლში.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹³ მუხლის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასევე უფლებამოსილია დამოუკიდებელ ინსპექტორს დაავალოს დისციპლინურ საქმეზე დამატებითი გამოკვლევის ჩატარება და მისცეს მას შესაბამისი მითითებები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2017-20 წლებში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ინსპექტორისთვის საქმის დამატებითი გამოკვლევა არ დაუვალებია.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს დამოუკიდებელ ინსპექტორს მიმართოს შუამდგომლობით და მოითხოვოს დამატებითი ახსნა-განმარტების ჩამორთმევა. დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის შუამდგომლობით არ მიუმართავთ.

7.1.9. მოსამართლის უფლება დამცველზე

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს ისარგებლოს დამცველის უფლებით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით 2017-2020 წლებში მოსამართლეებს დამცველის უფლებით არ უსარგებლიათ.

7.2. დისციპლინური გადაცდომები საქართველოში და საზღვარგარეთ. სადისციპლინო ორგანოების კრაქტიკა

7.2.1. დისციპლინური გადაცდომების „დეკრიმინალიზაცია“

2019 წლის 13 დეკემბერს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შესული ცვლილებით დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი შეიცვალა. ზოგიერთი გადაცდომა (მაგალითად მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) გაუქმდა, ხოლო ზოგიერთი ახლებურად იქნა ფორმულირებული. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა მატერიალური დისციპლინური კანონმდებლობის უკუქცევითი ძალის საკითხი.

იუსტიციის უმაღლეს საბჭო თავის გადანყვეტილებებში თავს არიდებს საკითხს - შეიძლება თუ არა მოსამართლემ პასუხი აგოს იმ ქმედებისთვის, რომელიც გადაცდომას წარმოადგენდა მისი ჩადენის დროს, მაგრამ დღეს აღარ წარმოადგენს. კერძოდ, 2019 წლის დეკემბერში საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შესული ცვლილებით ამოღებული იქნა დისციპლინური გადაცდომა: მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. საქმეში 195/18 მოსამართლის მიმართ მხარის პრეტენზია ეხებოდა მის მიერ მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას, რაზეც 2018 წლის 18 ოქტომბერს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა წარმოადგინა დადებითი დასკვნა. 2020 წლის 9 სექტემბრის სხდომაზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ დასკვნაზე და მიიჩნია, რომ მოსამართლის ქმედება არ წარმოადგენდა მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას და საქმე შეწყვიტა ამ საფუძვლით, თუმცა ვფიქრობთ, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, პირველ რიგში, უნდა ემსჯელა დისციპლინური კანონმდებლობის უკუქცევითი ძალის საკითხზე და საქმე უნდა შეწყვიტა იმ საფუძვლით, რომ მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება აღარ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

7.2.2. უმნიშვნელო გადაცდომები

2019 წლის 13 დეკემბერს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში შეტანილი ცვლილებით დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდოდა მისი ჩადენისათვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე (75¹ მუხლის 7 ნაწილი).

მსგავს ჩანაწერს ითვალისწინებს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა (de minimis requirement) და საგანგებოდ არის მოხსენიებული გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში, როგორც აპრობირებული საერთაშორისო სტანდარტი¹⁴⁴.

აღნიშნული ჩანაწერი გამოყენებული იქნა საპროცესო ვადების დარღვევის საქმეებზე, სადაც აღინიშნა, რომ ვადის დარღვევა იყო უმნიშვნელო და არ გამოუწვევია მხარისათვის ზიანი¹⁴⁵. მაგალითად, საქმეზე 160-18-2, სადაც მხარეებს დასაბუთებული განჩინება გაეგზავნათ დაახლოებით 1 თვის და 12 დღის შემდეგ, აპელანტმა საკასაციო საჩივარი წარადგინა ფორმალურად, რათა გასაჩივრების ვადა არ გაეშვა. თუმცა საბჭოს აზრით ეს არ იყო მნიშვნელოვანი დარღვევა, ვინაიდან მხარეს არ წართმევია საპროცესო უფლება, მიემართა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოსათვის.

144 Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Diego García-Sayán, 2020, p. 12, <https://undocs.org/A/75/172>.

145 იხ. მაგ. საქმე 160-18-2

აღნიშნულ მსჯელობას ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან საკასაციო საჩივრის ფორმალური წარდგენა ვერ უზრუნველყოფს გასაჩივრების უფლების სრულად რეალიზაციას და მხარის იძულება, გაასაჩივროს გადაწყვეტილება დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, ვერ ჩაითვლება უმნიშვნელო დარღვევად.

ზოგ შემთხვევაში, უმნიშვნელო დარღვევად ითვლება ვადის გადაცილება რამდენიმე დღით (იხ. მაგ. საქმე 91.18).

7.2.3. მოსამართლის დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვა, საქმეზე მოსაზრების წინასწარ გამოხატვა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის ა.ა. პუნქტით: დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.

2019 წლის 13 დეკემბრამდე აღნიშნული საკითხი საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით იყო მოწესრიგებული, რომლის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს „სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა“.

სამოსამართლო ეთიკის ნორმების მე-3 მუხლით, „მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი“.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის ბ.ა. ქვეპუნქტით: დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს ბ.ა) მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოხატვა სამოსამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე. ამასთანავე, დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება მოსამართლის მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ამ საქმესთან დაკავშირებულ საორგანიზაციო და ტექნიკურ საკითხებზე განმარტებების გაკეთება;

მოსამართლის მიუკერძოებლობის სტანდარტის განსაზღვრისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხშირად იყენებს სამოსამართლო ეთიკის წესების პირველ მუხლს, რომლის თანახმად, მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელია და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კანონის შესაბამისად. მე-3 მუხლის მიხედვით, მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი. ბანგალორის პრინციპების 2.2 მუხლს, რომლის თანახმად მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი ქცევა როგორც სამოსამართლოში, ასევე მის გარეთ იცავდეს და ამაღლებდეს მოსამართლისა და სამოსამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიების და მხარეების მხრიდან.

აღნიშნული უფლებათა ევროპული სამოსამართლოს პრევენციული პრაქტიკის გამოყენებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიუთითებს შემდეგს¹⁴⁶:

146 იხ. მაგ. საქმე 177-18-1

„ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არქონას და ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისათვის იგი შემდეგი გარემოებების საფუძველზე დგინდება: სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად ფასდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები, ქცევა - გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან, ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; და ობიექტური ტესტით - უზრუნველყოფილია თუ არა, სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე, საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიები (Fey v. Austria; Wettstein v. Switzerland). სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის (ობიექტური ტესტი) მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს. სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისითაც, ე.ი. ის უნდა სთავაზობდეს საზოგადოებას საკმარის გარანტიებს, რათა გამოირიცხოს ლეგიტიმური ეჭვი ამ კუთხით (Pullar v. the United Kingdom).

მოსამართლის წინასწარ განწყობის საკითხთან დაკავშირებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხშირად მოიხვედრება ბანგალორის ქცევის კოდექსის კომენტარის 58-ე პარაგრაფს, რომლის თანახმად: წინასწარ შექმნილი განწყობა შეიძლება გამოვლინდეს სიტყვიერი ან ფიზიკური ფორმით. ამის მაგალითებია: ეპითეტები, ინსინუაციები, შეურაცხმყოფელი მეტსახელები, უარყოფითი სტერეოტიპების შექმნა, სტერეოტიპებით ნასაზრდოები უხეირო ხუმრობები (მაგ.: სქესის, რომელიმე კულტურისა თუ რასისადმი კუთვნილების შესახებ და სხვ.)¹⁴⁷

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრაქტიკის მიხედვით, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი აზრის არსებობის თაობაზე ვარაუდის საფუძველი დგინდება სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორცაა: „მომეტებული ალბათობა“, „რეალური შესაძლებლობა“, „დიდი ალბათობა“, ასევე „საფუძვლიანი ეჭვი“ მიკერძოების თაობაზე. მიკერძოების არსებობის შესახებ ვარაუდი დასაბუთებული უნდა იყოს.¹⁴⁸

სანგარიშო პერიოდში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განიხილა მრავალი დისციპლინური საქმე, სადაც მომჩივანი დაობდა მოსამართლის მხრიდან აშკარა მიკერძოების წარმოჩენას.

საქმეში 155-18 მოსამართლის მიერ აზრის წინასწარ გამოხატვად და მიკერძოებად არ ჩაითვალა მხარისადმი მიმართვა: „ეს არგუმენტები უზენაეს სასამართლოში შეგიძლიათ... ნუ, თუ გააგრძელებთ დავას, დაასაბუთებთ თქვენს საქმეს...“ .

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან ამ სიტყვებში ჩანს მოსამართლის მინიშნება, რომ ის აპირებს მხარის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანას. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ეს კონტექსტი არ იქნა ჯეროვნად შეფასებული.

საქმეში 63-17 იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არ ჩათვალა მიკერძოებად სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მიერ იმის მითითება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების 80% ძალაში რჩება. მან ასევე აღნიშნა, რომ მხარეზე დაკისრებული თანხა შეიძლება შეიცვალოს სხვა კონკრეტული თანხით. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ აღნიშნული არ მიიჩნია დარღვევად, გამომდინარე იქედან, რომ მხარეთა მორიგების მიზნით მოსამართლეს შეუძლია მიუთითოს საქმის გადაწყვეტის კონკრეტულ შედეგებზე.

მსგავსი მიდგომით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიკერძოებად არ ჩათვალა მოსამართლის

147 იბ. მაგ. საქმე 155-18
148 177-18-1

მიერ მხარისადმი მიმართვა შემდეგი სიტყვებით: „მართალია, 100%-ით არ გაქვთ მინდობილობა წარმოდგენილი და ფიზიკურ პირს არ წარმოადგენთ, მაგრამ მაინც მინდა, რაღაც დობით მორიგებაზე გავსაუბროთ. ხედავთ 87 წლის ადამიანია, დავის საგანი არის 200 ლარი და ძალიან მინდა, ამ საკითხთან დაკავშირებით მორიგებას მიაღწიოთ მხარეებმა... 87 წლის ადამიანია, ხანდაზმულთა პანსიონატში ცხოვრობს და იქნებ გადაუხადოთ ეს 200 ლარი¹⁴⁹“ როგორც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განმარტა, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლე არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა მხარეთა შორის მორიგების მიზნით, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განუმარტოს მხარეებს საქმის მორიგებით დასრულების მნიშვნელობა და შესთავაზოს მხარეებს მორიგება.¹⁵⁰

მოსამართლის მიერ განჩინებაში ნახსენები ფრაზა: „ამ ეტაპზე არ არსებობს ...მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი.“ არ ჩაითვალა მოსამართლის მიკერძოების დასტურად (საქმე-118-17).

საქმეზე 136/17 მომჩივანი ამტკიცებდა, რომ სხდომაზე გამოცხადდა მოქალაქე, რომელსაც სასამართლოს შემადგენლობა ფეხზე წამოდგომით შეეგება, ის დაესწრო სასამართლოს სხდომას და მისი დასრულებისთანავე მოწინააღმდეგე მხარესთან ერთად დატოვა დარბაზი კმაყოფილი სახით, აღნიშნული საქმე შეწყდა მტკიცებულების არარსებობის გამო. უცნაურია ის გარემოება რომ საქმიდან დაიკარგა სხდომის ვიდეოჩანაწერი, ხოლო აუდიო ჩანაწერის მეშვეობით აღნიშნული ფაქტის დადგენა შეუძლებელი იყო. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებული იყო საქმეზე სრულფასოვანი მოკვლევა ჩაეტარებინა და დაედგინა მომჩივანის მიერ მითითებული გარემოების არსებობა-არ არსებობის ფაქტი.

საქმეში 150-17, საბჭომ მოსამართლის მხრიდან მხარისთვის მიმანიშნებელი ფრაზების მიცემა არ ჩათვალა დისციპლინურ გადაცდომად, კერძოდ მოსამართლემ მხარეს შეუსწორა პოზიცია, კერძოდ ხაზი გაუსვა, რომ მხარემ ექსპერტიზა არა თუ ვერ ჩაატარა, არამედ უკვე ჩატარებული ექსპერტიზა საკმარისია მხარის პოზიციის გასამყარებლად.

საქმეზე 165-17, მხარე ამტკიცებდა, რომ მოსამართლე იყო კონკრეტული უნივერსიტეტის ლექტორი და იღებდა ანაზღაურებას ამ უნივერსიტეტიდან, შესაბამისად, ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი მის წინააღმდეგ მიმართულ დავაში. საბჭოს გადანყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მოსამართლის მიერ განხილულ საქმეში ამ უნივერსიტეტის მონაწილეობა არ დადასტურდა.

ამისგან განსხვავებით, საქმეში 76-18, მოსამართლემ განიხილა საქმე, სადაც მხარეს წარმოადგენდა უნივერსიტეტი, სადაც მოსამართლეს დადასტურებულად ეჭირა აკადემიური თანამდებობა. აღნიშნულ საქმეზე მოსამართლემ თვითაც იღებდა არ მოითხოვა. აღნიშნულ საქმეზე, ინსპექტორმა დაადასტურა მოსამართლის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის - ეთიკის წესების დარღვევის არსებობა. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ეს დასკვნა არ გაიზიარა და მიუთითა შემდეგი:

“მოსამართლეები არ უნდა იყვნენ იზოლირებულნი საზოგადოებისაგან. მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაუზიარონ თავისი ცოდნა და გამოცდილება მომავალ იურისტებს. შესაბამისად, ის მოცემულობა, რომ მოსამართლე განიხილავს იმ უნივერსიტეტის კერძო საჩივარს, სადაც მას უკავია ანაზღაურებადი თანამდებობა, არ ქმნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანისათვის, რადგან მხარეს

149 175/18
150 იქვე

მოსამართლის აცილების შუამდგომლობით არ მიუმართავს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ თავად მოსამართლეს თვითაცილების განხორციელების ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ სუბიექტური ტესტის გათვალისწინებით, მას წინასწარ ექნებოდა შექმნილი აზრი კონკრეტულ დავასთან მიმართებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც სახეზეა აცილების აშკარა საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხარეს აცილების შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავს, ხოლო მოსამართლეს თვითაცილების განხორციელებისათვის აშკარა საფუძველები არ გააჩნდა, მოცემულ დისციპლინურ საქმეში გადაცდომის ჩადენის ნიშნები არ იკვეთება”.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლის დისკრეცია მეტისმეტად ფართოდ განმარტა. როდესაც მოსამართლე იხილავს საკუთარი დამსაქმებლის წინააღმდეგ მიმართულ დავას, უკვე სახეზეა მოსამართლის აცილების მკაფიო საფუძველი და მოსამართლეს ეს საქმე თავად უნდა აეცილებინა.

საქმეში 4-18, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მოსამართლეს, უნდა განეცხადებინა თვითაცილება სამოქალაქო საქმის განხილვისას. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქმის შეწყვეტისას მიუთითა, რომ მამიდას ნათლულობა, რომელიც დაუდასტურებელი ფაქტია, თუნდაც დადასტურების შემთხვევაში, არ წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ აცილების საფუძველს.

რაც შეეხება იმას, რომ მოსამართლეს აქვს მიწის ნაკვეთი მოპასუხის გვერდით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განმარტებით, აღნიშნული არ დასტურდება მოსამართლის მიერ შევსებული დეკლარაციით. ვფიქრობთ, რომ მოცემულ შემთხვევაში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს საქმე არ უნდა შეეწყვიტა და უნდა გადაემოწმებინა მოსამართლე ფაქტობრივად ხომ არ ფლობდა მიწის ნაკვეთს მოპასუხის მეზობლად.

საქმეზე 166/17 სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მოსამართლე ბრალდების მხარის დასკვნითი სიტყვის მოსმენის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპს და დაცვის მხარეს, შუამდგომლობის საფუძველზე მისცა მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა. რის შემდეგაც ბრალდების მხარემ ველარ ისარგებლა დასკვნითი სიტყვის უფლებით. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩათვალა, რომ ბრალდების მხარეს მიეცა შესაძლებლობა მოწმის ჩვენება რეპლიკის დროს შეეთასებინა, შესაბამისად პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპი არ დარღვეულა.

საქმეზე 75-18 იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩათვალა, რომ ის ფაქტი, რომ მოსამართლე და მოსარჩელის ძმა ერთ კათედრაზე მუშაობდნენ არ წარმოადგენდა მოსამართლის აცილების საფუძველს, შესაბამისად, ადგილი არ ჰქონდა მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევას.

მოსამართლესთან ცალმხრივი კომუნიკაციის საკითხების განხილვისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო აკეთებს შემდეგ განმარტებას:

მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი გადანწყვეტილების შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც, რომელიც წინ უძღვის გადანწყვეტილების მიღებას. მოსამართლე თავს უნდა არიდებდეს მხარეებთან ისეთი სახის კომუნიკაციებს, რომლებმაც შესაძლოა, საფუძვლიანი ეჭვი გამოიწვიონ, ან იმგვარად წარმოაჩინონ ვითარება, თითქოს რაიმე სახის მიკერძოება ამოძრავებდეს. მიკერძოებისა და წინასწარი უარყოფითი განწყობის შეგრძნება უკმაყოფილებისა და უსამართლობის განცდას იწვევს და სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობას არყევს. იმის დადგენისას, თუ რამდენად მიუკერძოებლად გამოიყურება მოსამართლე საზოგადოების თვალში, კრიტერიუმად გამოიყენება სალად

მოაზროვნე გარეშე დამკვირვებლის სტანდარტი. მოსამართლის მიუკერძოებლობა შეიძლება ეჭვქვეშ აღმოჩნდეს მისი მხარესთან განხორციელებული ზედმეტი კომუნიკაციის გამოც (40-18).

მიუხედავად ამისა, საბჭოს მიერ ამ სტანდარტის გამოყენების საკითხი ეჭვს იწვევს, კერძოდ, საქმეზე 40-18, მოსამართლემ ერთ მხარეს დაატოვებინა სხდომის დარბაზი მეორე მხარესთან განმარტოებით საუბრის მიზნით.

სხდომის ოქმის აუდიო და ვიდეო ჩანაწერის მოსმენის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსამართლე 2018 წლის 6 თებერვალს გამართულ სხდომაზე ბოდიშს უხდის მოსარჩელეს იმისთვის, რომ დაატოვებინა რამდენიმე წუთით დარბაზი და განუმარტავს, რომ მოპასუხესთან ისაუბრა მორიგების პირობებზე (16:40:15). თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ მორიგება უნდა მოხდეს ორივე მხარის თანდასწრებით და არა ინდივიდუალურად თითოეულ მხარესთან. მიუხედავად ამისა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინური საქმე შეწყვიტა საჭირო კვორუმის არარსებობის გამო, კერძოდ საბჭოს 4-მა წევრმა მხარი არ დაუჭირა მოსამართლის პასუხისგებაში მიცემას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში 2019 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებით გათვალისწინებული იქნა დისციპლინური გადაცდომა: „მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით“. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განმარტებით: „მოსამართლის მხრიდან საქმისადმი პირადი ინტერესის შემთხვევაში, ქმედება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს გადაცდომად, შეიძლება იყოს როგორც მოსამართლის მიუკერძოებელი დამოკიდებულება საქმის ერთ-ერთი მხარის მიმართ, ისე ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება ან მოსამართლის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა“.¹⁵¹

ეს იმას ნიშნავს, რომ მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება, მისი კანონიდან ამოღების მიუხედავად, მაინც წარმოადგენს დასჯად გადაცდომას გარკვეულ შემთხვევებში.

მოსამართლის მიერ აშკარა მიუკერძოების, ცალმხრივი კომუნიკაციის და საქმეზე მოსაზრების წინასწარ გამოხატვის მრავალი მაგალითი გვხვდება საზღვარგარეთის ქვეყნების (აშშ, საფრანგეთი) დისციპლინურ პრაქტიკაში.

კერძოდ, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვალა შემდეგი შემთხვევები:

- » მოსამართლის მიერ მხარისთვის საქმის შედეგის წინასწარ გაცხადება;¹⁵²
- » მოსამართლის მიერ საქმის განხილვა იმის მიუხედავად, რომ ინტიმური ურთიერთობები ჰქონდა მხარესთან;¹⁵³
- » მოსამართლემ განიხილა საქმე, რომელშიც მხარეს წარმოადგენდა მისი მეგობარი და მისი კომპანია;¹⁵⁴

151 იხ. საქმე 184/18

152 საფრანგეთის მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების კრებული, <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/Researches/csmsummariesFRANCE.pdf> საქმე ნ. 11 გადაწყვეტილება.

153 იქვე, საქმე 6.079.

154 იქვე, საქმე 6.096

- » მოსამართლემ კონკრეტულ საქმეზე სამართლებრივი რჩევა მისცა მხარეს და შემდეგ ეს საქმე თავად განიხილა;¹⁵⁵
- » მოსამართლემ არ აიცილა საქმე, რომელშიც განსასჯელი იყო მისი დის ყოფილი შეყვარებული; ამავე საქმეზე ის ცალმხრივად ტელეფონით ესაუბრებოდა განსასჯელს და აძლევდა მას სხვადასხვა ინფორმაციას და რჩევებს საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;¹⁵⁶
- » მოსამართლე ცალმხრივად, თარულად შეხვდა საქმეში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს და თხოვა დაემოწმინებინა მისი ადვოკატი, რომელიც იმუქრებოდა დისციპლინური საჩივრის შეტანით;¹⁵⁷
- » ერთ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე მოსამართლე და კოლეგიის წევრი პროკურორი ერთმანეთს ფამილარულად ესაუბრებოდნენ ტვიტერის მეშვეობით, რაც ხელმისაწვდომი იყო თართო საზოგადოებისთვის და გახმაურდა მედიაში;¹⁵⁸
- » მხარის მიმართ აშკარა სიმპათიის ან ანტიპათიის დემონსტრირება;¹⁵⁹
- » ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გაკრიტიკება ან შექება;¹⁶⁰
- » მოსამართლე სხდომის შემდეგ გადაეხვია ბრალდებულს;¹⁶¹
- » მოსამართლემ პროცესზე განაცხადა რომ ამ საქმის განხილვა არის ღრობის ფუჭი ფლანგვა;¹⁶²
- » მოსამართლემ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე განაცხადა, რომ მისი ვაჟიც ისევე მოიქცეოდა, როგორც მოიქცა ბრალდებული;¹⁶³
- » მოსამართლის მიერ საკუთარი მეგობრების საქმეების თავის თავზე დანერა და შელავათიანი გადანყვეტა (ჯარიმების მოხსნა) (ან დაჩქარებული წესით განხილვა)¹⁶⁴
- » საქმეზე საკუთარი ინიციატივით გარე ინფორმაციის მოძიება (მოსამართლემ დაურეკა მონმეს და გამოკითხა საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტები);¹⁶⁵
- » მოსამართლემ მას შემდეგ რაც აიცილა სისხლის სამართლის საქმე, კომუნიკაცია დაამყარა თავის შემცვლელ მოსამართლესთან საქმის არსთან დაკავშირებით და აუხსნა მიზეზები თუ რატომ დაადგინა გირაოს კონკრეტული თანხა;¹⁶⁶
- » საქმეში Pulver, მოსამართლემ განიხილა თავისი ძმისშვილების და სიძის საქმე, რაც ჩაითვალა დისციპლინურ გადაცდომად;¹⁶⁷

155 იქვე, საქმე 6.152

156 იქვე, საქმე 6.179

157 იქვე, საქმე 6.193

158 იქვე, საქმე 6.213

159 იხ. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების მიმოხილვა კალიფორნიის სამოსამართლო ექვევის კომისიის პრაქტიკის მიხედვით, <http://dcj.court.ge/uploads/kvlevebi/Researches/california.pdf>

160 იქვე

161 იქვე

162 იქვე

163 იქვე

164 იქვე

165 იქვე

166 იქვე

167 N.Y.1982, ალფინი, გვ. 4-33 ა

» მოსამართლეს, რომელიც იხილავდა სისხლის სამართლის საქმეს ფეისბუქ მეგობრებად ჰყავდა დაზარალებული, დაზარალებულის ოჯახის წევრები და დამნაშავის დამკავებელი პოლიციის ოფიცერი.¹⁶⁸

როგორც ვხედავთ, მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ქართული პრაქტიკა საკმაოდ მწირია საზღვარგარეთის ტრადიციულ სისტემებთან შედარებით, თუმცა, ამავდროულად ბევრად უფრო ლიბერალურიც. ის რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლის მიერ თავისი დამსაქმებლის წინააღმდეგ მიმართული საქმის განხილვა არ ჩათვალა აცილების სავალდებულო საფუძვლად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გაუმართლებელ ლმობიერებაზე მეტყველებს.

7.2.4. მოსამართლის მოვალეობის შემსრულებლობა ან არაჯეროვანი შემსრულება

მიუხედავად იმისა, რომ 2009 წელს დისციპლინურ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით გაუქმდა „კანონის უხეში დარღვევა“ როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი, დისციპლინურ პრაქტიკაში ყოველთვის პრობლემატური იყო „მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების“ განმარტება.

დისციპლინური გადაცდომისა და სამართლებრივი შეცდომის გამიჯვნისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხშირად იშველიებს სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებას, სადაც აღნიშნავს, რომ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული „შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, მისი ხარისხი, განმეორებითი და არაერთგზისი ხასიათი, მოსამართლის კეთილსინდისიერება, მისი მოტივი, რაც ქმნის მიჯნას დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის“.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასევე ხშირად იშველიებს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის Nდს-შ/9-16 გადაწყვეტილებას, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის - კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება, კანონმდებლობის მოთხოვნათა სანაწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია, მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/ უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად, თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.¹⁶⁹

¹⁶⁸ <http://judicialconductboardofpa.org/wp-content/uploads/2018-Annual-Report-Judicial-Conduct-Board-of-Pennsylvania-1.pdf>

¹⁶⁹ დამხმარე წყაროდ ასევე ხშირად მოყვანილია საზღვარგარეთის ქვეყნების (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომლის შესაბამისადაც, „მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს“.

შესაბამისად, მოსამართლის დისკრეცია, რომელიც არ მონმდება დისციპლინური წესით, შეიძლება ეხებოდეს სასამართლოს შუალედურ გადაწყვეტილებებს - მაგალითად, ახალი მტკიცებულების დაშვებას (89/17) ან არ დაშვებას (საქმე 78-17). (მონმეთა დაკითხვას 214-17) საჯარო შეტყობინების გზით მოპასუხისთვის სარჩელის ჩაუბარებლობას (საქმე 108-17), განსჯადობის გამო სარჩელის წარმოებაზე უარის თქმას (13-18) მხარის ბაჟისგან გათავისუფლებას (137-19) საკასაციო საჩივრის დასაშვებობას. (200-17-1) იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ აღნიშნა, რომ ეს მოსამართლის დისკრეციას წარმოადგენს, ამიტომ არ იმსჯელა გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

ასევე, შეიძლება ეხებოდეს სასამართლოს შემაჯამებელ გადაწყვეტილებებს (საქმე 138/17) (თუნდაც ეს გადაწყვეტილება შეცვლილი ან გაუქმებული იყოს სააპელაციო ან საკასაციო წესით (საქმე 189-17)

მაგალითად, საქმეზე 67-18-2 სასამართლომ ჩათვალა, რომ სისხლის სამართლის პროცესში საქმის მასალების მოთხოვნა დაზარალებულის მიერ არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ დავას და ამ საფუძვლით საქმე შეწყვიტა. მოსამართლის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა მოსარჩელე მხარემ. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უარი თქვა, რომ შესულიყო გადაწყვეტილების შინაარსში და მიუთითა, რომ ეს საკითხი მოსამართლის დისკრეციას წარმოადგენდა.

იგივე ეხება განჩინების კანონიერების შემოწმებას სისხლის სამართლის საქმეებზე (იხ. მაგ. საქმე 50-17)

საქმეზე 200/17-1 სადისციპლინო ორგანო ასევე არ შევიდა მსჯელობაში, თუ რამდენად სწორად იქნა ცნობილი საკასაციო სარჩელი დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის შესაბამისად.

ხშირ შემთხვევაში, საბჭო მიუთითებს, რომ მხარემ არ გამოიყენა ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონიერი საშუალებები (მაგალითად, სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებების მიღებისას - (საქმე 123-17)

იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასევე თვლის, რომ არასწორი საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება, თუ ამან რაიმე ზიანი არ გამოიწვია, არ წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს (93/17)

ისეთ შემთხვევებში, როდესაც მომჩივანი სასჯელის უსამართლობას უჩივის, იუსტიციის საბჭო შემოიფარგლება მხოლოდ იმის შემოწმებით, ექცევა თუ არა მოსამართლის მიერ გამოტანილი სასჯელი მინიმუმისა და მაქსიმუმის ფარგლებში (საქმე ნ. 144/17).

05-18, მომჩივანი მიუთითებდა, რომ მოსამართლემ დაცვის მხარის 22 პუნქტიანი შუამდგომლობის განხილვას უჩვეულოდ მცირე დრო მოანდომა. სხდომის ჩანაწერებით დადგინდა, რომ მოსამართლე 54 წუთი იმყოფებოდა სათათბირო ოთახში, რაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეფასებით, არ წარმოადგენს შეუსაბამოდ მცირე დროს.

ის შემთხვევები, სადაც მოსამართლე გასცდა უფლებამოსილების ფარგლებს, შესაძლოა დაეჭვებდებაროს დისციპლინურ კონტროლს. მაგალითად საქმეზე 67/17 მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მოსამართლემ მესამე პირად ჩასაბმელ პირს დაავალა მემკვიდრეობის მიღება. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქმის მასალების შემოწმების შედეგად დაადგინა, რომ ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია.

საქმეში 07-18, სადაც მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მოსამართლემ აცილების შუამდგომლობის დაყენების საშუალება არ მისცა, სხდომის ოქმის ჩანაწერის შესწავლის შედეგად, ასეთი რამე არ დადგინდა.

მეორეს მხრივ, პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო მსჯელობს მოსამართლის გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობის თაობაზე. მაგალითად, საქმეზე - 157-17, სადაც მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მას, როგორც სოციალურად დაუცველ პირს მოსამართლემ არასწორად დააკისრა ბაჟის გადახდა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიუთითა, რომ მოსამართლეს ასეთი უფლებამოსილება ჰქონდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

საქმეზე 112-18, სადაც მხარე ამტკიცებდა, რომ მოსამართლემ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება (საგამოძიებო მოქმედება - საუბრის ჩანერა ჩატარდა სასამართლოს განჩინების გარეშე) დაურთო საქმეზე, საბჭომ იმსჯელა მტკიცებულების მოპოვების კანონიერებაზე და აღნიშნა, რომ მტკიცებულება დასაშვები იყო სსსკ. 112-ე მუხლის შესაბამისად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასევე მხედველობაში იღებს, გამოიწვია თუ რა სამოსამართლო შეცდომამ მხარეთა უფლებების დარღვევა.

მაგალითად, საქმეში 172/17, სადაც მოსამართლემ ბრალდებულს არასრულად განუმარტა მისი უფლებები, საბჭომ მიუთითა, რომ ბრალდებულს ჰყავდა ორი დამცველი და გამოძიებაში მას სამჯერ განემარტა მისი უფლებები. შესაბამისად, მისი ინტერესები არ შელახულა.

საქმეში 195-18 მოსამართლემ მოჰასუხე მხარის მიმართ საჯარო შეტყობინება განახორციელა (ხოლო შემდგომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება) იმის მიუხედავად, რომ მისთვის ცნობილი იყო მხარის ფაქტობრივი მისამართი და ტელეფონის ნომერი. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქმის შეწყვეტისას მიუთითა, რომ სახეზე იყო სამოსამართლო შეცდომა, რომელსაც არ ახლდა არაკეთილსინდისიერი მოტივი, ხოლო საბოლოო ჯამში ეს შეცდომა გამოსწორდა სააპელაციო წესით.

საქმეში 202-17, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა ძალადაკარგულ ნორმაზე დაყრდნობით, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა შეათვასა მოვალეობის არაჯეროვან შესრულებად, ხოლო იუსტიციის საბჭომ დისციპლინურ გადაცდომად არ ჩათვალა და საქმე შეწყვიტა გამომდინარე იქედან, რომ მოსამართლის მხრიდან სახეზე არ ყოფილა განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა ან არაჯეროვანი მოტივი, ხოლო მოსამართლის შეცდომა გასწორდა სააპელაციო წესით, შესაბამისად მხარის უფლება არ დარღვეულა.¹⁷⁰

ამისგან განსხვავებით, საქმეზე 1/01-17 სადისციპლინო კოლეგიამ დაადგინა მოსამართლის მიერ მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება პატიმრობის კოდექსის 124-ე მუხლის დარღვევის გამო, რომლის თანახმადაც ბრალდებულს 2016 წლის 1 იანვრამდე უფლება აქვს, ადმინისტრაციის კონტროლით, საკუთარი ხარჯით აწარმოოს მიმონერა და 1 თვის განმავლობაში 3-ჯერ ჰქონდეს სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, მხოლოდ გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ნებართვით. კოლეგიამ ჩათვალა, რომ სატელეფონო საუბრებზე ბრალდებულისათვის ნებართვის გაუცემლობამ არსებითად შეზღავნა მისი უფლებები.

საქმეზე 222-17 იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უარი თქვა შეემონებინა სასჯელის (5000 ლარი ჯარიმის) პროპორციულობა დანაშაულის შედეგად გამოწვეულ ზიანთან (25 000 ლოლარი).

ზოგ შემთხვევაში კი საბჭო თავს არიდებს ასეთ მსჯელობას საჩივრის მოთხოვნის მიუხედავად. მაგალითად, 114-17 გადაწყვეტილებაში არ არის ახსნილი, თუ რატომ არ მიიღო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმის მიუხედავად, რომ გავიდა მოპასუხისთვის შესაგებლის წარდგენის ვადა.

170 საქმე ასევე აღწერილია დამოუკიდებელი ინსპექტორის 2017-18 წლების ანგარიშში.

საქმეზე 166/17 სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მოსამართლე ბრალდების მხარის დასკვნითი სიტყვის მოსმენის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპს და დასკვის მხარეს, შუამდგლომლობის საფუძველზე მისცა მონმის დაკითხვის შესაძლებლობა. იუსტიციის საბჭომ ჩათვალა, რომ მოსამართლემ მართალია დაარღვია სისხლის სამართლის პროცესის ფორმალური ნორმა, მაგრამ აღნიშნული გააკეთა უფრო მაღალი ღირებულების დასაცავად, როგორცაა ბრალდებულის უფლება სამართლიან განაჩენზე. შემდგომ მან მიუთითა, რომ სასამართლოს აქტის კანონიერებაზე მსჯელობა ზემდგომი სასამართლოს კომპეტენციაა და დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში არ უნდა შემოწმდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის თანახმად, „მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, მოსამართლეს შეუძლია განიხილოს საქმე ან/და მიიღოს გადაწყვეტილება არასამუშაო დროს, მათ შორის დასვენებისა და უქმე დღეებში“. არ ჩაითვალა დისციპლინურ გადაცდომად სამუშაო საათების გადაცილება 36 წუთით, რაზეც მხარეებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ და რაიმე სახის ზიანი არ მიდგომიათ.

როდესაც საქმე ეხება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის ვადების დარღვევას, ეს შესაძლოა დაკვალიფიცირდეს ან არ დაკვალიფიცირდეს არაჯეროვან შესრულებად მოსამართლის დატვირთულობიდან გამომდინარე. მაგალითად, მოსამართლის მიმართ საქმე შეწყდა საქმეზე (154-17), სადაც ვადის გადაცილებას არ მოჰყოლია გასაჩივრების უფლების ხელყოფა. ასევე მოსამართლის დატვირთულობიდან გამომდინარე, საპატიოდ იქნა ცნობილი დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება 6 თვიანი დაგვიანებით (საქმე 103-17), საკასაციო სასამართლოს მოსამართლის მიერ საჩივრის დასაშვებობის საკთხის გადაწყვეტა 4 თვის დაგვიანებით და საქმის განხილვა წელიწადის და ხუთი თვის შემდეგ (53-18). 8 თვის დაგვიანებით (საქმე 131-17),¹⁷¹ 9 თვის დაგვიანებით (საქმე 49-18).

ყველაზე თვალმისაცემია საქმე 197-18, სადაც მხარეებს 2015 წელს გამოტანილი გადაწყვეტილება 2018 წლის მდგომარეობით ჯერ კიდევ არ ჩაბარებიათ (3 წლისა და 2 თვის განმავლობაში), თუმცა მოსამართლის დატვირთვის გათვალისწინებით (წელიწადში 500-600 საქმემდე) იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ აღნიშნულიც საპატიოდ ჩათვალა.¹⁷² აღსანიშნავია, დასაბუთებული გადაწყვეტილების ვადის დარღვევისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მხედველობაში არ იღებს, თუ რამდენად რთული იყო მოცემული საქმე და რამდენად შრომატევადი იყო ეს გადაწყვეტილება. ასეთი მიდგომა არ არის გონივრული.

ზოგადად, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მხარისთვის ჩაბარების ვადის დარღვევა საკმაოდ გავრცელებულია. აღვოკატებს სააპელაციო სასამართლოში შეაქვთ ფორმალური საჩივარი, რათა გასაჩივრების ვადა არ დაარღვიონ, იმ დათქმით, რომ საჩივრის დასაბუთებას წარმოადგენენ მას შემდეგ, რაც ჩაბარდებათ გადაწყვეტილება. დისციპლინური ორგანო კი ასეთ პრაქტიკაზე დაფუძნებით, აცხადებს, რომ გადაწყვეტილების ჩაბარების დაგვიანება მხარეს არ უშლის ხელს გასაჩივრებაში და ამდენად, მისი ინტერესები არ ზიანდება. შესაბამისად, დისციპლინური ორგანოც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ამ პრაქტიკის „დაკანონებას.“ ასეთი მიდგომით კი აზრს კარგავს კანონით გათვალისწინებული საპროცესო ვადების არსებობა და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობას.

171 ამისგან განსხვავებით საქმეზე 1/01/17 სადისციპლინო კოლეგიამ ჩათვალა, რომ განაჩენის 5-6 თვის დაგვიანებით მომზადება და მხარისათვის გადაცემა (18 ეპიზოდი) წარმოადგენდა მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას.

172 აღნიშნულ საქმეზე დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა იყო დადებით. საინტერესოა ის, რომ 4 წევრმა მხარი დაუჭირა საქმის შეწყვეტას 9 წევრის წინააღმდეგ.

საქმეში 58-18 მხარემ საპროცესო ვადის დაცვით არ შეიტანა საჩივარი სააპელაციო სასამართლოში, რადგან მას არ ჰქონდა ჩაბარებული დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილება. ამ საქმის შეფასებისას იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა, რომ „მხარის მიერ გადაწყვეტილების ვადის დარღვევით გასაჩივრება გამოწვეულია მისი ბრალეული ქმედებით. საქმის მასალების გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.“

გასაჩივრების შემდეგ საქმის სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის 5 დღიანი ვადის დარღვევა (საქმის გადაგზავნა 21 დღის შემდეგ), არ ჩაითვალა ისეთ გადაცდომად, რომელიც საჭიროებდა დისციპლინურ რეაგირებას. (12-18)

ასევე, მოსამართლის დატვირთვის გათვალისწინებით (216 საქმე წლის განმავლობაში) დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვალა საქმის გადაგზავნა საკასაციო სასამართლოში გასაჩივრებიდან ორთვენახევრის ვადის გასვლის შემდეგ (180/18).

ვფიქრობთ, არ შეიძლება საქმის გადაგზავნის ვადების რამდენიმეთვიანი დარღვევები მოსამართლის დატვირთულობით აიხსნას. გადაწყვეტილების დაწერის შემდეგ, საქმის ზემდგომ ინსტანციაში გადაგზავნა სასამართლოს აპარატის პასუხისმგებლობაა და მოსამართლის დატვირთულობის გამო დაგვიანებით ვერ გამართლდება.

საქმეში N94/315-18 მოსამართლემ სსკ-ის 287-ე მუხლის საფუძველზე შეცდომის გასწორებისას, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში შეიცვალა ქმედების კვალიფიკაცია. კერძოდ, განჩინებაში განხორციელებული უზუსტობის აღმოფხვრის შედეგად, მსჯავრდებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნაცვლად, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქ/პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. დამოუკიდებელმა ინსპექტორმა ჩათვალა, რომ სახეზე არ იყო დისციპლინური გადაცდომა, ვინაიდან უზუსტობის აღმოფხვრით რეალურად არ შეცვლილა სასჯელის სახე და ზომა. ამასთან, არ შეცვლილა განაჩენის სამოტივაციო ნაწილში სასამართლოს მიერ წარმოდგენილი მსჯელობა. ამდენად, მოსამართლის მიერ განაჩენში უზუსტობის აღმოფხვრა ზემოაღნიშნული სახით, არ შეიძლება შეფასდეს ისეთ გარემოებად, რომელიც გავლენას ახდენს სასამართლოს დასკვნაზე მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციის და სასჯელის ღონისძიების შესახებ.

ამ მსჯელობას ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან ქმედების კვალიფიკაციის ცვლილებამ შესაძლოა იქონიოს სამართლებრივი შედეგი მსჯავრდებულის მდგომარეობაზე, მაგალითად, მის მიმართ ამნისტიის ან შეწყალების გამოყენებისას.

მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულების მრავალი მაგალითი გვხვდება მოწინავე ქვეყნების დისციპლინურ პრაქტიკაში, კერძოდ:

- » მოსამართლის მიერ საპატიმრო ვადის გაუგრძელებლობა, რითაც უკანონო პატიმრობაში ამყოფა პირები¹⁷³
- » გადაწყვეტილების გამოტანა საქმის განხილვიდან 2 წლის ვადის გასვლის შემდეგ¹⁷⁴
- » მოსამართლის მიერ გადაწყვეტილებების უკანა თარიღით დათარიღება¹⁷⁵
- » მოსამართლის მიერ საქმის მასალების დაკარგვა¹⁷⁶
- » სასამართლოს თავმჯდომარის სამსახურში მიუსვლელობა¹⁷⁷
- » მოსამართლის მიერ საქმის განუხილველობა¹⁷⁸
- » მოსამართლის მივლინების დროს მის მიერ მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმა¹⁷⁹
- » სისხლის სამართლის საქმეების არ შეწყვეტა საქმეზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად¹⁸⁰
- » მხარეებისგან მოსაკრებლების მოთხოვნა, რომელთა გადახდა მათ არ ეკუთვნოდათ¹⁸¹
- » მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეს საქმე ჩამოერთვა, ის მაინც აგრძელებდა მის წარმოებას¹⁸²
- » მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულმა განაცხადა ხმაურიანი პროტესტი მოსამართლის მიერ გამოცხადებულ სასჯელზე, მოსამართლემ შეცვალა სასჯელი და ის გააორმაგა¹⁸³
- » სასამართლო პროცესის ფარგლებს გარეთ მოსამართლე შეხვდა და მოუსმინა მონმეებს სისხლის სამართლის საქმეზე¹⁸⁴
- » სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის თავმჯდომარემ სხდომის დარბაზში გამოაცხადა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება (არასრულწლოვანის წინასწარი პატიმრობისგან გათავისუფლების თაობაზე)¹⁸⁵

173 საფრანგეთის მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების კრებული, <http://dcj.court.ge/uploads/kvlevebi/Researches/csmsummariesFRANCE.pdf>, საქმე ნ. 081

174 იქვე, საქმე ნ. 071

175 იქვე, საქმე ნ.063

176 იქვე, საქმე ნ.063

177 იქვე, საქმე ნ.ნ. 10, 1961

178 იქვე, საქმე ნ.018

179 იქვე, საქმე ნ.027

180 იქვე, საქმე ნ.024

181 იქვე, საქმე ნ.029

182 იქვე, საქმე ნ.081

183 იქვე, საქმე ნ.135

184 იქვე, საქმე ნ.136

185 იქვე, საქმე ნ. 201

- » მოსამართლემ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, კოლეგიის სხვა წევრებთან შეუთანხმებლად შეცვალა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი
- » მოსამართლე არ ცხადდებოდა სხდომებზე და სასამართლოს თავმჯდომარეს დაუბრუნა საქმე, რომელიც მას დაენერა¹⁸⁶
- » მოსამართლემ არ დაუნიშნა პირს დამცველი, რომლის დანიშვნაც სავალდებულო იყო კანონით.¹⁸⁷
- » მოსამართლემ შემაკავებელი ორდერი გასცა ყოველგვარი სამართლებრივი წინაპირობის (მოთხოვნის, საქმის განხილვის, მხარეთა არგუმენტების მოსმენის) გარეშე. მხოლოდ იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მან შემთხვევით შეიტყო სამოქალაქო საქმის განხილვისას¹⁸⁸
- » მოსამართლემ ბრალდებულები ცნო დამნაშავედ გამოსაცდელი ვადის პირობების დარღვევისათვის და მიუსაჯა საპატიმრო სასჯელები, მათთვის კონსტიტუციური უფლებების, ბრალის არსის განმარტებისა და საქმის არსებითი განხილვის გარეშე.¹⁸⁹

7.2.5. მხარეთა და პროცესის მონაწილეთა მიმართ არაჭარბიანი მიმართვა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის ვ.ბ. ქვეპუნქტის თანახმად დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა.

პროცესის მონაწილეებთან მოსამართლის ურთიერთობის სტანდარტების განხილვისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხშირად იშველიებს ბანგალორის სამოსამართლო ქცევის პრინციპებს, რომლის 6.6 პუნქტის თანახმად, მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უნევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასევე იშველიებს ბანგალორის ქცევის წესების კომენტარის 214-ე პარაგრაფს, რომლის თანახმად, მოსამართლემ უნდა მოთოკოს გაღიზიანება და რისხვა. იმის მიუხედავად, თუ რა არის განხილვის კონკრეტული საგანი, მოსამართლის რეაქცია მშვიდი და მოზომილი, განონასწორებელი უნდა იყოს. მაშინაც, თუ ადვოკატის უხეში ქცევა მის პროვოცირებას ისახავს მიზნად, მოსამართლემ სათანადო ზომები უნდა მიიღოს დარბაზზე კონტროლის შესანარჩუნებლად, ადვოკატის მიმართ რაიმე საპასუხო ზომების გარეშე. თუ შენიშვნა აუცილებელია, ზოგჯერ უმჯობესია, ის საქმის განხილვის დროს არ გაკეთდეს.

¹⁸⁶ იქვე, საქმე ნ. 162

¹⁸⁷ კალიფორნიის სამოსამართლო ქცევის კომისიის გადაწყვეტილებების მიმოხილვა, <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/Researches/california.pdf>

¹⁸⁸ კალიფორნიის სამოსამართლო ქცევის კომისიის გადაწყვეტილებების მიმოხილვა, <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/Researches/california.pdf>

¹⁸⁹ კალიფორნიის სამოსამართლო ქცევის კომისიის გადაწყვეტილებების მიმოხილვა, <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/Researches/california.pdf>

ასევე ბანგალორის ქცევის წესების კომენტარის 215-ე პარაგრაფს, რომლის თანახმად, სასამართლო სხდომაზე და მის გარეთ მოსამართლე ყოველთვის თავაზიანი უნდა იყოს და პატივს სცემდეს გარშემო მყოფთა ღირსებას. მოსამართლე ასეთსავე დამოკიდებულებას უნდა მოითხოვდეს სასამართლო განხილვის ყველა მონაწილისაგან, როგორც სასამართლოს თანამშრომლების, ისე სხვა, მის დაქვემდებარებაში თუ კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისაგან. მოსამართლე პირად ანტიპათიაზე მალლა უნდა იდგეს და არ უნდა გამოყოს სასამართლოში გამომსვლელი ადვოკატებიდან არცერთი. ადვოკატის მისამართით მოსამართლის უსაფუძვლო შენიშვნები, სასამართლო სხდომის მხარეთა ან მონაწილეთა მიმართ შეურაცხმყოფელი კომენტარები, გესლიანი ხუმრობა, სარკაზმი და თავშეუკავებელი, ტენდენციური ქცევა არღვევს სასამართლო დარბაზში სასამართლოსათვის შესაფერის წესრიგსა და ეტიკეტს. თუ მოსამართლეს ჩარევა სურს, მისი გამონათქვამის ტონი და მანერა ჩრდილს არ უნდა აყენებდეს მის მიუკერძოებლობას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასევე ეყრდნობა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის #3 დასკვნას, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (წმ). ასევე, მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლს, რომლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია, უზრუნველყოს სასამართლო წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

საინტერესოა თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომენტარი ეთიკის წესების მნიშვნელობასთან დაკავშირებით, კერძოდ, საქმეში 162-18, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიუთითებს შემდეგს:

„მოსამართლე უნდა იცავდეს ეთიკის ნორმებს, ეთიკური ნორმების დაცვა და ეთიკური ნორმების დაცვის დემონსტრირება როგორც პროფესიული, ისე პირადი ასპექტით მოსამართლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტებია. მთავარია არა ის, თუ რას აკეთებს ან არ აკეთებს მოსამართლე, არამედ ის, თუ რა გააკეთა, ან რისი გაკეთება შეუძლია მოსამართლეს გარშემომყოფთა აზრით. ფაქტია, რომ საზოგადოება მოსამართლისაგან ქცევის მაღალ სტანდარტებს მოელოს. არაკორექტული ქცევის გამოსავლენი კრიტერიუმია იმის განსაზღვრა, ხომ არ ვნებს ასეთი ქცევა მოსამართლის უნარს, პატიოსნად, მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და კვალიფიციურად შეასრულოს მოსამართლის მოვალეობები, თუ, გარეშე დამკვირვებლის აზრით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეს არ შეუძლია, ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები“¹⁹⁰.

ვფიქრობთ, რომ ფრაზა „მთავარია არა ის, თუ რას აკეთებს ან არ აკეთებს მოსამართლე, არამედ ის, თუ რა გააკეთა ან რისი გაკეთება შეუძლია მოსამართლეს გარშემომყოფთა აზრით“ არასწორად ასახავს სამოსამართლო საქმიანობის აზრს. მართლმსაჯულების განხორციელებისას თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც მოსამართლის ქმედებები, ასევე ამ ქმედებების აღქმა საზოგადოების მიერ, რაზეც მეტყველებს საყოველთაოდ ცნობილი

ციტატა: მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს¹⁹¹.

საქმე- 128-17, სადაც მოსამართლემ დარბაზში მყოფ უერნალისტს უთხრა რომ მას ის მხარის მეუღლე ეგონა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინურ გადაცდომად არ დააკვალიფიცირა, ვინაიდან მოსამართლის მიმართვაში რაიმე ირონია ან სარკაზმი ვერ შენიშნა. აღნიშნულის გადამოწმება შეუძლებელია, ვინაიდან ჩვენთვის ხელმიუწვდომელია სხდომის ოქმი, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა მოსამართლის ინტონაციის ამოკითხვა.

საქმეში 206-18 მოსამართლემ ბრალდებულს მიმართა სიტყვებით: „მე არ მეგონა თუ დღეს დაზარალებულის აქ მოსვლაზე უარს იტყოდით“ „დღეს გახდით ცუდად, დღეს აღარ შეგიძლიათ, რა გემართებათ? კაცი ხომ ხართ ბოლოს და ბოლოს?!“ ამ სიტყვებმა გამოიწვია ბრალდებულის უკმაყოფილება და სთხოვა მოსამართლეს, რომ მის „კაცობას“ ნუ შეაფასებდა სასამართლო დარბაზში.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩათვალა, რომ მოსამართლემ შესაძლოა არაეთიკურად მიმართა მხარეს, თუმცა ეს არ ჩათვალა დისციპლინურ გადაცდომად, ვინაიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აზრით, აღნიშნული მიმართვა მხოლოდ პროცესის სრულყოფილად წარმართვისაკენ იყო მიმართული. რაც, მხარეთა უფლებების დაცვას ემსახურებოდა.

აღნიშნული გადანყვეტილების დასაბუთებისას, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ასევე ყურადღება მიაქცია ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) #3 დასკვნაზე, რომლის თანახმად, არ იქნებოდა სწორი პროფესიული სტანდარტების დარღვევის გათანაბრება გადაცდომასთან, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური სანქციები. კერძოდ, პროფესიული სტანდარტები, წარმოადგენს საუკეთესო გამოცდილებას, რომლისკენაც ყველა მოსამართლე უნდა მიისწრაფოდეს. ამ სტანდარტების იმ გადაცდომებთან გაიგივება, რომელმაც შეიძლება დისციპლინური პასუხისმგებლობა წარმოშოს გამოიწვევს სტანდარტების სამომავლო განვითარების შეჩერებას და დააკარგვინებს მათ აზრს. იმისათვის, რომ გადაცდომას თან მოჰყვეს დისციპლინური სასჯელი, გადაცდომა უნდა იყოს არა მხოლოდ დისციპლინური სტანდარტების დარღვევა, არამედ სერიოზული და არასაპატიო ქმედება.

მხარისათვის არაჯეროვანი მიმართვის საკითხების განხილვისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო ყურადღებას აქცევს კონტექსტს და სიტყვათა წყობას. მაგალითად, იუსტიციის საბჭომ ჩათვალა, რომ სიტყვები „თქვენ პირველად ხომ არ მონაწილეობთ მორიგების დავებში, ჰო, სხვა დროსაც გექნებოდათ ახლა და ასეთი“, არ წარმოადგენს მხარისთვის დამამცირებელ მიმართვას.

საინტერესოა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადანყვეტილება საქმეზე 96/18, რომელშიც მოსამართლემ მხარე დარბაზიდან გააძევა სიცილის გამო. მხარის შეკითხვაზე, აქვს თუ არა გაცინების უფლება, მოსამართლემ უპასუხა, რომ როდესაც სასაქილო არაფერი ხდება, მას არ აქვს გაცინების უფლება. აღნიშნულ საქმეზე მოსამართლის ქცევა არ ჩაითვალა დისციპლინურ გადაცდომად.

საქმეში 97-18, სადაც მხარის განცხადებით, მოსამართლემ სასწრაფო არ გამოიძახა იმის მიუხედავად, რომ მხარე სხდომაზე შეუძლოდ გახდა, იუსტიციის საბჭომ სხდომის ოქმის მოსმენის საფუძველზე დაასკვნა, რომ მხარის ეს ქცევა (შეუძლოდ გახდომა) ემსახურებოდა პროცესის გაჭიანურებას და შესაბამისად, მოსამართლეს ეთიკის წესები არ დაურღვევია.

191 “It is not merely of some importance but is of fundamental importance that justice should not only be done, but should manifestly and undoubtedly be seen to be done”. <https://www.casemine.com/judgement/uk/5a938b4160d03e5f6b82bd71>

საქმეში 1/18 - დაჯარიმების შესახებ მხარისადმი მუქარა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არ ჩათვალა მხარისადმი უპატივცემულობად.

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ გადაცდომად იქნა მიჩნეული მოსამართლის ხმამაღალი ტონით მიმართვა მოსარჩელისადმი, რომელიც მოსამართლის შეფასებით არ საუბრობდა საქმესთან კავშირში, არ პასუხობდა მის კითხვებს ადეკვატურად და აკარგვინებდა დროს.¹⁹²

საქმეზე 4.01.2018 მოსამართლემ მხარეს მიმართა სიტყვებით, „დასაბუთება რა თქმა უნდა იქნება, ამას არ დაგამადლით...“. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩათვალა, რომ აღნიშნული სიტყვები ირონიული ტონით იქნა ნათქვამი და შესაბამისად ადგილი ჰქონდა მხარისადმი არაეთიკურ მიმართვას, აღნიშნულ საქმე იქნა წარმართული სადისციპლინო კოლეგიაში, სადაც მოსამართლე იქნა ცნობილი ბრალეულად დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში და მიემართა კერძო სარეკომენდაციო ბარათი.

საქმეში 209-17 საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ მოსამართლეს ჰქონდა დიდაქტიკური გამოსვლები, მაგრამ ამაზე საბჭოს არ უმსჯელია.

საქმეში - 178-19, მოსამართლის მიმართვა ადვოკატის მიმართ „თქვენ თუ არ შეგიძლიათ მოვალეობის შესრულება, ეს ჩემ პრობლემას არ წარმოადგენს“, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ ჩაითვალა ეთიკის წესების დარღვევად, ვინაიდან ეჭვქვეშ აყენებდა ადვოკატის პროფესიონალიზმს ბრალდებულის თვალში.¹⁹³

საქმეზე 101-17, სადაც მოსამართლემ ხმამაღალი ტონით მიმართა თარჯიმანს, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა ჩათვალა, რომ სახეზე იყო ეთიკის წესების დარღვევა, ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ დაეთანხმა და საქმე შეწყვიტა გამომდინარე იქედან, რომ თარჯიმანის ქმედებები მიმართული იყო პროცესის ჩაშლისკენ და მოსამართლე მას მოუწოდებდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისკენ.¹⁹⁴

192 საქმე ნ. 57-19 საქმე მოცემულია მხოლოდ დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის ანგარიშში. საბჭოს გადაწყვეტილება ამ საქმეზე ჯერჯერობით არ არის ხელმისაწვდომი.

193 საქმე მოცემულია მხოლოდ დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის ანგარიშში. საბჭოს გადაწყვეტილება ამ საქმეზე ჯერჯერობით არ არის ხელმისაწვდომი.

194 საქმე ასევე განხილულია დამოუკიდებელი ინსპექტორის 2017-18 წლების ანგარიშში.

მხარეთა და სხვათა მიმართ მიმართ არააპროვანი მოპყრობის და უპატივცემლობის გამომხატვის სხვადასხვა მაგალითები გვხვდება საზღვარგარეთის ქვეყნების დისციპლინურ პრაქტიკაში, მაგალითად:

- » მოსამართლემ საქმისწარმოების ოქმში გააკეთა ჩანაწერი, სადაც უპატივცემულოდ მოიხსენია ადვოკატი და მას უწოდა „საერთაშორისო თაღლითის თანამონაწილე“;¹⁹⁵
- » მოსამართლემ გაავრცელა წერილი, სადაც აკრიტიკებდა საკუთარ კოლეგებს მათი პატივმოყვარეობის უგუნურების, სისულელის და სილაჩრის გამო;¹⁹⁶
- » მოსამართლემ ჩაიდინა სექსუალური შევიწროება არასრულწლოვანი სტაჟიორის მიმართ;¹⁹⁷
- » სასამართლოს თავმჯდომარე იყენებდა მიმართვის უხემ მეთოდებს, შეურაცხმყოფელ გამოთქმებს და შოკისმომგვრელ კომენტარებს პერსონალის ფიზიკურ გარეგნობასთან დაკავშირებით;¹⁹⁸
- » არასრულწლოვანთა მოსამართლე ამცირებდა სოციალურ მუშაკებს მხარეების თვალწინ, ეჭვი შეჰქონდა მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობაში; ამცირებდა და ავიწროებდა კანცელარიის თანამშრომლებს;¹⁹⁹
- » მოსამართლე ხშირად შედიოდა პროცესზე მთვრალ მდგომარეობაში, რის გამოც მას საუბარი უჭირდა (სხდომის მდივანს მიმართავდა მეტსახელით²⁰⁰);
- » უწყინარი ხუმრობა პროკურორის ასაკთან დაკავშირებით არ აღწევს დისციპლინური გადაცდომის სიმძიმის ხარისხს, ასევე არ ჩაითვალა დისციპლინურ გადაცდომად ფამილარული ხუმრობები სასამართლოს პერსონალთან, თუმცა დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვალა ხუმრობა ადვოკატის ქმრის ეროვნებასთან და შვილის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით (თქვენს არჩანხართ წარმატებული, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თქვენი ქმარი სენეგალელია და თქვენი ქალიშვილი ლესბოსელი). ასევე გადაცდომად ჩაითვალა ხუმრობა ბრალდებულის სიმსუქნესთან დაკავშირებით (თქვენი გარეგნობიდან გამომდინარე, ვერ დაფიქრებ რომ კარგი ჭამა არ გიყვართ);²⁰¹
- » გადაცდომად ჩაითვალა მხარის დაცინვა, დამცირება (გარეგნობის, ეთნიკურობის გამო), დაყვირება;
- » ცინიკურად მიმართვა მხარეებისადმი;²⁰²
- » სასამართლო პერსონალის გაკიცხვა და დამცირება მოქალაქეთა თვალში;²⁰³

195 საფრანგეთის მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადანყვეტილებების კრებული, <http://dcj.court.ge/uploads/kvlebebi/Researches/csmsummariesFRANCE.pdf> საქმე ნ. 073

196 იქვე, საქმე ნ. 083

197 იქვე, საქმე ნ. 102

198 იქვე, საქმე ნ. 145

199 იქვე, საქმე ნ. 164

200 იქვე, საქმე ნ. 177

201 იქვე, საქმე ნ. 200

202 კალიფორნიის შტატის სამოსამართლო ქცევის კომისიის გადანყვეტილებების მიმოხილვა, <http://dcj.court.ge/uploads/kvlebebi/Researches/california.pdf>

203 იქვე

- » ადვოკატის კვალიფიკაციის ეჭვქვეშ დაყენება კლიენტის წინ;²⁰⁴
- » სექსუალური ხასიათის შეთავაზებები/მიმართვა აპარატისადმი;²⁰⁵
- » მოსამართლემ ბრალდებულს უთხრა, რომ ციხეში მისი ღიმილი მოეწონებოდათ;²⁰⁶
- » მოსამართლემ დაამცირა ადვოკატის საუნივერსიტეტო განათლება.²⁰⁷

7.2.6. საქმის განხილვის გაჭინაშრება/გადაწყვეტილების ჩაბარების ვადის დარღვევა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹ მუხლის მერვე პუნქტის ვ.ა. ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამ ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვ.) გამო ვერ შეძლო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3¹ პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული ეს ვადები მეტისმეტად შემჭიდროებულია (განსაკუთრებით 1 თვიანი და 2 თვიანი ვადები), მათი დაცვა ნორმალური დატვირთვის დროსაც კი საქმის სირთულის დროს შეუძლებელია, ამიტომ ეს ვადები გადახედვას საჭიროებენ.

საქმის განხილვის გაჭინაშრებაზე მსჯელობისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო თითქმის ყოველთვის იშველიებს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო). იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გონივრულ ვადაში განხილული, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს - 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული

204 იქვე
 205 იქვე
 206 იქვე
 207 იქვე

იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი, ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Konig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განხილველი მოსამართლის მოქმედებები; ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; §93; Tiece v. San Marino; §31; Sormeli v. Germany, §129.) თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა, უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlander v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Konig v. Germany; §98).

სხირად, ეს საერთაშორისო სტანდარტები შაბლონურად არის მოხსენიებული გადანწყვეტილებაში, თუმცა საქმის გარემოებები არ არის განხილული ყველა ამ კრიტერიუმის შესაბამისად.

საქმის გაჭიანურებაზე მსჯელობისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო მხედველობაში იღებს ასევე მოსამართლის ბიულეტენზე ყოფნის პერიოდს (156-18) და ასევე პერიოდს, როცა საქმის მასალები მოსამართლესთან ფიზიკურად არ არის (საქმე კერძო საჩივრით გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს) (223-17).

იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლემ საქმე განიხილა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინურ გადაცდომას არ ადგენს. ეს ეხება მათ შორის არასაპატიმრო საქმეებზე 24 თვიან ვადებს (საქმე 107-17). მაგალითად, გაჭიანურებად არ ჩაითვალა არასაპატიმრო საქმის განხილვა წელიწადისა და 7 თვის განმავლობაში. საქმეში 14-18, მოსამართლემ სამოქალაქო საქმე განიხილა 4 თვის და 24 დღის განმავლობაში. (5 თვიან ვადაში), შესაბამისად, საბჭო აღარ შევიდა მსჯელობაში გააჭიანურა თუ არა მოსამართლემ საქმის განხილვის ვადა.

ზოგ შემთხვევაში, მოსამართლე კანონით დადგენილ ვადას კანონის საწინააღმდეგოდ აგრძელებს. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰ მუხლით 1. ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს სასამართლო განიხილავს წარმოებაში მიღებიდან 1 თვის ვადაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამ ვადის გაგრძელებას არ ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ აღნიშნული ვადა განჩინებით 5 თვემდე გააგრძელა, რაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩათვალა კანონიერად. (80/17)

საქმეში 166-17 მოსამართლე არასაპატიმრო საქმეს იხილავდა 3 წლის და 4 თვის განმავლობაში. საქმეზე ჩატარდა 54 სხდომა, რომლებიც გადაიღო ზოგჯერ დაცვის და ზოგჯერ ბრალდების მხარის ინიციატივით. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქმის შეწყვეტისას ასევე მოიშველია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად ბრალდებულს უფლება აქვს უარი თქვას სწრაფ მართლმსაჯულებაზე თუ ეს აუცილებელია დაცვის ჯეროვანი მომზადებისთვის.

როდესაც საქმე გადაეცემა ერთი მოსამართლიდან მეორე მოსამართლეს, იუსტიციის უმაღლესი საბჭო 5 თვიანი ვადის ათვლას თავიდან იწყებს, რაც სამართლებრივად სწორ მიდგომად არ უნდა ჩაითვალოს. პროექტის პარტნიორების მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ დროს კეთილსინდისიერ მოსამართლეს, რომელიც საქმეს შეგნებულად არ აჭიანურებს, მისი წინარე მოსამართლის მიერ ვადის დარღვევის გამო პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს. აღნიშნულ მოსაზრებას პროექტი ეთანხმება, თუმცა ამ შემთხვევაში მოსამართლე პასუხისმგებლობისგან უნდა გათავისუფლდეს არა 2 თვიანი და 5 თვიანი ვადის დაცვის, არამედ ბრალის გამომრიცხავი გარემოების არსებობის გამო.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც საქმის განხილვის გაჭიანურება აშკარად სახეზეა, მაგრამ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მაინც უარს ამბობს დისციპლინურ დევნაზე. გადაწყვეტილება დასაბუთებულია მხოლოდ იმით, რომ ვერ მოგროვდა გადაწყვეტილებისთვის საჭირო ხმათა რაოდენობა. მაგალითად, საქმეზე ნმ-17 მოსამართლემ თითქმის ორ წლამდე გააჭიანურა სამოქალაქო საქმეთა განხილვები, თუმცა დევნა არ დაიწყო იმის გამო, რომ საბჭოს 9 წევრმა მხარი დაუჭირა დევნის შეწყვეტას. (ასევე, იხ. საქმე 207/17-2)

საქმეში 177-18, მოსამართლე სამოქალაქო საქმეს იხილავდა 1 წლის და 11 თვის განმავლობაში. მხარე მიუთითებდა, რომ მოსამართლემ 7-ჯერ გადადო პროცესი მხარეთა მორიგების მიზნით, თუმცა ის არანაირ მორიგებაზე თანახმა არ არის. აღნიშნულ საქმეში, იუსტიციის საბჭომ მოსამართლის ქმედებები საპატიოდ ცნო მისი დატვირთულობიდან გამომდინარე, (543 და 286 დასრულებული საქმე ორ წელიწადში). საბჭოს მიდგომა არ მიგვაჩნია გამართლებულად, ვინაიდან პროცესის მრავალჯერადი გადადება მხარეთა მორიგების საბაბით, როცა მხარე ამაზე თანხმობას არ გამოხატავს, არ უნდა ჩაითვალოს საპატიოდ.

საქმის განხილვის გაჭიანურებაზე მსჯელობისას იუსტიციის საბჭო ხშირად იხილავს, თუ რა სახის მოქმედებები განახორციელა მოსამართლემ საქმეში, როგორია მისი დატვირთულობა. თუმცა, ზოგ შემთხვევებში, ვადის დარღვევა საპატიოდ არის ცნობილი მხოლოდ მოსამართლის დატვირთულობიდან გამომდინარე,

ასეთ შემთხვევებში, საბჭოს ხშირად მოჰყავს ციტირება სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებიდან:

„დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არის უაღრესად საფრთხილო და მნიშვნელოვანი საკითხი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს. მოსამართლეს დისციპლინური სახდელი ეკისრება, თუ დადასტურდება მის მიერ იმ ქმედების ბრალეულად ჩადენა, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. შესაბამისად, დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი არის მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის ზუსტად განსაზღვრას, რომ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.“

შესაბამისად, მოსამართლის დატვირთულობის გამო გადაცდომად არ ჩაითვალა:

- » უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით მიღებულ განჩინებაზე საჩივრის განხილვის 20 დღიანი ვადის გადაცილება თვენახევრით (52-17).
- » სამოქალაქო საქმის (მამობის დადგენა და გვარის მინიჭება) განხილვა ორი წლის და სამი თვის განმავლობაში (საქმე-112-17).
- » სამოქალაქო საქმის - მემკვიდრის უფლებამონაცვლელ ცნობა და ტრანსმისიით მემკვიდრეობის უფლების აღიარების განუხილველობა 9 თვის განმავლობაში (საქმე - 99-17).
- » სამოქალაქო საქმეზე სხდომის ჩაუნიშნაობა წელიწადისა და 6 თვის განმავლობაში (საქმე 116-17).
- » სამოქალაქო საქმეზე რაიმე საპროცესო მოქმედების არარსებობა 11 თვის განმავლობაში (129-18)²⁰⁸, 9 თვის განმავლობაში (164-18-1²⁰⁹), 6 თვის განმავლობაში (145-18-2)²¹⁰

განსაკუთრებით საგრძნობი იყო მოსამართლის დატვირთულობა საქმეზე 178-18, სადაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ აღნიშნა შემდეგი: „მოწოდებული მასალებით დასტურდება, რომ მოსამართლეს 2017 წელს განსახილველად გადაცემული ჰქონდა 11,778 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 3,428 საქმის განხილვა (29.1%). 2018 წელს (პირველი 09 თვის მონაცემები) განსახილველად გადაცემული ჰქონდა 14,380 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 2,753 საქმის განხილვა (19.1%). აღნიშნული სტატისტიკა იმდენად სცილდება გონივრულობის ფარგლებს, რომ მოსამართლის მიერ საქმეების განხილვის კანონით გათვალისწინებულ ვადებში დასრულებას ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის“.

ამისგან განსხვავებით, მოსამართლის დატვირთვა გაცილებით ნაკლები იყო საქმეზე 26-18, სადაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საპატიოდ ჩათვალა სისხლის სამართლის საქმის სააპელაციო წესით განხილვა 2 თვიანი ვადის ნაცვლად 1 წლისა და 8 თვის ვადაში. მოსამართლეს ყოველწლიურად ეწერა 200-მდე საქმე, საიდანაც ასრულებდა 120-121 საქმეს. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიუთითა, რომ საქმეზე ჩანიშნული იყო 15 სხდომა, საიდანაც 6 გადაიღო მხარეთა გამოუცხადებლობის გამო. ვფიქრობთ, რომ ამ საქმეზე მოსამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება არ არის დასაბუთებული, ვინაიდან მოსამართლის დატვირთვა არ იყო დიდი და მეორეს მხრივ, სხდომების მართვა მოსამართლის პასუხისმგებლობას უნდა წარმოადგენდეს, რითაც მან თავიდან უნდა აიცილოს პროცესების მრავალრიცხოვანი გადადება.

ზოგ შემთხვევაში, მოსამართლეს საქმეში მინიმალური საპროცესო ქმედებების განხორციელებისას (სარჩელის მოპასუხისთვის გადაგზავნა, საჯარო პუბლიკაცია) მისი დატვირთულობის გათვალისწინებით გადაცილებული ვადები ეთვლება საპატიოდ, მაგალითად, როგორცაა საქმეთა განხილვის 5 თვიანი ვადის გადაცილება 2 თვით და 23 დღით (100-17-02).

208 ამ საქმეზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქმის შეწყვეტის საფუძველად მიუთითა მოსამართლის გადატვირთულობა, თუმცა კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ეს არ არის ახსნილი.

209 მოსამართლე ყოველწლიურად ამთავრებდა 700 მდე საქმეს, რის გამოც გაჭიანურება ჩაითვალა საპატიოდ.

210 მოსამართლე ყოველწლიურად ამთავრებდა 230-დან 318-მდე საქმეს.

საპროცესო ვადის გადაცილება ავტომატურად არასოდეს ითვლება დისციპლინურ გადაცდომად, ვადის რამდენიმე დღით გადაცილება, როგორც წესი, უმნიშვნელო დარღვევად ითვლება (საქმე 91.18).

მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებების გათვალისწინებით, საპატიოდ ჩაითვალა ალიმენტის საქმის განხილვა 9 თვის განმავლობაში (იმის მიუხედავად რომ კანონი ასეთი კატეგორიის საქმეების განხილვის ვადად 1 თვეს განსაზღვრავს (საქმე ნ. 146-17).

საბჭო საკმაოდ ღმობიერად ეკიდება საქმეში არსებულ პერიოდებს, როცა ხანგრძლივი დროის მანძილზე არ გვხვდება არაფითარი აქტივობა, მაგალითად ალიმენტის დავაზე, რომელიც კანონის მიხედვით 1 თვეში უნდა იხილეოდეს საქმის 4 თვიანი უძრაობა ჩაითვალა საპატიოდ (146-17-1). ასევე იხ. საქმე 95-17. ასევე სამოქალაქო საქმეზე სხდომის ჩაუნიშნაობა წელიწადისა და 6 თვის განმავლობაში (საქმე 116-17).

ამისგან განსხვავებით, საქმე 2/01-2018, რომელშიც წელიწადსა და 10 თვის განმავლობაში რაიმე საპროცესო მოქმედება არ განხორციელებულა, მოსამართლის დატვირთულობის მიუხედავად, (სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაში არ არის დაკონკრეტებული, რამდენი საქმე ჰქონდა განსახილველი მოსამართლეს) სადისციპლინო კოლეგიამ ჩაითვალა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებად.

დისციპლინურ პრაქტიკაში გვხვდება საქმეები, რომლებიც მრავალგზის გადაეცა ერთი მოსამართლიდან მეორე მოსამართლეს და ყოველთვის საქმის გადაცემის მიზანი იყო მოსამართლის განტვირთვა. ყოველი ამ გადაცემის შემდეგ, იუსტიციის საბჭო თავიდან იწყებს საქმის განხილვის ხუთთვიანი ვადის ათვლას, რაც, ჩვენი აზრით, შეცდომაა. საქმის განხილვის ვადები უნდა ეხებოდეს საქმეს და არა მოსამართლეს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქმის განხილვის ვადის გონივრულობის შესაფასებლად საქმის სირთულეს მოიხსენიებს ერთ-ერთ კრიტერიუმად, თუმცა საბჭოს გაანყვეტილებაში კონკრეტული საქმის სირთულეზე იშვიათად არის ნაშუტელები. საქმეში 114-17 მხარის მიერ არაერთი შუამდგომლობისა და განცხადების წარმოდგენა ჩაითვალა როგორც საქმის სირთულის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი.

საქმეში 172/18 დასაბუთებული გადაწყვეტილების ვადის დარღვევის საპატიო მიზეზად სხვა ფაქტორებთან ერთად დასახელდა საქმის სირთულე და იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიუთითა შემდეგი:

საქმის მასალებით მტკიცდება, რომ 2018 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება მომზადდა 2018 წლის 17 ივლისს, კანონით გათვალისწინებული ვადის 5 თვემდე დარღვევით. თუმცა, იმის დასადგენად, არის თუ არა სახეზე დისციპლინური გადაცდომის ფაქტი, შეფასება უნდა მიეცეს ობიექტურ გარემოებებს, რომელმაც განაპირობა მოსამართლეების მხრიდან კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევა. საქმის მასალებით მტკიცდება, რომ საქმე განსაკუთრებული სირთულის იყო და ეხებოდა მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილობას და ამის საფუძველზე, მოდავე მხარეებს შორის წილის განსაზღვრას. საქმის განსაკუთრებულ სირთულეს ისიც ადასტურებს, რომ 2018 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება შედგება 100-ზე მეტი გვერდისაგან და მოსამართლის მხრიდან მის სრულყოფილად არგუმენტაციას დასჭირდა როგორც საქართველოს შიდა კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო შეთანხმებების და უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის გაცნობა და ანალიზი. მოსამართლის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მომზადება შესაბამის ვადაში, სცილდება გონივრული მოლოდინის ფარგლებს. შესაბამისად, მოსამართლის დატვირთულობის, მის მიერ ჩატარებული საპროცესო მოქმედებების და წინამდებარე საქმის სირთულის გათვალისწინებით, აღნიშნული ქმედება არ შეიცავს მოსამართლის მიერ დისციპლინური

გადაცდომის ბრალეულად ჩადენის ნიშნებს.

საქმის განხილვის ხანგრძლიობის შეფასებისას ერთ-ერთი კრიტერიუმი ასევე შეიძლება იყოს მხარის მოქმედებები. მაგალითად საქმეზე 22დ/26-19, სადაც მოსამართლემ არასაპატიმრო საქმე განიხილა 3 წლისა და 5 თვის განმავლობაში, სადისციპლინო კოლეგიამ მოსამართლე ბრალეულად ცნო საქმის განხილვის გაჭიანურებისთვის, თუმცა სადისციპლინო პალატამ გაამართლა ასევე იმ ფაქტორის მხედველობაში მიღებით, რომ სასამართლო სხდომები მრავალგზის გადაიდო ბრალდებულის გამოუცხადებლობის გამო, რაც გამონეწეული იყო მისი ავადმყოფობით.

საქმეთა განხილვის გაჭიანურების შესახებ საჩივრების განხილვისას იკვეთება ასეთი ტენდენცია: არაერთ საჩივარში მითითებულია, რომ საქმის განხილვა გაჭიანურებულია ან საერთოდ არ არის რაიმე ზომა მიღებული მოსამართლის მიერ საჩივრის შეტანის დროისათვის. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის დროისთვის კი, რომელიც როგორც წესი, რამდენიმე თვის შემდეგ ხდება, საქმის არსებითი განხილვა უკვე დამთავრებულია და მოსამართლის მიერ პროცესის დაჩქარება სწორედ დისციპლინური საჩივრის შეტანას ემთხვევა დროში.

მაგალითად, საქმეში 22-18 დისციპლინური საჩივრის შეტანის დროისთვის, სარჩელის შეტანიდან 2 წლის მანძილზე მოსამზადებელი სხდომაც არ არის დანიშნული, ხოლო დისციპლინური საჩივრის შეტანიდან 1 წელიწადში სარჩელის განხილვა უკვე დასრულებული აქვს მოსამართლეს. დისციპლინური ორგანო საერთოდ არ აქცევს ყურადღებას საქმის განხილვის დაწყების დროს და არ მსჯელობს მის კავშირზე დისციპლინური საჩივრის შეტანასთან. იხ. აგრეთვე საქმე 110-18 და სხვ.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში 2019 წლის დეკემბერს შესული ცვლილებებით დისციპლინურ გადაცდომად ითვლება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არსებითი დარღვევა. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არსებითი დარღვევა განმარტა, „როგორც მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს“²¹¹.

მაგალითები საზღვარგარეთის ქვეყნების დისციპლინური პრაქტიკიდან

» საქმეზე #173, მოსამართლე ცნობილი იქნა მოსამართლის მიერ სამოქალაქო საქმეთა გაჭიანურებაში; მოსამართლემ ეს ახსნა თავისი გამოუცდელობით, საქმეთა დიდი რაოდენობით და მოსამართლის მონდომებით, რომ ყველა საქმე დეტალურად შეესწავლა; მაგისტრატურის საბჭომ ხაზი გაუსვა მოსამართლის არაორგანიზებულობას საქმეთა თავის გართმევისას; მან ასევე მიუთითა, რომ სხვა მოსამართლეები წარმატებით ართმევდნენ თავს მსგავს დატვირთვას²¹²;

» საფრანგეთის მაგისტრატურის საბჭოს გადაწყვეტილებით, გადაცდომად ჩაითვალა სამოქალაქო საქმეთა განხილვა სამთვიანი ვადების დარღვევით²¹³

211 საფრანგეთის მაგისტრატურის საბჭოს გადაწყვეტილებები, საქმე 173-18

212 საფრანგეთის მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები, საქმე 6. 173

213 საფრანგეთის მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები, საქმე 6. 034

» საფრანგეთის მაგისტრატურის საბჭოს გადაწყვეტილებით, გადაცდომად ჩაითვალა გადაწყვეტილებების დანერა ხანგრძლივი დაგვიანებით²¹⁴

» სასამართლოს თავმჯდომარეს ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენები საქმეთა განხილვისას (ზოგ საქმეზე 1 წელზე მეტი მხარეთა კამათიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე); (მოსამართლემ თავი იმართლა საქმეთა დიდი რაოდენობით, თუმცა მაგისტრატურის საბჭომ მიუთითა, რომ მოსამართლეს უნდა შეეძლოს თვეში 15-20 გადაწყვეტილების გამოტანა)²¹⁵.

7.2.7. მოსამართლის მიერ თათბირის საიდუმლოების დარღვევა.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენდა მოსამართლეთა თათბირის ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება. აღნიშნული ნორმა შეიცვალა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის დ.გ ქვეპუნქტის ახლებური დეფინიციით: მოსამართლის მიერ სასამართლოს თათბირის საიდუმლოების გამჟღავნება;

აღნიშნული ცვლილება გამართლებული იყო იმით, რომ პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება მოცულია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის დარღვევის ნორმით, რაც ასევე წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომად.

საქმეზე 160-18, საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ მოსამართლის თანაშემწემ გადაწყვეტილების გამოცხადებამდე წარმომადგენელს სატელეფონო საუბრისას დაუდასტურა, რომ მათ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ. დამოუკიდებელმა ინსპექტორმა და იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ეს ქმედება არ ჩათვალა გადაცდომად და აღნიშნა, რომ თათბირის საიდუმლოება უზრუნველყოფს მოსამართლის თავისუფლებას, მშვიდად და ყოველგვარი შებოჭილობის გარეშე გამოთქვას თავისი მოსაზრება როგორც ცალკეული საკითხების, ისე გადაწყვეტილების შესახებ. თათბირის საიდუმლოება წარმოადგენს მოსამართლეთა შორის გამართულ მსჯელობას. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტი ვერ ჩაითვლებოდა თათბირის საიდუმლოების დარღვევად, რამდენადაც, მოქმედი კანონმდებლობით, მოსამართლის დავალებით თანაშემწე ამზადებს საქმეს, ადგენს გადაწყვეტილების/განჩინების პროექტს, შესაბამისად, საქმიანობის არსიდან გამომდინარე, თანაშემწე ფლობს საქმესთან დაკავშირებით არსებულ ყველა ინფორმაციას. თანაშემწის ქმედებაზე დამოუკიდებელ ინსპექტორს არ უმსჯელია, ვინაიდან ცდებოდა დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილების ფარგლებს.


7.2.8. პროფესიული საიდუმლოების/მოსამართლის მიერ მხარის პერსონალური მონაცემების გამჟღავნება

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხილული ერთ-ერთი საქმე ეხებოდა მხარის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას, კერძოდ ერთ-ერთი სამოქალაქო საქმის განხილვისას მოსამართლემ პროცესზე საჯაროდ განაცხადა, „ეს უკვე მესამე სარჩელია, რაც ამ პირის წინააღმდეგ ვნახე“. როგორც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ აღნიშნა, მხარეთა

214 საფრანგეთის მაგისტრატურის საბჭოს გადაწყვეტილებები, საქმე 6.139
215 იქვე, საქმე 6. 139

სახელის და გვარის შემცველი მონაცემების განთავსება სისტემატურად ხდება სასამართლოს საინფორმაციო დაფაზე და მოსამართლის მიერ პროცესის მსვლელობისას მხოლოდ მხარის გვარის ხსენება არ წარმოადგენს ისეთი ინფორმაციას, რაც წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას და რამაც შეიძლება დააზიანოს მხარის ინტერესები²¹⁶.

საგლვარბარეთის ქვეყნების დისციპლინურ პრაქტიკაში გვხვდება მოსამართლის მიერ სამსახურებრივი საიდუმლოების გამჟღავნების მაგალითები, კერძოდ:



- » გამოძიების მოსამართლის მიერ წინასწარი გამოძიების საიდუმლოების დარღვევა: მოსამართლემ ჟურნალისტს მისცა დოკუმენტებზე წვდომისა და საგამოძიებო ღონისძიებებზე დასწრების უფლება, რასაც შედეგად მოჰყვა წინასწარი გამოძიების მასალების გასაჯაროება²¹⁷
- » მოსამართლემ მცირეწლოვნის დაკითხვის ოქმი გადასცა მესამე პირს²¹⁸

7.2.9. მოსამართლის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისათვის ხელის შეშლა

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-2 მუხლი შეიცავდა გადაცდომას: დისციპლინური უფლებამოსილების მქონე ორგანოს საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან მისდამი უპატივცემულობა;

აღნიშნული საფუძველი საერთო სასამართლოების შესხებ კანონში მოდიფიცირებული ფორმით იქნა გადმოტანილი, კერძოდ, ამოღებული იქნა დისციპლინური ორგანოს უპატივცემლობა, დარჩა მხოლოდ ორგანოს საქმიანობისთვის ხელის შეშლა.

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ განხილული ერთ-ერთი საქმე ეხებოდა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისათვის საქმიანობის განხორციელებაში ხელშეშლას. მოცემულ შემთხვევაში, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მოსამართლეს მის მიმართ არსებულ დისციპლინურ საჩივართან დაკავშირებით საქმის მასალების გაგზავნის თაობაზე წერილით 2018 წლის დეკემბერში მიმართა. განმეორებითი წერილი საქმის მასალების დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისათვის მიწოდების თაობაზე მოსამართლეს გაეგზავნა 2019 წლის 10 იანვარს – პირველი წერილის გაგზავნიდან 28 დღის შემდეგ, თუმცა მოსამართლემ საქმის მასალები დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში გადმოაგზავნა მხოლოდ 2019 წლის თებერვლის დასაწყისში, 1 თვისა და 25 დღის შემდეგ. ამასთან, საქმის მასალები მხოლოდ მას შემდეგ იქნა გამოგზავნილი დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში, რაც გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია კონფიდენციალური წერილების მოსამართლისთვის ჩაბარების შესახებ. ამდენად, მოსამართლის აღნიშნული ქმედება მიმართული იყო დისციპლინური საქმის განმხორციელებელი ორგანოსათვის ხელის შეშლისაკენ, რადგან არაერთი მიმართვის მიუხედავად, საქმის მასალები, რაც აუცილებელი იყო დისციპლინური საქმის მოკვლევისათვის, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს გონივრულ ვადაში არ გადაეგზავნა, ამან კი დისციპლინური საქმის წინასწარ შემოწმებისა და გამოკვლევის პროცესი დააბრკოლა²¹⁹.

219 იხ. საქმე 27-19. საქმის აღწერა მოცემულია მხოლოდ დამოუკიდებელი ინსპექტორის ანგარიშში <http://independent-inspector.ge/Legislation/Decision/9> დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

2012 წლამდე არსებული პრაქტიკით, დისციპლინური ორგანოს საქმიანობის ხელის შეშლად კვალიფიციირდებოდა მოსამართლის მიერ ახსნა-განმარტების წარდგენაზე უარი²²⁰. ვფიქრობთ, რომ ეს პრაქტიკა უნდა აღდგეს და დისციპლინური ბრალდების შემთხვევაში, მოსამართლის მიერ ახსნა-განმარტების წარმოდგენა სავალდებულო უნდა იყოს, ვინაიდან მოსამართლის ახსნა-განმარტების გარეშე შესაძლოა რთული იყოს დისციპლინურ საქმეზე ფაქტების დადგენა.

7.3. სადისციპლინო კოლეგიის მიერ გამოყენებული სანქციის დასაბუთება

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁴⁷ მუხლით, სადისციპლინო კოლეგია მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების შერჩევასა და ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის შინაარსსა და სიმძიმეს, შედეგებს, რომლებიც მას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ბრალის ხარისხს.

სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებში გამოყენებული სანქციები არასათანოდ არის დასაბუთებული. სანქციის დასაბუთება ხშირად შაბლონურია და სადისციპლინო კოლეგია მიუთითებს რიგ გარემოებებზე, რომლებიც მიიღება მხედველობაში სანქციის შეფარდებისას, თუმცა ეს გარემოებები დეტალურად არ არის განხილული და შეფასებული სანქციაზე მსჯელობისას:

მაგალითად, საქმეზე 1/01-17 სადაც მოსამართლე ცნობილი იქნა ბრალეულად მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებისთვის მრავალ ეპიზოდში (განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის ვადების დარღვევა - 18 ეპიზოდი), ასევე ბრალდებულის უფლების ხელყოფისთვის (მოსამართლემ არ გასცა პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის სატელეფონო საუბრის ნებართვა), მოსამართლის მიმართ გამოყენებული სანქცია - შენიშვნა, დასაბუთებული იქნა შემდეგი სიტყვებით: „დისციპლინური სახდელის შერჩევასა და საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ გაითვალისწინა მოსამართლის საქმიანი და მორალური რეპუტაცია, მხედველობაში მიიღო დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, სიმძიმე, შედეგები, რაოდენობა და მიიჩნია, რომ მოსამართლეს უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – შენიშვნა“; გადაწყვეტილებაში არ წერია, რაში მდგომარეობს მოსამართლის საქმიანი და მორალური რეპუტაცია.

კოლეგიის პრაქტიკაში, კერძო სარეკომენდაციო ბარათის გამოყენება დასაბუთებული იქნა მოსამართლის დატვირთულობით, რაც წარმოადგენს ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებას.

საქმეზე 5.01.18, რომელიც ეხებოდა საქმის განხილვის გაჭიანურებას, სადისციპლინო კოლეგიამ კერძო სარეკომენდაციო ბარათის გამოყენება დაასაბუთა მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა სიმრავლით, რაც მოსამართლის ბრალს ამსუბუქებდა.

საქმეზე 2/01-2018, რომელიც ეხებოდა ასევე საქმის განხილვის გაჭიანურებას სადისციპლინო კოლეგიამ კერძო სარეკომენდაციო ბარათის გამოყენება დაასაბუთა როგორც მოსამართლის დატვირთულობით, ასევე იმ ფაქტით რომ მოსამართლეს უფლებამოსილების განხორციელება პერიოდულად უწევდა თანაშემწის გარეშე.

საქმეზე 4.01.2018, სადაც მოსამართლემ მხარეს მიმართა სიტყვებით, „დასაბუთება რა თქმა უნდა იქნება, ამას არ დაგამადლით...“. სადისციპლინო კოლეგიამ კერძო სარეკომენდაციო ბარათის გამოყენება დაასაბუთა შემდეგი სიტყვებით:

220 <http://dcj.court.ge/uploads/Practice/Practice2004-2013Criminal.pdf>

„საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ დისციპლინური სახდელის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას, გაითვალისწინა მოსამართლის საქმიანი და მორალური რეპუტაცია, მხედველობაში მიიღო დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, შედეგები და მიიჩნია, რომ მოსამართლეს უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა და გამოყენებულ იქნეს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა“.

აღნიშნულ შემთხვევაშიც, დასაბუთება შაბლონურია და არ არის განმარტებული რაში მდგომარეობს მოსამართლის საქმიანი რეპუტაცია და დისციპლინური გადაცდომის შედეგები.

8. ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოება

წინამდებარე თავში განხილულია, თუ რამდენად ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედება დისციპლინურ სამართალწარმოებაზე და კერძოდ მისი რომელი ნორმები შეიძლება იყოს რელევანტური დისციპლინური სამართალწარმოების კონტექსტში.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ტექსტში პირდაპირ არ არის მოხსენიებული დისციპლინური სამართალწარმოება, როგორც ის სამართალწარმოება, რომელზეც მე-6 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო გარანტიები უნდა გავრცელდეს. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი უზრუნველყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციას სისხლის სამართალწარმოებაში. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტითაც გარანტირებულია მინიმალური უფლებები ასევე სისხლის სამართალწარმოებაში.

იმისთვის, რათა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება გავრცელდეს ამა თუ იმ სამართალწარმოებაზე, ამ სამართალწარმოებას უნდა ატარებდეს უწყება, რომელიც ითვლება „სასამართლოდ“ კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობით; პროცესი უნდა შეადგენდეს ან სისხლის სამართალწარმოებას და ეხებოდეს სისხლის სამართლის ბრალდების საფუძვლიანობის გარკვევას, ან უნდა იყოს სამოქალაქო სამართალწარმოება და ეხებოდეს სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობების თაობაზე დავის გადაწყვეტას.

8.1. დისციპლინური უწყება – სასამართლო, მე-6 მუხლის მნიშვნელობით

შეიძლება, თუ არა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დისციპლინური ორგანო ჩაითვალოს სასამართლოდ, მე-6 მუხლის მნიშვნელობით. ანუ, გავრცელდება თუ არა ECHR მე-6 მუხლის მოქმედება იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე, რომელიც განიხილავს და წყვეტს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის საკითხს, ათავისუფლებს მოსამართლეს (უზენაესის სასამართლოს მოსამართლის გარდა) წარდგინების საფუძველზე, სადისციპლინო კოლეგიაზე, რომელიც განიხილავს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ საქმეებს და სადისციპლინო პალატაზე, რომელიც საჩივრის საფუძველზე სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს.

თავისთავად ის ფაქტი, რომ უწყება ასრულებს ერთდროულად რამდენიმე ფუნქციას, ადმინისტრაციულს, რეგულაციურს, ახორციელებს მართლმსაჯულებას, იძლევა კონსულტაციას, ახორციელებს დისციპლინურ სამართალწარმოებას, არ უშლის ხელს იმას, რომ უწყება „სასამართლოდ“ განიხილებოდეს.²²¹ უწყება შეიძლება განხილული იქნეს „სასამართლოდ“, როდესაც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, მისი წევრების უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობა, მისი სამართალწარმოებით მინიჭებული გარანტიები, რომელთა ნაწილი კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ტექსტშია მოხსენიებული.²²²

დისციპლინური სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტება, რომ სასამართლო სისტემის გარეთ არსებული ეროვნული უწყება, საქმის განმხილველი პირი შეიძლება მიჩნეული იქნეს „სასამართლოდ“ მე-6 მუხლის მნიშვნელობით. აღნიშნულის გამო, საჯარო მოხელეთა წინააღმდეგ წარმოებულ სამართალწარმოებაზე მე-6 მუხლის მოქმედება გავრცელდება. ალექსანდრ ვოლკოვის საქმეზე, ის უწყება, რომელმაც განიხილა და გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებზე, შეათვალა მტკიცებულებები, გამართა სხდომა, ჩაითვალა, რომ ასრულებდა სასამართლო ფუნქციას და ჩაითვალა „სასამართლოდ“ მე-6 მუხლის მნიშვნელობით. ასევე საპარლამენტო კომიტეტი და პარლამენტის პლენარული სხდომა.²²³

დისციპლინური სამართალწარმოება - სამოქალაქო სამართალწარმოება, მე-6 მუხლის მნიშვნელობით

პირველი პუნქტიდან გამომდინარე, მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები ვრცელდება სისხლის ან სამოქალაქო სამართალწარმოებაზე. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტების თანახმად, სხვადასხვა სახის სამართალწარმოება შეიძლება, მოხდეს ერთ ან მეორე კატეგორიაში და მასზე ამგვარად გავრცელდეს მე-6 მუხლის მოქმედება, ანუ შესაბამისად, პირს ექნება უფლება, იდავოს, ისარგებლა თუ არა მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი გარანტიებით მის საქმეზე წარმოებულ პროცესში.

221 ჰ. ბელგიის წინააღმდეგ (H. v. Belgium), განაცხადი no. 8950/80, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პლენუმის 1987 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 50.

222 ლე კონტი, ვან ლიოვენი და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ (Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium), განაცხადები nos. 6878/75 და 7238/75, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1981 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 55.

223 Ibid., გადაწყვეტილების პუნქტები 88-90.

საქმებზე მიუღწერ-ჰარტბურგი ავსტრიის წინააღმდეგ,²²⁴ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ დისციპლინურსამართლებრივი ნორმის მოქმედება ვრცელდება არა ზოგადად საზოგადოებაზე, არამედ პროფესიულ ჯგუფზე, რომელსაც აქვს სპეციალური სტატუსი. დისციპლინური სამართალწარმოების მიზანია, პროფესიული ჯგუფის წარმომადგენლები ასრულებდნენ მათი პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელ კონკრეტულ წესებს. შესაბამისად, დისციპლინურ სამართალწარმოებას სისხლის სამართლის ხასიათი არ გააჩნია.²²⁵

საქმებზე ოლექსანდრ ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ,²²⁶ დადასტურდა მიდგომა კონკრეტულად მოსამართლეების წინააღმდეგ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების მიმართ. მოსამართლის შრომითი დავები ხვდება მე-6 მუხლის მოქმედების ფარგლებში, სამოქალაქო სამართალწარმოების ნაწილში.²²⁷

დისციპლინური სამართალწარმოების შედეგის დადგომის აუცილებლობა მე-6 მუხლის მოქმედების გავრცელებისთვის

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ის დისციპლინური სამართალწარმოება, რომლის ფარგლებშიც მიიღება გადაწყვეტილება პირის უფლებებზე, გააგრძელოს თუ არა თავისი პროფესიული საქმიანობა, შეადგენს დავას სამოქალაქო უფლებებზე კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ პრინციპს იყენებს სხვადასხვა პროფესიული დისციპლინური უწყების მიერ განხორციელებულ სამართალწარმოებასთან მიმართებით.²²⁸ ამ კონტექსტში, მე-6 მუხლის მოქმედების გავრცელება დისციპლინურ სამართალწარმოებაზე მხოლოდ ფაქტობრივად დაკისრებული სანქციის მიხედვით არ დგინდება. ამ შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სანქციები, რომელთა დაკისრებაც პირს დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად ემუქრება.²²⁹

შესაბამისად, გოტრინის და სხვების საქმეზე,²³⁰ სადაც პირს მხოლოდ საყვედური გამოეცხადა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო, კანონმდებლობა სხვა რა სანქციებს ითვალისწინებდა, რათა შეეფასებინა, შეიძლებოდა თუ არა სამართალწარმოების შედეგი პირისთვის პროფესიული საქმიანობის შეწყვეტა ყოფილიყო.²³¹

ვინაიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75.³ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს დისციპლინურ სახდელად მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებას და შესაძლებელია დაინიშნოს დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად, ორგანული კანონის შესაბამისად ჩატარებული დისციპლინური სამართალწარმოების ყველა ეტაპი განიხილება „სამოქალაქო დავად“ კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობით და მასზე ვრცელდება კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას,

224 მიუღწერ-ჰარტბურგი ავსტრიის წინააღმდეგ (Muller-Hartburg v. Austria), განაცხადი no. 47195/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება.

225 Ibid., გადაწყვეტილების პუნქტები 44-45, 49.

226 ოლექსანდრ ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ (Oleksandr Volkov v. Ukraine), განაცხადი no. 21722/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება.

227 Ibid., გადაწყვეტილების პუნქტები 92-95.

228 მარუსიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Marusic v. Croatia), განაცხადი no. 79821/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 23 მაისის განჩინების პუნქტი 71.

229 მარუსიჩის საქმე, გადაწყვეტილების პუნქტი 72.

230 გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Gautrin and Others v. France), განაცხადი no. 21257/93, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება.

231 გოტრინის საქმე, გადაწყვეტილების პუნქტი 33.

რომ 75⁵⁰ მუხლის თანახმად, ეს სახდელი უკიდურესი ღონისძიებაა. ცხადია, ამ ანგარიშის მიზნებისთვის კონვენციის სტანდარტები შემხებლობაში რჩება იმ შემთხვევებშიც, როდესაც დისციპლინური სამართალწარმოება შეწყვეტილია ან საბოლოო ჯამში, დისციპლინური გადაცდომა არ არის დადგენილი.

8.2.მე-6 მუხლის დებულებები, რელევანტური დისციპლინური სამართალწარმოებისთვის

საქმეზე რამოს ნუნეს დე კარვალო ე სა პორტუგალიის წინააღმდეგ,²³² ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედება ვრცელდება დისციპლინურ სამართალწარმოებაზე. თუმცა, სასამართლოს მოუწია, განემარტა, რომ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება აღნიშნულ სამართალწარმოებაზე ვერ ვრცელდება, რადგან ეს დებულებები სისხლის სამართალწარმოებისთვის ითვალისწინებს გარანტიებს.²³³ იგივე ლოგიკით, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება დისციპლინურ სამართალწარმოებაზე. მოქმედი და ყოფილი მოსამართლეების ყველა ამ და მრავალ სხვა განაცხადზე, ევროპულ სასამართლოს დასჭირდა განემარტა, რომ დისციპლინური სამართალწარმოება ითვლება სამოქალაქო და არა სისხლისსამართალწარმოებად მე-6 მუხლის მნიშვნელობით და თუ რომელი პუნქტის მოქმედება ვრცელდება აღნიშნულ სამართალწარმოებაზე. წინამდებარე ანგარიშის კონტექსტში მსგავსი განმარტება ასევე აუცილებელია, თუნდაც იმის გამო, რომ საქართველოს შესატყვისი კანონმდებლობა მატერიალური სისხლის სამართლისთვის დამახასიათებელ ტერმინოლოგიას ითვალისწინებს.²³⁴

ამასთან, აღსანიშნავია, რომ როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს თავის პრაქტიკაში, ის საპროცესო გარანტიები, რომლებიც კონვენციის მე-2 და მე-3 პუნქტებით სისხლის სამართალწარმოებისთვისაა გათვალისწინებული, იგულისხმება კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილ უფლებებში სამართლიან პროცესზე და შესაბამისად, ვრცელდება სამოქალაქო სამართალწარმოებაზე თავისი შინაარსის მიხედვით.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევაში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტები მისადაგებულია: ა) დისციპლინური ორგანოების მიერ მოსამართლის ქმედების შეფასებაზე და ბ) თავად დისციპლინური ორგანოების მიერ განხორციელებულ სამართალწარმოებაზე.

8.3.მოსამართლის მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების განხილვისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქმის დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.

232 რამოს ნუნეს დე კარვალო ე სა პორტუგალიის წინააღმდეგ (Ramos Nunes de Carvalho e Sa v. Portugal), განაცხადები nos. 55391/13 და 57728/13 et al, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2018 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება.

233 Ibid., გადაწყვეტილების პუნქტი 128.

234 იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მუხლი 751.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტების თანახმად, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი აკისრებს წევრ სახელმწიფოებს ვალდებულებას, იმდაგვარად მოაწყონ თავიანთი სასამართლო სისტემა, რომ სასამართლოებს შეეძლოთ ამ მუხლის ყველა მოთხოვნის შესრულება და სამართალწარმოების გაჭიანურების თავიდან აცილება ან შემცირება.²³⁵ იმ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასება, რომელიც მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების ფარგლებში ხდება, უნდა მოხდეს თითოეულ კონკრეტულ საქმეზე, ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით.²³⁶ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება მთლიანი სამართალწარმოება.²³⁷

შესაძლოა, სხვადასხვა ეტაპზე გაჭიანურება, ცალკე აღებული, არ იძლეოდეს მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის საფუძველს, მაგრამ კუმულაციურად, პროცესის ხანგრძლივობის გონივრულობის მოთხოვნას არღვევდეს.²³⁸ ასე, მაგალითად, თითოეულ ეტაპზე სამართალწარმოების ხანგრძლივობა (დაახლოებით, წელიწადნახევარი), შესაძლოა, არ ითვლებოდეს არაგონივრულად, მაგრამ სამართალწარმოების ხანგრძლივობა მთლიანობაში გადამეტებული იყოს.²³⁹ ამის სანაღმდეგოდ, პროცესის გარკვეულ ეტაპზე გაჭიანურება, შესაძლოა, დასაშვები იყოს, იმ პირობით, თუ მთლიანი სამართალწარმოების ხანგრძლივობა გადამეტებული არ არის.²⁴⁰ შესაძლებელია, ეროვნული უწყება აქტიური იყოს სამართალწარმოების განმავლობაში, რომელიც გაჭიანურებულია საპროცესო ხარვეზების გამო ისე, რომ მე-6 მუხლი არ ითვლება დარღვეულად.²⁴¹

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სამართალწარმოების გაჩერება ისე, რომ არანაირი განმარტება არ არის წარმოდგენილი, მიუღებელია.²⁴²

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სამართალწარმოების ხანგრძლივობა უნდა შეფასდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე და შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად: საქმის სირთულე, განმცხადებლისა და შესაბამისი უწყებების ქმედებები და განმცხადებლის რა ინტერესს ეხებოდა სამართალწარმოება.²⁴³

235 იამანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Yaman and Others v. Turkey), განაცხადი no. 46851/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 15 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 46.

236 მირიანა მარიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Mirjana Maric v. Croatia), განაცხადი no. 9849/15, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 89.

237 კონიგი ვერმანიის წინააღმდეგ (Konig v. Germany), განაცხადი no. 6232/73, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პლენუმის 1978 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 98.

238 დომელანდი ვერმანიის წინააღმდეგ (Deumeland v. Germany), განაცხადი no. 9384/81, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პლენუმის 1986 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 90.

239 სატაკუნან მარკინაპორსი ოი და სატამედია ოი ფინეთის წინააღმდეგ (Satakunnan Markkinaporssi Oy and Satamedia Oy v. Finland), განაცხადი no. 931/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტები 210-2011.

240 პრეტო და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Pretto and Others v. Italy), განაცხადი no. 7984/77, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პლენუმის 1983 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 37.

241 ნიკოლა ვირგილიუ თანასე რუმინეთის წინააღმდეგ (Nicolae Virgiliu Tanase v. Romania), განაცხადი no. 41720/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2019 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 213.

242 ბომარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ (Beaumartin v. France), განაცხადი no. 15287/89, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 33.

243 ნიკოლა ვირგილიუ თანასე რუმინეთის წინააღმდეგ (Nicolae Virgiliu Tanase v. Romania), განაცხადი no. 41720/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2019 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 209.

საქმის სირთულე შეიძლება უკავშირდებოდეს საქმის როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ გარემოებებს,²⁴⁴ საქმეში რამდენიმე მხარის ჩართულობას,²⁴⁵ მტკიცებულების, მაგალითად, ექსპერტის დასკვნის მოპოვების აუცილებლობას გადანაცვებილების მისაღებად.²⁴⁶ შესაძლებელია, საქმე სამართლებრივი თვალსაზრისით რთული იყოს ეროვნულ დონეზე პრეცედენტების სიმცირის გამო.²⁴⁷

მართალია, ევროპულმა სასამართლომ შეიძლება აღიაროს სამართალწარმოების სირთულე, მაგრამ ჩათვალოს, რომ სამართალწარმოების გაჭიანურება მაინც არ არის გამართლებული.²⁴⁸ შესაძლოა, თავად საქმე არ იყოს რთული, მაგრამ შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ბუნდოვანმა და წინასწარ განუჭვრეტელმა ხასიათმა განხილვა გაართულოს და ხელი შეუწყოს სამართალწარმოების გაჭიანურებას.²⁴⁹

განმცხადებლის ქცევა

მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ მოითხოვს განმცხადებლებისგან, რომ აქტიურად ითანამშრომლონ სასამართლო ხელისუფლებასთან. ასევე არ შეიძლება მათი დადანაშაულება შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების სრულად გამოყენებისთვის,²⁵⁰ ან სამედიცინო მდგომარეობიდან გამომდინარე შედეგებისთვის.²⁵¹ ამის მიუხედავად, ეროვნული ხელისუფლება არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი ამ ფაქტორებით გამოწვეული გაჭიანურებისთვის.²⁵²

განმცხადებელს მხოლოდ ევალება, აჩვენოს, რომ ოპერატიულად გაიარა მასთან დაკავშირებული საპროცესო საფეხურები, თავი შეიკავოს დამაყოვნებელი ტაქტიკისგან და გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები სამართალწარმოების ხანგრძლივობის შესამცირებლად.²⁵³ განმცხადებლის ქცევა ობიექტურ ქმედებას შეადგენს, რომელიც არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს მოპასუხე სახელმწიფოს და რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართალწარმოების ხანგრძლივობის

244 ბენიჩ ზალევსკი პოლონეთის წინააღმდეგ (Bennich-Zalewski v. Poland), განაცხადი no. 59857/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 64.

245 ჰ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (H. v. the United Kingdom), განაცხადი no. 9580/81, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პლენუმის 1987 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 72.

246 შაჰინ კარაკოჩი თურქეთის წინააღმდეგ (Sahin Karakoc v. Turkey), განაცხადი no. 19462/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 30; ნიკოლა ვირგილიუ თანასე რუმინეთის წინააღმდეგ (Nicolae Virgiliu Tanase v. Romania), განაცხადი no. 41720/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2019 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 210.

247 სატაკუნან მარკინაპორსი ოი და სატამედია ოი ფინეთის წინააღმდეგ (Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland), განაცხადი no. 931/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 212.

248 ჩიპოლეტა იტალიის წინააღმდეგ (Cipolletta c. Italie), განაცხადი no. 38259/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების 2018 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 44.

249 ლუპენის ბერძნულ-კათოლიკური მრევლი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania), განაცხადი no. 76943/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 150.

250 ერკნერი და ჰოფაუერი ავსტრიის წინააღმდეგ (Erkner and Hofauer v. Austria), განაცხადი no. 9616/81, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1987 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 68.

251 ნიკოლა ვირგილიუ თანასე რუმინეთის წინააღმდეგ (Nicolae Virgiliu Tanase v. Romania), განაცხადი no. 41720/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2019 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 211.

252 Idem.

253 Union Alimentaria Sanders S.A. v. Spain, განაცხადი no. 11681/85, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 35.

გონივრულობის შეფასებისას.²⁵⁴ განმცხადებლის ქმედება არ უნდა იქნეს გამოყენებული უმოქმედობის შესაფასებლად. განმცხადებლის ქცევის შემდეგი მაგალითები ხელს უწყობს სამართალწარმოების გაჭიანურებას:

ცხადია, სამართალწარმოება, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გაჭიანურდეს განმცხადებლის მიერ სასამართლოსთვის დოკუმენტაციის დაყოფებით წარდგენით,²⁵⁵ ადვოკატის ხშირად/განმეორებით ცვლით,²⁵⁶ შუამდგომლობების დაყენებით ან ვალდებულებების შეუსრულებლობით, რაც ზეგავლენას ახდენს სამართალწარმოებაზე,²⁵⁷ არაუფლებამოსილი სასამართლოსთვის მიმართვით,²⁵⁸ მრავალრიცხოვანი მიმართვებით და მოთხოვნებით.²⁵⁹

უფლებამოსილი უწყებების ქცევა

სახელმწიფო პასუხისმგებელია არა მხოლოდ სასამართლოს, არამედ თავისი ყველა უწყების და თანამდებობის პირის ქცევაზე.²⁶⁰ მხოლოდ სახელმწიფო უწყებების მიერ გამოწვეული გაჭიანურება ამართლებს სამართალწარმოების ხანგრძლივობის არაგონივრულობასთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღებას.²⁶¹ სასამართლო აფასებს სამართალწარმოებას მთლიანობაში, რაც ნიშნავს იმას, რომ მართალია ხელისუფლება, შესაძლოა, პასუხისმგებელი იყოს გარკვეულ საპროცესო ხარვეზებზე, რამაც შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოების გაჭიანურება გამოიწვია, შეიძლება ევროპულმა სასამართლომ მაინც მიიჩნიოს, რომ სახელმწიფომ თავისი ვალდებულება, ოპერატიულად განეხილა საქმე, შეასრულა.²⁶²

იმ სამართლის სისტემაშიც კი, სადაც პროცედურული ინიციატივა მხარეებს ეკუთვნით, ამ უკანასკნელთა დამოკიდებულება სასამართლოს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, უზრუნველყოს, რომ სამართალწარმოება სათანადო გულმოდგინებით ჩატარდეს.²⁶³

იგივე ეხება საქმეებს, სადაც ექსპერტის თანამშრომლობა არის საჭირო. ამ დროს მოსამართლის ვალდებულებაა საქმის დროული მომზადება და მისი ოპერატიულად განხილვა.²⁶⁴

ამასთან, უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს, რომ ევროპული სასამართლო, მართალია ითხოვს, რომ სამართალწარმოება ოპერატიულად ჩატარდეს, ის ასევე ყურადღებას ამახვილებს

254 პოისი ავსტრიის წინააღმდეგ (Poiss v. Austria), განაცხადი no. 9816/82, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1987 წლის 23 აპრილის გადანყვეტილების პუნქტი 57.

255 ვერნილო საფრანგეთის წინააღმდეგ (Vernillo v. France), განაცხადი no. 11889/85, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 20 თებერვლის გადანყვეტილების პუნქტი 34.

256 კიონიგი გერმანიის წინააღმდეგ (Konig v. Germany), განაცხადი no. 6232/73, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1978 წლის 28 ივნისის გადანყვეტილების პუნქტი 103.

257 აკავივა საფრანგეთის წინააღმდეგ (Acquaviva v. France), განაცხადი no. 19248/91, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 21 ნოემბრის გადანყვეტილების პუნქტი 61.

258 ბომარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ (Beaumartin v. France), განაცხადი no. 15287/89, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 24 ნოემბრის გადანყვეტილების პუნქტი 33.

259 პერეირა და სილვა პორტუგალიის წინააღმდეგ (Pereira da Silva v. Portugal), განაცხადი no. 77050/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის გადანყვეტილების პუნქტები 76-79.

260 მარტინს მორეირა პორტუგალიის წინააღმდეგ (Martins Moreira v. Portugal), განაცხადი no. 11371/85, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 26 ოქტომბრის გადანყვეტილების პუნქტი 60.

261 ბუჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ (Buchholz v. Germany), განაცხადი no. 7759/77, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1981 წლის 6 მაისის გადანყვეტილების პუნქტი 49.

262 ნიკოლა ვირგილიუ თანასე რუმინეთის წინააღმდეგ (Nicolae Virgiliu Tanase v. Romania), განაცხადი no. 41720/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2019 წლის 25 ივნისის გადანყვეტილების პუნქტი 211.

263 მილონასი კვიპროსის წინააღმდეგ (Mylonas v. Cyprus), განაცხადი no. 14790/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 11 დეკემბრის გადანყვეტილების პუნქტი 66.

264 ვერსინი საფრანგეთის წინააღმდეგ (Versini v. France), განაცხადი no. 40096/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 10 ივლისის გადანყვეტილების პუნქტი 29.

უფრო ზოგად პრინციპზე, რომ მართლმსაჯულება სათანადოდ განხორციელდეს.²⁶⁵ თუმცა, იმავდროულად, ქრონიკული გადატვირთვა სამართალწარმოების გაჭიანურებას ვერ გაამართლებს.²⁶⁶ ის ფაქტი, რომ სასამართლოს გადატვირთულობა ნორმად იქცა, არ ამართლებს სამართალწარმოების ხანგრძლივობის არაგონივრულობას.²⁶⁷

ვინაიდან წვერი სახელმწიფოების ვალდებულებაა, რომ მოაწყონ თავიანთი სამართლებრივი სისტემა იმდგვარად, რომ უზრუნველყონ პირის უფლება, მიიღონ გადაწყვეტილება გონივრულ ვადაში, სასამართლოს გადატვირთვა მხედველობაში ვერ მიიღება.²⁶⁸

შესაძლოა, მოსამართლე არაადეკვატურად ამხვილებდეს ყურადღებას ამა თუ იმ ფაქტზე და მიუხედავად ექსპერტის დასკვნისა, ეჭვი შეჰქონდეს ამა თუ იმ გარემოებაში, რაც სამართალწარმოების არაგონივრულ გაჭიანურებას იწვევდეს.²⁶⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც სამართალწარმოების გამაჭიანურებელი ფაქტორი, როგორც არის, მაგალითად, ადვოკატთა ასოციაციის გაფიცვა, არ შეიძლება სახელმწიფოს ბრალი იყოს, ევროპული სასამართლო ამოწმებს, თუ რა გააკეთა სახელმწიფომ იმისთვის, რათა გაჭიანურება მინიმუმამდე დაეყვანა.²⁷⁰ შესაბამისად, დისციპლინური ორგანოები, მსგავსი ან სხვაგვარი გამაჭიანურებელი ფაქტორების არსებობისას მაინც უნდა ამოწმებდნენ მოსამართლის ქცევას და აფასებდნენ თუ იქნა მიღებული შესაბამისი ზომები გაჭიანურების მაქსიმალურად შესამცირებლად.

იგივე ეხება მოსამართლის ცვლილების გამო სამართალწარმოების გაჭიანურებას, როდესაც ახალი მოსამართლე თავიდან იწყებს საქმის მასალების გაცნობას. ევროპული სასამართლოს შეფასებით ეს სახელმწიფოს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, უზრუნველყოს სამართალწარმოების გონივრულ ვადაში ჩატარება. მართალია, აღნიშნული უკავშირდება ხელისუფლების ვალდებულებას, სათანადოდ გაუკეთოს ორგანიზება მართლმსაჯულების განხორციელებას,²⁷¹ მაგრამ ევროპულმა სასამართლომ, ამ კონტექსტში, ზუსტადაც, რომ ცალკეული მოსამართლეების პასუხისმგებლობაზე საუბრობს და ადგენს, რომ საქმის განმხილველ მოსამართლეებს მხედველობაში უნდა მიეღოთ განმცხადებლების მიმართ დამდგარი შედეგი და საქმის განხილვას განსაკუთრებული ოპერატიულობით უნდა მოკიდებოდნენ.²⁷² ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასებას სახალხო დამცველის მიერ.²⁷³

265 ფონ მალტცანი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ (Von Maltzan and Others v. Germany), განაცხადები nos. 71916/01 et al., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის განჩინების პუნქტი 132.
266 პრობსტმეირი გერმანიის წინააღმდეგ (Probstmeier v. Germany), განაცხადის no. 20950/92, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 64.

267 Union Alimentaria Sanders S.A. v. Spain, განაცხადი no. 11681/85, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 40.

268 ვოკატურო იტალიის წინააღმდეგ (Vocaturo v. Italy), განაცხადი no. 11891/85, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 24 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 17; კაპელიო იტალიის წინააღმდეგ (Cappello v. Italy), განაცხადი no. 12783/87, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1992 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 17.

269 ბოკი გერმანიის წინააღმდეგ (Bock v. Germany), განაცხადი no. 11118/84, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 47.

270 პაპაგეორგიუ საბერძნეთის წინააღმდეგ (Papageorgiou v. Greece), განაცხადი no. 24628/94, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების პუნქტი 47.

271 ლეჰნერი და ჰესი ავსტრიის წინააღმდეგ (Lechner and Hess v. Austria), განაცხადი no. 9316/81, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1987 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 58.

272 ლეჰნერის საქმე, გადაწყვეტილების პუნქტი 58.

273 Idem.

ქვემოთ მოცემულია საქმეების კატეგორიები, რომლებიც მოითხოვს განსაკუთრებულ ოპერატიულობას:

- » სამოქალაქო სტატუსისა და ქმედუნარიანობის შესახებ საქმეები;²⁷⁴
- » ბავშვის მეურვეობის შესახებ საქმეები;²⁷⁵ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ საქმეებს, სადაც დროის გასვლამ მშობელსა და ბავშვს შორის ურთიერთობისთვის შეიძლება შეუქცევადი შედეგები იქონიოს;²⁷⁶ ასევე საქმეებს, რომლებიც ეხება მშობლის პასუხისმგებლობას და უფლებებს კონტაქტზე;²⁷⁷
- » შრომითი დავები;²⁷⁸ ეს კატეგორია მოიცავს საპენსიო დავებსაც;²⁷⁹
- » საჩივარი პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ;²⁸⁰
- » შშმ პირის შემწობა შეადგენს პირის ძირითად საარსებო წყაროს და ითხოვს მის მომატებას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო;²⁸¹
- » ხანდაზმული პირის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე;²⁸²
- » განათლების უფლება.²⁸³

შესაბამისობა: საქართველოს კანონმდებლობა და დისციპლინური ორგანოების პრაქტიკა

საპროცესო ვადების დაუცველობა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75.¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის ვ.ა) ქვეპუნქტის თანახმად:

მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა შეადგენს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპის დარღვევას. ამ ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვ.) გამო ვერ შეძლო.

274 ბოკი გერმანიის წინააღმდეგ (Bock v. Germany), განაცხადი no. 11118/84, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 49;

275 ჰოკანენი ფინეთის წინააღმდეგ (Hokkanen v. Finland), განაცხადი no. 19823/92, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 72.

276 ციკაკისი გერმანიის წინააღმდეგ (Tsikakis v. Germany), განაცხადი no. 1521/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტები 64 და 68.

277 პაულსენ მედალენი და სვენსონი შვედეთის წინააღმდეგ (Paulsen-Medalen and Svensson v. Sweden), განაცხადი no. 16817/90, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 39.

278 ვოკატურო იტალიის წინააღმდეგ (Vocaturro v. Italy), განაცხადი no. 11891/85, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 24 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 17.

279 ბორჯესი იტალიის წინააღმდეგ (Borgese v. Italy), განაცხადი no. 12870/87, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1992 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 18.

280 კალო საფრანგეთის წინააღმდეგ (Caloc v. France), განაცხადი no. 33951/96, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 120.

281 მოსიე საფრანგეთის წინააღმდეგ (Mociu v. France), განაცხადი no. 46096/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 22.

282 კოდარჩა რუმინეთის წინააღმდეგ (Codarcea v. Romania), განაცხადი no. 31675/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 89.

283 ორშუმი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ (Oršumi and Others v. Croatia), განაცხადი no. 15766/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2010 წლის 16 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 109.

საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევის დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებით, პროექტის გუნდი გამოკვეთს როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკულ პრობლემებს.

კანონმდებლობასთან დაკავშირებით, გუნდი მიიჩნევს, რომ დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობა უნდა უკავშირდებოდეს არა სამართალწარმოების საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით დარღვევას, არამედ სამართალწარმოების არაგონივრულ გაჭიანურებას, რომლის ერთ-ერთი სახედ უნდა განისაზღვროს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით დარღვევა. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარეობს, თავისთავად ის ფაქტი, რომ სამართალწარმოების ვადა არ არის გადაცილებული, არ გულისხმობს იმას, რომ სამართალწარმოება გონივრულ ვადებში ჩატარდა. როდესაც ობიექტურად შესაძლებელი იყო სამართალწარმოების განხორციელება დადგენილი ვადის გასულამდე, მაგრამ შესაბამისი უწყება/თანამდებობის პირი სამართალწარმოებას აჭიანურებს, ირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.²⁸⁴

აღნიშნული საკანონმდებლო ფორმულირების პრობლემა, ცხადია, იწვევს დისციპლინური ორგანოების არასწორ პრაქტიკას. იმ შემთხვევაში თუ მოსამართლემ საქმე განიხილა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინურ გადაცდომას არ ადგენს. ეს ეხება, მათ შორის, 24 თვიან ვადებს არასაპატიმრო საქმეებზე. (დისციპლინური ორგანოების პრაქტიკა იხ. ზემოთ).

საქმეების შესწავლისას, პროექტის გუნდმა დაადგინა, რომ ზოგჯერ დისციპლინური ორგანოები არსებულ საკანონმდებლო რეგულირებასაც არ ითვალისწინებენ. ზოგ შემთხვევაში მოსამართლე კანონით დადგენილ ვადას კანონის სანინააღმდეგოდ აგრძელებს, მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰ მუხლით ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს სასამართლო განიხილავს წარმოებაში მიღებიდან 1 თვის ვადაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამ ვადის გაგრძელებას არ ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ აღნიშნული ვადა განჩინებით 5 თვემდე გააგრძელა, რაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩათვალა კანონიერად. (80/-17).

ასევე მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებების გათვალისწინებით საპატიოდ ჩათვალა ალიმენტის საქმის განხილვა 9 თვის განმავლობაში (იმის მიუხედავად რომ კანონი ასეთი კატეგორიის საქმეების განხილვის ვადად 1 თვეს განსაზღვრავს (საქმე ნ. 146-17)).

საპროცესო ვადის გადაცილება ავტომატურად არასოდეს ითვლება დისციპლინურ გადაცდომად, ვადის რამდენიმე დღით გადაცილება, როგორც წესი, უმნიშვნელო დარღვევად ითვლება (საქმე 91.18).

მეორე მხრივ, როგორც დისციპლინური პრაქტიკის მიმოხილვისას ვნახეთ, ერთი მოსამართლიდან მეორეზე საქმის დაწერის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქმეთა განხილვის ვადების ათვლას თავიდან იწყებს რაც არასწორი მიდგომაა.

შესაბამისად, პრობლემა არსებობს როგორც საკანონმდებლო ხარვეზის და აქედან გამომდინარე, ხარვეზიანი პრაქტიკის თვალსაზრისით, ასევე არსებული საკანონმდებლო რეგლამენტაციის არასწორ გამოყენებასთან დაკავშირებით.

284 იხ. დეტალურად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა.

კანონმდებლობასთან დაკავშირებით პროექტის მიერ იდენტიფიცირებული მეორე პრობლემა შემდეგ ფორმულირებას უკავშირდება:

„ამ ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვ.) გამო ვერ შეძლო.“

ეს ფორმულირება შეიძლება ისე განიმარტოს, რომ მართლმსაჯულების სისტემაში ობიექტურად არსებული პრობლემა, რაც მოსამართლეთა გადატვირთულობას უკავშირდება, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს.

აღნიშნულ მიდგომას დისციპლინური ორგანოების პრაქტიკის მიმოხილვა ადასტურებს.

საქმის განხილვის გაჭიანურებაზე მსჯელობისას იუსტიციის საბჭო ხშირად იხილავს თუ რა სახის მოქმედებები განახორციელა მოსამართლემ საქმეში, როგორია მისი დატვირთულობა. ზოგ შემთხვევებში ვადის დარღვევა საპატიოდ არის ცნობილი მხოლოდ მოსამართლის დატვირთულობიდან გამომდინარე,

როგორც სადისციპლინო ორგანოების პრაქტიკის მიმოხილვა მონიშნავს, მოსამართლეთა დატვირთულობიდან გამომდინარე იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკმაოდ ლმობიერად ეპყრობა საქმეთა განხილვის გადამეტებულ ხანგრძლიობას, ასევე საქმეში არსებულ ხანგრძლივ პერიოდებს, რომლის განმავლობაში მოსამართლეს არავითარი საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია.



ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ფორმულირება და დისციპლინური ორგანოების შესაბამისი პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან, ვინაიდან ევროპული სასამართლო არ გამოირიცხავს მოსამართლის პასუხისმგებლობის შეფასებას პროცესის გონივრული ხანგრძლივობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით გადატვირთულობის სისტემური პრობლემის არსებობისას.²⁸⁵



საქართველოს სასამართლო სისტემისთვის გადატვირთულობა სერიოზული პრობლემაა, რომელიც წლების განმავლობაში მოუგვარებელი რჩება. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში ამ მნიშვნელოვანი პრობლემის მასშტაბებზე წლიდან წლამდე არის მსჯელობა და გამოითქმის წუხილი, რომ სამართლიანი სასამართლო პროცესის ეს უმნიშვნელოვანესი ასპექტი საქართველოში უზრუნველყოფილი არ არის.²⁸⁶ ამ

285 იხ. დეტალურად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა.

286 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 148 et seq., ხელმისაწვდომია: <http://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 97 et seq., ხელმისაწვდომია: <http://ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf>; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 104 et seq., ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/file/d/1gcWDvqloj-PTKW5FWBczRKSldQrKkoO9/view> და ა.შ.

ყველაფრის გათვალისწინებით, ცხადია, საკანონმდებლო ფორმულირება და დისციპლინური ორგანოების შესაბამისი პრაქტიკა ცვლილებას საჭიროებს.

იგივე ითქმის საქმის სირთულეზეც. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა აჩვენებს, საქმის სირთულე ავტომატურად არ ათავისუფლებს მოსამართლეს ვალდებულებისგან, მაქსიმალურად შეამციროს განხილვის ხანგრძლივობა.²⁸⁷

იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქმის განხილვის ვადის გონივრულობის შესაფასებლად საქმის სირთულეს მოიხსენიებს ერთ-ერთ კრიტერიუმად, თუმცა საბჭოს გაანწყვეტილებაში კონკრეტული საქმის სირთულეზე იშვიათად არის ნამსჯელები.

საქმის განხილვის გაჭიანურებაზე მსჯელობისას დისციპლინური ორგანოები თითქმის ყოველთვის იშველიებენ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო. დისციპლინური ორგანოები ავითარებენ შემდეგ მსჯელობას:

იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გონივრულ ვადაში განხილული მნიშვნელოვანია განისაზღვროს - 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს, მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Konig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განხილველი მოსამართლის მოქმედებები; ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ ჩაუტარებლობას (Pafitis and Others v. Greece; §93; Tiece v. San Marino; §31; Sarmeli v. Germany, §129.) დისციპლინური ორგანოები აღნიშნავენ, რომ აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა, უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Konig v. Germany, §98).

ეს მსჯელობა მეორდება გადაწყვეტილებიდან გადაწყვეტილებაში. ცხადია, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოყენებას დისციპლინური ორგანოების პრაქტიკაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იგულისხმება, რომ ამ პრაქტიკით დადგენილი სტანდარტები უბრალოდ კი არ უნდა იყოს ჩამოთვლილი და სტერეოტიპულად მეორდებოდეს, არამედ ფაქტობრივი გარემოებები უნდა გაანალიზდეს ამ სტანდარტების ჭრილში.

287 იხ. დეტალურად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა.

სამხუბაროდ, პროექტის გუნდის შეფასებით, დისციპლინური ორგანოების გადანყვეტილებებში, ზემოთ მოყვანილი საერთაშორისო სტანდარტები შაბლონურად არის მოხსენიებული ისე, რომ საქმის გარემოებები სიღრმისეულად არ არის განხილული ამ კრიტერიუმების შესაბამისად და მათ ჭრილში. ამაზე დამატებით მიუთითებს ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოთ მოყვანილ გადანყვეტილებებში დამკვეთი შეცდომა უცვლელად არის დაკოპირებული ყველა გადანყვეტილებაში, სადაც კი სამართალწარმოების გონივრული ვადების სტანდარტია ნახსენები. კერძოდ, Katte Klitsche de la Grande v. Italy ნაცვლად უნდა იყოს Katte Klitsche de la Grange v. Italy; Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania ნაცვლად უნდა იყოს Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania. საქმეები - Tiece v. San Marino და Human v. Poland საერთოდ არ ჰქონია ევროპულ სასამართლოს წარმოებაში, თუმცა ისინი დისციპლინური ორგანოების უახლეს გადანყვეტილებებში, ზემოაღნიშნულ სხვა ხარვეზებთან ერთად, მაინც მეორდება.²⁸⁸ სავარაუდოდ, აქ იგულისხმება საქმეები Tierce and Others v. San Marino და Humen v. Poland.

გარდა ამისა, დისციპლინური ორგანოების მიერ სამართალწარმოების გონივრულობის კრიტერიუმები სრულად არ არის მოყვანილი. მაგალითად, გამოტოვებულია მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რომელიც ეხება იმის შეფასებას, თუ პირის რა ინტერესს ეხება სამართალწარმოება, რომელიც გაჭიანურებულია.²⁸⁹



ზემოაღნიშნულის საფუძველზე, კეთდება დასკვნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დისციპლინურ ორგანოებს ციტირებული აქვთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გარკვეული საქმეები, ეს ციტირება ხშირ შემთხვევაში არის ზედაპირული და ნაკლოვანი და მორგებული არ არის კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, ან არასწორად არის მორგებული (გადატვირთულობა, საქმის სირთულე და მისთ.).

საკანონმდებლო ფორმულირების ხარვეზი, რომლითაც დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობა განისაზღვრება საპროცესო ვადების დაუცველობით და არა სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულ ვადებში ჩატარების ვალდებულების დაუცველობით, რეალურად არ არის გამოსწორებული დისციპლინური ორგანოების პრაქტიკით.

შესაბამისად, დისციპლინური ორგანოების მიერ სამართალწარმოების გონივრულ ვადებში ჩატარების ვალდებულების დაცვის შეფასება ადეკვატურად არ ხდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად.



288 მაგალითად, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2019 წლის 27 სექტემბრის გადანყვეტილება საქმეზე 26-19, ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/27-seqtemberi-26-19.pdf>; საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2019 წლის 21 იანვრის გადანყვეტილება საქმეზე 3/01-2018, ხელმისაწვდომია <http://dcj.court.ge/uploads/gadackvetilebebi/di.pdf>; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 11 მარტის გადანყვეტილება საქმეზე 22/18, ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/2019%20dashtrixuli/22-18%2811.03.19%29.pdf>; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის გადანყვეტილება საქმეზე 107/17, ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/2018/107-17.pdf>.

8.4. უფლება ქმედითი სამართლებრივი დაცვის საშუალებაზე

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი

ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული დოკუმენტები ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას სამართალწარმოების გაჭიანურების წინააღმდეგ ქმედითი სამართლებრივი დაცვის საშუალების გათვალისწინების თაობაზე.

საქართველოს აღიარებული აქვს ვალდებულება, გააძლიეროს ძალისხმევა კონვენციის ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციისთვის ერთობლივი პასუხისმგებლობის იდეის სულისკვეთებით, მათ შორის, კონვენციით გარანტირებული უფლებების სავარაუდო დარღვევებისგან ქმედითი შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების შექმნითა და გაუმჯობესებით, იქნება ეს სპეციფიკური თუ ზოგადი ხასიათის საშუალებები, განსაკუთრებით, მძიმე და სისტემური თუ სტრუქტურული ხასიათის დარღვევებისთვის.²⁹⁰

კონვენციის არაქმედითი იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე, კერძოდ, იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი სისტემური და სტრუქტურული დარღვევებია, კონვენციის სისტემის მთავარ გამოწვევად რჩება. ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთო მდგომარეობა სახელმწიფოების მოქმედებაზე დამოკიდებულია. სუბსიდიარობის პრინციპის თანახმად, ევროპის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო კონვენციის ძირითადი გარანტორია, ხოლო ამ პრინციპის უმნიშვნელოვანესი ასპექტი არის კონვენციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული უფლება სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებაზე.²⁹¹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს პრაქტიკულ და ქმედით

და არა თეორიულ და ილუზორულ უფლებებს. ეს განსაკუთრებით შეეხება კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიებს, იქიდან გამომდინარე, თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე და კონვენციის მე-6 მუხლით მოცულ საპროცესო გარანტიებს. ამიტომაც სუბსიდიარობის პრინციპი მოითხოვს, რომ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არსებული უფლებებზე დავის საშუალებებისთვის მიმართვით მიღებული შედეგი შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. წინააღმდეგ შემთხვევაში კონვენციის მუხლები, მათ შორის, მე-6 მუხლი ყოველგვარ შინაარსს იქნებოდა მოკლებული.²⁹²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც გააანალიზა, თუ როგორ აფასებენ დისციპლინური უწყებები მოსამართლის მიერ სამართალწარმოების გაჭიანურებას კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობით, პროექტის გუნდმა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ჭრილში განიხილა შემდეგი საკითხები: აკისრია თუ არა საქართველოს ვალდებულება, გაითვალისწინოს ქმედითი დაცვის საშუალება სამართალწარმოების გაჭიანურების წინააღმდეგ; რას ნიშნავს სამართლებრივი დაცვის საშუალების ქმედითობა; შეიძლება თუ არა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დისციპლინური ორგანოები ჩაითვალოს უფლების დაცვის ქმედით

290 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული კოპენჰაგენის დეკლარაცია, 2018, პუნქტი 16.ა).
291 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული კოპენჰაგენის დეკლარაცია, 2018, პუნქტები 12-13.
292 კოკიარელა იტალიის წინააღმდეგ (Cocchiarella v. Italy), განაცხადი no, 64886/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2006 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 83.

საშუალებად კონვენციის მე-13 მუხლის და 35-ე მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-13 მუხლით მოცული სტანდარტები მოიცავს კონვენციის ხელშემკვრელი მხარისგან, რომ უზრუნველყოს რომ უფლებამოსილმა შიდასახელმწიფოებრივმა ორგანომ კონვენციით გარანტირებული უფლების დარღვევაზე პრეტენზია შინაარსობრივად განიხილოს და უფლებრივ მდგომარეობაში აღდგენა უზრუნველყოს. ხელშემკვრელ მხარეს აქვს გარკვეული მიხედულება, თუ რა გზას აირჩევს ამ დებულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად.²⁹³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-13 მუხლით მოთხოვნილი სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება უნდა იყოს ქმედითი როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში.²⁹⁴ სამართალწარმოების გონივრული ვადების კონტექსტში, დაცვის საშუალება ჩაითვლება ქმედითად, თუკი იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დასაჩქარებლად და ამით გაჭიანურების პრევენციისთვის ან უზრუნველყოს მხარე შესაბამისი კომპენსაციით უკვე მომხდარი გაჭიანურებისთვის.²⁹⁵

ევროპულმა სასამართლომ კომენტარი გააკეთა სასამართლოებში დაგროვილი განუხილველი საქმეების რაოდენობაზე და ეჭვი გამოთქვა, რამდენად იყო ეროვნულ დონეზე ხელმისაწვდომი პრევენციული სამართლებრივი საშუალება გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ვერ წარადგინა შესაბამისი მაგალითები, რომლითაც არსებული სამართლებრივი მექანიზმების ქმედითობის თაობაზე ეჭვს გამორიცხავდა.²⁹⁶

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, სამართლებრივი დაცვის საშუალება არის ქმედითი, თუ მას შეუძლია სამართალწარმოების დაჩქარება, რომელიც არაგონივრულად ჭიანურდება ან უკვე გაჭიანურებული სამართალწარმოების შედეგად დარღვეული უფლებისთვის კომპენსაციის მინიჭება.²⁹⁷

რაჩევი ბულგარეთის წინააღმდეგ, 2004

რაჩევის საქმეზე,²⁹⁸ განმცხადებლები დავობდნენ, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით მათ ქმედითი სამართლებრივი დაცვის საშუალებით არ უსარგებლიათ. 1999 წლამდე არსებული კანონმდებლობის თანახმად, იუსტიციის უზენაესი საბჭოსთვის მიმართვის პასუხად რაიმე კონკრეტული პროცედურა არ იყო გათვალისწინებული, ხოლო მოგვიანებით შეტანილი ცვლილებების შედეგად არსებული სამართალწარმოება ქმედითად ვერ ჩაითვლებოდა, რადგან არ ითვალისწინებდა კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას სამართალწარმოების გაჭიანურებისთვის.²⁹⁹

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუნდაც ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებდეს კონვენციის, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლის ძალას შიდასახელმწიფოებრივ დონეზე,

293 ლუკენდას საქმე, გადაწყვეტილების პუნქტი 86.

294 ლუკენდას საქმე, გადაწყვეტილების პუნქტი 97.

295 მიფსუდი საფრანგეთის წინააღმდეგ (Mifsud v. France), განაცხადი no. 57220/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 11 სექტემბრის განჩინების პუნქტი 17; რაჩევი ბულგარეთის წინააღმდეგ (Rachevi v. Bulgaria), განაცხადი no. 47877/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 98.

296 გადაწყვეტილების პუნქტი 47.

297 გადაწყვეტილების პუნქტი 51.

298 რაჩევი ბულგარეთის წინააღმდეგ (Rachevi v. Bulgaria), განაცხადი no. 47877/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება.

299 რაჩევის საქმე, გადაწყვეტილების პუნქტი 94.

ეს თავისთავად არ გულისხმობს ქმედით სამართლებრივი დაცვის არსებობას ეროვნულ დონეზე. სახელმწიფომ უნდა შეძლოს იმის დემონსტრირება, რომ სამართალწარმოების მხარეს შეუძლია წარმატებით დაეყრდნოს კონვენციას და მიმართოს შიდასახელმწიფოებრივ უწყებას მისი საქმის განხილვის დასაჩქარებლად. პრაქტიკის არარსებობა ამ თეორიულსამართლებრივი დაცვის საშუალების ბუნდოვან ხასიათს ადასტურებს.³⁰⁰

რაც შეეხება უფლებაში აღდგენით ზომებს, სასამართლომ ვერ დაადგინა, რომ ბულგარეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს კომპენსაციას ან სხვა აღდგენით საშუალებას გაჭიანურებული სამართალწარმოებისთვის, რომლითაც ისინი დააჩქარებდნენ გაჭიანურებულ სამართალწარმოებას.³⁰¹ ამას გარდა, რაც შეეხება კომპენსაციურ ღონისძიებებს, სასამართლომ ვერ დაადგინა ასეთი საშუალება ბულგარულ სამართალში. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა.³⁰²

ლუკენდა სლოვენის წინააღმდეგ, 2005

ლუკენდას საქმეზე³⁰³ სამართალწარმოების ხანგრძლივობა ეროვნულ დონეზე 5 წელსა და 3 თვეს გაგრძელდა. მართალია, საქმეზე ექსპერტის დასკვნა იყო საჭირო გადანყვეტილების მისაღებად, მაგრამ თავად საქმეარცპროცედურულად დაარცფაქტობრივად განსაკუთრებული სირთულით არ გამოირჩეოდა. უფრო მეტიც, არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ თავად განმცხადებელმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამართალწარმოების გაჭიანურებას. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალწარმოების საერთო ხანგრძლივობა გადამეტებული იყო, კერძოდ, საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, რაც ოთხ წელს გაგრძელდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა.³⁰⁴

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია მოპასუხე სახელმწიფოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ სასამართლო განხილვების სტატისტიკას პრაქტიკას და მიიჩნია, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა სლოვენიაში მძიმე პრობლემას შეადგენდა. განმცხადებლის უფლების დარღვევა გონივრულ ვადაში საქმის განხილვაზე არ იყო ერთი ცალკეული ინციდენტი, არამედ სისტემური პრობლემის ნაწილი, რომელიც არაადეკვატური კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების ადმინისტრირების არაეფექტიანობის შედეგი იყო. ეს პრობლემა საფრთხის უქადის თითოეულ პირს, რომელიც სასამართლოს გზით უფლებების დაცვას შეეცდება.³⁰⁵

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს მიუთითა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება არა მხოლოდ სამართლიანი დაკმაყოფილების ნაწილში კომპენსაციის თანხის გადახდა, არამედ ზოგადი და საჭიროების შემთხვევაში, ასევე ინდივიდუალური ღონისძიებების გატარება, სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევისთვის ბოლოს მოსაღებად და მის შეძლებისდაგვარად გამოსასწორებლად. სასამართლომ მოპასუხე სახელმწიფოში არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების რიგი სუსტი მხარეები დაადგინა და მიუთითა, რომ მომავალში გონივრულ ვადაში საქმის განხილვაზე უფლების დარღვევის თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფოს ან უნდა გამოესწორებინა არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები, ან დაემატებინა ახალი, რათა უზრუნველყოფილიყო

300 რაჩევის საქმე, გადანყვეტილების პუნქტი 64.
301 რაჩევის საქმე, გადანყვეტილების პუნქტები 102-103.
302 რაჩევის საქმე, გადანყვეტილების პუნქტი 104.
303 ლუკენდა სლოვენის წინააღმდეგ (Lukenda v. Slovenia), განაცხადი no. 23032/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 6 ოქტომბრის გადანყვეტილება.
304 ლუკენდას საქმე, გადანყვეტილების პუნქტები 72-79.
305 ლუკენდას საქმე, გადანყვეტილების პუნქტი 93.

ისდარღვევის ქმედითი აღდგენა ეროვნულ დონეზე.³⁰⁶

ლული და სხვები ალბანეთის წინააღმდეგ, 2014

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ლულის საქმეზე³⁰⁷ შეამოწმა, თუ რამდენად ქმედით დაცვის საშუალებას ითვალისწინებდა ალბანეთის იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელსაც დისციპლინურ სამართალწარმოებაში დახმარებას უწევს ინსპექტორის სამსახური.³⁰⁸ ალბანეთის იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, დაიწყოს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლის წინაშე (უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების გარდა), მაგრამ არანაირი დებულება არ აძლევს მას უფლებამოსილებას, მიიღოს რაიმე ზომა გაჭიანურებული (მიმდინარე ან დამთავრებული) სამართალწარმოებისთვის. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ალბანეთის იუსტიციის უმაღლესი საბჭო ქმედითი დაცვის ღონისძიებას არ შეადგენდა.³⁰⁹

მირიანა მარიჩი ხორვატიის წინააღმდეგ, 2020

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის უახლეს, 2020 წლის გადაწყვეტილებაში დაადასტურა, რომ სამართალწარმოების გონივრული ვადის თაობაზე მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის დარღვევის გასასაჩივრებლად არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალება ვერ ჩაითვლება ქმედითად, თუ ის არც პრევენციულია და არც კომპენსაციას არ ითვალისწინებს.³¹⁰ თავის დროზე, ეს მიდგომა დიდმა პალატამ კოკიარელას საქმეზე³¹¹ ჩამოყალიბა, სადაც განმარტა, რომ ქვეყნებში, სადაც სამართალწარმოების გონივრული ვადების მოთხოვნის დარღვევა უკვე არსებობს, სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც მხოლოდ აჩქარებს სამართალწარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს სასურველი საშუალებაა სამომავლოდ, შეიძლება ადეკვატურ საშუალებად ვერ ჩაითვალოს ისეთ სიტუაციაში, როდესაც სამართალწარმოება უკვე აშკარად ძალზე გაჭიანურებულია.³¹²

შესაბამისობა: საქართველოს კანონმდებლობა და დისციპლინური ორგანოების პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის მიერ სამართალწარმოების გაჭიანურების თაობაზე ჩივილის შესაძლებლობა საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ სადისციპლინო ორგანოების წინაშე არის შესაძლებელი, არც საკანონმდებლო და არც პრაქტიკული თვალსაზრისით, დისციპლინური ორგანოები ქმედითი დაცვის სამართლებრივ საშუალებად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მნიშვნელობით, არ ჩაითვლება. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ქმედითი სამართლებრივი დაცვის საშუალებას სამართალწარმოების გაჭიანურების შემთხვევაში და დისციპლინური ორგანოების მიერ არც პრაქტიკაში არ ხდება არც სამართალწარმოების დაჩქარება³¹³ და

306 ლუკენდას საქმე, გადაწყვეტილების პუნქტები 89-98.

307 ლული და სხვები ალბანეთის წინააღმდეგ (Luli and Others v. Albania), განაცხადები nos. 64480/09 64482/09 et al., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება.

308 ლულის საქმე, გადაწყვეტილების პუნქტი 57.

309 ლულის საქმე, გადაწყვეტილების პუნქტი 82.

310 მირიანა მარიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Mirjana Maric v. Croatia), განაცხადი no. 9849/15, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 72.

311 კოკიარელა იტალიის წინააღმდეგ (Cocchiarella v. Italy), განაცხადი no. 64886/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2006 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება.

312 კოკიარელას საქმე, გადაწყვეტილების პუნქტი 76.

313 თუმცა გამოიკვეთა შემთხვევები, როცა თავად მოსამართლე აჩქარებს საქმეს დისციპლინური საჩივრის შეტანის შემდეგ.

მითუმეტეს, არც კომპენსაციის გაცემა. შესაბამისად, საქართველოს ევროპული კონვენციის მე-13 მუხლის მოთხოვნა მე-6 მუხლით გარანტირებულ უფლებასთან დაკავშირებით, რომ სამართალწარმოება გონივრულ ვადებში იქნეს ჩატარებული, შესრულებული არ აქვს.

ეროვნული კანონმდებლობის რეფორმირება ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს, კონვენციის ხელშემკვერელისახელმწიფოების ძალისხმევას, გაატარონ რეფორმები სამართალწარმოების დასაჩქარებლად. მაგრამ ასეთი რეფორმების განხორციელება მიმდინარე საქმეების განხილვის გაჭიანურებას არ უნდა იწვევდეს.³¹⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ადეკვატურობას აფასებს სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპების საფუძველზე.³¹⁵

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებლისთვის ხელსაყრელი ღონისძიების ეროვნულ დონეზე გატარება, როგორც წესი, საკმარისი არ არის, რომ მას „დაზარალებულის“ სტატუსი წაერთვას“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეროვნული ხელისუფლება პირდაპირ ან შინაარსობრივად აღიარებს კონვენციით გარანტირებული უფლების დარღვევას და ახორციელებს უფლების დარღვევის გამოსწორების ღონისძიებას - შეძლებისდაგვარად აღადგენს პირს თავდაპირველ უფლებრივ მდგომარეობაში (*restitutio in integrum*).

აქვს თუ არა პირს დაზარალებულის სტატუსი შენარჩუნებული, ანუ, მოახდინა თუ არა სახელმწიფომ პირის თავდაპირველ უფლებრივ მდგომარეობაში აღდგენა და შეუძლია თუ არა განმცხადებელს განაგრძოს დავა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, პირდაპირ არის დაკავშირებული ქმედითი სამართლებრივი დაცვის ღონისძიებასთან. ამასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, თუ რა კუთხით უნდა მოხდეს კანონმდებლობის რეფორმირება, რათა სამართალწარმოების გონივრული ვადების უზრუნველყოფის კონტექსტში პირმა ქმედითად შეძლოს თავისი უფლებების დაცვა ეროვნულ დონეზე.³¹⁶

კონვენციის მე-6 მუხლი აკისრებს ხელშემკვერელ მხარეებს ვალდებულებას, ისე მოაწყონ სასამართლო სისტემა, რომ მათ შეძლონ მე-6 მუხლით გარანტირებული საპროცესო უფლებების უზრუნველყოფა, მათ შორის, განიხილონ საქმეები გონივრულ ვადებში.³¹⁷ როდესაც ეროვნულ დონეზე აღნიშნულის თვალსაზრისით პრობლემაა, უნდა არსებობდეს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის ქმედითი ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნება იქითკენ, რომ დააჩქაროს სამართალწარმოება, რათა თავიდან აიცილოს მისი შემდგომი გაჭიანურება. მსგავსი სამართლებრივი დაცვის საშუალება ყველაზე ეფექტიანია. ასეთი ღონისძიება ხასიათდება უპირატესობით კომპენსაციის მიმნიჭებელ ღონისძიებასთან მიმართებით, რადგან იგი მხოლოდ *a posteriori* უფლების დარღვევის გამოსწორებას არ უზრუნველყოფს.³¹⁸

314 ფიზანოტი იტალიის წინააღმდეგ (*Fisanotti v. Italy*), განაცხადი no. 32305/96, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 22.

315 სკორდინო იტალიის წინააღმდეგ (no. 1) (*Scordino v. Italy*), განაცხადი no. 36813/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2006 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 178 et seq. და პუნქტი 223.

316 სკორდინო იტალიის წინააღმდეგ (no. 1) (*Scordino v. Italy*), განაცხადი no. 36813/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2006 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 182.

317 ზუსმანი გერმანიის წინააღმდეგ (*Susmann v. Germany*), განაცხადი no. 20024/92, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 1996 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 22.

318 სკორდინო იტალიის წინააღმდეგ (no. 1) (*Scordino v. Italy*), განაცხადი no. 36813/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2006 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 183.

მაგრამ მსავსი სამართლებრივი დაცვის საშუალება ქმედითია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული უწყების გადაწყვეტილებას რეალურად შეუძლია, დააჩქაროს სამართალწარმოება.³¹⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, ზოგიერთ სახელმწიფოს აქვს საუკეთესო გამოსავალი მოძებნილი იმ თვალსაზრისით, რომ სამართლებრივი დაცვის ორივე საშუალება - დაჩქარება და კომპენსაცია კომბინირებული აქვთ. ეს სახელმწიფოებია: ავსტრია, ხორვატია, ესპანეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი.³²⁰

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ხელშეკმკვრელ მხარეებს აქვთ მიხედულების გარკვეული ფარგლები, თუ როგორ უზრუნველყოფენ ინდივიდებს კონვენციის მე-13 მუხლით გარანტირებული უფლებით და რა გზას აირჩევენ ამ მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას.³²¹ ამ კონტექსტში აგრეთვე მნიშვნელოვანია სუბსიდიარობის პრინციპი, რათა პირები სისტემატურად არ იყვნენ იძულებულნი, მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და მათი უფლებები დაცული იყოს, პირველ რიგში, ეროვნულ დონეზე.³²²

რეკომენდებულია, საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებები განხორციელდეს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ქმედითი სამართლებრივი დაცვის საშუალებები როგორც სამართალწარმოების დაჩქარების და შემდგომი გაჭიანურების პრევენციის თვალსაზრისით, ასევე უკვე გაჭიანურებული სამართალწარმოებისთვის გონივრული კომპენსაციის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებში და სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე.

8.5. მიუკერძოებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის პრაქტიკაში განმარტავს, რომ მიუკერძოებლობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში, როგორც წესი, გულისხმობს წინასწარ ჩამოყალიბებული აზრისა თუ განწყობის არარსებობას. ეს განმარტება მოცემულია როგორც ადრინდელ გადაწყვეტილებებში,³²³ ისე უახლეს საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში.³²⁴

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შემუშავებული აქვს ორი ტესტი იმის შესამოწმებლად, არის თუ არა სასამართლო მიუკერძოებელი:

სუბიექტური ტესტი გულისხმობს იმის გარკვევას, ჰქონდა თუ არა ამა თუ იმ მოსამართლეს წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი ან პირადი ინტერესი მოცემულ საქმეზე; პრეზუმპცია

მოქმედებს მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის სასარგებლოდ, სანამ

319 ბაჩინი შვეიცარიის წინააღმდეგ (Bacchini v. Switzerland), განაცხადი no. 62915/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 21 ივნისის განჩინება.

320 იბ. Holzinger (no. 1); Slavicek v. Croatia (dec.); Fernandez-Molina Gonzalez and Others v. Spain (dec.); Michalak v. Poland (dec.); Andrasik and Others v. Slovakia (dec.).

321 კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudla v. Poland), განაცხადი no. 30210/96, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2000 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტები 154-155.

322 სკორდინო იტალიის წინააღმდეგ (no. 1) (Scordino v. Italy), განაცხადი no. 36813/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2006 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 188.

323 კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ (Kyprianou v. Cyprus), განაცხადი no. 73797/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებს პუნქტი 118; მიკალეფი მალტას წინააღმდეგ (Micallef v. Malta), განაცხადი no. 17056/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 93.

324 შეკერია ხორვატიის წინააღმდეგ (Sekerija v. Croatia), განაცხადი no. 3021/14, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 134.

საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.³²⁵

პირად მიკერძობას შეიძლება ამტკიცებდეს პირადი მოსაზრებებით აგრესიის ან ბოროტი განზრახვის გამომჟღავნება ან ზომების მიღება, რომ საქმე მას დასწეროდა.³²⁶

მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსამართლემ პირისთვის არასასურველი საპროცესო გადაწყვეტილებები მიიღო, არ ამტკიცებს მოსამართლის სუბიექტურ მიკერძობას.³²⁷

ობიექტური ტექსტი გულისხმობს იმის შემონახვას, მოსამართლის ქცევის გარდა, არის თუ არა დადასტურებადი ფაქტები, რომლებიც წამოჭრის ეჭვებს მოსამართლის მიკერძობების თაობაზე. ამ დროს, მონმდება უბრუნველყო თუ არა სასამართლომ, მისმა შემადგენლობამ საკმარისი გარანტიები, რათა გამოერიცხა ლეგიტიმური ეჭვები მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.³²⁸

იმის გადანყვეტისას, არსებობს თუ არა მოსამართლის მიკერძობების შესახებ ვარაუდის ლეგიტიმური საფუძველი, მხარის პოზიცია მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. გადამწყვეტი არის ის, ეს შიში ობიექტურად დასაბუთებულია თუ არა.³²⁹

ობიექტური ტესტი ძირითადად ეხება იერარქიულ თუ სხვა სახის კავშირებს მოსამართლესა და სამართალწარმოებაში ჩართულ სხვა პირებს შორის, რაც ობიექტურად ამართლებს ეჭვს სასამართლოს მიკერძობასთან დაკავშირებით.³³⁰

შესაბამისად, თითოეულ კონკრეტულ საქმეზე უნდა დადგინდეს, ესა თუ ის კავშირი ისეთი ხასიათის და მჭიდროა, რომ სასამართლოს მიკერძობებაზე მიუთითებდეს. ამ კონტექსტში, აღსანიშნავია, რომ მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა განხორციელდეს, არამედ უნდა ჩანდეს კიდევ, რომ განხორციელდა.³³¹ ეს ეხება ნდობას, რომელსაც სასამართლოები უნდა ნერგავდნენ საზოგადოებაში და შესაბამის მხარეში. ამდენად, თითოეული მოსამართლე, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს მიკერძობების თაობაზე ეჭვი, უნდა აცხადებდეს თვითაქილებას.³³²

კერძოდ, აქ იგულისხმება ინდივიდუალური მოსამართლის ვალდებულება, მოახდინოს ნებისმიერი დაბრკოლების იდენტიფიცირება, რაც მას ხელს უშლის საქმის განხილვაში მონაწილეობას და თვითაქილება განაცხადოს, ან როცა აღნიშნული საკმარისად ცხადი არ არის, აცნობოს მხარეებს და მათ მისცეს შესაძლებლობა, იდავონ მოსამართლის აქილებაზე.³³³

325 ა.კ. ლიხტენშტაინის წინააღმდეგ (A.K. v. Liechtenstein), განაცხადი no. 38191/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 66.

326 დე კიუბერი ბელგიის წინააღმდეგ (De Cubber v. Belgium), განაცხადი no. 9186/80, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1987 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 25.

327 ხოდორკოვსკი და ლებედევი რუსეთის წინააღმდეგ (no. 2) (Khodorkovskiy and Lebedev v. Russia), განაცხადები nos. 51111/07 და 42757/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 430.

328 მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Morice v. France), განაცხადი no. 29369/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 73; სკერი მალტას წინააღმდეგ (Scerri v. Malta), განაცხადი no. 36318/18, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 69.

329 მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Morice v. France), განაცხადი no. 29369/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 76.

330 მიკალეფი მალტას წინააღმდეგ (Micallef v. Malta), განაცხადი no. 17056/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 97.

331 ოლექსანდრ ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ (Oleksandr Volkov v. Ukraine), განაცხადი no. 21722/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 106.

332 მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Morice v. France), განაცხადი no. 29369/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 78.

333 სიგრიდურ ელინ სიგფუსდოტირი ისლანდიის წინააღმდეგ (Sigridur Elin Sigfusdottir v. Iceland), განაცხადი no. 41382/17, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 35.

ეროვნული სასამართლოების მხრიდან მიუკერძოებლობის თაობაზე განცხადებების განუხილველად დატოვებამ, რაც ერთი შეხედვით, აშკარად დაუსაბუთებელი არ არის, შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოები უნდა აღძრავდნენ ნდობას მათ იურისდიქციაში მყოფი პირების მიმართ.³³⁴

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის დაუშვებლობის განჩინებაში საქმეზე იოკტენი თურქეთის წინააღმდეგ, დაადგინა, რომ ის ფაქტიც კი, რომ მოსამართლეს კონკრეტულ პირთან დაკავშირებით მიღებული აქვს გადაწყვეტილებები, „თავისთავად არ ამართლებს მოსამართლის მიუკერძოებლობის შესახებ ეჭვებს.“³³⁵

უფრო მეტიც, საქმეზე ლებედევი და ხოდორკოვსკი რუსეთის წინააღმდეგ,³³⁶ განმცხადებლები, თანაბრადღებულები ამტკიცებდნენ, რომ მათი საქმე ერთმა მოსამართლემ განიხილა არსებითად, რის გამოც დაირღვა მათი უფლება მიუკერძოებელ სასამართლოზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კვლავაც დაადგინა, რომ ის უბრალო ფაქტი, რომ მოსამართლემ უკვე განიხილა ბრალდებულის თანაბრადღებულის საქმე, არ იყო სამკარისი მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შესატანად ამ ბრალდებულის საქმის განხილვისას. სასამართლომ განმარტა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის სასამართლოების მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა.³³⁷

შესაბამისობა: საქართველოს კანონმდებლობა და დისციპლინური ორგანოების პრაქტიკა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის დღევანდელი რედაქციით მოსამართლის მიუკერძოება ცალკე აღებული არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას, თუმცა კანონით გათვალისწინებულ ჩამონათვალში გვხვდება ცალკეული გადაცდომები, რომლებიც მოსამართლის მიერძოებასთან ასოცირდება.

კერძოდ ესენია:

- » მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით;
- » მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით;
- » მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოხატვა სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე;

³³⁴ რემლი საფრანგეთის წინააღმდეგ (Remli v. France), განაცხადი no. 16839/90, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 48.

³³⁵ იოკტენი თურქეთის წინააღმდეგ (Okten v. Turkey), (განაცხადი no. 22347/07, 2011 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 41).

³³⁶ ლებედევი და ხოდორკოვსკი რუსეთის წინააღმდეგ (Khodorkovskiy and Lebedev v. Russia), განაცხადები nos. 11082/06 და 13772/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება.

³³⁷ Ibid., პუნქტი 544).

» მოსამართლის მიერ განსახილველი საქმის შედეგის წინასწარ გამჟღავნება, გარდა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

» მხარესთან ან დაინტერესებულ პირთან მოსამართლის ცალმხრივი კომუნიკაცია რომელიც არღვევს სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, შეჭიბრებითობის პრინციპს.

» მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი;

» მოსამართლის პოლიტიკურ გაერთიანებაში განწევრება, მის მიერ პოლიტიკური საქმიანობის განხორციელება, საარჩევნო სუბიექტის ნებისმიერი ფორმით საჯაროდ მხარდაჭერა ან პოლიტიკური შეხედულების საჯაროდ გამოხატვა;

» მოსამართლის მიერ სასამართლოში საქმეთა განაწილებაში უკანონო ჩარევა;

» მოსამართლის მიერ პირადი და ინტენსიური (მეგობრული, ოჯახური) ურთიერთობის დამყარება უშუალოდ მის მიერ განსახილველ საქმეში პროცესის მონაწილესთან, რაც იწვევს მოსამართლის მიკერძოებას ან/და პროცესის მონაწილისთვის უპირატესობის მინიჭებას, თუ მას ჰქონდა ინფორმაცია მხარის შესახებ;

» სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედება ნებისმიერი პირის მიმართ ამა თუ იმ საფუძველით;

დისციპლინური ორგანოების მიერ განხილული საქმეები ძირითადად ეხებოდა მოსამართლის მიერ მიკერძოების შესაძლო წარმოჩენას საქმის განხილვის დროს.

პრაქტიკის ანალიზი მოწმობს რომ დისციპლინური ორგანოები საკმაოდ ღმობიერად ეკიდებიან მოსამართლის შესაძლო მიკერძოების ფაქტებს, მაგალითად.

საქმეში 155-18 მოსამართლის მიერ აზრის წინასწარ გამოხატვად და მიკერძოებად არ ჩაითვალა მხარისადმი მიმართვა: „ეს არგუმენტები უზენაეს სასამართლოში შეგიძლიათ... ნუ თუ გააგრძელებთ დავას, დაასაბუთებთ თქვენს საქმეს...“ . აღნიშნული გადაწყვეტილება საკმაოდ აფართოებს მიკერძოების სტანდარტს, ვინაიდან ამ სიტყვებში ჩანს მოსამართლის მინიშნება, რომ ის აპირებს მხარის სანინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანას. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ეს კონტექსტი არ იქნა ჯეროვნად შეფასებული.

საქმეში - 150-17, საბჭომ მოსამართლის მხრიდან მხარისთვის მიმანიშნებელი ფრაზების მიცემა არ ჩათვალა დისციპლინურ გადაცდომად, კერძოდ მოსამართლემ მხარეს შეუსწორა პოზიცია, კერძოდ ხაზი გაუსვა, რომ მხარემ ექსპერტიზა არა თუ ვერ ჩაატარა, არამედ უკვე ჩატარებული ექსპერტიზა საკმარისია მხარის პოზიციის გასამყარებლად. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული საქმე, კონტექსტის გათვალისწინებით შესაძლოა ყოფილიყო მიჩნეული მიკერძოების გამოვლინებად.

საქმეში 76-18, მოსამართლემ განიხილა საქმე სადაც მხარეს წარმოადგენდა უნივერსიტეტი, სადაც მოსამართლეს დადასტურებულად ეჭირა აკადემიური თანამდებობა. აღნიშნულ საქმეზე მოსამართლემ თვითაცილება არ განაცხადა. აღნიშნულ საქმეზე ინსპექტორმა

დაადასტურა მოსამართლის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის: ეთიკის წესების დარღვევის არსებობა. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ეს დასკვნა არ გაიზიარა და მიუთითა: “ის მოცემულობა, რომ მოსამართლე განიხილავს იმ უნივერსიტეტის კერძო საჩივარს, სადაც მას უკავია ანაზღაურებადი თანამდებობა, არ ქმნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანისათვის, რადგან მხარეს მოსამართლის აცილების შუამდგომლობით არ მიუმართავს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ თავად მოსამართლეს თვითაცილების განხორციელების ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ სუბიექტური ტესტის გათვალისწინებით მას წინასწარ ექნებოდა შექმნილი აზრი კონკრეტულ დავასთან მიმართებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც სახეზეა აცილების აშკარა საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან მხარეს აცილების შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავს, ხოლო მოსამართლეს თვითაცილების განხორციელებისათვის აშკარა საფუძველები არ გააჩნდა, მოცემულ დისციპლინურ საქმეში გადაცდომის ჩადენის ნიშნები არ იკვეთება”.

ვფიქრობთ რომ აღნიშნულ შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლის დისკრეცია მეტისმეტად ფართოდ განმარტა. როდესაც მოსამართლე იხილავს საკუთარი დამსაქმებლის წინააღმდეგ მიმართულ დავას, უკვე სახეზეა მოსამართლის აცილების მკაფიო საფუძველი და მოსამართლეს ეს საქმე თავად უნდა აეცილებინა. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ შემთხვევაში იყენებს მიკერძოების მხოლოდ სუბიექტურ ტესტს რაც არ არის მართებული. გამოყენებული უნდა იქნეს მიკერძოების როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ტესტი.

8.6. დისციპლინური პასუხისმგებლობის წინასწარ განჭვრეტადობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კანონი, რომელიც ითვალისწინებს კონვენციით დაცულ უფლებებში ჩარევას, უნდა იყო უნდა აკმაყოფილებდეს კანონის ხარისხობრივ მოთხოვნებს. ეს, მათ შორის, ეხება დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობასაც.

ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებული ხარისხობრივი მოთხოვნა, რასაც კანონი, მათ შორის დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი კანონი უნდა აკმაყოფილებდეს, გულისხმობს კანონის ხელმისაწვდომობას და მისი შედეგების წინასწარ განჭვრეტადობას.³³⁸

საქმეზე გუბი პოლონეთის წინააღმდეგ, მოსამართლე დისციპლინურ პასუხისმგებლობას დაექვემდებარა მოსამართლის თანამდებობისთვის შეუფერებელი საქციელისთვის (undermining the dignity of the office of judge). განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ამ დისციპლინური გადაცდომის რეგლამენტაცია ეროვნული კანონმდებლობაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა.³³⁹

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე კვლავაც გაიმეორა, რომ სასამართლოს ნორმა ვერ ჩაითვლება „კანონად“ კონვენციის მიზნებისთვის, თუ არ არის ჩამოყალიბებული საკმარისი სიცხადით, რათა შესაძლებლობა მიეცეს მოქალაქეს, რომ წარმართოს თავისი ქცევა. მას უნდა შეეძლოს, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო კონსულტაციის მეშვეობით, რომ განჭვრეტოს, გარემოებების შესაბამისი გონივრული

338 ბრისკი რუმინეთის წინააღმდეგ (Brisc v. Romania), განაცხადი no. 26238/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება.

339 გუბი პოლონეთის წინააღმდეგ (Guz v. Poland), განაცხადი no. 965/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

ხარისხით, ნორმის მოქმედების შედეგები. არ არის აუცილებელი, ეს შედეგები აბსოლუტური სიცხადით იყოს წინასწარგანჭვრეტადი. მართალია, სიცხადე სასურველია, გადამეტებული სიხისტე სასურველი არ არის. კანონს უნდა შეეძლოს, ფეხი აუწყოს ცვალებად გარემოებებს. შესაბამისად, გარდაუვალია, რომ მრავალი კანონი ფორმულირებულია იმდაგვარად, რომ მეტნაკლებად ბუნდოვანია და მათი განმარტება და შეფარდება პრაქტიკის საკითხია.³⁴⁰

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისთვის აუცილებელი სიზუსტის ხარისხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კანონის შინაარსზე, მისი რეგულირების სფეროზე იმ პირთა რაოდენობასა და სტატუსზე, რომელთა მიმართაც იგი მიმართულია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ პირებისგან, რომლებიც მიჩვეულნი არიან სიფრთხილით მოეკიდონ თავიანთი პროფესიული საქმიანობის განხორციელებას, მოსალოდნელია, რომ ისინი სიფრთხილით მოეკიდებიან რისკებს, რომლებიც შეიძლება ამა თუ იმ ქმედების შესრულებას ახლდეს თან.³⁴¹

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი აპროტესტებდა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ნორმას, რომელიც ითვალისწინებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას მოსამართლის თანამდებობისთვის შეუფერებელი ქცევის ჩადენისთვის. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეს ფრაზა გარდაუვლად შეიცავს ბუნდოვანების ელემენტს და სასამართლოების მიერ განმარტებას ექვემდებარება.

ამასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ არსებობდა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომლითაც განმარტებული იყო „მოსამართლის თანამდებობის ღირსება“ მოსამართლეებისთვის სავალდებულო სხვა ნორმებთან ერთობლიობაში. აგრეთვე, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში განმარტებული იყო კოლეგა მოსამართლის მიმართ კრიტიკის გამოთქმის დასაშვები გზები. ამ გარემოებასთან ერთად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა ის მეორე ფაქტორიც, რომ განმცხადებელი, როგორც მოსამართლე კარგად იყო გათვითცნობიერებული კანონმდებლობაში და აცნობიერებდა მოსამართლის თანამდებობისთვის აუცილებელ კეთილსინდისიერებისა და ღირსების მოთხოვნებს.³⁴²

ამ ორი ფაქტორის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული კანონმდებლობა წინასწარგანჭვრეტადობის მოთხოვნას აკმაყოფილებდა.

შესაბამისობა: საქართველოს კანონმდებლობა და დისციპლინური ორგანოების პრაქტიკა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მუხლი 75¹ ითვალისწინებს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველსა და დისციპლინური გადაცდომის სახეებს. მე-8 პუნქტი განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომის სახეებს. „8“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად განსაზღვრულია:

„8) მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს (მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება (ქცევა), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას).“

340 გუზი პოლონეთის წინააღმდეგ (Guz v. Poland), განაცხადი no. 965/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 76.

341 გუზი პოლონეთის წინააღმდეგ (Guz v. Poland), განაცხადი no. 965/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 77.

342 გუზი პოლონეთის წინააღმდეგ (Guz v. Poland), განაცხადი no. 965/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტები 78-79.

დისციპლინური გადაცდომის აღნიშნული ფორმულირება შეიძლება წამოჭრიდეს

წინასწარ განჭვრეტადობის პრობლემას. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პოლონეთის შემთხვევაში დაეთანხმა პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტს, რომ შეუძლებელია, დისციპლინური გადაცდომების ზუსტი სიის განსაზღვრა,³⁴³ ასევე გაუმართლებელი იქნებოდა, კანონმდებლის მიმართ მოთხოვნა, რომ კაზუსტიკურად დაედგინა ყველა ის ქმედება, რომელიც შეიძლება ქმნიდეს მოცემული დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობას. მაგრამ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გუზის საქმეში დაადგინა, რომ წინასწარგანჭვრეტადობის მოთხოვნა დაკმაყოფილებული იყო იმის გათვალისწინებით, რომ პოლონეთის უზენაეს სასამართლოს პრაქტიკა დეტალურად განმარტავდა დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობას და არსებული პრაქტიკის საფუძველზე მოსამართლეებს შეეძლოთ საკუთარი ქცევის რეგულირება, გარდა იმისა, რომ როგორც მოსამართლეებს, გაცნობიერებული ჰქონდათ მოსამართლის თანამდებობისთვის წაყენებული მოთხოვნები.³⁴⁴

შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ დისციპლინური ორგანოების პრაქტიკა აღნიშნულ ნორმასთან დაკავშირებით არ არსებობს, რეკომენდებულია, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოსცეს დოკუმენტი, სადაც განმარტავდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მუხლი 75¹ მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის შინაარსს და ამდაგვარად უზრუნველყოფდა კანონის წინასწარგანჭვრეტადობას.

8.7. გადაწყვეტილების დასაბუთება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სასამართლოს გადაწყვეტილებების სათანადოდ დასაბუთების პრინციპი. სასამართლოებმა სათანადოდ უნდა მიუთითონ იმ არგუმენტებზე, რომლებსაც ისინი თავიანთ გადაწყვეტილებას აფუძნებენ.³⁴⁵

დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიზანია იმის ჩვენება, რომ სასამართლომ მხარეებს მოუსმინა, რაც ასევე უწყობს ხელს იმას, რომ ხელი შეუწყოს მხარეების მიერ გადაწყვეტილების მეტ მიმღებლობას. ამას გარდა, მოსამართლე ვალდებულია, რომ დაასაბუთოს თავისი მოსაზრება ობიექტურ არგუმენტებს და ამასთან დაიცვას მხარეთა უფლებები.

თუმცა, გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულების ფარგლები დამოკიდებულია გადაწყვეტილების ხასიათზე და უნდა შეფასდეს საქმის გარემოებებზე დაყრდნობით.³⁴⁶ მართალია, სასამართლოს არ ევალება დეტალური პასუხი გასცეს თითოეულ წამოჭრილ არგუმენტს,³⁴⁷ გადაწყვეტილებიდან თვალნათლივ უნდა ჩანდეს, რომ საქმის ძირითადი ასპექტები განხილული იქნა.³⁴⁸ ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა მიუთითონ საკმარისი სიხადით იმ საფუძვლებზე, რომლებსაც ისინი თავიანთ გადაწყვეტილებებს აყრდნობენ,

343 გუზი პოლონეთის წინააღმდეგ (Guz v. Poland), განაცხადი no. 965/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 78.

344 იხ. ზემოთ.

345 პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Papon v. France), განაცხადი no. 54210/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 15 ნოემბრის განჩინება.

346 რუის ტორიხა ესპანეთის წინააღმდეგ (Ruiz Torija v. Spain), განაცხადი no. 18390/91, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 29.

347 ვან დე ჰურკი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Van de Hurk v. the Netherlands), განაცხადი no. 16034/90, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 61.

348 ბოლდეა რუმინეთის წინააღმდეგ (Boldea v. Romania), განაცხადი no. 19997/02, 2007 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 30.

რათა უფლება მისცენ მხარეს, ქმედითად განახორციელონ გასაჩივრების შესაძლებლობა.³⁴⁹

შესაბამისობა: საქართველოს კანონმდებლობა და დისციპლინური ორგანოების პრაქტიკა

დისციპლინური კანონმდებლობა ითხოვს მოსამართლის მიმართ როგორც შუალედური, ასევე საბოლოო გადაწყვეტილების დასაბუთებას.³⁵⁰

როგორც დისციპლინური პრაქტიკის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, გადაწყვეტილებათა დასაბუთების პრობლემა უკავშირდება ძირითადად იმას, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებში საკმარისად მკაფიოდ არ არის წარმოდგენილი მომჩივანის არგუმენტები, ზოგჯერ არ არის პასუხი გაცემული მნიშვნელოვან არგუმენტებზე, ზოგ შემთხვევაში დისციპლინური საქმე შეწყვეტილია მხოლოდ კვორუმის არ არსებობის გამო, დასაბუთების გარეშე. დასაბუთების პრობლემა არის ასევე ისიც, რომ გადაწყვეტილებებში ზოგჯერ გამოკვეთილი არ არის შესაბამისი დისციპლინური გადაცდომის ელემენტები და არ არის ნამსჯელი ამ ელემენტებზე. სადისციპლინო კოლეგიის მიერ გამოყენებული სანქცია ზოგ შემთხვევაში შაბლონურად არის დასაბუთებული შესაბამისი ფაქტორების დეტალური ანალიზის გარეშე.

349 ჰაჯიანასტასიუ საბერძნეთის წინააღმდეგ (Hadjianastassiou v. Greece), განაცხადი no. 12945/87, ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს 1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება.

350 იხ. მაგ. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁸, 75¹²75¹³, 75¹⁴, 75⁶² მუხლები.

9. დისციპლინური სტატისტიკის ანალიზი

9.1. სტატისტიკური ინფორმაციის სახეები

დისციპლინური სამართალწარმოების დროს სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა-დამუშავება უმნიშვნელოვანესია როგორც სისტემის ეფექტიანობის გაზომვისათვის, ასევე სამართლებრივი პოლიტიკის მოსაზრებებიდან გამომდინარე. სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და გამოქვეყნება ასევე წარმოადგენს სისტემის ანგარიშვალდებულების აუცილებელ მოთხოვნას.

მინიმალური სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების ან წარმოდგენის ვალდებულება თავად საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონშია განსაზღვრული. კერძოდ, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია გამოაქვეყნოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის (შემდგომ - დამოუკიდებელი ინსპექტორი) მიერ წარდგენილი დასკვნების თაობაზე სტატისტიკური ინფორმაცია და საბჭოს მიერ დისციპლინური დევნის დაწყებისა და დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია,

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 511 მუხლის მე-12 პუნქტით: „დამოუკიდებელი ინსპექტორი, მოთხოვნის შემთხვევაში, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც, განეული საქმიანობის (მათ შორის, მიღებული საჩივრებისა და შესაბამისი დასკვნების) შესახებ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ განეული საქმიანობის (მათ შორის, მიღებული საჩივრებისა და შესაბამისი დასკვნების) თაობაზე ინფორმაცია 4 თვეში ერთხელ მაინც პროაქტიულად ქვეყნდება დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ვებგვერდზე“.

ამავე კანონის 75⁸⁰ მუხლის თანახმად: სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობისა და განხილული დისციპლინური საქმეების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია პერიოდულად ეგზავნება საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციასა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

შესაძლებელია პირობითად ერთმანეთისგან გავყოთ სამი სახის სტატისტიკური ინფორმაცია: 1. სამართლებრივი 2. მენეჯმენტის სტატისტიკა 3. დემოგრაფიული სტატისტიკა.

სამართლებრივ სტატისტიკას განეკუთვნება დისციპლინური გადაცდომების და სანქციების სახეები, საქმეთა კატეგორიები (სამოქალაქო, სისხლი, ადმინისტრაციული), საქმეთა განხილვის სამართლებრივი შედეგები (პირის გამართლება, ბრალეულად ცნობა), დაკმაყოფილებული და უარყოფილი შუამდგომლობები და სხვ.

მენეჯმენტის სტატისტიკას განეკუთვნება ყველა ის ინფორმაცია, რაც აუცილებელია საქმეთა ნაკადის ეფექტიანი მართვის (საქმეთა რაოდენობა, სხდომების რაოდენობა, საქმეთა განხილვის ვადები) და სამართალწარმოების საშუალო ვადების კონტროლის მიზნით.

დემოგრაფიულ სტატისტიკას განეკუთვნება სამართალწარმოებას დაქვემდებარებული პირების რაოდენობა და მახასიათებლები სხვადასხვა ინსტანციების და რეგიონების მიხედვით.

9.2. დისციპლინური ორგანოების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია

დღეისათვის დისციპლინურ სტატისტიკას პროაქტიულად აქვეყნებენ შემდეგი ორგანოები ა. დამოუკიდებელი ინსპექტორი, ბ. იუსტიციის უმაღლესი საბჭო, გ. სადისციპლინო კოლეგია. დამოუკიდებელი ინსპექტორი აწარმოებს და აქვეყნებს შემდეგ სტანდარტულ ინფორმაციას:

- » დისციპლინური წარმოების დაწყების საბაზი (მხარე, წარმომადგენელი, სახალხო დამცველი, მედიაში გავრცელებული ცნობა).
- » შემოსული დისციპლინური საჩივრების რაოდენობა (მათ ფორმის დაცვის გარეშე შედგენილიც).
- » დისციპლინური საჩივრების დაყოფა საქმეთა კატეგორიებად (სამოქალაქო, სისხლი, ადმინისტრაციული).
- » საჩივრების რაოდენობა სასამართლო ინსტანციების შესაბამისად.
- » დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ შედგენილი დასკვნების რაოდენობა მათი შინაარსის მიხედვით (დადებითი და უარყოფითი დასკვნები).
- » დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილება/თვითააცილება
- » დისციპლინურ საკითხებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების რაოდენობა.
- » იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის განსხვავებული აზრი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო აქვეყნებს შემდეგ სტატისტიკურ ინფორმაციას³⁵¹

- » დისციპლინური საჩივრების რაოდენობა
- » იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხილული დასკვნების რაოდენობა
- » იუსტიციის უმაღლესი საბჭოში საქმეთა განხილვის შედეგები.
- » სადისციპლინო კოლეგიაში შესული საქმეების რაოდენობა, მოსამართლეთა რაოდენობა
- » სადისციპლინო კოლეგიაში საქმეთა განხილვის შედეგები.

შედარებით მწირია სადისციპლინო კოლეგიის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია, კერძოდ ის მოიცავს

- » შემოსული, დასრულებული და დარჩენილი საქმეების რაოდენობა
- » საქმეთა განხილვის შედეგები.

351 <http://hcoj.gov.ge/ge/distsiplinuri-samartaltsarmoeba/sadistsiplino-statistika/distsiplinuri-samartaltsarmoebis-statistika-2017-2019> წლის მონაცემები გამოქვეყნებული არ არის.


კიდევ უფრო მწირია სადისციპლინო პალატის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები. კერძოდ ის მოიცავს:

- » შემოსულ, განხილულ და განუხილველ საქმეებს;
- » ძალაში დატოვებული გადაწყვეტილებების რაოდენობა;
- » დაკმაყოფილებული და დაკმაყოფილებული საჩივრები.

სადისციპლინო კოლეგია არ აქვეყნებს ინფორმაციას განხილულ საქმეთა კატეგორიებზე, არც ჩატარებული სხდომების რაოდენობებზე, არც იმაზე თუ ვინ გაასაჩივრა კოლეგიის გადაწყვეტილება, მოსამართლემ თუ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ.

2017-2020 წლებში დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მიღებული საჩივრების (განცხადებების) რაოდენობა ასე გამოიყურება³⁵²:


დისციპლინური საჩივრების რაოდენობა



352 წყარო, დამოუკიდებელი ინსპექტორის ვებგვერდი.<http://independent-inspector.ge/>

შედარებისთვის 2010-2016 წლებში იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შემოსული საჩივრების რიცხვი შემდეგია³⁵³


დისციპლინური საჩივრების რაოდენობა



353 წყარო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი. <http://hcoj.gov.ge/ge/distsiplinuri-samartaltsarmoeba/sadistsiplino-statistika/distsiplinuri-samartaltsarmoebis-statistika-2004-217>

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მონოღებული ინფორმაციით 2017-2020 წლებში დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მიღებული საჩივრები საგნობრივად შემდეგნაირად არის გადანაწილებული.

დისციპლინური საჩივრების 2017-20



9.3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნები/იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები წლების მიხედვით³⁵⁴

2018-20 წლებში დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შემდეგნაირად ნაწილდება.

წელი	2018	2019	2020 ივნისის მდგომარეობით	სულ
დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მიღებული საჩივრები/წერილები	318	215	53	586
საბჭოს მიერ განხილული დასკვნები	173	41	21	235
დადებითი დასკვნა	46	10	10	66
გაზიარებული იქნა საბჭოს მიერ და დაიწყო დევნა	33	6	1	40
პასუხისგებაში მიცემული მოსამართლე	4	4	0	8

2020 წელს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მიიღო 32 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე.

როგორც დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 6 ივნისის წერილის, ასევე დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ

2017-2020 წლებში:

- » დამოუკიდებელ ინსპექტორს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის ჯერ არ მიუმართავს საქმის მასალების პროკურატურისთვის გადაცემის თაობაზე.
- » იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე საჩივრის ავტორი მოწვეული არ ყოფილა.
- » მოთხოვნის მიუხედავად მოსამართლემ ახსნა-განმარტება არ წარმოადგინა 6 საქმეზე.

³⁵⁴ წყარო: სტატისტიკური ინფორმაცია დამოუკიდებელი ინსპექტორის ვებგვერდზე. <http://independent-inspector.ge/Legislation/Decision/26/>, ასევე დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გამოგზავნილი წერილი 292/139/03

- » იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის საქმის დამატებითი მოკვლევა არ დაუვალდება.
- » არცერთ მოსამართლეს დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის შუამდგომლობით არ მიუმართავს.
- » არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია დამცველის უფლებით.
- » არცერთ მოსამართლეს არ დაუყენებია დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილება, არც დამოუკიდებელ ინსპექტორს არ მიუმართავს თვითაცილებისთვის.

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მონოღებული, ასევე გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია შემდეგი დასკვნების საშუალებას იძლევა:

- » დისციპლინური საჩივრის საფუძვლებს შორის ტრადიციულად სჭარბობს მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერების შემოწმება და საქმის წარმოების უსაფუძვლო გაჭიანურება;
- » საჩივრების უდიდესი რაოდენობა სამოქალაქო საქმეებიდან მომდინარეობს, რაც სავარაუდოდ, გამოწვეულია საქმეთა გაჭიანურებით;
- » დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების 28% არის დადებითი;
- » დამოუკიდებელი ინსპექტორის დადებითი დასკვნების 60% იზიარებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
- » დევნის დანაშაულის შემთხვევაში საქმეთა 20% სრულდება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემით.

წელი	შემოსული საქმეები	განხილული საქმეები	შეწყდა	გამართლდა	დაეკისრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება/სახდელი
2018	2	2	1		1 კერძო სარეკომენდაციო ბარათი
2019	7	10	3	4	2 კერძო სარეკომენდაციო ბარათი
2020	2	1	0	0	1 შენიშვნა, 1 სარეკომენდაციო ბარათი

შედარებისთვის: 2013-2017 წლებში სადისციპლინო კოლეგიამ განიხილა 6 საქმე და დისციპლინური პასუხისმგებლობა დააკისრა 4 პირს. (2014-2015 წლებში სადისციპლინო კოლეგიას არცერთი საქმე არ განუხილავს).

შედარებისთვის: 2005-2012 წლებში სადისციპლინო კოლეგიამ განიხილა 300-ზე მეტი დისციპლინური საქმე და 206 მოსამართლე იქნა დასჯილი დისციპლინური წესით. აქედან, თანამდებობიდან გათავისუფლდა 37-ი მოსამართლე, მკაცრი საყვედური გამოეცხადა 29-ს, ხოლო საყვედური გამოეცხადა 59 მოსამართლეს, შენიშვნა გამოეცხადა 58 მოსამართლეს, კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიემართა 33 მოსამართლეს³⁵⁶.

საინტერესოა ის, რომ 2019 წლამდე დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების თვალსაზრისით არ მომხდარა რაიმე ისეთი ცვლილება, რაც ახსნის ასეთ რადიკალურ განსხვავებას 2012 წლამდე და 2012 წლის შემდეგომ არსებულ პერიოდებს შორის. ეს განსხვავება მხოლოდ პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილებით შეიძლება აიხსნას.

355 წყარო-მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის ვებგვერდი <http://dcj.court.ge>; სტატისტიკა-shorturl.at/eACW9

356 წყარო - სადისციპლინო კოლეგიის ვებ-გვერდი www.dcj.court.ge; სტატისტიკა- shorturl.at/eACW9

წელი	2018	2019	2020
შემოსული საქმეები	1	9	N/A
განხილული საქმეები	0	7	N/A
დარჩა ძალაში	0	4	N/A
დაკმაყოფილდა	0	1	N/A
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	0	2	N/A
განხილვის პროცესშია	0	1	N/A

როგორც აღნიშნული მეტყველებს, სადისციპლინო კოლეგიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების უმრავლესობა (80-90%) საჩივრდება სადისციპლინო პალატაში. სადისციპლინო პალატა საჩივრების დაახლოებით 1/3-ს აკმაყოფილებს სრულად ან ნაწილობრივ.

რეკომენდაციები სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კუთხით

იმ ინფორმაციასთან ერთად, რასაც აქვეყნებენ დისციპლინური ორგანოები, რეკომენდებულია დამატებით შეგროვდეს, დამუშავდეს და გამოქვეყნდეს შემდეგი სახის სტატისტიკური ინფორმაცია:

1. საქმეთა რაოდენობა, როდესაც საჩივრის ავტორი მიწვეული იქნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებზე;
2. საჩივრების რაოდენობა, რომლებიც წარმოდგენილი იქნა მოსამართლის კონკრეტულ საქმეზე სამართალწარმოების დასრულების შემდეგ თუ დასრულებამდე (საჩივრების დაყოფა ამ ორ ქვეკატეგორიად);

³⁵⁷ წყარო - უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა, www.supremecourt.ge/; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2019-weli-wigni-sadisciplino.pdf>; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018-weli-wigni-sadisciplino.pdf>; 2020 წლის სტატისტიკური მონაცემები გამოქვეყნებული არ არის.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დახარვეზებული საჩივრების რაოდენობა, ჩაშლილი ხარვეზების ნაირსახეობებად;
4. საჩივრების რაოდენობა, რომლებიც ხელახლა იქნა შემოტანილი ხარვეზის გამოსწორების შემდეგ;
5. საქმეების რაოდენობა, რომლებიც გაერთიანდა;
6. საქმეთა რაოდენობა, როდესაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელ ინსპექტორს დაავალა დამატებითი მოკვლევის ჩატარება;
7. ინფორმაცია, თუ რამდენ საქმეზე გაეგზავნა დამოუკიდებელი ინსპექტორის ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადანყვეტილება საჩივრის ავტორს;
8. საქმეთა რაოდენობა, რომლის წარმოებისას საქმის მასალები გადაეგზავნა საქართველოს პროკურატურას;
9. სადისციპლინო კოლეგიის მიერ ჩატარებული სხდომების რაოდენობა;
10. სადისციპლინო კოლეგიის მიერ განხილული საქმეთა კატეგორიები;
11. სადისციპლინო კოლეგიაში, საქმის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმის შეწყვეტის საფუძვლები (მაგ. საქმის შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო);
12. სადისციპლინო კოლეგიის ნაწილობრივ გამამართლებელი გადანყვეტილებები (როდესაც მოსამართლე გამართლდა ბრალდების ნაწილში);
13. სადისციპლინო ორგანოებში საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლიობა;
14. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნები, რომლებიც შედგენილი იქნა კანონით დადგენილი ვადების დაცვით, ან ვადების დარღვევით;
15. საქმეების რაოდენობა სადაც დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმების და დისციპლინური საქმის გამოკვლევის 2 თვიანი ვადები გავრძელდა 2 კვირით.
16. როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ასევე სადისციპლინო კოლეგიაში კანონით დადგენილი ვადების და ამ ვადების დარღვევით განხილული საქმეები;
17. სადისციპლინო პალატაში გადაცდომათა კატეგორიები, საქმეთა განხილვის სამართლებრივი შედეგები.

9.4. დისციპლინური სტატიისტიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში

9.4.1. პენსილვანიის სტატის სამოსამართლო ქსევის კოლეგიის მიერ გამოქვეყნებული სტატიისტიკური ანგარიშები

პროექტმა შეისწავლა პენსილვანიის სტატის სამოსამართლო ქსევის კოლეგიის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ანგარიშები³⁵⁸.


ამ ანგარიშების საინტერესო თავისებურება არის ის, რომ სტატისტიკური ინფორმაცია არ არის

³⁵⁸ <http://judicialconductboardofpa.org/wp-content/uploads/2018-Annual-Report-Judicial-Conduct-Board-of-Pennsylvania-1.pdf>

მოცემული მშრალი სახით, არამედ მას თან ახლავს შესაბამისი განმარტებები (სტადიების,

გამოყენებული სამართლებრივი ტერმინების, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების და სხვ.), რომელიც გასაგები უნდა იყოს საშუალო განათლების ადამიანისათვის.

აღნიშნულ ანგარიშებში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

- 
- » შემოსული საჩივრების რაოდენობა დისციპლინური გადაცდომების მიხედვით;
 - » საჩივრების რაოდენობა სასამართლო ინსტანციების მიხედვით;
 - » მოსამართლისგან მოთხოვნილი ახსნა-განმარტებების რაოდენობა;
 - » შეწყვეტილი საქმეების რაოდენობა შეწყვეტის საფუძვლებისა და სტადიების მიხედვით;
 - » საქმეთა დასრულების შედეგები.

9.4.2. საფრანგეთის მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოქვეყნებული დისციპლინური ანგარიშები


საფრანგეთის მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მსგავსად, აღჭურვილია როგორც სასამართლო სისტემის ადმინისტრირების, ასევე მოსამართლეთა დანიშვნისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფუნქციებით.

დისციპლინური სტატისტიკა მოცემულია მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ერთიან ანგარიშში³⁵⁹.

პენსილვანიის შტატის სამოსამართლო ქცევის კოლეგიის ანგარიშების მსგავსად, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ანგარიშები მოიცავს დისციპლინური პროცედურების აღწერას ყველასათვის გასაგებ ენაზე.

ანგარიშში მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო გამოხატავს სინანულს, რომ მომჩივნების დიდ ნაწილს წარმოადგენენ სასამართლო გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარეები, რომლებიც დისციპლინურ პროცედურებს აიგივებენ სააპელაციო პროცედურებად.

ანგარიშები შეიცავს შემდეგ სტატისტიკურ ინფორმაციას:

- 
- » შემოსული საჩივრების რაოდენობას და დინამიკას (წლების შედარება);
 - » საჩივრების იურიდიული შედეგები საქმისწარმოების სტადიების შესაბამისად;
 - » საჩივრების დაუშვებლობის მიზეზები;
 - » საჩივრების რაოდენობა სასამართლო ინსტანციების და საქმეთა კატეგორიების შესაბამისად.

359 <http://www.conseil-superieur-magistrature.fr/publications/rapports-annuels-dactivite>

დანართი - 1. 2012 წლიდან დღემდე დისციპლინურ კანონმდებლობაში გატარებული ცვლილებების დეტალური მიმოხილვა

2013-2019 წლებში მართლმსაჯულების კუთხით რამდენიმე ეტაპიანი საკანონმდებლო რეფორმა განხორციელდა, რომლებსაც სხვაგვარად მართლმსაჯულების რეფორმის ტალღებსაც უწოდებენ. ცვლილებები შეეხო ასევე დისციპლინური სამართალწარმოების სფეროს. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარდა 2013 წლის პირველი მაისის, 2017 წლის 8 თებერვლის და 2019 წლის 13 დეკემბრის საკანონმდებლო აქტებით (სასამართლო რეფორმის პირველი, მესამე და მეოთხე ტალღები). საყურადღებოა ის გარემოება, რომ 2018 წლის 20 აპრილის ცვლილებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, აღსრულებასთან დაკავშირებით „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონი გაუქმდა და მისი ნორმები დაემატა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონს.

წინამდებარე თავში მოკლედ მიმოვიხილავთ ძირითად საკანონმდებლო ცვლილებებს და შევათვასებთ ამ ნოვაციებს.

1.1. 2013 წლის პირველი მაისის საკანონმდებლო ცვლილებები ცვლილებები

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონში 2013 წლის მაისში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც შეეხო:

- » საჩივრის ავტორის უფლებებს;
- » სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტების წესს;
- » სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესს.

უფრო კონკრეტულად:

- » შეიცვალა კანონის ჩანაწერი, რომლითაც დისციპლინური საჩივრის განხილვის შედეგები ეცნობებოდა საჩივრის ავტორს მხოლოდ მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ცვლილების თანახმად, საქმის შედეგები საჩივრის ავტორს ეცნობება ნებისმიერ შემთხვევაში³⁶⁰;
- » ამოღებული იქნა მითითება იმაზე, რომ კონფიდენციალურია გარემოებები, რომლებიც საფუძველად დაედო მოსამართლის მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათის გამოყენებას³⁶¹;

360 მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი
361 მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი.

- » სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის დადგენის უფლებამოსილება გადაეცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მოსამართლეთა კონფერენციას³⁶²;
- » შეიცვალა სადისციპლინო კოლეგიის ფორმირების წესი - თუ მანამდე სადისციპლინო კოლეგიის 3 წევრს ირჩევდა მოსამართლეთა კონფერენცია მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, ცვლილების შემდეგ, წევრების დასახელების უფლება მიეცა ნებისმიერ მოსამართლეს. თუ მანამდე სადისციპლინო კოლეგიის 2 წევრს ირჩევდა იუსტიციის
- » უმაღლესი საბჭო, ეს უფლებამოსილება გადაეცა საქართველოს პარლამენტს. ამასთან, განისაზღვრა სადისციპლინო კოლეგიის არამოსამართლე წევრთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და წარდგენის წესი³⁶³;
- » განისაზღვრა სადისციპლინო კოლეგიის არამოსამართლე წევრებისათვის ანაზღაურება საერთო სასამართლოების ბიუჯეტიდან³⁶⁴;
- » შეიცვალა სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებების გამოქვეყნების წესი. კერძოდ, განსხვავებით კანონის წინა ვერსიისგან, რომლის თანახმადაც ამ ორგანოების გადაწყვეტილებები ქვეყნდებოდა პერსონალური მონაცემების დაფარვით (თუმცა მათ ჰქონდათ სრულად გამოქვეყნების უფლება), კანონში ჩაიწერა რომ სადისციპლინო გადაწყვეტილებები ქვეყნდება, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, დამონმებული ასლები გადაეცემა ნებისმიერ პირს³⁶⁵.



შესაბამისად, ცვლილებები განხორციელდა დისციპლინური ორგანოების დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდის მიმართულებით. აღნიშნული ცვლილებები დადებითად შეიძლება იქნეს შეფასებული.



1.2. 2017 წლის 8 თებერვლის ცვლილებები

საკმაოდ მოკულობითი იყო 2017 წლის 8 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებები (სასამართლო რეფორმის მესამე ტალღა) დისციპლინურ კანონმდებლობაში. ისინი შეეხო საქმის განხილვის საჯაროობას, მომჩივანის უფლებებს, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საბაბს, მოსამართლის ინფორმირებულობას, მოსამართლის უფლებებს, მოსამართლის მონაწილეობას დისციპლინურ პროცესში, დისციპლინური საქმის მოკვლევის და წინასწარი შემოწმების ორგანოს, გადაწყვეტილებების მიღების ვადებს, მოსამართლისთვის საქმის გაცნობისა და შეპასუხების მიღების ვადებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმს, მტკიცების სტანდარტს,

362 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
 363 24-ე მუხლი
 364 27-ე მუხლი.
 365 მუხ. 81

სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის გადანაცვეტილებების დაპტრიხული სახით გამოქვეყნებას, მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენებას, როგორც უკიდურეს ღონისძიებას, ხანდაზმულობის ვადის გახანგრძლივების შესაძლებლობას.

2017 წლის 8 თებერვლის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ცვლილება ასაერთო სასამართლოების სისტემაში დამოუკიდებელი ინსპექტორის შემოღება. აღნიშნული ცვლილების თანახმად, დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმება და მოკვლევა დაევალა სპეციალიზებულ მოხელეს, რომელიც აღჭურვილია დამოუკიდებლობის გარკვეული გარანტიებით.

უფრო კონკრეტულად:

- » დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს მიეცა დისციპლინური ორგანოების სხდომების გასაჯაროების უფლება³⁶⁶;
- » დისციპლინურ საქმეზე შემაჯამებელი გადანაცვეტილებები დაიყო ორ ჯგუფად - სავალდებულო გახდა დისციპლინური საჩივრის ავტორის ინფორმირება მოსამართლის მიმართ საქმის შეწყვეტის, შეჩერების, განახლების ან გამართლების თაობაზე საერთო სასამართლოებში მიმდინარე საქმის დასრულებამდეც. ხოლო სხვა კატეგორიის შემაჯამებელი გადანაცვეტილებები საჩივრის ავტორს ეცნობება მხოლოდ საერთო სასამართლოებში მიმდინარე შესაბამისი საქმის განხილვის დასრულების შემდეგ³⁶⁷;
- » სასამართლოს თავმჯდომარეებს ჩამოერთვათ დისციპლინური სამართალწარმოების დანყების უფლებამოსილება³⁶⁸;
- » მოსამართლის მიმართ დისციპლინური წარმოების საბაბი ასევე გახდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მოხსენებითი ბარათი, ასევე სახალხო დამცველის ანგარიშებში მოცემული ინფორმაცია³⁶⁹;
- » ამოღებული იქნა სადისციპლინო კოლეგიის წარდგინება, როგორც მოსამართლის მიმართ დევნის დანყების საფუძველი³⁷⁰;
- » ფორმის დაუცველად შედგენილი საჩივარი აღარ შეიძლება გახდეს საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი³⁷¹;
- » განისაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულება, დისციპლინური საჩივრის შემოსვლისას დაუყოვნებლივ შეატყობინოს მოსამართლეს³⁷²;
- » დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის უფლებამოსილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნიდან გადაეცა დამოუკიდებელ ინსპექტორს³⁷³;
- » მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დანყების გადანაცვეტილება აღარ მიიღება ერთპიროვნულად, არამედ გადანაცვეტილებას იღებს იუსტიციის

366 კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.
367 კანონის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.
368 კანონის მე-7 მუხლი.
369 მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.
370 მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.
371 მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.
372 მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.
373 კანონის მე-8-მე-15 მუხლები.

უმაღლესი საბჭო³⁷⁴;

» დისციპლინურ საქმეზე დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება მიბმული იქნა დისციპლინური საქმის წინასწარი შემონშებისა და მოკვლევის ვადებზე. (თუმცა ამ ვადების დარღვევა არავითარ სამართლებრივ შედეგთან არ არის დაკავშირებული)³⁷⁵;

» დადგინდა, რომ ახსნა-განმარტების მიცემა მოსამართლის უფლებაა³⁷⁶;

» დაკონკრეტდა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინური დევნის დაწყების ან დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ ხმათა 2/3 ით, ხოლო თუ იუსტიციის საბჭო ვერ მიიღებს ამ გადაწყვეტილებას, დისციპლინური საქმე წყდება³⁷⁷;

» დაკონკრეტდა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია დამოუკიდებელ ინსპექტორს დაავალოს საქმეზე დამატებითი მოკვლევის ჩატარება და მისცეს დამატებითი მითითებები³⁷⁸;

» განისაზღვრა მოსამართლისთვის საქმის მასალების გადაცემის, მოსამართლის მიერ შეპასუხების წარდგენის და სადისციპლინო კოლეგიაში საქმის მასალების გაგზავნის ვადები³⁷⁹;

» დადგინდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მოსამართლის მინვევის ვალდებულება და მომჩივანის მინვევის შესაძლებლობა³⁸⁰;

» მოსამართლეს მიეცა შესაძლებლობა, აღიაროს დისციპლინური ბრალდება, რა შემთხვევაშიც მიიღება გადაწყვეტილება მისი დისციპლინური პასუხისგებაში მიცემის თაობაზე და საქმის მასალები გადაეცემა სადისციპლინო კოლეგიას³⁸¹;

» იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ჩამოერთვა მოსამართლის მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათის პირდაპირ გამოყენების უფლებამოსილება³⁸²;

» დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადის ამოწურვის შემთხვევაში, სადისციპლინო კოლეგიას მიეცა უფლებამოსილება, არ შეწყვიტოს დევნა თუ საქმისწარმოების გაჭიანურება გამომწვეულია მოსამართლის მიერ დროის განზრახ ბრალეული გაჭიანურებით³⁸³;

» გაუქმდა სადისციპლინო კოლეგიის უფლებამოსილება, ახალი დისციპლინური გადაცდომის გამოვლინების შემთხვევაში, წარდგინებით მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს³⁸⁴;

374 კანონის მე-9 მუხლი.

375 კანონის მე-9 და მე-11 მუხლები.

376 მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

377 კანონის მე-9 და მე-15 მუხლები.

378 კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

379 კანონის მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

380 კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი.

381 კანონის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტი.

382 კანონის მე-19 მუხლი.

383 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

384 კანონის 46-ე მუხლი.

- » განისაზღვრა სადისციპლინო კოლეგიის ვალდებულება, დისციპლინური საჩივრის ავტორს გაუგზავნოს კერძო სარეკომენდაციო ბარათი³⁸⁵;
- » განისაზღვრა სადისციპლინო კოლეგიის მიერ მოსამართლის ბრალეულად ცნობის მტკიცების სტანდარტი-ურთიერთშეთავსებად და დამატერეზებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა³⁸⁶;
- » დადგინდა, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება არის უკიდურესი ღონისძიება³⁸⁷;
- » განისაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სადისციპლინო კოლეგიის გადანყვეტილების გასაჩივრების კვორუმი - ხმათა 2/3³⁸⁸;
- » განისაზღვრა სადისციპლინო პალატისა და კოლეგიის გადანყვეტილებების გამოქვეყნება მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე, გარდა მოსამართლის გათავისუფლების შესახებ გადანყვეტილებისა³⁸⁹;
- » აიკრძალა იმ მოსამართლის თანამდებობრივი დანინაურების შეზღუდვა, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადანყვეტილებით მიცემულია დისციპლინურ პასუხისგებაში³⁹⁰.

1.3. 2019 წლის 13 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებები სამართო სასამართლოების შესახებ ორბანულ კანონში

2019 წლის 13 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებები ეხება დისციპლინური გადაცდომების საფუძვლებს, დამოუკიდებელი ინსპექტორის გადანყვეტილებების და სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნებას, დამოუკიდებელი ინსპექტორის გათავისუფლებისთვის საჭირო ხმათა რაოდენობას, ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების სასამართლოში გასაჩივრებას, დამოუკიდებელი ინსპექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივ სარგოს, ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულებას, დამოუკიდებელი ინსპექტორის ბიუჯეტის შემცირების შეზღუდვას, ახალი დისციპლინური სახდელეების შემოღებას, მომჩივანის საჩივრის დახარვეზების პროცედურას, მოსამართლის მიმართ დევნის დაწყების და დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის სტანდარტს, დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის საქმის შეწყვეტის უფლებამოსილების გადაცემას, ასევე დისციპლინური სახდელეების ეკონომიურობის პრინციპს.

განისაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულება გამოაქვეყნოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილი დასკვნების თაობაზე სტატისტიკური ინფორმაცია და საბჭოს მიერ დისციპლინური დევნის დაწყებისა და დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია³⁹¹.

385 კანონის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
 386 კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტი.
 387 58-ე მუხლის პირველი პუნქტი.
 388 მე-60 მუხლის მე-3 პუნქტი.
 389 81-ე მუხლის პირველი პუნქტი.
 390 85-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები.
 391 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

- » ნაცვლად წევრთა უმრავლესობისა, დამოუკიდებელ ინსპექტორს ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრთა 2/3³⁹².
- » დადგინდა დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების სასამართლოში გასაჩივრების წესი და განისაზღვრა საჩივრის განხილვის მჭიდრო ვადები³⁹³.
- » სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება, რომელიც მანამდე წარმოადგენდა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას, გახდა დისციპლინური სანქციის სახე³⁹⁴.
- » გაიზარდა დამოუკიდებელ ინსპექტორად დასანიშნი პირისათვის წარდგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნა და სავალდებულო გახდა მაგისტრის ხარისხი³⁹⁵;
- » მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება, ამოღებული იქნა დამოუკიდებელი ინსპექტორის გათავისუფლების საფუძვლებიდან. მეორეს მხრივ, ინსპექტორის გათავისუფლების ცალკე საფუძვლებად ჩაემატა საჩივრის ავტორის უფლებების უხეში დარღვევა³⁹⁶ დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამჟღავნება³⁹⁷;
- » შეიცვალა დამოუკიდებელი ინსპექტორის გათავისუფლების საფუძველი „შეუფერებელი ქცევა, რომელიც სახელს უტეხს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს“, შემდეგი ფორმულირებით: „ქმედება, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს (რისთვისაც დამოუკიდებელ ინსპექტორს შეფარებული აქვს ადმინისტრაციული სახდელი) და ლახავს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას“³⁹⁸;
- » განისაზღვრა დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგო, რომელიც გაუთანაბრდა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის შრომის ანაზღაურებას³⁹⁹.
- » დადგინდა, რომ დამოუკიდებელ ინსპექტორს აქვს დამოუკიდებელი დოკუმენტბრუნვა (ამოღებული იქნა მითითება იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე, როგორც დამოუკიდებელი ინსპექტორის ადგილსამყოფელზე)⁴⁰⁰;
- » განისაზღვრა პერიოდულად, მინიმუმ 4 თვეში ერთხელ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება⁴⁰¹;
- » განისაზღვრა, რომ არ შეიძლება დამოუკიდებელი ინსპექტორის მიმდინარე

392 კანონის 51¹ მუხლის მე-2¹ პუნქტი.

393 კანონის 51¹ მუხლის მე-2¹ პუნქტი.

394 კანონის 75³ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

395 კანონის 51¹ მუხლის მე-3 პუნქტი.

396 რაც ნაკლებად მოსალოდნელია, ვინაიდან დისციპლინური საჩივრის ავტორს ძალიან შეზღუდული უფლებები აქვს დისციპლინურ პროცესში.

397 კანონის 51¹ მუხლის მე-6 პუნქტი.

398 კანონის 51¹ მუხლის მე-6 პუნქტი.

399 კანონის 51¹ მუხლის მე-8¹ პუნქტი.

400 კანონის 51¹ მუხლის მე-9 პუნქტი.

401 კანონის 51¹ მუხლის მე-12 პუნქტი.

ხარჯების შემცირება წინა წლის ხარჯებთან შედარებით⁴⁰²;

» დადგინდა დისციპლინური გადაცდომების ახალი ჩამონათვალი, განისაზღვრა განზრახი და გაუფრთხილებელი გადაცდომები, ასევე ის, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ ბრალეული გადაცდომის შემთხვევაში, ასევე დადგინდა, რომ გადაცდომას არ წარმოადგენს ასევე ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, მაგრამ არის მცირე მნიშვნელობის⁴⁰³;

» დისციპლინური გადაცდომის ხანდაზმულობის ვადა შემცირდა ხუთი წლიდან 3 წლამდე⁴⁰⁴;

» შემოღებული იქნა ახალი დისციპლინური სახდელი: ხელფასის 5%-დან 20%-მდე დაქვითვა არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში; სასამართლოს თავმჯდომარის, სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება გათვალისწინებული იქნა დისციპლინური სახდელის სახედ (განსხვავებით კანონის წინა ვერსიიდან, სადაც აღნიშნული წარმოადგენდა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას)⁴⁰⁵;

» მოსამართლის ვინაობის ან დისციპლინური გადაცდომის ფაქტის მიუთითებლობის შემთხვევაში, დადგინდა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ ხარვეზის დადგენის და მის გამოსასწორებლად მომჩივანისათვის 10 დღიანი ვადის მიცემის ვალდებულება;

» დადგინდა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნებისა და მოსაზრებების დასაბუთების ვალდებულება⁴⁰⁶

» განისაზღვრა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საქმის წინასწარი შემოწმების განხორციელება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დევნის დაწყება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით⁴⁰⁷, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემა ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტით⁴⁰⁸;

» განისაზღვრა დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილება გამოიყენოს საჯარო უწყებების და საჯარო სერვისების ელექტრონული ბაზები დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმების და მოკვლევისას⁴⁰⁹;

» დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინური საქმის შეჩერების საფუძვლებიდან ამოღებული იქნა საქმის მასალების პროკურატურისათვის გადაგზავნა⁴¹⁰;

402 კანონის 51¹ მუხლის მე-13 პუნქტი.

403 კანონის 75¹ მუხლი.

404 კანონის 75² მუხლი.

405 კანონის 75⁵ მუხლის მე-3 პუნქტი.

406 კანონის 75⁶ მუხლი.

407 კანონის 75⁷ მუხლის პირველი პუნქტი და 75⁸ მუხლის პირველი პუნქტი.

408 კანონის 75¹⁴ მუხლის პირველი პუნქტი

409 კანონის 75⁷ მუხლის პირველი პუნქტი

410 75¹¹ მუხლის 1¹ მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

- » დამოუკიდებელ ინსპექტორს გადაეცა უფლებამოსილება, შეწყვიტოს საქმე გარკვეული ფორმალური საფუძვლების არსებობისას⁴¹¹;
- » დადგინდა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინური საქმის შეწყვეტის გადაწყვეტილების გამოქვეყნების ვალდებულება⁴¹²;
- » მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემისთვის დადგენილი იქნა ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი⁴¹³;
- » გაუქმდა დისციპლინური სახდელების მიბმა კონკრეტულ გადაცდომებზე და დადგინდა დისციპლინური სახდელების გამოყენების ეკონომიურობის პრინციპი, რაც გულისხმობს უფრო მკაცრი სახდელის გამოყენებას მხოლოდ მაშინ, თუ მსუბუქი სახდელი ვერ ამართლებს სახდელის მიზნებს⁴¹⁴;
- » გაუქმდა დისციპლინური სახდელის სახით თანამდებობიდანგათავისუფლების გამოყენება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მიმართ⁴¹⁵.

საბოლოო ჯამში, ცვლილებები დადებითად უნდა შეფასდეს (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი ინსპექტორის დამოუკიდებლობის გარანტიების გაზრდა) გარკვეული დათქმების გათვალისწინებით.

დანართი 2. საქართველოს დისციპლინური კანონმდებლობის შედარება საზღვარგარეთის ქვეყნების დისციპლინურ სისტემებთან

წინამდებარე თავში მოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და დისციპლინური პროცესის ძირითადი სტადიების შედარებითი ანალიზი - ქართული, ევროპული და ამერიკული სისტემების შედარებით. ანალიზის მიზანია, დადგინდეს გავრცელებულ სისტემებთან არსებული მსგავსებები და განსხვავებები და წარმოდგენილი იქნეს რეკომენდაციები საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით.

2.1. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები

სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემებში დისციპლინური გადაცდომები კოდიფიცირებულია ამა თუ იმ საკანონმდებლო აქტით. გადაცდომების ჩამონათვალი ზოგან მეტად დეტალიზებულია, ზოგან - ნაკლებად (თუმცა შემდგომ სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით არის განმარტებული). ზოგი ქვეყნის კანონმდებლობა დისციპლინურ გადაცდომებს აჯუჯუებს სიმძიმის მიხედვით - მძიმე ან ნაკლებად მძიმე გადაცდომებად. ამ

411 კანონის 75⁶ მუხლის პირველი პუნქტი.

412 კანონის 75⁶ მუხლის მესამე პუნქტი.

413 კანონის 75¹⁴

414 მუხ. 75⁴⁸ პირველი პუნქტი

415 მუხ. 75⁴⁸ მეორე პუნქტი.

დაყოფის მიზანია, რომ გამოყენებული იქნეს სხვადასხვა ტიპის სანქციები და სხვადასხვა ხანდაზმულობის ვადები.

დისციპლინურ გადაცდომათა სახეების დეტალური საკანონმდებლო რეგულირების კუთხით გამოირჩევა იტალია, ესპანეთი, სლოვენია, სადაც კანონმდებლობა 30-მდე დისციპლინურ გადაცდომას იცნობს. შედარებით მწირი ჩამონათვალია მოცემული საფრანგეთის, პოლონეთისა და მონტენეგროს კანონმდებლობაში.

იტალიის კანონმდებლობით გადაცდომები იყოფა 2 ჯგუფად: 1) გადაცდომები, რომლებიც შეიძლება ჩადენილ იქნეს მოსამართლის მიერ სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას და 2) გადაცდომები, რომელთა ჩადენაც შესაძლებელია საქმიანობის ფარგლებს გარეთ⁴¹⁶.

წინამდებარე ჩამონათვალში მოცემულია ის გადაცდომები, რომლებიც არ გვხვდება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის 75¹ მუხლში ან გვხვდება მოდიფიცირებული სახით⁴¹⁷.

ა. მოსამართლის მიერ საქმის განხილვის დროს კანონის დარღვევა. ევროპული და ამერიკული ქვეყნების გამოცდილების შესწავლით ვლინდება, რომ მოსამართლის მიერ საქმის განხილვისას კანონის დარღვევა შეიძლება იყოს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი, თუ მას ახლავს რაიმე დამატებითი წინაპირობა (ცალკე, ან სხვა წინაპირობებთან ერთად). ეს წინაპირობები შეიძლება იყოს: საპროცესო კანონმდებლობის იმპერატიული ნორმის დარღვევა; უხეში, აშკარა ან მძიმე კანონდარღვევის ჩადენა; კანონის განზრახ (წინასწარ შეცნობით) დარღვევა; სამართლიანი პროცესის წესების ან ფუნდამენტურ საპროცესო გარანტიების ან მხარეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევა; დარღვევის დადგენა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით; მოსამართლის არასაპატიო უკოდინრობა ან დაუდევრობა; დარღვევის სისტემატურობა; ზიანის მიყენება სასამართლოს ავტორიტეტისთვის; მოსამართლის მიერ უფლებამოსილების გადამეტება⁴¹⁸;

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის ამერიკული გამოცდილება იცნობს ე.წ. Legal Error Plus ის დოქტრინას, რომლის თანახმად მოსამართლის მიერ კანონის დარღვევა შეიძლება იყოს დისციპლინურად დასჯადი, თუ ის არღვევს კანონის მკაფიო და ჩამოყალიბებულ ნორმას, ჩადენილია არაკეთილსინდისიერად, ან არღვევს პირის კონსტიტუციურ უფლებას, ან არის სისტემატური ხასიათის, ასევე ვერ სწორდება სააპელაციო წესით⁴¹⁹.

2012 წლის 27 მარტის ცვლილებამდე, საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ შეიცავდა „კანონის უხეშ დარღვევას“, როგორც დისციპლინურ გადაცდომას. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ფორმულირება დღეისათვის კვლავ გავრცელებულია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში⁴²⁰.

416 იხ. კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014.

417 გადაცდომების ჩამონათვალს სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით იხილავთ ასევე საიტზე <https://www.ohchr.org/EN/Issues/Judiciary/Pages/ReportDisciplinaryMeasures.aspx>

418 იხ. კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014.

419 იქვე.

420 ქეთევან ბეჭაური, დისციპლინური სამართალწარმოების, დისციპლინური პასუხისმგებლობისა და მოსამართლეთა ეთიკის თავისებურებები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში <http://dcj.court.ge/uploads/kvleebi/Researches/PostsovietPractice.pdf>

ბ. მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა (იხ. მაგ. სლოვენია, იტალია, კოსოვო, საფრანგეთი⁴²¹)

2019 წლის 13 დეკემბრამდე, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი დისციპლინური გადაცდომის სახით შეიცავდა „მოსამართლის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებას“. სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით, აღნიშნული გადაცდომა განიმარტა ამერიკული legal error plus დოქტრინის შესაბამისად და მიეთითა, რომ დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის ზღვარის გავლენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, მისი ხარისხი, განმეორებითი და არაერთგზისი ხასიათი, მოსამართლის კეთილსინდისიერება, მისი მოტივი⁴²².

2019 წლის 13 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებით, ეს გადაცდომა ამოღებული იქნა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ სამოსამართლო შეცდომა დისციპლინური წესით აღარ არის დასჯადი, თუ ის არ თავსდება საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹ მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე ვიწრო კატეგორიაში.

გ. საქმის განხილვის დროს აშკარა მიკერძოების გამოხატვა

სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობით ისჯება მოსამართლის აშკარა მიკერძოება, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი, მაგალითად:

მაკედონიის საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75-ე მუხლით ისჯება სასამართლო პროცესის მიკერძოებული წარმართვა, განსაკუთრებით, მხარეთა თანასწორი მოპყრობის თვალსაზრისით.

კოსოვოს სასამართლო საბჭოს შესახებ კანონით (მუხლი 34) ისჯება სასამართლო პროცესის მიკერძოებული წარმართვა, განსაკუთრებით, მხარეთა თანასწორი მოპყრობის თვალსაზრისით;

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონით, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს: ა.ა) მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით⁴²³;

მოსამართლის აშკარა მიკერძოება ობიექტურად დამტკიცებადი ფაქტია, თუმცა მოცემული საკანონმდებლო ფორმულა ასევე ითხოვს მოსამართლის მოტივის დადგენას, რომელიც უნდა იყოს პირადი, პოლიტიკური ან სოციალური. ვფიქრობთ, რომ ეს ფორმულა პრაქტიკულად გამოუყენებადია, ამიტომ აშკარა მიკერძოების არსებობის შემთხვევაში, მოსამართლის მოტივის დამტკიცება აღარ უნდა იყოს საჭირო. შესაბამისად, კანონში მოცემული ფორმულა უნდა შეიცვალოს შემდეგი ფორმულით: „მოსამართლის აშკარა მიკერძოება საქმის განხილვის დროს“.

421 1958 წლის კანონი მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს შესახებ: „ვალდებულებების შეუსრულებლობად ჩაითვლება პროცესუალური წესის მძიმე და წინასწარშეცნობილი დარღვევა დადგენილი სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებით, რომელიც წარმოადგენს მხარეთა უფლებების ფუნდამენტურ გარანტიას“

422 როგორც ჩანს, Legal error plus ის დოქტრინას ვენეციის კომისიაც იზიარებს. „მოსამართლის მიერ კანონის განმარტება დადგენილი პრაქტიკის საწინააღმდეგოდ არასოდეს შეიძლება გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი თუ არ არის ჩადენილი არაკეთილსინდისიერი მოტივით, მხარის სარგებლის ან ზიანის მიყენების მიზნით ან უხეში დაუდევრობის შედეგად“ იხ. CDL-AD(2014)006, Joint Opinion on the draft Law on disciplinary liability of Judges of the Republic of Moldova, §22

423 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹ მუხლის პირველი პუნქტის ა.ა. პუნქტი.

აშკარა მიკერძობა შეიძლება დადგინდეს შემდეგი ფაქტებით, მაგალითად:

- » მხარის მიმართ აშკარა ფამილარობის, სიმპათიის ან ანტიპათიის
- » კანონის მოთხოვნის სანაღმდეგოდ მხარისთვის სიტყვის მიუცემლობით;
- » მხარის სანდოობის ეჭვქვეშ დაყენებით და სხვ.

მიკერძობა უნდა გავმიჯნოთ დისკრიმინაციისგან, რომელიც საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით, ასევე დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს⁴²⁴.

მათ შორის განმასხვავებელი ნიშნები შემდეგია:

- » დისკრიმინაციას ესაჭიროება საფუძველი, ხოლო მიკერძობას, როგორც დისციპლინურ გადაცდომას, საფუძველი არ ესაჭიროება;
- » დისკრიმინაცია შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი პირის, მათ შორის მონმის და პროცესზე დამსწრე პირის მიმართ, მიკერძობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მხარის მიმართ;
- » დისკრიმინაციას ესაჭიროება კომპარატივი (ანუ მოსამართლის მიერ განსხვავებული შემთხვევების განსხვავებულად მოპყრობის მტკიცებულება), ხოლო მიკერძობას კომპარატივი არ ესაჭიროება.

გ. ხარვეზები სასამართლო გადაწყვეტილებაში

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, სასამართლო გადაწყვეტილება მისი ფორმის, შინაარსის ან მასში გამოყენებული ლექსიკის გამო, შესაძლებელია გახდეს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი. კერძოდ, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებას 1. არ ახლავს სავალდებულო დასაბუთება (იტალია, რუმინეთი); 2. გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილები წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან (იტალია); 3. გადაწყვეტილებაში მოსამართლე იყენებს არაჯეროვან, შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას (ესპანეთი, რუმინეთი)⁴²⁵.

დ. მოსამართლის მიერ სხდომაზე დაგვიანება, თუ ეს არის ხშირი (სერბეთი) ან განმეორებითი (ალბანეთი), ან გამოიხატება საქმეთა განხილვის კონკრეტული გრაფიკის დაუცველობაში (მაკედონია).

ე. ქმედება რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს სასამართლოს ფუნქციონირებას (პოლონეთი).

ზ. ცრუ ინფორმაციის შეტანა ოფიციალურ დოკუმენტებში (მაგ. შვებულების თაობაზე განცხადებებში, დეკლარაციებში (ესპანეთი),

თ. თანამდებობის გამოყენება არამართლზომიერი უპირატესობის მოსაპოვებლად

ამ ტიპის გადაცდომას მიეკუთვნება მოსამართლის მიერ თანამდებობრივი მდგომარეობის

⁴²⁵ იხ. კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014.

გამოყენება შეღავათიანი მოპყრობის (ესპანეთი, მოლდოვა) ან დაუსაბუთებელი სარგებლის მოსაპოვებლად (ბოსნია).

ი. სამსახურებრივი რესურსების არაჯეროვანი გამოყენება (სლოვენია, აშშ⁴²⁶)

კ. სამსახურში გამოუცხადებლობა ან შრომის დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა

სამსახურის გაცდენა ან სამსახურის მიტოვება, როგორც წესი, არ ითვლება დისციპლინურ გადაცდომად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხორციელდება დადგენილი წესების მძიმე დარღვევით (მაკედონია) ზედიზედ რამდენიმე დღის განმავლობაში (ესპანეთი, ალბანეთი), არასაპატიო მიზეზით (ესპანეთი, ალბანეთი, რუმინეთი), განმეორებით (რუმინეთი)⁴²⁷.

ლ. საგანმანათლებლო ვალდებულების თავის არიდება

გადაცდომის ასეთი სახე გვხვდება ბოსნიის და მაკედონიის კანონმდებლობაში, სადაც დასჯადია სავალდებულო პროფესიული ვალდებულების კურსებისთვის თავის არიდება. მაკედონიაში, ასევე, დისციპლინური გადაცდომის სახეა ვალდებულებებისა და მოსამართლის თანამემნეთა პროფესიული ტრენინგის განუხორციელებლობა⁴²⁸.

ზოგიერთი ქვეყნის (მაგ. პოლონეთის) კანონმდებლობით, მოსამართლე ასევე აგებს პასუხის მის დანიშვნამდე ჩადენილი ქმედებისთვის, რომლითაც მან დაარღვია საჯარო მოხელის ვალდებულებები, ან რომელთა გამო ის არ იმსახურებს სამოსამართლო თანამდებობას⁴²⁹.



ვფიქრობთ, რომ ჩამოთვლილი დისციპლინური გადაცდომებიდან შესაძლოა სამი გადაცდომა კერძოდ: 1. ცრუ ინფორმაციის შეტანა ოფიციალურ დოკუმენტებში, 2. თანამდებობის გამოყენება არამართლზომიერი უპირატესობის მოსაპოვებლად; 3. სამსახურებრივი რესურსების პირადი სარგებლობისთვის გამოყენება, რითაც ზიანი მიადგა სამსახურებრივ ინტერესებს გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით⁴³⁰. რაც შეეხება კანონის უხეშ დარღვევას დამატებითი გარემოებების არსებობისას (legal error plus), სასამართლოში დღეს არსებული ვითარების გათვალისწინებით, ამ დარღვევის კვლავ შემოღებას რეკომენდაციას არ ვუწევთ.



2.2. დისციპლინური სანქციები

დისციპლინური სანქციები შესაძლოა დაფიქსირდეს სამ ჯგუფად: ესენია ე.წ. მორალური (ან

ვერბალური), ფინანსური და სასამართლო კარიერასთან დაკავშირებული სანქციები

426 იხ. AJS Comments on Preliminary Draft of Revisions to ABA Model Code of Judicial Conduct; მოსამართლე არ გამოიყენებს სასამართლო აპარატს, რესურსებს, საკანცელარიო მასალას, აპარატურას არასამოსამართლო საქმიანობისათვის გარდა შემთხვევითი და მინიმალური სარგებლობისა არა - პოლიტიკური საქმიანობისთვის ან იმ საკითხებისთვის რაც უკავშირდება კანონს, სამართლებრივ სისტემას ან მართლმსაჯულების ადმინისტრირებას“;

427 იხ. კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014.

2.2.1. მორალური სანქციები

ყველა მონინავე ქვეყნის სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს ისეთ სანქციებს, რომლითაც ხდება მოსამართლის ქმედების ნეგატიური შეფასება სხვა არსებითი სამართლებრივი შედეგების გარეშე, ასეთია შენიშვნა, საყვედური, მკაცრი საყვედური, გაფრთხილება, გაკიცხვა.

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი იცნობს შემდეგ მორალურ სანქციებს: შენიშვნა, საყვედური, მკაცრი საყვედური⁴³¹.

2.2.2. ფინანსური სანქციები

სამართლებრივი სისტემების უმრავლესობა იცნობს ფინანსურ სანქციებს, რომლებიც შეიძლება იყოს: ჯარიმა (გერმანია, ესპანეთი) ან ხელფასიდან დაქვითვა (ბოსნია, ბულგარეთი, მაკედონია, მონტენეგრო, კოსოვო, რუმინეთი, სერბეთი, ხორვატია). კანონმდებლობა ითვალისწინებს ჯარიმის მაქსიმალურ ოდენობას: მაგალითად, გერმანიაში ეს არის ერთი თვის ხელფასი, ხოლო ესპანეთში 6000 ევრო. რაც შეეხება ხელფასიდან დაქვითვას, კანონი აღდგენ ჩარჩოებს როგორც ვადის, ასევე, დასაქვითი პროცენტის თვალსაზრისით. ამ მხრივ, შედარებით მკაცრია ბოსნიისა და სერბეთის კანონი, რომელიც ითვალისწინებს ხელფასის დაქვითვას 1 წლამდე ვადით, 50%-მდე ოდენობით. ხოლო შედარებით ლმობიერია რუმინეთის კანონი, რომელიც ითვალისწინებს ხელფასის დაქვითვას 1 თვიდან 6 თვემდე ვადით 20%-მდე ოდენობით. სხვა ქვეყნებს შუალედური ადგილი უჭირავთ⁴³².

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის 75³ მუხლის თანახმად, ფინანსური სახდელია ხელფასის 5%-დან 20%-მდე დაქვითვა არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში.

2.2.3. კარიერასთან დაკავშირებული სანქციები

ამ ჯგუფში მოიაზრება სანქციები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსამართლის უფლებამოსილებებზე ან მის კარიერაზე, ასეთია მაგალითად, სხვა სასამართლოში გადაყვანა (ბოსნია, ალბანეთი, გერმანია, ესპანეთი), რანგის დაქვეითება (ბულგარეთი), სამუშაო სტაჟის შემცირება (იტალია), დაწინაურებების შეზღუდვა გარკვეული ვადით (სერბეთი), თავმჯდომარის ან ზოგადად, ხელმძღვანელი თანამდებობიდან გათავისუფლება (მაგ. იტალია, ბოსნია), უფლებამოსილების შეჩერება (ესპანეთი, ნიდერლანდები), იძულებით პენსიაში გასვლა (პორტუგალია) ბოლოს სამსახურიდან დათხოვნა.

საქართველოს კანონმდებლობით კარიერასთან დაკავშირებული სანქციებია: სასამართლოს თავმჯდომარის, სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება და მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება. დაქვეითებას და სხვა სასამართლოში გადაყვანას დისციპლინური სანქციის სახით საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი მოსამართლის უფლებამოსილების

431 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75³ მუხლი.

432 იხ. კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014

შეჩერებას როგორც დისციპლინურ სანქციას არ ითვალისწინებს. ვფიქრობთ, რომ ასეთი სანქციის გამოყენება შეიძლება ზოგ შემთხვევაში იყოს ეფექტიანი და სამართლიანი. შესაბამისად, მიზანშეწონილია, შევიდეს ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში და სანქციის სახით გათვალისწინებული მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერება (სხვა თანხლები საკანონმდებლო ცვლილებებით) 6 თვიდან 2 წლამდე ვადით.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁷⁷ მუხლით, მოსამართლეს, რომელიც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მიცემულია დისციპლინურ პასუხისგებაში ან რომლისთვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი გაქარწყლებული არ არის, შესაბამისი ვადით ეზღუდება თანამდებობრივი დანიშნულების უფლება.

2.3. სახდელის შეფარდება გადაცდომათა ერთობლიობისას

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ გადაცდომათა ერთობლიობის დროს, როგორც წესი, მოსამართლეს შეეფარდება მხოლოდ ერთი სახდელი. ამ წესიდან გამონაკლისი გვხვდება იტალიურ კანონმდებლობაში, სადაც გადაცდომათა ერთობლიობის დროს, როცა გამოიყენება რამოდენიმე სხვადასხვა სიმძიმის სახდელი, საბოლოოდ პირს შეეფარდება მათ შორის ყველაზე მძიმე, ხოლო ერთნაირი სახდელების შემთხვევაში - ერთი სატყუარით უფრო მძიმე სახდელი (მუხ. 5)⁴³³.

საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75³⁷ მუხლით მოსამართლის რამდენიმე გადაცდომისთვის ბრალეულად ცნობის შემთხვევაში დაეკისრება მხოლოდ ერთი სახდელი.

2.4. დისციპლინური სანქციის შეფარდებისას მხედველობაში მისაღები გარემოებები

მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა საგანგებოდ ითვალისწინებს იმ გარემოებების ჩამონათვალს, რომლებიც მხედველობაში მიიღება დისციპლინური სახდელის შერჩევისას. ეს სია საკმაოდ ფართოა: დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე, გადაცდომების რაოდენობა (ბოსნია, მაკედონია), ბრალის ფორმა (ბულგარეთი), გადაცდომის შედეგები (ბოსნია, მაკედონია), ზიანი, რომელიც მიაღება სასამართლოს რეპუტაციას (გერმანია), გარემოებები, რომლებშიც ქმედება იქნა ჩადენილი (ბოსნია, ბულგარეთი, მაკედონია, ხორვატია), გადაცდომის ხანგრძლივობა (გერმანია), მოსამართლის პიროვნული მახასიათებლები (გერმანია), მოსამართლის წარსული პრომითი სამსახურებრივი საქმიანობა და მიღწევები (ბოსნია), მოსამართლის მიერ საკუთარი ქმედების შეგნება და პასუხისმგებლობის განცდა (ბოსნია, გერმანია), დისციპლინური საქმის განმხილველ ორგანოებთან თანამშრომლობა (ბოსნია), სხვა გარემოებები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიონ სახდელზე (ბოსნია, ხორვატია)⁴³⁴.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ასევე ადგენს, თუ რა სახის სახდელები შეიძლება იქნეს გამოყენებული ამა თუ იმ სიმძიმის გადაცდომის ჩადენისას. მაგალითად, ესპანეთის კანონმდებლობა, რომელიც ერთმანეთისგან ანსხვავებს გადაცდომების 3 (მსუბუქ, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე) კატეგორიას, მიუთითებს, რომ მსუბუქი და მძიმე დარღვევები ისჯება გაფრთხილებით ან ჯარიმით, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დარღვევები - უფლებამოსილების შეჩერებით, იძულებითი მივლინებით ან სამსახურიდან გათავისუფლებით⁴³⁵.

433 იქვე.
434 იქვე.
435 იქვე.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁴⁷ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: სადისციპლინო კოლეგია მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების შერჩევასა ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის შინაარსსა და სიმძიმეს, შედეგებს, რომლებიც მას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ბრალის ხარისხს.

ამავე კანონის 75⁵⁰ მუხლის თანახმად, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება უკიდურესი ღონისძიებაა, და ეს ღონისძიება განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიყენება. სადისციპლინო კოლეგია იღებს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას, თუ მას კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სიმძიმის, რაოდენობის, აგრეთვე წარსულში ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიაჩნია ამ მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების გაგრძელება.

საზღვარგარეთული გამოცდილების გათვალისწინებით, სახდელის დანიშვნის დროს კანონში მითითებულ ამ გარემოებების ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს გადაცდომის ხანგრძლიობა, მოსამართლის წარსული საქმიანობა, მოსამართლის მიერ გადაცდომის აღიარება და პასუხისმგებლობის განცდა და დისციპლინურ ორგანოებთან თანამშრომლობა.

დისციპლინური პროცესი

2.5. დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მიზმი (საბაბი)

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების სხვადასხვა საბაბს ითვალისწინებს, მათგან ყველაზე გავრცელებულია მოქალაქის საჩივარი. ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში ანონიმური საჩივრები არ დაიშვება⁴³⁶. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. ბოსნია, მოლდოვა), დისციპლინური სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს თავად მომკვლევე პირის ინიციატივითაც, ყოველგვარი საბაბის არსებობის გარეშე. აღნიშნული მიდგომა არ არის გამართლებული ვინაიდან ქმნის დისციპლინური უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფრთხეს. ზოგ ქვეყანაში დისციპლინური წარმოება შეიძლება დაიწყოს სასამართლოების შემონმების საფუძველზე. მსგავსი მიდგომა გავრცელებული იყო საქართველოში 2012 წლამდე, როდესაც ხდებოდა არასასურველი მოსამართლის მიერ განხილული საქმეების შესწავლა დისციპლინური გადაცდომების აღმოჩენის მიზნით⁴³⁷. მოლდოვაში მოსამართლის საქმიანობის შემოწმებელი კომისია, უფლებამოსილია დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, დააყენოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი. ჩვენი აზრით, აღნიშნული მიდგომა არ არის გამართლებული, ვინაიდან არ არის მიზანშეწონილი მოსამართლის შეფასება მის დისციპლინას დაუკავშირდეს. ზოგ ქვეყნებში (მაგ. აზერბაიჯანი), მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საბაბი შეიძლება გახდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ან ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება⁴³⁸, რომლითაც შეფასდა ამ მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერება. მოსამართლის გადაწყვეტილების გაუქმება, ზემდგომი ინსტანციების მიერ ავტომატურად არ გულისხმობს დისციპლინური გადაცდომის არსებობას. შესაბამისად, აღნიშნული მიდგომა არ არის გამართლებული. ზოგიერთ პოსტსაბჭოთა

436 იხ. EN CJ Report, Minimum Judicial Standards v. Disciplinary Proceedings and Liability of judges, p. 25. https://www.ency.eu/images/stories/pdf/GA/Hague/encj_report_minimum_standards_v_adopted_ga_june_2015.pdf.

437 იხ. დამოუკიდებელი ინსპექტორის შემოღების საჭიროება საერთო სასამართლოების სისტემაში, გვ. 7 <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/nino-gvenetadzis-moxsenebis-sruli-texti.pdf>

438 ქეთი ბეჟაური, პოსტსაბჭოთა ქვეყნების დისციპლინური სამართალწარმოება, <http://dcj.court.ge/uploads/kvlevis/Researches/DCJ-PostsovietLegislations.pdf>

ქვეყანაში (მაგ. ყაზახეთი) შემორჩენილია კერძო განჩინების ინსტიტუტი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მოსამართლის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებას⁴³⁹.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁵ მუხლში მოცემულია იმ მიზეზების ჩამონათვალი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია დაიწყოს დისციპლინური სამართალწარმოება. ეს მიზეზები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: ა. სასამართლოს შიგნით არსებული წყაროები. ესენია: სხვა მოსამართლის, სასამართლოს ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ან აპარატის მოხელის მოხსენებითი ბარათი მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ; ბ. სასამართლოს გარეთ არსებული წყაროები: ნებისმიერი პირის საჩივარი ან განცხადება, გარდა ანონიმური საჩივრისა ან განცხადებისა; გამოძიების ორგანოს შეტყობინება; მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია, აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში ან/და წინადადებაში მოცემული ინფორმაცია მოსამართლის მიერ ისეთი ქმედების ჩადენის შესახებ, რომელიც შეიძლება დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვალოს.

საქართველოს კანონმდებლობით ანონიმური საჩივრის საფუძველზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება არ დაიშვება.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დისციპლინური სამართალწარმოების მიზეზთა ჩამონათვალი, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით დაბალანსებულია და შეესაბამება მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას.

2.6. დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება, დისციპლინური საქმის მოკვლევა და წინასწარი შემოწმება

სხვადასხვა ქვეყანაში დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას და მოკვლევას სხვადასხვა ორგანო ან თანამდებობის პირი ახორციელებს. სამართალწარმოების დაწყების უფლება აქვთ როგორც სასამართლოს გარე სუბიექტებს (მაგ. იუსტიციის მინისტრს - ალბანეთი, ლატვია⁴⁴⁰), ასევე შიდა სუბიექტებს (მაგ. სასამართლოს თავმჯდომარეები, ინსპექტორი - მაგ, მონტენეგრო, პოლონეთი, პორტუგალია)⁴⁴¹. საქართველოში 2017 წლამდე მოქმედებდა მოდელი, რომლითაც დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლება ჰქონდათ როგორც სასამართლოს თავმჯდომარეებს, ასევე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. 2017 წლის 8 თებერვლის ცვლილებით, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება გადაეცა მხოლოდ დამოუკიდებელ ინსპექტორს⁴⁴².

ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, დისციპლინური საქმის მოკვლევას ახორციელებს სასამართლოს გარეთ მყოფი სუბიექტი, მაგალითად იუსტიციის სამინისტროს ინსპექცია, თუმცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გავრცელებული მოდელით, მოკვლევას აწარმოებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ესა თუ ის ორგანო (ინსპექცია ან დისციპლინური პროკურორის სამსახური).

აშშ-ში გავრცელებული მოდელით მოკვლევას ახორციელებენ სამოსამართლო ქცევის კომისიები (judicial conduct commissions), რომელთა წევრების ნაწილს სასამართლო ხელისუფლება, ხოლო ნაწილს შტატის გუბერნატორი, ნაწილს ადვოკატთა ასოციაცია

439 იქვე

440 <https://likumi.lv/ta/en/en/id/57677-judicial-disciplinary-liability-law>

441 იხ. კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014. აგრეთვე, <https://www.ohchr.org/EN/Issues/Judiciary/Pages/ReportDisciplinaryMeasures.aspx>.

442 საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონი, მუხ. 7.

ნიშნავს⁴⁴³. ხშირად მომკვლევს ყოფილ მოსამართლეთაგან ნიშნავენ მოსამართლეთა ქცევის კომისიები⁴⁴⁴.

ზოგ შემთხვევაში, დისციპლინური საქმის მომკვლევები შეიძლება ad hoc დანიშნული იყოს (გერმანია, პორტუგალია), თუმცა უმეტეს შემთხვევაში, საქმის მოკვლევას მუდმივმოქმედი მოხელე ახორციელებს, რომელიც ხშირ შემთხვევაში არის მოქმედი მოსამართლე (იხ. მაგ. ბულგარეთი). ზოგ ქვეყანაში არსებობს დისციპლინური საქმის მომკვლევები სპეციალური სამსახური, ან მოხელე, რომელსაც აკომპლექტებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (კოსოვო, რუმინეთი, სლოვენია).

ევროპის ქვეყნებში დისციპლინური საქმის წინასწარ შესწავლას (მოკვლევას) ერთი თანამდებობის პირი აწარმოებს (პროკურორი, ინსპექტორი, გამომძიებელი მოსამართლე და სხვ). თუმცა, ასევე გვხვდება მოდელი, როდესაც საქმის მოკვლევას კოლექტიური ორგანო აწარმოებს. მაგალითად, ხორვატიაში, სადაც საქმეს იკვლევს სასამართლო საბჭოს მიერ დანიშნული სადისციპლინო კომიტეტი, რომელიც შედგება 3 სხვადასხვა წევრისგან, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს მოსამართლე⁴⁴⁵.

იმ ქვეყნებში, სადაც დისციპლინური საქმის წინასწარ მოკვლევა ერთი თანამდებობის პირს (და არა კოლექტიურ ორგანოს) ევალება, გვხვდება ორი სხვადასხვა მოდელი: ეს პირი არის ან მოსამართლე, ან არამოსამართლე.

მოსამართლის მიერ მოკვლევა ხორციელდება ისეთ ქვეყნებში, როგორცაა დიდი ბრიტანეთი გერმანია, ესპანეთი, სერბეთი, პოლონეთი, ხოლო ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ბოსნია, რუმინეთი, კოსოვო, სლოვენია და სხვ. მოკვლევას ახორციელებს ამ მიზნით სპეციალურად კონკურსით შერჩეული პირი, რომელსაც ჰყავს მოადგილეები, ან რომელიც ხელმძღვანელობს მთლიან სამსახურს⁴⁴⁶.

რუმინეთში დისციპლინური ინსპექტორების სამსახური იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შემადგენლობაშია და შედგება 32 ინსპექტორისგან, რომლებიც კონკურსის საფუძველზე შერჩეულ მოსამართლეებს წარმოადგენენ. სამსახურს ხელმძღვანელობს მთავარი ინსპექტორი⁴⁴⁷.

საქართველოს კანონმდებლობით, დისციპლინურ სამართალწარმოებას იწყებს, დისციპლინური საქმის მოკვლევას და წინასწარ შემოწმებას ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი, რომელსაც კონკურსის საფუძველზე ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო 5 წლის ვადით. დამოუკიდებელ ინსპექტორს ჰყავს საკუთარი აპარატი.

მოკვლევის განხორციელებას სპეციალიზებული მოხელის მიერ, რომელსაც აქვს დამოუკიდებლობის გარანტიები აქვს თავისი უპირატესობები, თუმცა ამავდროულად იქმნება ერთი უწყების ხელში დისციპლინური დევნის და გამოძიების ჩაკეტვის რისკი.

443 Synthia Gray, How Judicial Conduct Commissions Work, https://www.ncsc.org/_data/assets/pdf_file/0021/17508/how-judicial-conduct-commissions-work.pdf

444 https://iaals.du.edu/sites/default/files/documents/publications/recommendations_for_judicial_discipline_systems.pdf გვ. 6

445 იხ. კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014.

446 იქვე.

447 Disciplinary Liability of Judges in Romania, <http://newjustice.org.ua/wp-content/uploads/2018/10/Georgiana-Disciplinary-liability-of-judges-in-Romania-ENG.pptx>

2.7. საგამომძიებო მოქმედებები დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმების და მოკვლევისას.

საგამომძიებო მოქმედებების ჩატარების დეტალურ რეგლამენტაციას ჩვენთვის ცნობილი არცერთი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ესპანეთში გამომძიებელ მოსამართლეს შეუძლია შეაგროვოს მტკიცებულებები და ჩაატაროს ყველა ის მოქმედება, რასაც ჩათვლის საჭიროდ. კოსოვოს კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებს, რომ მტკიცებულებათა შეგროვებასა და პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლის უფლებასთან დაკავშირებით გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები⁴⁴⁸. ასევე საინტერესოა ის, რომ ესპანეთში სანქციის შემთარღებელ ორგანოს შეუძლია გამომძიებელ მოსამართლეს საქმე უკან დაუბრუნოს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად⁴⁴⁹. მსგავსი რეგულაცია არის გათვალისწინებული საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹³ მუხლით.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁷ და 75¹⁰ მუხლებით დამოუკიდებელ ინსპექტორს აქვს უფლება, გამოითხოვოს ინფორმაცია საჯარო უწყებების მონაცემთა ბაზებიდან, მოითხოვოს დისციპლინური გადაცდომის ფაქტთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, ფაქტი ან მასალა. ამასთან, დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმება და გამოკვლევა ობიექტურად, ყოველმხრივ და მიუკერძოებლად უნდა განხორციელდეს. შესწავლილი უნდა იქნეს მოსამართლის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები⁴⁵⁰. ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ დამოუკიდებელ ინსპექტორს არ აქვს ისეთი სახის საგამომძიებო მოქმედების ჩატარების უფლებები, რაც გამომძიებელს სისხლის სამართლის პროცესში - ჩხრეკა, ამოღება, სატელეფონო მოსმენა, მაგისტრი მოსამართლის წინაშე მონმის გამოძახება და სხვ. მონმე პასუხს არ აგებს ინსპექტორის წინაშე შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისთვის.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განსხვავებულად უდგება მოსამართლის მიერ ახსნა-განმარტების მიცემის ვალდებულებას. მაგალითად მოსამართლეს აქვს ასეთი ვალდებულება კოსოვოს კანონმდებლობით⁴⁵¹, მაგრამ არ აქვს სერბეთის კანონმდებლობით⁴⁵².

საქართველოში 2017 წლის 8 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებით ახსნა-განმარტების მიცემა მოსამართლის უფლებაა⁴⁵³.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, იმის მიუხედავად, რომ მოსამართლე მიცემული იქნა დისციპლინურ პასუხისგებაში და მოეთხოვა ახსნა-განმარტების წარმოდგენა, მოსამართლის მიერ ნ საქმეზე არ იქნა წარმოდგენილი ახსნა-განმარტება. მიგვაჩნია, რომ ეს არის პრობლემა, ვინაიდან მოსამართლის განმარტების გარეშე, შესაძლოა შეუძლებელიც იყოს დისციპლინურ საქმეზე ფაქტების დადგენა. 2012 წლამდე არსებული პრაქტიკით დისციპლინური ორგანოს საქმიანობის ხელისშემლად კვალიფიციირდებოდა მოსამართლის მიერ ახსნა-განმარტების წარდგენაზე უარი⁴⁵⁴. ვფიქრობთ, რომ ეს ნორმა უნდა აღდგეს და დისციპლინური ბრალდების შემთხვევაში მოსამართლის მიერ ახსნა-განმარტების წარმოდგენა სავალდებულო უნდა იყოს. ზოგ ქვეყანაში (მაგ. კოსოვო⁴⁵⁵) დისციპლინურ

448 <https://md.rks-gov.net/desk/inc/media/9C0BBF11-FCEE-407B-B070-C1105A070746.pdf> მუხ. 12, პარ. 11

449 იქვე.

450 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-3 პუნქტი.

451 <https://md.rks-gov.net/desk/inc/media/9C0BBF11-FCEE-407B-B070-C1105A070746.pdf> იხ. მუხლი 2.11.

452 იხ. კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014.

453 იხ. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

454 <http://dcj.court.ge/uploads/Practice/Practice2004-2013Criminal.pdf>

455 <https://md.rks-gov.net/desk/inc/media/9C0BBF11-FCEE-407B-B070-C1105A070746.pdf> მე-12 მუხლის მე-6 პუნქტი.

პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს აქვს უფლება, დააყენოს შუამდგომლობა მომკვლევით ორგანოს წინაშე მოწმეების დაკითხვის და წერილობითი მტკიცებულებების გამოთხოვის მოთხოვნით. საქართველოში

მსგავსი შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობას კანონმდებლობა მკაფიოდ არ ითვალისწინებს. მოსამართლეს შეუძლია დააყენოს შუამდგომლობა მის მიმართ დამატებით ახნა განმარტების ჩამორთმევის თაობაზე⁴⁵⁶. როგორც დამოუკიდებელი ინფორმაციის სამსახურიდან მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, ამ ჩანაწერის მიუხედავად პრაქტიკაში მოსამართლეებს ასეთი შუამდგომლობის დაყენების უფლება არ ერთმევათ, თუმცა ვფიქრობთ უმჯობესია ეს საკითხი კანონით იყოს დარეგულირებული.

ზოგ ქვეყანაში, დაიშვება ბრალის აღიარებასა და დისციპლინური სანქციის თაობაზე შეთანხმება დისციპლინური დევნის განმახორციელებელ ორგანოსა და მოსამართლეს შორის. აშშ-ში დისციპლინური საქმეების თითქმის ნახევარი საპროცესო შეთანხმებით მთავრდება⁴⁵⁷ საქართველოში მსგავსი ინსტიტუტი არ მოქმედებს. მოსამართლეს აქვს უფლება დისციპლინური გადაცდომა აღიაროს, თუმცა ამ შემთხვევაში საქმე განსახილველად გადაეცემა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას⁴⁵⁸. თუ საქმის განხილვისას მოსამართლე ბრალს აღიარებს, საქმის არსებითი განხილვა წყდება და მიიღება გადაწყვეტილება მოსამართლის ბრალეულად ცნობისა და სანქციის შეტარების თაობაზე⁴⁵⁹.

როგორც წესი, დისციპლინური საქმის მოკვლევის შედეგად მოკვლევის ორგანო ადგენს დასკვნას, რომელსაც წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს (ხშირ შემთხვევაში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს). დასკვნა არის დასაბუთებული და შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი⁴⁶⁰.

ზოგ ქვეყანაში განსაზღვრულია მოსამართლის მიერ შეპასუხების წარდგენის ვადაც, მაგალითად პორტუგალიაში ეს ვადა არის 20 დღე⁴⁶¹.

ზოგიერთ ქვეყნებში დისციპლინური საქმის მომკვლევ ორგანოს აქვთ უფლება შეწყვიტონ საქმე აშკარად დაუსაბუთებელი ან ბოროტგანზრახული საჩივრების არსებობისას⁴⁶². საქართველოში დამოუკიდებელ ინსპექტორს აქვს უფლება, არ აღძრას ან შეწყვიტოს დისციპლინური საქმე, როდესაც სახეზეა საქმის შეწყვეტის ფორმალური საფუძველი⁴⁶³.

2.8. დაცვის უფლებები დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში

დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის უფლებები ხშირად დისციპლინური კანონმდებლობის სხვადასხვა მუხლშია გაფანტული, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, როგორცაა სერბეთი, ბოსნია და ალბანეთი ამ საკითხს არეგულირებს კანონის ცალკე მუხლი. თითქმის ყველა მოწინავე ქვეყნის კანონმდებლობა მოსამართლეს აძლევს ადვოკატის ან სხვა წარმომადგენლის აყვანის უფლებას. ზოგიერთი მათგანი ასევე ხაზს

უსვამს მოსამართლის უფლებას, წარმოადგინოს შეპასუხება მის წინააღმდეგ მიმართულ

456 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-2 ნაწილი.

457 Synthia Gray, How Judicial Conduct Commissions Work, https://www.ncsc.org/data/assets/pdf_file/0021/17508/how-judicial-conduct-commissions-work.pdf

458 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹⁵ მუხლის მე-5 პუნქტი.

459 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75³⁶ მუხლის მე-2 პუნქტი.

460 იხ. მაგ. პორტუგალია <https://www.ohchr.org/EN/Issues/Judiciary/Pages/ReportDisciplinaryMeasures.aspx>

461 <https://www.ohchr.org/EN/Issues/Judiciary/Pages/ReportDisciplinaryMeasures.aspx>

462 OSCE ODIHR Notes on Good Practices on international standards on disciplinary liability against judges.

463 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტი.

ბრალდებებზე (იხ. მაგ. გაერთიანებული სამეფო, მაკედონია, სერბეთი)⁴⁶⁴.

საქართველოში დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემული მოსამართლის უფლებები მოცემულია საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის სხვადასხვა მუხლებში. კერძოდ, ეს უფლებებია დისციპლინური სხდომების გასაჯაროების უფლება; დამოუკიდებელი ინსპექტორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, სადისციპლინო კოლეგიის და სადისციპლინო პალატის წევრების აცილების, საქმის მასალების გაცნობის, შეპასუხების წარდგენის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დასწრების, დამცველით სარგებლობის, მტკიცებულებათა წარმოდგენის და შუამდგომლობათა დაყენების, კოლეგიის გადანყვეტილებათა გასაჩივრების უფლებები და სხვ⁴⁶⁵.

2.9. დისციპლინური საქმის არსებითად განმხილველი ორგანოები

ევროპულ სისტემებში საქმეს არსებითად იხილავს ან 1. მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო ან 2. მის გარეთ მდგომი ორგანო.

პირველ ჯგუფს მიკუთვნებულ ქვეყნებში საქმეს იხილავს მართლმსაჯულების საბჭო სრული შემადგენლობით (ხორვატია, პორტუგალია) ან მისი სადისციპლინო კოლეგია (ბულგარეთი, ესპანეთი, მაკედონია, კოსოვო, რუმინეთი, საფრანგეთი)⁴⁶⁶. იმ ქვეყნებში, სადაც საქმეს იხილავს საბჭოს გარეთ მდგომი კოლეგიური ორგანო, ამ ორგანოს წევრები, ზოგ შემთხვევაში, არიან ძირითადად მოსამართლეები, რომლებსაც შეარჩევს მართლმსაჯულების საბჭო (ბოსნია, სერბეთი, სლოვენია) ან ირჩევენ თავად მოსამართლეები (პოლონეთი). უნგრეთში და პოლონეთში დისციპლინურ საქმეებს სპეციალური დისციპლინური სასამართლოები იხილავენ⁴⁶⁷. თავისებური სისტემა მოქმედებს ინგლისში, სადაც მოკვლევის ორგანოს რეკომენდაციის საფუძველზე სახდელს აკისრებს ლორდი კანცლერი. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ბულგარეთი, გერმანია, ესპანეთი, მსუბუქი დისციპლინური სახდელის (შენიშვნა, გაფრთხილება) დაკისრების უფლებამოსილება სასამართლოს თავმჯდომარესაც გააჩნია. ასევე, თავისებური სისტემა მოქმედებს შვედეთში, სადაც მოსამართლეთა, ასევე მაღალი რანგის საჯარო მოხელეთა, დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს დისციპლინური გადაცდომების⁵ წევრიანი კოლეგია, რომლის წევრებს ნიშნავს მთავრობა⁴⁶⁸.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსამართლეთა დისციპლინურ გადაცდომებს არსებითად იხილავენ სამოსამართლო ქცევის კომისიები (judicial conduct commissions), რომელთა წევრობა 3-დან 28- მდე მერყეობს⁴⁶⁹. მოსამართლე წევრებს, როგორც წესი, ნიშნავს უზენაესი სასამართლო; ადვოკატურის წარმომადგენლებს ნიშნავს ადვოკატთა ასოციაცია, ხოლო საზოგადოებრივ წევრებს ნიშნავს გუბერნატორი. მოსამართლეები ყველა შტატში წევრთა უმრავლესობას არ შეადგენენ⁴⁷⁰. ასეთი კომისიების უმრავლესობას შეთავსებული აქვს როგორც საქმის გამოძიების, ასევე არსებითი განხილვის ფუნქცია,

რაც მოსამართლეების უკმაყოფილებას იწვევს, თუმცა ზემდგომი სასამართლოები ასეთ

464 კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014.

465 იხ. საერთო სასამართლოების შესახებ კანონის შესაბამისი მუხლები

466 იხ. კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014.

467 <https://www.ohchr.org/EN/Issues/Judiciary/Pages/ReportDisciplinaryMeasures.aspx>

468 <https://www.ohchr.org/EN/Issues/Judiciary/Pages/ReportDisciplinaryMeasures.aspx>

469 https://iaals.du.edu/sites/default/files/documents/publications/recommendations_for_judicial_discipline_systems.pdf

470 იქვე.

მონყობას არაკონსტიტუციურად არ მიიჩნევენ იმის გამო, რომ კომისიების გადაწყვეტილება საჩივრდება უზენაეს სასამართლოებში, სადაც შესაძლებელია ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული ხარვეზების გასწორება⁴⁷¹.

საქართველოში მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს წყვეტს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია, რომელიც 5 წევრისგან შედგება და რომელშიც უმრავლესობას (3 წევრი) მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული მოსამართლეები წარმოადგენენ. კოლეგიის 2 არამოსამართლე წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი⁴⁷². არამოსამართლე წევრის საქმიანობა ანაზღაურებადი, ამავდროულად, არამოსამართლე წევრს არ აქვს სხვა სახის ანაზღაურებადი საქმიანობის უფლება გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა⁴⁷³.

2.10. დისციპლინური საქმის არსებითი განხილვა

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა მეტნაკლებად დეტალურად არეგულირებს დისციპლინური საქმის არსებითი განხილვის პროცესს, რომელიც მოიცავს მტკიცებულებათა ზეპირ განხილვას, მხარეთა არგუმენტების მოსმენას და გადაწყვეტილების მიღებას.

მტკიცების სტანდარტი სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაა. აშშ-ს ზოგიერთ შტატში დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი საკმარისია დისციპლინურ გადაცდომაში მოსამართლის ბრალეულად ცნობისთვის⁴⁷⁴.

მტკიცების ტვირთთან დაკავშირებული ჩანაწერი იშვიათად გვხვდება. მაგალითად მონტენეგროს სამოსამართლო საბჭოს მიერ მიღებული წესები ითვალისწინებენ, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს⁴⁷⁵.

კოლეგიური ორგანო, რომელიც არსებითად იხილავს დისციპლინურ საქმეს, როგორც წესი, გადაწყვეტილებას მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე იღებს ხმის უმრავლესობით. თუმცა, მაკედონიაში გადაწყვეტილება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საბჭოს წევრების ხმათა 2/3-ით მიიღება⁴⁷⁶.

საქართველოში დისციპლინური საქმის არსებითი განხილვის მარეგულირებელი კანონმდებლობა საკმაოდ დეტალიზებულია. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი არეგულირებს სადისციპლინო კოლეგიის მიერ საქმის განხილვის ფარგლებს⁴⁷⁷, საქმის განხილვის ვადას⁴⁷⁸, სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის პრინციპებს⁴⁷⁹, სადისციპლინო კოლეგიის წევრების და ბრალდების მხარის წარმომადგენლის აცილების საკითხს⁴⁸⁰, საქმის არსებითი განხილვის დროს საპროცესო მოქმედებების თანმიმდევრობას⁴⁸¹.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁴⁶ მუხლით დისციპლინურ

471 https://iaals.du.edu/sites/default/files/documents/publications/recommendations_for_judicial_discipline_systems.pdf გვ. 6

472 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹⁹ მუხლი.

473 იქვე.

474 Synthia Gray, How Judicial Conduct Commissions Work, https://www.ncsc.org/data/assets/pdf_file/0021/17508/how-judicial-conduct-commissions-work.pdf

475 კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014.

476 იხ. კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014.

477 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75²³ მუხლი,

478 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75²⁵ მუხლი.

479 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75²⁴ მუხლი.

480 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75²⁵ მუხლი.

481 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75³³ მუხლი.

გადაცდომაში მოსამართლის ბრალეულად ცნობისათვის საჭიროა ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა სტანდარტი.

სადისციპლინო კოლეგია გადანყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, რაც იმას ნიშნავს, რომ სხდომაზე 3 წევრის დასწრების შემთხვევაში, გადანყვეტილების მიღება კოლეგიის 2 წევრს შეუძლია⁴⁸².

დისციპლინურ საქმეთა განხილვის საჯაროობის კუთხით იკვეთება 4 სხვადასხვა მოდელი: 1. რიგ ქვეყნებში (მაგ. ბოსნია, პოლონეთი, საფრანგეთი) საქმის განხილვა საჯაროა, თუმცა შეიძლება დაიხუროს მხოლოდ გარკვეული გარემოებების არსებობისას, როგორცაა მაგ. საჯარო წესრიგი, ან კერძო ცხოვრების საიდუმლოება, ან მართლმსაჯულების ინტერესები; 2. ზოგ ქვეყნებში (იტალია, მონტენეგრო) საქმის განხილვა არის საჯარო, მაგრამ შეიძლება დაიხუროს მხარეთა მოთხოვნით; 3. ზოგ ქვეყნებში (ბულგარეთში, მაკედონიაში და კოსოვოში) სადისციპლინო პროცესი მთლიანად დახურულია. 4. საქართველოში დისციპლინური სამართალწარმოება დახურულია, თუმცა მოსამართლეს უფლება აქვს მოითხოვოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და სადისციპლინო კოლეგიის სხდომების გასაჯაროება.

ვფიქრობთ, რომ ყველაზე უფრო გონივრული მეორე მოდელია, როდესაც დისციპლინური საქმის განხილვა ღიაა, თუმცა შეიძლება დაიხუროს მოსამართლის ინიციატივით.

2.11. სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებულ გადანყვეტილებათა გამოქვეყნება

ზოგიერთ ქვეყანაში, დისციპლინურ პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადანყვეტილებები სრულად ქვეყნდება (მაგ. პოლონეთი, კოსოვო, ავსტრია, ბულგარეთი), ხოლო ზოგან დაშტრიხული სახით (მაგ. ნიდერლანდები, საფრანგეთი, ლატვია). ინგლისში ლორდი მთავარი მოსამართლე და ლორდი კანცლერი თავად წყვეტენ გადანყვეტილებათა პუბლიკაციის საკითხს⁴⁸³.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სადისციპლინო კოლეგიის და სადისციპლინო პალატის გადანყვეტილებები ქვეყნდება პერსონალური მონაცემების გარეშე. თუ მოსამართლემ სხდომის გასაჯაროება მოითხოვა, ამ შემთხვევაში ქვეყნდება სრულად, ხოლო მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადანყვეტილება სრულად ქვეყნდება⁴⁸⁴.

2.12. სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადანყვეტილების გასაჩივრება

მოსამართლისთვის შეფარდებული დისციპლინური სანქციის გასაჩივრება ყველა მოწინავე ქვეყნის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, თუმცა გარკვეული თავისებურებებით. კერძოდ, იმ ქვეყნებში, სადაც საქმეს არსებითად იხილავს იუსტიციის საბჭოს კოლეგია, ამ ორგანოს გადანყვეტილებაზე განიხილავს იუსტიციის საბჭოს სრული შემადგენლობა, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც საქმეს არსებითად იხილავს იუსტიციის საბჭოს გარეთ მდგომი ორგანო,

482 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75⁰² მუხლის პირველი პუნქტი.

483 იხ. კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014. : იხ. აგრეთვე, ლატვიის კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, მუხ. 11⁶ <https://likumi.lv/ta/en/en/id/57677-judicial-disciplinary-liability-law>, კოსოვოს კანონი მოსამართლეთა და პროკურორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, მუხ. 7 <https://md.rks-gov.net/desk/inc/media/9C0BBF11-FCEE-407B-B070-C1105A070746.pdf>

484 კანონის 7512 მუხლის მე-3 პუნქტი, კანონის 7573 მუხლი.

ამ ორგანოს გადაწყვეტილებები საჩივრდება სასამართლოში⁴⁸⁵. ასევე, საინტერესოა ბულგარეთის კანონმდებლობაც, სადაც მოსამართლის გათავისუფლების შემთხვევაში, არსებობს კიდევ ერთი დამატებითი გასაჩივრების მექანიზმი, კერძოდ, ეს გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს 3-კაციანი კოლეგიიდან საჩივრდება 5-კაციანი კოლეგიაში⁴⁸⁶.

ზოგი ქვეყნის კანონმდებლობა დეტალურად აღგენს გასაჩივრების საფუძვლებს, კერძოდ კოსოვოს კანონით ეს შეიძლება იყოს: 1. კანონის ან კანონქვემდებარე აქტების დარღვევა, რომლებიც ეხება მოსამართლეებს და მსაჯულებს; 2. მცდარი ან არასრული მტკიცებულება ან ფაქტების დადასტურება 3. დისციპლინური პროცედურების დარღვევა. მონტენეგროს სასამართლო საბჭოს მიერ მიღებული წესების 65-ე მუხლით გასაჩივრების საფუძველი შეიძლება იყოს პროცესუალური წესების დარღვევა, რასაც შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე; ფაქტების არასწორი ან არასრულყოფილი დადგენა; მატერიალური სამართლის არასწორი გამოყენება.

საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 75⁶⁶ და 75⁶⁶ მუხლები შეიცავენ იმ პროცესუალური დარღვევების ჩამონათვალს, თუ რა შემთხვევაში შეუძლია სადისციპლინო პალატას სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება ან საქმის დაბრუნება ხელახალი განხილვისთვის. საქმის ხელახალ განხილვაში დაბრუნების ერთ-ერთი საფუძველია ის, რომ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ან დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;

2.13. დისციპლინური პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის და დისციპლინური სახდელის გაქრობის ვადები

სხვადასხვა სისტემაში დისციპლინური სამართალწარმოების ხანდაზმულობის ვადა აითვლება გადაცდომის ჩადენიდან ან მისი გამოვლენიდან. სხვადასხვა ქვეყნებში ხანდაზმულობის ვადები მერყეობს ერთი წლიდან ხუთ წლამდე, მაგ. მაკედონიაში დისციპლინური სამართალწარმოება არ შეიძლება დაიწყოს თუ გადაცდომის ჩადენიდან გასულია 1 წელი, ხოლო ალბანეთში და პოლონეთში⁴⁸⁷ - 5 წელი. სხვა ქვეყნებს კი შუალედური პოზიცია უჭირავთ (ესპანეთში და ბულგარეთში 2 წელი, ხორვატიაში 2 წელი⁴⁸⁸).

ხანდაზმულობის ვადები, რომლებიც აითვლება გადაცდომის გამოვლენიდან კიდევ უფრო შემჭიდროვებულია. კერძოდ მაკედონიაში, მონტენეგროში ეს ვადა არის 3 თვე, ხოლო ხორვატიაში და ბულგარეთში 6 თვე, ალბანეთში 1 წელი. ზოგიერთ ქვეყნებში, ასევე, განერილია სახდელის დაკისრების ხანდაზმულობის ვადა. მაგალითად, მონტენეგროში ეს არის 3 წელი დისციპლინური გადაცდომის გამოვლენიდან, პოლონეთში 5 წელი დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან⁴⁸⁹.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75² მუხლის თანახმად, მოსამართლეს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გასულია 3 წელი, ხოლო მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ

485 იქვე

486 კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014.

487 <https://www.aeaj.org/media/files/2019-02-20-99-disciplinary%20proceedings%20against%20judges%20and%20prosecutors.pdf>

488 იხ. კახა წიქარიშვილი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2014.

489 იქვე.

გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, ასევე, ითვალისწინებს დისციპლინური სახდელის გაქარწყლების ვადებს. მაგ. ბულგარეთის კანონმდებლობით სახდელი გაქარწყლებულად ითვლება მისი აღსრულებიდან 1 წლის ვადაში (თანმდებობიდან გათავისუფლების გარდა) და შესაძლებელია მისი ვადამდელი გაქარწყლებაც მოკვლევის ორგანოს ინიციატივით. ხორვატიაში და ალბანეთში ეს ვადა არის 2-3 წელი (გადაცდომის ან სახდელის სიმძიმის მიხედვით), ხოლო პოლონეთში 5 წელი⁴⁹⁰.

საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 57⁷⁶ მუხლით, გათვალისწინებულია დისციპლინური სახდელის გაქარწყლების სხვადასხვა ვადები სახდელის სიმძიმის მიხედვით, კერძოდ: შენიშვნა გაქარწყლებულად ჩაითვლება მისი დაკისრებიდან 6 თვის, საყვედური – 9 თვის, ხოლო მკაცრი საყვედური – 1 წლის გასვლის შემდეგ, თუ მოსამართლე ამ ვადაში ახალ დისციპლინურ გადაცდომას არ ჩაიდენს, ამასთან დაუშვებელია დისციპლინური სახდელის მოხსნა კანონით დადგენილი ვადების გასვლამდე⁴⁹¹.

დანართი 3. ონლაინ გამოკითხვების, ჩაღრმავებული ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფის შეხვედრის შედეგები.

პროექტის “დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში”, 2020 წლის ივნის-სექტემბერში ჩატარდა მოსამართლეების, ადვოკატების, სახალხო დამცველის აპარატის და არასამთავრობო ორგანიზაციათა გამოკითხვა, ფოკუს ჯგუფების, წერილობითი კითხვარების და ჩაღრმავებული ინტერვიუების მეშვეობით.

ონლაინ გამოკითხვებში მონაწილეობა მიიღო 59 ადვოკატმა და 8 მოსამართლემ, ჩაღრმავებული ინტერვიუს სახით გამოიკითხა 16 ადვოკატი, 2 მოსამართლე, სახალხო დამცველის და 4 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, პარლამენტის 2 წევრი.

ონლაინ გამოკითხვა და ჩაღრმავებული ინტერვიუები განხორციელდა წინასწარ შედგენილი კითხვარების გამოყენებით. შეკითხვები ეხებოდა როგორც დისციპლინურ გადაცდომებს, ასევე დისციპლინური სამართალწარმოების ხარვეზებს, სისტემის ეფექტიანობას და მიუკერძოებლობას, ასევე გამოკითხვის მონაწილეთა რეკომენდაციებს სისტემის გაუმჯობესების მიზნით. ფოკუს ჯგუფის შეხვედრა გაიმართა 2020 წლის 16 ივლისს, მასში მონაწილეობდა 22 ადვოკატი.

3.1. დისციპლინური სისტემის ეფექტიანობა, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა.

შეკითხვაზე, თუ რამდენად ეფექტიანია მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა, ონლაინ გამოკითხული ადვოკატების უმრავლესობა - 74% მიიჩნევს, რომ სისტემა ან ძალიან არაეფექტიანია, ან უფრო არაეფექტიანია, ვიდრე ეფექტიანი. აღნიშნულისგან განსხვავებით, გამოკითხული 8 მოსამართლისგან 6 მიიჩნევს, რომ სისტემა არის უფრო ეფექტიანი ვიდრე არაეფექტიანი. ჩაღრმავებული ინტერვიუების დროს გამოკითხულთა ნაწილმა მიუთითა, რომ სისტემის ეფექტიანობის ნაკლებობა გამომდინარეობს ასევე იმ ფაქტიდან, რომ მოსამართლეებს რომლებსაც კარგი ურთიერთობა აქვთ სასამართლოში მართვის სათავეში მყოფ ჯგუფთან, აქვთ დაუსჯელობის სრული გარანტია. გამოკითხულთა

490 იქვე.
491 იქვე.

ნაწილის აზრით, სისტემის არაეფექტიანობის მიზეზი ასევე არის ის, რომ საჩივრის ავტორს, ხშირ შემთხვევაში, არ ეცნობება საჩივრის განხილვის შედეგები.

რესპოდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით ადვოკატები მიიჩნევენ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფრო მოსამართლეების მთარველობით არის დაკავებული, ვიდრე დისციპლინური საქმეების ეფექტიანი გამოძიებით და დევნით.

შეკითხვაზე, თუ რამდენად სამართლიანია დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა, გამოკითხული ადვოკატების 51% მიიჩნევს, რომ სისტემა არის სამართლიანი, ან უფრო სამართლიანი ვიდრე უსამართლო, ხოლო 49% მიიჩნევს, რომ არის უსამართლო, ან უფრო უსამართლო, ვიდრე სამართლიანი.

მოსამართლეებში პასუხები სხვაგვარად გადანაწილდა: 1 მოსამართლე მიიჩნევს, რომ სისტემა არის სრულად სამართლიანი, 6 მოსამართლე მიიჩნევს, რომ არის უფრო სამართლიანი, ვიდრე უსამართლო ხოლო 2 მოსამართლე მიიჩნევს, რომ არის უფრო უსამართლო, ვიდრე სამართლიანი.

3.2. დისციპლინურ წარმოებასთან შეხება, დისციპლინური საჩივრის შეტანის დამაბრკოლებელი ფაქტორები

ონლაინ გამოკითხული ადვოკატების 71%-მა აღნიშნა, რომ დისციპლინურ წარმოებასთან შეხება არ ჰქონია. წერილობით გამოკითხული ადვოკატების მხოლოდ 11%-ს აქვს შეტანილი დისციპლინური საჩივარი, ხოლო 13%-ს გაუწევია კონსულტაცია დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებით.

რესპოდენტების ნაწილის აზრით, ადვოკატები თავს იკავებენ მოსამართლის მიმართ დისციპლინური საჩივრის შეტანისგან, ვინაიდან მათ ეზინათ, რომ ამის საპასუხოდ მოსამართლე მათ პრობლემებს შეუქმნის მომავალში. ადვოკატების ნაწილს დისციპლინური საჩივარი არ შეაქვთ იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ დისციპლინური სისტემა არაეფექტიანია და მოსამართლეების პასუხისმგებლობა რეალურად აღარ დგება. ასევე, ხშირ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს არ ეცნობება საჩივრის განხილვის შედეგები⁴⁹². ასევე, ადვოკატების ნაწილს დისციპლინური საჩივარი არ შეაქვს იქედან გამომდინარე, რომ ამით ვერ იღებს რაიმე პრაქტიკულ სარგებელს და დისციპლინურ საჩივარს არ აქვს რაიმე სამართლებრივი ზეგავლენა საქმის შედეგზე. ზოგ შემთხვევაში, ადვოკატი არ ჩივის მოსამართლის მიერ საქმის გაჭიანურებაზე იმის გამო, რომ წარმოადგენს მხარეს, რომელიც თავად არის დაინტერესებული საქმის გაჭიანურებით.

3.3. დისციპლინური გადაცდომების აღქმა იურიდიულ პროფესიებში

როგორც ონლაინ გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ახალი საფუძვლების ცნობადობა შედარებით დაბალია ადვოკატებში. გამოკითხული ადვოკატების მხოლოდ 30% იცნობს კარგად ახალ დისციპლინურ გადაცდომებს (2019 წლის 13 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილება), ხოლო 30% მოსამართლეთა ახალ დისციპლინურ გადაცდომებს ან ცუდად იცნობს, ან საერთოდ არ იცნობს. მაშინ, როცა გამოკითხული 8 მოსამართლიდან 6-მა მიუთითა, რომ დისციპლინური გადაცდომის საფუძვლებს იცნობს კარგად, ხოლო 2-მა მიუთითა, რომ უფრო იცნობს, ვიდრე არ იცნობს.

⁴⁹² ამის მიზეზი შეიძლება იყოს კანონში არსებული დათქმა, რომ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილება საჩივრის ავტორს ეცნობება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერთო სასამართლოებში აღარ მიმდინარეობს შესაბამისი საქმის წარმოება, რის გამოც იქნა შეტანილი საჩივარი (საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მუხ. 75⁴)

3.4. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების მკაფიოობა

შეკითხვაზე, თუ რამდენად მკაფიოა თქვენვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ახალი საფუძვლები, გამოკითხულთა მცირე ნაწილი (ადვოკატების 22% და 8 მოსამართლიდან მხოლოდ 1 მოსამართლე მიუთითებს, რომ გადაცდომების საფუძვლები სრულიად მკაფიოა. გამოკითხული ადვოკატების 38%-ის აზრით ახალი დისციპლინური საფუძვლები სრულიად ან ნაწილობრივ ბუნდოვანია. გამოკითხული მოსამართლეების უმრავლესობა (7 მოსამართლე) მიიჩნევს, რომ ახალი დისციპლინური გადაცდომები უფრო მკაფიოა, ვიდრე ბუნდოვანი. ერთი მოსამართლე მიიჩნევს, რომ დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი იძლევა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას, რაც ბუნდოვანს ხდის ნორმას და შესაძლოა ის არასწორად იქნეს გამოყენებული. მეტი კონკრეტუკა არის საჭირო, რათა განჭვრეტადი გახდეს ნორმა.

3.5. გავრცელებული დისციპლინური გადაცდომები

შეკითხვაზე, თუ რომელი დისციპლინური გადაცდომებია უფრო გავრცელებული, ადვოკატებმა ყველაზე უფრო გავრცელებულ გადაცდომებად მიუთითეს: მოსამართლის მიერ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის დარღვევა, მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით. ყველაზე ნაკლებად გავრცელებულ გადაცდომებად ადვოკატებმა მიუთითეს მოსამართლის სტატუსის შეუფერებელი ქმედება, მოსამართლის მიერ საქმეთა განაწილებაში უკანონო ჩარევა, მოსამართლის ჩარევა სხვა მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებაში. მოსამართლეების აზრით, არცერთი ჩამოთვლილი დისციპლინური გადაცდომა არ არის გავრცელებული, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მოსამართლის მიერ საპროცესო ვადების არასაპატიო მიზეზით დარღვევა (6 მოსამართლე), პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემლობა (5 მოსამართლე), მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელება რაიმე ზეგავლენით (4 მოსამართლე), მოსამართლის ჩარევა სხვა მოსამართლის საქმიანობაში (3 მოსამართლე).

3.6. კანონიდან მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლის ამოღება

2019 წლის 13 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებით, დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალიდან ამოღებული იქნა მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება ან შეუსრულებლობა, როგორც დისციპლინური გადაცდომა. რესპოდენტებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, თუ რამდენად უნდა იყოს დასჯადი ეს გადაცდომა. რესპოდენტების ნაწილი ამ საფუძვლით მოსამართლის დასჯას ეწინააღმდეგება და ფიქრობს, რომ ეს საფუძვლით უქმნის მოსამართლის დამოუკიდებლობას, განსაკუთრებით იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ სასამართლოს მართავს გავლენიანი ჯგუფი, რომლის ხელშია ადმინისტრირების ყველა ბერკეტი და ისინი ამ ბერკეტს გამოიყენებენ მოსამართლეზე ზეგავლენის მოსახდენად. გარდა ამისა, მოსამართლის მიერ კანონის არასწორი გამოყენება საჩივრდება სააპელაციო წესით და გამოსწორებადია. რესპოდენტების ნაწილის აზრით, მოსამართლის არაკომპეტენტურობა ტრენინგებით უნდა გამოსწორდეს და არა დისციპლინით. რესპოდენტების მეორე ნაწილი, ამის საწინააღმდეგოდ, ფიქრობს რომ მოსამართლის მიერ კანონის დარღვევა, რომელიც ჩადენილია განზრახ, ან აშკარად არაკომპეტენტურობით ან უხეში დაუდევრობით, ან რასაც გამოუსწორებელი ზიანის დადგომა მოჰყვა, უნდა ისჯებოდეს. რესპოდენტების ეს ნაწილი ფიქრობს, რომ სააპელაციო

და საკასაციო გასაჩივრება ვერ დააზღვევს იმ რისკებს, რაც შეიძლება მომდინარეობდეს მოსამართლის მიერ თავისი ფუნქციის დაუდევარი შესრულებით. გამოკითხული ადვოკატები, ასევე ამ მოსაზრებას ამყარებენ იმით, რომ ადვოკატის მიერ საკუთარი ფუნქციების არაკვალიფიციურად და დაუდევრად განხორციელება, რამაც კლიენტი დააზიანა, დასჯადია. შესაბამისად, მოსამართლეს უნდა ისჯებოდეს მსგავსი ქცევისთვის. ზოგიერთი რესპოდენტი ფიქრობს, რომ ამკარა არაკომპეტენტურობის ექსტრემალური შემთხვევები შეიძლება დაისაჯოს იმ გადაცდომის რანგში, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს რეპუტაციის ხელმყოფ ქცევას. ზოგი გამოკითხულის აზრით, არაჯეროვანი შესრულება შეიძლება არ ისჯებოდეს მკაცრი სანქციით, მაგრამ მოსამართლემ შენიშვნა მაინც უნდა მიიღოს კანონის დარღვევის გამო. ზოგი გამოკითხულის აზრით, არაჯეროვანი შესრულება უნდა ისჯებოდეს მხოლოდ მაშინ, თუ აქვს სისტემატური ხასიათი. არაჯეროვანი შესრულების მაგალითებად მოჰყავთ ის, რომ მაგალითად მოსამართლემ საერთოდ არ იმსჯელა გადაწყვეტილებაში მხარის მიერ დაყენებულ მოთხოვნებზე. მოსამართლემ გადაწყვეტილებაში მოიყვანა ფაქტები, რომელთა შესახებ მტკიცებულება საქმეში საერთოდ არ არსებობდა და ა.შ.

3.7. მოსამართლის მიერ საქმისწარმოების გაჭიანურება

გამოკითხულთა აზრით, მოსამართლის მიერ საქმისწარმოების შეგნებულად გაჭიანურება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დისციპლინური გადაცდომაა. გამოკითხულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მოსამართლე არ შეიძლება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდეს მხოლოდ იმის მითითებით, რომ მას 500 საქმე აქვს წარმოებაში, ან წლის განმავლობაში იხილავს 500 საქმეს. თითოეული საჩივრის შესწავლის დროს უნდა იქნეს შესწავლილი, თუ რა კატეგორიის და სირთულის საქმეებს იხილავს მოსამართლე, ხომ არ არის გაჭიანურება გამოწვეული მხარის ბრალით, რატომ ხდება ისე, რომ მოსამართლე ნიშნავს სხდომებს 2 თვის წინ შემოსულ საქმეზე, მაგრამ არ ნიშნავს სხდომებს 3 წლის წინ შემოსულ საქმეზე. ადვოკატების ნაწილი ფიქრობს, რომ საქმეთა გაჭიანურების მიზეზი არის ის, რომ ზოგ შემთხვევაში, თავად მოსამართლეებს არ აქვთ საქმის დროულად დასრულების ინტერესი, სხდომებს ღებენ ნებისმიერი მიზეზით, თითქოს ცდილობენ, რომ თავი აარიდონ და შემდეგ არ დაუგროვდეთ დასაწერი გადაწყვეტილებები. ერთი რესპოდენტის აზრით, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ მიმართოს ადმინისტრაციას და ითხოვოს ადმინისტრაციული პრობლემების მოგვარება, რომლებიც საქმის გაჭიანურებას იწვევენ. თუ ადმინისტრაცია ამ პრობლემას არ აგვარებს, მოსამართლე უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან. ერთი რესპოდენტის აზრით, ზოგიერთი მოსამართლე ზედმეტად დატვირთულია არასამოსამართლო საქმიანობით, მაგალითად ლექციებით, რის გამოც თავს ვეღარ ართმევს საქმეთა ნაკადს. რესპოდენტთა ნაწილი, მათ შორის მოსამართლეები ფიქრობენ, რომ თუ მოსამართლეს საქმეზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთი სხდომაც კი არ აქვს ჩანიშნული, ეს უკვე არასაპატიოა, იმის მიუხედავად, თუ რა დატვირთვა აქვს მოსამართლეს.

3.8. მოსამართლეთა მიერ მხარეთა არაჯეროვანი მიმართვა

რესპოდენტების ნაწილის აზრით, პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათია მოსამართლეთა მიერ მხარეთა მიმართ არაჯეროვანი მიმართვა. უფრო ხშირად, ეს შეიძლება იყოს მოსამართლის ცინიზმი, ან მხარის კვალიფიკაციის ეჭვქვეშ დაყენება⁴⁹³. გამოკითხულთა ნაწილის აზრით, მოსამართლეები უფრო მეტად არღვევენ ეთიკის ნორმებს, როდესაც მიკროფონი

493 მაგალითად სიტყვები, „იურისტი თუ ხარ საერთოდ“.

არის გამორთული. არაჯეროვანი მიმართვის მაგალითი შეიძლება იყოს მოსამართლის მეტისმეტი ფამილარობაც⁴⁹⁴, მაგრამ თუ მიკროფონი გამორთულია, მოსამართლეები უფრო თავისუფლები არიან, თუმცა ამ შემთხვევაში, საჩივრის შეტანაც აზრს მოკლებულია, ვინაიდან სათანადო მტკიცებულება აღარ არსებობს. ზოგი რესპოდენტი ფიქრობს, რომ მოსამართლის ზედმეტად დიდაქტიკური ტონიც შეიძლება იყოს მხარის მიმართ არაჯეროვანი მიმართვის მაგალითი. ერთ-ერთი გამოკითხულის აზრით, არაჯეროვანი მოპყრობის მაგალითია, მოსამართლის მიერ მხარის სრულიად უსაფუძვლო დაჯარიმება პროცესზე.

3.9. მოსამართლეების აშკარა მიკერძოება

ერთ-ერთი რესპოდენტის აზრით, მოსამართლის აშკარა მიკერძოება გამოიხატა იმაში, რომ მან პროკურორის ფუნქცია დაიჭირა და ბრალდების მხარის მიერ დასასმელ შეკითხვებს უსვამდა მონხეებს. (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი მდგომარეობით, ასეთი რამ დაუსჯელი დარჩება). აშკარა მიკერძოება შეიძლება გამოიხატოს ასევე იმითაც, რომ მოსამართლემ მითითება მისცეს მხარეს, რომელი მტკიცებულება უნდა წარადგინოს საქმეზე. აშკარა მიკერძოების მაგალითი შეიძლება იყოს მოსამართლის მიერ ადვოკატის სრულიად უსაფუძვლოდ დაჯარიმება. რესპოდენტთა ნაწილის აზრით, საერთო სასამართლოებში მოცემული ფორმულირება „მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით“ სრულად არაეფექტიანია, ვინაიდან ზეგავლენის დამტკიცება პრაქტიკულად შეუძლებელია.

3.10. მოსამართლის მიერ საქმეთა განაწილების სისტემაში ჩარევა

ერთმა რესპოდენტმა მიუთითა, რომ მის პრაქტიკაში ასევე ადგილი ჰქონია დისციპლინურ გადაცდომას: მოსამართლის მიერ საქმეთა განაწილების სისტემაში ჩარევას. კერძოდ, მან შეიტანა საფუძვლიანი საჩივარი ამ მოსამართლის წინააღმდეგ კონკრეტულ საქმეზე, რის შემდეგაც ეს მოსამართლე ცდილობს ამ ადვოკატის ყველა საქმე აიცილოს. რატომღაც ხდება ის, რომ უკვე წლებია, რაც ამ ადვოკატის მონაწილეობით არცერთი საქმე არ ეწერება ამ მოსამართლეს. ამის მიუხედავად, რესპოდენტების უმრავლესობის აზრით, საქმეთა განაწილების სისტემაში უკანონოდ ჩარევა მოსამართლის მხრიდან იშვიათად ხდება.

3.11. სხვა დისციპლინური გადაცდომები, რომლებიც ასევე უნდა იყოს დასჯადი

ზოგი რესპოდენტი მიიჩნევს, რომ დისციპლინურად დასჯადი უნდა იყოს არა მხოლოდ მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე უარი, არამედ სრულიად დაუსაბუთებელი თვითაყილება.

3.12. დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი

რესპოდენტთა უმრავლესობა მიესალმება დამოუკიდებელი ინსპექტორის შემოღებას სასამართლო სისტემაში. რესპოდენტთა ნაწილი ფიქრობს, რომ ინსპექტორს არ აქვს დამოუკიდებლობის საკმარისი გარანტიები. ინსპექტორის არჩევა მოხდა დახურულ სხდომაზე და შერჩეული კანდიდატი არ არის დამოუკიდებელი სასამართლოში არსებული გავლენიანი ჯგუფისგან.

494 მაგალითად, მხარისადმი მიმართვა: „ხომ არ გეძინა, რას აკეთებდი ამ ხნის განმავლობაში“.

3.13. დისციპლინური სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

შეკითხვაზე, თუ რა რეკომენდაციები გაქვთ დისციპლინური სისტემის გაუმჯობესების მიზნით, ერთი რესპოდენტი მიიჩნევს, რომ მოსამართლეებს უნდა აეკრძალოთ სოციალური ქსელებით სარგებლობა, ვინაიდან მოქალაქეებს უჩნდებათ მოსამართლეებთან სოციალური ქსელებით კომუნიკაციის სურვილი, ასევე არსებობს სხვა რისკებიც ეთიკის წესების დარღვევის თვალსაზრისით.

ერთი გამოკითხულის აზრით, მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში უმრავლესობა არ უნდა იყოს არჩეული მოსამართლეთა კონფერენციის მიერ, ვინაიდან ეს ორგანო ატარებს კორპორაციულ, შიდაუნწყებრივ ინტერესებს. კოლეგიაში ასევე უნდა იყოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ არჩეული ერთი წევრი.

ერთ-ერთი გამოკითხული მოსამართლის აზრით, დისციპლინური პასუხისმგებლობის გადანყვეტილების მიღებისას, აუცილებელია იყოს საბჭოს წევრთა ხმების უფრო მეტი რაოდენობა, რათა მოსამართლე დაცული იყოს მაქსიმალურად.

ერთ-ერთი გამოკითხულის აზრით, უნდა არსებობდეს საქმეებიდან იმ მოსამართლის ჩამოცილების ან უფლებამოსილების შეჩერების მექანიზმი, რომელიც არღვევს ეთიკის ნორმებს (საბოლოო გადანყვეტილების მიღებამდე).

ერთ-ერთი გამოკითხული მიიჩნევს, რომ დისციპლინური საქმისწარმოების ვადები არის შესამცირებელი.

ერთმა რესპოდენტმა გამოთქვა აზრი, რომ კანონი შეიძლება შეიცვალოს და დისციპლინური კოლეგიის სხდომები გახდეს საჯარო და მხოლოდ მოსამართლის მოთხოვნის საფუძველზე დაიხუროს.